

სამართლებული უნივერსიტეტი

ISSN 1512-0473



2020

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

Faculty of Humanities

ენათმეცნიერების საპითხები

ISSUES OF LINGUISTICS

2020



სარედაქციო საბჭო:

ვ. ბოედერი, ი. გიპერტი, დ. თვალთვაძე, ბ. უტიე,
ჰ. ფენრიჩი, მ. შანიძე, ზ. ჭუმბურიძე, ა. პარისი

EDITORIAL COUNCIL:

W. Boeder, Z. Chumburidze, H. Fähnrich, J. Gippert,
A. Harris, B. Outtier, M. Shanidze, D. Tvaltvadze

სარედაქციო კოლეგია:

რ. ასათიანი, თ. ბოლქვაძე, ნ. გაფრინდაშვილი, მ. ივანიშვილი,
ი. ლეჟავა (რედაქტორი), დ. მელიქიშვილი, ე. სოსელია,
ლ. ქეცბა-ხუნდაძე, მ. ჯიქა

EDITORIAL BOARD:

R. Asatiani, T. Bolkvadze, N. Gaprindashvili, M. Jikia, M. Ivanishvili,
L. Ketsba-Khundadze, I. Lezhava (Editor), D. Melikishvili, E. Soselia

**უკრალი დაარსებულია 1999 წელს თამაზ გამყრელიძისა და
ზურაბ სარჯველაძის მიერ**

*The journal was founded in 1999 by Thomas V. Gamkrelidze
and Zurab Sarjveladze*

გამოცემულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო საგამომცემლო საბჭოს გადაწყვეტილებით

© ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
გამომცემლობა, 2021
© Ivane Javakhishvili Tbilisi State University Press, 2021

ISSN 1512-0473

შინაარსი

ლოა აბულაძე, ლოკალიზაცია სივრცეში და წინ თანდებული	5
<i>Lia Abuladze, Location in Space and the Postposition c'in ("before", "in front of")</i>	17
რუსული ასათანი, ფუნქციური სიტყვების მეტყველების ნაწილებად გვალიფიკაცია ლაზურში	19
<i>Rusudan Asatiani, Function Words in Laz</i>	29
ციური ახვლებიანი, გორგო კუჯარაძე, მეტაფორული ტერმინები ფრანგულ და ინგლისურ ენათა ანატომიურ ტერმინოლოგიაში	31
<i>Tsiuri Akhvlediani, Giorgi Kuparadze, Metaphorical Terms in French and English Anatomical Terminology</i>	35
ციური ახვლებიანი, გორგო კუჯარაძე, ინგლისურ და ფრანგულ ენათა ფონეტიკური სისტემების ცვლილებათა პერიოდები	36
<i>Tsiuri Akhvlediani, Giorgi Kuparadze, Periods of Changes of Phonetic Systems of English and French Languages</i>	43
გაი კვაშილავა, A კლასის ხაზოვანი <i>mi-ta</i> ფორმის ამოკითხვა	44
<i>Gia Kvashilava, On Reading Linear A Sequence mi-ta</i>	56
მარიამ მათაშვილი, ქართული არგუმენტირებული სტრუქტურების ლინგვისტური ანალიზი: ძირითადი ოქტა	57
<i>Mariam Matiashvili, Linguistic Analysis of Georgian Argumentative Structures: Main Thesis</i>	69
თამარ მახარობლიძე, ზმინს პარადიგმების შესახებ ქართულ ენსტურ ენაში	71
<i>Tamar Makharoblidze, On Verbal Paradigms in GESL</i>	76
მარიამ ნავაძე, ხმოვანთა ფორმანტული ანალიზი ქართულში და მისი როლი მეტყველი პირის ამოცნობის პროცესში	77
<i>Mariam Navadze, Vowel Formant Analysis in Georgian and its Importance in the Speaker Identification Process</i>	81
ნიკოლოზ ოთიაშვილი, ფრონქს ხეობის მეტყველების ზოგიერთი თავისებურება	82
<i>Nikoloz Otinashvili, Some Particularities of Prone Valley Speech</i>	86
მანანა რუსიშვილი, გოული შაბაშვილი, მადლობის სამეტყველო აქტის სპეციფიკა ქართულ და ინგლისურ ენებში	87
<i>Manana Rusieshvili, Giuli Shabashvili, The Speech Acts of "thank you" in Georgian and English Languages</i>	95
მარიამ რუხაძე, გრამატიკალიზაციით განპირობებული ომონიმია კომპიუტერულ ლინგვისტიკაში	96
<i>Mariam Rukhadze, Homonymy Caused by Grammaticalization in Corpus Lingistics</i>	108
მარიკა ჯიქია, ჯემალ აჯიაშვილის პოეტური მეტყველება	109
<i>Marika Jikia, Jemal Ajishvili's Poetic Speech</i>	116

მცაობების ისტორია

თინათინ ბოლკვაძე, იავეტური თეორიის აღზევება და დაცემა ნაწილი მეორე: მზადება ენობრივი დისკუსიასთვის – 1949-1950 წლები	117
<i>Tinatin Bolkvadze, The Rise and Fall of Japhetic Theory</i>	
Part II: Preparing for the Linguistic Discussion - 1949-1950 Years	139
კონსტანტინ ბრეგაძე, სტალინის 60 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული (1940) და იდეოლოგიური დისკურსი	140
<i>Konstantine Bregadze, The Collection Dedicated to Stalin's 60 Anniversary (1940) and the Ideological Discourse</i>	153
<i>Ekaterina Velmezova, What the participants of the linguistic discussion in Pravda wrote about the Georgian language from June 9 to June 20, 1950?</i>	156
კატერინა ველმეზოვა, რას წერდნენ გაზეთ „პრავდაში“ ენობრივი დისკუსიის მონაწილენი ქართული ენის თაობაზე 1950 წლის 9 მაისიდან 20 ივნისამდე?	167
Sébastien Moret, The “Internal Laws of Language Development” as an Ideological Manifestation of Stalinist Russia	168
სებასტიუს მორე, „ენის განვითარების შინაგანი კანონი“, როგორც სტალინისტური რესენტის იდეოლოგიური მანიფესტაცია	176
<i>Patrick Sériot, The Enigma of Similarities: Analogy as a Cognitive Method in Linguistics in Russia</i>	177
პატრიკ სერიო, მსგავსებათა ენიგმა: ანალოგია, როგორც კოგნიტიური მეთოდი რესენტ ენათმეცნიერებაში	186
Camil Hamans, The Return of the Prodigal Son	187
კამიელ ჰამანი, უძღვის შვილის დაბრუნება	201
თარგმანი	
ივორ მელიქიური, შესაძლებლობათა აღრიცხვა როგორც ლინგვისტური ტიპოლოგიის ერთ-ერთი მეთოდი (თარგმა ზურაბ ბარათაშვილმა)	202
რევიუები	
<i>Heinz Fähnrich, Historisch-Vergleichende Sprachforschung und Kaukasiologie, Reichert Verlag, 2019, 212 S. (ნათა დუნდუ, მარინე ივანიშვილი)</i>	238
<i>Irène MELIKISHVILI, Hélène GIUNASHVILI, Les langues caucasiennes du Sud, Etudes Interdisciplinairesen Sciences humaines, N 7 (2020), 274-303 (რუსულად ასათაანი, მარინე ივანიშვილი)</i>	241

ლოკალიზაცია სივრცეში და წიგ თანდეგული

ჩვენ ვცხოვრობთ გარევეულ დროსა და სივრცეში. ჩვენი ყოფა, ურთიერთობები, საქმიანობა გარკვეულ ადგილსა და დროში მიმდინარეობს. შესაბამისად, ჩვენი ენობრივი გამონათქმებიც სივრცულ და დროით კატეგორიებთანაა კავშირში. ოვით ენა, მეტყველება, ბერათა წარმოთქმა, რომლებიც დროში თანმიმდევრულად ხორციელდება, ცხადია, დროსთანაა უშუალოდ დაკავშირებული, ხოლო მეტყველის მიერ ბერათა არტიკულაცია გულისხმობს მის აუდიურ დამუშავებას მსმენელის მიერ, რაც მეტყველისა და მსმენელისთვის ერთობლივ სივრცეს მოითხოვს.

საენათმეცნიერო ლიტერატურაში ფართოდაა გავრცელებული აზრი, რომ ენაში სივრცის კატეგორია უფრო ძირულია, ფუნდამენტურია, ვიდრე დროისა. მართლაც, სივრცე უშუალოდ აღიქმება ჩვენი აღქმის ძირითადი ორგანოების მიერ, მაშინ, როცა ამას ვერ ვიტყვით დროის შესახებ, რადგან მისი აღქმა უშუალოდ კი არ ხდება, არამედ აზროვნების ჩართვას მოითხოვს.¹ იმის დასასაბუთებლად, რომ ენაში დროის კატეგორია სივრცესთან შედარებით მეორულია, იმოწმებენ მაგალითებს, რომლებიც გვიჩვენებენ დროითი მიმართებების გამოჩატველი ენობრივი საშუალებების განვითარებას სივრცის აღმნიშვნელი საშუალებებისაგან (რადენა 2011:2).

ამავე დროს, ენათმეცნიერები იმაზეც ამაზეც ამაზეილებენ ყურადღებას, რომ თითქმის ყველა ენობრივ გამონათქმაში აუცილებელია დროის კატეგორიის გამოხატვა, მაგრამ არ არის აუცილებელი სივრცული კატეგორიის გამოხატვაც. „მაშინ, როცა მოლაპარაკე თავისუფალია არჩევანში, ილაპარაკოს სივრცის შესახებ, ამას ვერ ვიტყვით დროის შესახებაც: ყოველი ფინიტური ზმნა აუცილებლად შეიცავს დროის შესახებ ინფორმაციას – ის გამოხატავს დროს ან ასპექტს, ან ორივეს ერთად“, – წერს კლაინი (კლაინი 1994:1). ფატერი კი შენიშნავს: „დროითი წესრიგი მარგინალურია, მაგრამ ენაში მისი გამოხატვა სავალდებულოა; სივრცული კატეგორია ცენტრალურია, ანუ ძირული, ფუნდამენტური, მაგრამ მისი გამოხატვა ენაში არის არა აუცილებელი, არამედ ფაკულტატიური“, თუმცა შემდეგ განავრძობს: „მაგრამ საქმე ასე მარტივად არ არის: დიდი ხანია, ცნობილია, რომ

¹ აქ შეიძლება გავიხსენოთ ი. ბროდსკის სტრიქონები: „დრო მეტია, ვიდრე სივრცე სივრცე ნივთია, საგანია, დრო კი არსებითად ფიქრია საგანის შესახებ“ (“Время больше пространства, пространство – вещь, время же в сущности мысль о вещи”. Бродский 1989:106).

ენაში ბევრი რამ იგულისხმება, რაც ექსპლიციტურად შეიძლება არ იყოს მოცე-მული. ეს ეხება სივრცულ მიმართებებსაც: მაგ., გამონათქვამი „წვიმს“, თუ მას გარკვეული კონტექსტი არ ახლავს, შეიძლება ზოგადად გავიგოთ როგორც ლო-კალურად განსაზღვრული, რადგან ასეთ დროს ადგილი ექნება ეწ. „დეფოლტ-შემთხვევას“ (Defaultfall), როცა გარკვეული ხდომილება მოლაპარაკის ადგილ-მდებარეობას მიეწერება – აქ წვიმს. ამ მაგალითმა შეიძლება ვერ შეცვალოს ზე-მოთ გამოთქმული დებულება ენაში სივრცული კატეგორიის გამოხატვის ფაკულტატურობის შესახებ, მაგრამ მისი ინტერპრეტაცია იმის საფუძველს კი ნამდვილად იძლევა, რომ ვთქვათ: სივრცეში ორიენტაცია იმდენად ბუნებრივია და ცხადი, რომ ის ენობრივ გამონათქვამში თითქმის ყოველთვის არის ნაგულისხმევი“ (ფატერი 1991:4-6).

აქ შემიძლია დავუმატო, რომ სივრცე, როგორც ზოგადი კატეგორია, ენობრივი მასალის სემანტიკური აღწერისას დაკავშირებულია არა მარტო ობიექტებისა და მოქმედების ადგილმდებარეობასთან ან ორიენტაციასთან, არამედ საგნების ისეთ სივრცულ მახასიათებლებთანაც, როგორებიცაა მათი სიდიდე ან ფორმა. ამას შენიშნავდა ფილმორიც, როცა წერდა, რომ „სივრცე, როგორც ზოგადი კატეგორია, თავს იჩენს ფიზიკური ობიექტების ისეთი სივრცული თვისებების აღწერის დროსაც, როგორებიცაა: მათი ზომა, მოცულობა ან კონტურები“ (ფილმორი 1982:36). როდესაც ჩვენ ვასახელებთ საგნებს (ლაიონზთან „first-order entities“ (ლაიონზი 1977:442), არ არის ყოველთვის საჭირო მათი სიდიდის ან კონტურების ექსპლიციტურად გამოხატვა, მაგ., ბურთთან არ არის საჭირო მისი სივრცული მახასიათებლის „მრგვალის“ აღნიშვნა, რადგან მისი ეს თვისება ისედაც არის ამ საგნის სახელში ნაგულისხმევი (აბულაძე 2006:16-17). ან, მაგალითად, სულაც არ არის საჭირო, თაგვთან მისი ზომის გამომხატველი ზედსართავის „პატარის“ ხმარება. ამრიგად, ჩვეულებრივ ობიექტების სახელები თანამოიცავენ ან გულისხმობენ ამ ობიექტების სივრცულ მახასიათებლებსაც – ფორმას, სიგრძეს, მოცულობას.² თითქმის ყველა ენობრივი გამონათქვამი სახელურ ფრაზასაც შეიცავს. ამიტომ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ენაში სივრცის კატეგორიის გამოხატვაც აუცილებელია.

გარდა ყველაფერი ზემოთ თქმულისა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ გარშემო სინამდვილეში, ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში დრო ბევრად უფრო ცვალებადია, ვიდრე სივრცე. ჩვენ შეიძლება, ერთ სივრცეში, ვთქვათ, ერთ თათახში გავატაროთ რამდენიმე დღე ან კვირა (ზოგჯერ თვე და წელიც კი), სივრცე ჩვენ ირგვლივ არ შეიცვლება, მაგრამ დრო განუწყვეტლივ იცვლება, მომავლიდან წამიერი აწმყოს გავლით წარსულში გადადის და ენობრივ გამონათქვამებში სი-

² ეს თვალსაზრისი მხარდაჭერას პოულობს კოგნიტური ლინგვისტიკის კვლევებშიც, რომლებიც ადასტურებენ, რომ ობიექტების იდენტიფიცირების უმნიშვნელოვანეს კრიტერიუმს ამ ობიექტების ფორმები წარმოადგენს (ჯეკუნდოფი, ლანდაუ 1995:100).

ნამდვილის ადეკვატური ასახვისას სწორედ ამ ცვალებადი დროის ფიქსაციის აუცილებლობა იჩენს თავს, რაც დინამიკური და სტატიკური ზმნების დროის ან ასპექტის კატეგორიების გამოშატველი გრამატიკული საშუალებებით ხორციელდება. ალბათ ეს გარემოებაც უნდა იყოს გასათვალისწინებელი იმ თვალსაზრისის განხილვისას, რომელიც ენაში დროის კატეგორიის გამოხატვის აუცილებლობას ეხება.

როგორ განისაზღვრება სივრცეში საგნების, ფიზიკური ობიექტების ადგილ-მდებარეობა – ეს არის მაინც ის მთავარი კითხვა, რომელიც სივრცის კატეგორიის შესახებ მსჯელობისას დაისმის. ეს კითხვა უშუალო კავშირშია არა მარტო საგნების ადგილსა და ორიენტაციასთან, არამედ, უმეტეს შემთხვევაში, კომუნიკაციის, ურთიერთობის აქტში მონაწილე მოლაპარაკისა და მსმენელის პოზიციასთანაც. უფრო მეტიც, საგანთა ადგილმდებარეობა სწორედ მეტყველის პოზიციის მიხედვით განისაზღვრება. სივრცის ენობრივი რეპრეზენტაცია ძირითადად ეგოცენტრულია. მეტყველი ადამიანი არის იმ სივრცის ცენტრი, რომელშიც ის სხვა ფიზიკური ობიექტების ადგილმდებარეობას განსაზღვრავს. მოლაპარაკე თვითონაც ფიზიკურ ტერმინების სამყაროში, რომელსაც ადამიანი აღიქვამს და ენობრივი საშუალებებით აღწერს, მთავარია თვითონ აღმქმედი, მისი სხეული, მისი ადგილი სივრცეში, მისი მდგომარეობა, მისი მოძრაობა. ამიტომაც სივრცული კატეგორიის გამოხატვის ენობრივი საშუალებების განხილვისას უდიდესი ყურადღება ექცევა ლოკალურ დეიქსისს,³ რომელიც საენათმეცნიერო ლიტერატურაში შემდგნაირად არის განმარტებული: „ლოკალური დეიქსისი არის მეტყველის მიერ ობიექტების (მოცემულობების) ადგილმდებარეობის განსაზღვრა (ლოკალიზაცია) ორიგოს მიმართ ისეთ საურთიერთო სიტუაციაში, რომელიც მოლაპარაკის როლში, თვით ამ მოლაპარაკის გარდა, ერთ ადრესატს მაინც მოიცავს. ლოკალური დეიქსისი გამოიხატება დეიქტური გამონათქვამებისა და/ან ჟესტიკულაციის⁴ მეშვეობით. მისი ფუნქციაა, არსებული ორიგოდან ამოსვლით მსმენელის ყურადღება მიაპყროს ლოკალიზირებად მოცემულობებზე და მოახდინოს ადრესატის ცნობიერების მოდიფიცირებასე, რომ მან შეძლოს მეტყველის (მოლაპარაკის) მსგავსი მენტალური რეპრეზენტაციის აგება და მასში მოლაპარაკის მსგავსად ორიენტირება“ (ფრიკე 2007:86).⁵

³ „დეიქსისი“, ბერძნი გრამატიკოსების ტერმინი, მომდინარეობს სიტყვიდან „დეიქტიკოს“, რომლის შესატყვისია ლათინური „დემონსტრატივი“ ანუ „ჩვენებითი/მითითებითი“. დეიქსისის ნაცვლად საშუალიერო ლიტერატურაში გვხვდება აგრეთვე „შიფტერი“ (იუსტერსხისა და იაკობსონთან), „ტოკენ-რევლექსური“ (რაიხენბახთან). მეოცე საუკუნის ენათმეცნიერებაში ეს ტერმინი თავიდან შემოიტანა კარლ ბიულერმა.

⁴ აღსანიშნავია, რომ ქართულში სიტყვა „მითითება“ ეტიმოლოგიურად ჟესტიკულაციას უკავშირდება.

⁵ “Lokaldeixis ist die origorelativen Lokalisierung von Gegebenheiten durch den Sprecher in einer Kommunikationssituation, die neben ihm selbst in der Sprecherrolle zumindest

უფრო მარტივად რომ ვთქვათ, ლოკალური დეიქსისი არის გარკვეულ მოცემულობებს შორის სივრცული მიმართებების გამოხატვა იმგვარი ენობრივი საშუალებებით (გამონათქვამებით და/ან მისი თანამდევი უესტებით), რომებიც ამ მიმართებს ადგენენ მოლაპარაკის (მე-აქ-ახლა – ორიგოს) ადგილმდებარეობის მიხედვით.

ორიგო კარლ ბიულერის მიერ დამკვიდრებული ტერმინია (ბიულერი 1934). ბიულერი ენობრივ ნიშნებს ჩვენებით (მითითებით) და სახელდებით სიტყვებად ყოფს. ჩვენებითი სიტყვების ველს აქვს ამოსავალი ნულოვანი პუნქტი: „მე-აქ-ახლა“ – ორიგო. თუ ობიექტზე (საგანზე), რომლის ადგილმდებარეობაც განისაზღვრება, მითითება ხდება ორიგოსთან მიმართებით, ანუ იმ სიტუაციასთან მიმართებით, რომელშიც თვითონ მოლაპარაკე მეტყველების დროსა და ადგილას (ანუ ახლა და აქ) იმყოფება, მაშინ საქმე გვაქვს დეიქსისის კანონიკურ შემთხვევასთან: “*deixis ad oculos et aures*”, ხოლო თუ მეტყველებისას ხდება ამ ნულოვანი პუნქტის გადაწევა (როცა მოლაპარაკე წარმოიდგენს თავის თავს რაიმე განსხვავებულ სიტუაციაში, განსხვავებულ სივრცეში ან დროში), მაშინ, როგორც ბიულერი შენიშვნავს, საქმე გვექნება “*deixis am phantasma*”-სთან, ანუ წარმოსახვით დეიქსისთან. ბიულერი გამოყოფს კიდევ ჩვენებითი სიტყვების ანაფორულ ხმარებას. ისეთი სიტყვები, როგორიცაა „იქ“, „ზევთ“ და მისთ. ტექსტში გამოიყენება გარკვეული მიმართებების აღსანიშნავად, კერძოდ, ისინი უზრუნველყოფების თხრობის თანმიმდევრულ, გაწონასწორებულ დინებას. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ე.წ. „ანაფორულ დეიქსისთან“, რომლის ნაცვლად მოგვიანებით ხმარებაში შემოვიდა ტერმინი „ტექსტ-დეიქსისი“.

ჰერბერმანი ერთმანეთისაგან განასხვავებს „ეგოცენტრულსა“ და „ალოცენტრულ“ დეიქსისს (ჰერბერმანი 1988:62). როდესაც მოლაპარაკე შხოლოდ საკუთარი „ეგო“-ს სიტუაციიდან ამოსვლით განსაზღვრავს საგნებისა და ხდომილებების ადგილსა და დროს, მაშინ საქმე გვექნება ეგოცენტრულ დეიქსისთან. ალოცენტრულ დეიქსისთან საქმე გვაქვს მაშინ, როცა მოლაპარაკე ადრესატის პოზიციიდან ამოდის. მაგალითად, როცა მეთაური აძლევს ჯარისკაცებს ბრძანებას „მარცხნისაკნ“, ის ამ დროს ჯარისკაცების მარცხნა მხარეს გულისხმობს.

ლოკალურ დეიქსისს განეკუთვნება შემდეგი მეტყველები: ჩვენებითი ნაცვალსახელები, ჩვენებითი ზედსართავები და ჩვენებითი ზმნისართები, რომლებსაც ფილმორი ერთი საერთო სახელწოდების – დემონსტრატივების – ქვეშ აერთიანებს (ფილმორი 1982:36). ლოკალურ დეიქსისს მიაკუთვნებენ აგრეთვე ე.წ.

einen Adressaten umfasst. Die Lokaldeixis erfolgt mittels deiktischer Ausdrücke und/oder Zeigegesten. Ihre Funktion ist es, die Aufmerksamkeit des Adressaten in Abhängigkeit von der jeweiligen Origo auf die zu lokalisierenden Gegebenheiten zu lenken und damit das Bewusstsein des Adressaten dahingehend zu modifizieren, dass er eine ähnliche mentale Repräsentation wie der Sprecher aufbaut und in ähnlicher Weise darin orientiert ist” (ფრიკე 2007:401).

რელაციურ (მიმართებით) წინდებულებს/თანდებულებს (კლარკი 1973:42). ლოკა-ლურ დეიქსის განეკუთვნება აგრეთვე მოძრაობის აღმნიშვნელი ზმნების გარკვეული ნაწილი (მაგალითად, ინგლისურში come/ეგი). ქართული ენობრივი მონაცემების გათვალისწინებით, ამ ზმნებს შეიძლება ორიენტაციის გამომხატველი მი-/მო-ზმნისწინების შემცველი მოძრაობის აღმნიშვნელი ბევრი სხვა ზმნაც დავუმატოთ, მაგალითად, მირბის/მორბის, მიცურავს/მოცურავს და სხვ. ამჟამად ჩემი განხილვის საგანი იქნება ლოკალური დეიქსისის ერთერთი ქვესისტემა – რელაციური თანდებულები.

ლოკალური დეიქ්სისის ველის განხილვისას, ჩვეულებრივ, განასხვავებები იმ ობიექტს, რომლის ადგილმდებარეობის განსაზღვრაც ხდება, ანუ რეფერენციის ობიექტს, რომელსაც სამეცნიერო ლიტერატურაში მოიხსენიებენ აგრძოვე სახელებით: „თემა“ (ერის 1982:44), „ფიგურა“ (ტალმი 1983:238), და ჩვენების (მითი-თების) ობიექტს ანუ დემონსტრატუმს ან რელატუმს (ტალმისთან „Ground“-ს), რომლის მიმართაც განისაზღვრება თემის, ანუ რეფერენციის ობიექტის ადგილმდებარეობა. ამ წერილში უპირატესად იხმარება ტერმინები – რეფერენციის ობიექტი და რელატუმი.

როგორც უკვე ითქვა, ბიულერის აზრით, როდესაც მოლაპარაკეს სურს რაიმე საგნის მდებარეობის განსაზღვრა, ის, პირველ რიგში, რელატუმად სწორედ საკუთარ თავს („მე-აქ-ახლა“ – ორიგოს) იყენებს და მასთან მიმართებით განსაზღვრავს საგნის ადგილს. ამ დროს დიდი მნიშვნელობა ენიჭება ორიგოს არა მხოლოდ პოზიციას, არამედ მის ორიენტაციასაც. მეტყველის ორიენტაციას სივრცეში განსაზღვრავს, პირველ რიგში, მისი სხეულის ადგილმდებარება (პოზიცია) და აგრეთვე სივრცის სტრუქტურული მახასიათებლები, რომლებიც, თავის მხრივ, სხეულის პოზიციასთან არიან კავშირში. ლოკალური დეიქსისის სფეროში მოლაპარაკის პოზიციასთან მიმართება გამოიხატება აქ, მანდ, იქ – სამშრიერი ოპოზიციით, ხოლო სივრცის სტრუქტურა გამოიხატება ორი პორიზონტალური ოპოზიციით: წინ/უკან და მარჯვნივ/მარცხნივ და ერთი ვერტიკალური ოპოზიციით: ზევით/ქვევით. ამრიგად, სივრცის სტრუქტურა წარმოადგენს სამგანზომილებიან სისტემას. ამ სამგანზომილებიანი სისტემის ვერტიკალური ოპოზიცია ზევით/ქვევით ახდენს ლოკალიზაციას სივრცეში იმგვარად, რომ მოლაპარაკის ან მსმენელის ორიენტაციას, ანუ მათი აღქმის ორგანოების მიმართულებას ყურადღება არ ექცევა. თანაც ამ ოპოზიციას ბუნებრივად მყარი საყრდენი აქვს დედამიწის მიზიდულობის კანონის სახით. ამიტომ ვერტიკალური განზომილება პირველი სივრცულ განზომილებად (primary dimension) მიიჩნევა, ხოლო ორ პორიზონტალურ განზომილებას (წინ/უკან, მარჯვნივ/მარცხნივ), რომელთაგან პირველი წყვილი ასიმეტრიულია, ხოლო მეორე – სიმეტრიული, მიიჩნევნ მეორეულ განზომილებებად (secondary dimensions). ეს მეორეული განზომილებები, წინ/უკან და მარჯვნივ/მარცხნივ ოპოზიციები, ახდენენ სივრცეში ობიექტების ადგილმდებარებას.

რეობის განსაზღვრას იმის მიხედვით, თუ როგორია მოლაპარაკის ორიენტაცია, ანუ მისი აღქმის ძირითადი ორგანოების მიმართულება. ამათგან პორიზონტალური ოპოზიციის სიმეტრიული წყვილის (მარჯვნივ/მარცხნივ) განსაზღვრა ხდება იმის მიხედვით, თუ როგორ არის უკვე განსაზღვრული წინ/უკან წყვილი, ე.ი., სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, იმის მიხედვით, თუ რა მიმართულებით მოძრაობს რელატური – მოლაპარაკე.⁶

ლოკალური დეიქტური ველის იმ ნაწილს, რომელშიც რეფერენციის ობიექტის ადგილმდებარეობა გამოიხატება მოლაპარაკის პოზიციასთან მიმართებით მყოფ აქ, მანდ, იქ ჩვენებითი ზმინსართებით ან პირველადი სივრცული განზომილების აღმნიშვნელი ენობრივი ერთეულებით, „პირველად დეიქსის“ (primary deixis) უწოდებენ, ხოლო ის ნაწილი, რომელშიც ობიექტის ადგილმდებარეობა განისაზღვრება მეორეული განზომილებების გამომხატველი ენობრივი ერთეულებით, მიიჩნევა „მეორეულ დეიქსისად“ (secondary deixis).

ბიულერის შემდგომ ლოკალური დეიქსისის კვლევებში მიღერმა და ჯონ-სონ-ლერდმა დეიქტური ორიენტაციის გვერდით შემოიტანეს ე.წ. „ინტრინსული“ ორიენტაციაც, რომლის მიხედვით, რეფერენციის ობიექტის ადგილმდებარეობის დადგენისას მოლაპარაკემ შეიძლება ამოსავალ წერტილად ანუ რელატურად აირჩიოს არა ორიგო, არამედ რომელიმე სხვა საგანი, რომელსაც აქვს ე.წ. „ინტრინსული“, ან სხვაგვარად, „ამსოდუტური ორიენტაცია“ (აპრესიანი 1974:109), ანუ ამ საგნისთვის ბუნებრივად, შინაგნად თვისებრივი სივრცული მახასიათებელი (მაგალითად, წინა ნაწილი).

როგორ ვადგენთ ჩვენ წინა ნაწილებს, ვთქვათ, ცოცხალი არსებებისთვის ან საგნებისთვის? ფილმორის პასუხი ამ კითხვაზე შემდეგია: ადამიანის სხეულის-თვის მისი წინა ნაწილია ის მხარე, რომელზეც მისი აღქმის ორგანოებია მოთავ-სებული. ეს ნაწილი ემთხვევა აგრეთვე ადამიანის მოძრაობის მიმართულებას. იგივე ითქმის სხვა ცოცხალ არსებებზეც. რაც შეეხება არტეფაქტებს, მათ წინა ნაწილად მიიჩნევა ის მხარე, რომელი მხრიდანაც ჩვენ მათ ვიყენებთ, მაგალითად, საწერი მაგიდისთვის წინა მხარეა მისი ის ნაწილი, რომელზეც ვწერთ; მოძრავი ობიექტებისთვის, მაგ., მანქანებისთვის, წინა ნაწილი არის ის ნაწილი, რომელიც პირველი გადაკვეთს გარკვეულ ხაზს ან საზღვარს (ფილმორი 1997:32-33). რო-

⁶ საინტერესოა იმის აღნიშვნა, რომ შესაძლებელია წინ და უკან განზომილებების ხარისხობრივი შეფასება: ის, რაც ჩვენ წინ არის, ხილულია, ხოლო რაც უკან არის, – არა. ამიტომ, ჩვენი აღქმის თვალსაზრისით, წინ არის პოზიტიური, ხოლო უკან – ნე-გატიური. შეიძლება ეს შეფასება ძველი აზროვნების გამოიახილი იყოს: ძველების წარმოდგენაში (პლატონი, არისტოტელე) ცოცხალი ორგანიზმი შეადგინდა ყოველგვა-რი წესრიგის პარადიგმას, სივრცული წესრიგიც ორგანულ სტრუქტურას წარმოად-გენდა და მისი სხვადასხვა სფერო ხარისხობრივად იყო ერთმანეთისგან განსხვავებუ-ლი, სივრცის წინა, ზედა და მარჯვენა ნაწილები იყო პოზიტიური და უკეთესი, ვიდ-რე უკანა, ქვედა და მარცხენა.

დესაც ჩვენ ვიცით ცოცხალი არსებების ან საგნების წინა ნაწილი, მაშინ, ბუნებრივია, ვიცით აგრეთვე მისი უკანა და მარცხენა, მარჯვენა მხარეებიც. მთავარია, ზუსტად ვიცოდეთ, რომელია რელატუმად შერჩეული საგნის წინა ნაწილი – მაშინ კომუნიკაციის დროს არ გვექნება სივრცეში ორიენტაციისას მცდარი ინტერპრეტაციის შემთხვევები. ცხადია, ასეთ დროს საქმე გვექნება არა დეიქტურ, არამედ ინტრინსულ მიმართებათა სისტემასთან.

მიღერი და ჯონსონ-ლერდი ამტკიცებდნენ, რომ, როცა რელატუმს ინტრინსული სივრცული მახასიათებლები აქვს, რეფერენციის ობიექტის ადგილმდებარეობის განსაზღვრისას გამოიყენება სწორედ ინტრინსული მიმართებების სისტემა, მაშინ, როცა დანარჩენ შემთხვევებში ობიექტის ლოკალიზაციისას დეიქტურ სისტემას მიმართავენ (მიღერი, ჯონსონ-ლერდი 1974:398-399). ლინგვისტებისა და ფსიქოლინგვისტების შემდგომა კვლევებმა გვიჩვენა, რომ საქმე ასე მარტივად არ არის. სივრცულ მიმართებათა ორივე სისტემა, ინტრინსულიცა და დეიქტურიც, ძალიან მჭიდროდაა ერთმანეთთან გადაჯაჭვული. ცხადია, რომ, თუ მოლაპარაკის ორიენტაცია სივრცეში და რელატუმის ინტრინსული მახასიათებელი ერთმანეთს ემთხვევა, მაშინ რეფერენციის ობიექტის ლოკალიზაციის გამომსატველი ენობრივი გამონათქვამების განსხვავებული ინტერპრეტაციის პრობლემა არ გვექნება. სირთულეები წარმოიქმნება მაშინ, როცა, მიუხედავად კომუნიკაციის სივრცეში ინტრინსული თვისებების მქონე რელატუმის არსებობისა, დეიქტური სისტემაც მიიღება მხედველობაში. ასეთ დროს მოლაპარაკეს აქვს არჩევანი – რომელი სტრატეგია გამოიყენოს რეფერენციის ობიექტის ადგილმდებარეობის განსაზღვრისას – დეიქტური თუ ინტრინსული. ეს არჩევანი, უმეტეს შემთხვევაში, იმ ობიექტზეა დამოკიდებული, რომელიც რელატუმად გამოიყენება, მაგალითად, მანქანის მიმართ უფრო ზშირად ინტრინსულ სტრატეგიას მიმართავენ: (ბურთი მანქანის წინ გდია). ამასთანავე, შხედველობაში მიიღება ისიც, თუ რა მანძილით არის დაშორებული რეფერენციის ობიექტი სავარაუდო რელატუმთან: კერძოდ, საგანი, რომლის ლოკალიზაციასაც განკსაზღვრავთ, უნდა რელატუმის ახლო სივრცის სფეროში იმყოფებოდეს. იმისათვის, რომ საგანზე ვთქვათ, ეს საგანი არის რელატუმის წინ, მაგალითად, ბურთი გდია სკამის წინ, ბურთი საქმარისად ახლოს უნდა იყოს სკამთან (აპრესიანი 1974:113).

შეიძლება, რელატუმი ისეთი ობიექტი იყოს, რომელსაც ინტრინსული მახასიათებელი არ გააჩნია. მაგალითად, თუ რელატუმია ხე, რომელსაც არ აქვს ინტრინსული წინა ნაწილი და მოლაპარაკემ უნდა განსაზღვროს ბურთის ადგილმდებარეობა ხის მიმართ, მაშინ, ცხადია, მან უნდა მხედველობაში მიიღოს თავისი საკუთარი ადგილმდებარეობა და ორიენტაცია, ანუ ამოვიდეს დეიქტური პერსპექტივიდან. აღმოჩნდა, რომ ასეთ დროს შეიძლება ისეთმა ფაქტორმა იჩინოს თავი, რომელიც გაართულებს რელაციური წინდებულების (თანდებულების) ინტერპრეტაციას. ეს ფაქტორი, რომელიც პირველად ჰილმა შენიშნა (ჰილი 1982: 16-20), ისაა, რომ წინ/უკან წინდებულების (თანდებულების) ინტერპრეტაციის

დროს შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს არა მარტო დეიქტური და ინტრინსული მიმართებების გათვალისწინება, არამედ იმ განსხვავებული თვალსაზრისების (ორიენტაციების) მხედველობაში მიღებაც, რომელთაც იყენებს მოლაპარაკე (ან მსმენელი) საგანთა სივრცულ კონფიგურაციაზე დაკვირვების დროს. ჰილის მტკიცებით, ევროპულ ენებში საგანთა ლოკალიზაციისას აშკარა უბირატესობა ენიჭება საპირისპირო (ან საწინააღმდეგო) მიმართულებას, რომელსაც ჰილი “facing”-ს უწოდებს. მაგალითად, როცა რაიმე საგნის, ვთქვათ, ბურთის მდებარეობას განვახლვრავთ მეორე საგნის, ვთქვათ, ხის მიმართ, მაშინ ვამბობთ, რომ ბურთი ხის წინ არის, როცა ის მოლაპარაკესა და ხეს შორის არის მოთავსებული. აფრიკის ერთ-ერთ ენაზე – ჰაუზა ენაზე – მეტყველის თვალსაზრისით კი, ბურთი იქნება ხის წინ, როცა ის მოთავსებული იქნება ხის შემდეგ გაგრძელებულ წრფეზე. ჰილი ამ თვალსაზრისს უწოდებს “aligned”-ს. ჰილის ტერმინოლოგიის პარალელურად სხვა ავტორებთან გვხვდება “vis-a-vis-perspective” და „საპირისპირო (საწინააღმდეგო) მიმართულება/Gegenrichtung“ “facing”-ის სანაცვლოდ და “tandem-perspective” ან „თანაბარი (ერთნაირი) მიმართულება/Gleichrichtung“ “aligned”-ის ნაცვლად (ერთი 1982:51).

გრაბოვსკიმ და ვაისმა (გრაბოვსკი, ვაისი 1996:289-311) ექსპერიმენტულად გამოიკვლიეს წინ/უკან წინდებულების ხმარება ზუთ ევროპულ ენაში, სახელდობრ: გერმანულ, ფრანგულ, იტალიურ, ნიდერლანდურსა და ინგლისურ ენებში. მათ დაადგინეს, რომ წინ წინდებულის ინტერპრეტაცია დამოკიდებულია ისეთ ფაქტორებზე, როგორებიცაა რეფერენციის ობიექტის მოძრაობის მიმართულება (თუ, რა თქმა უნდა, მოძრავ ობიექტთან გვაქვს საქმე) ან მისი „ხილულობა“, ანუ ყოფნა მეტყველის მხედველობის არეში. მათ აღნიშნეს აგრეთვე ფსიქოლოგური, ფსიქოლინგვისტური და სემანტიკური ფაქტორების ურთიერთურებების გავლენა წინ წინდებულის შემცველი ენობრივი გამონათქვამების ინტერპრეტაციაზე.

ჩემთვის განსაკუთრებით საინტერესოა გრაბოვსკისა და ვაისის თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ ყურადღება უნდა მიექცეს „ცალკეული ენების დეიქტურ წინდებულთა ინვენტარს და აგრეთვე სივრცული გამონათქვამების ურთიერთობას დროით გამონათქვამებთან“ (ხაზგასმა ჩემია – ლ.ა.). ამ მოსაზრების უფრო დაწერილებით განსახილველად შევეხები წინ/უკან თანდებულების ხმარებას ქართულში, რომლის დროსაც, პირველ რიგში, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ისნი არა მარტო თანდებულებად, არამედ ზმნისართებადაც გვევლინებიან.

მანქანის წინ/უკან ბავშვი დგას. (თანდებული)

მანქანა წინ/უკან მიდის. (ზმნისართი)

ამავე დროს, ეს სივრცული თანდებულები და ზმნისართები გამოხატავენ არა მხოლოდ სივრცეში ლოკალიზაციას, არამედ დროში მიმდევრობასაც:

(1) ეს კაცი ორი დღის წინ (თანდებული) ჩამოვიდა. (წარსული)

(2) არავინ იცის, წინ (ზმნისართი) რა გველოდება. (მომავალი)

(3) უკან (ზმნისართი) დაგვრჩა წვალება. (წარსული)

(4) მას უკან (თანდებული), რაც ეს ამბავი მოხდა... (მომავალი)

(5) ორი დღის უკან (თანდებული) მასწავლებელი შემხვდა. (წარსული)

დროითი მიმართებების აღნიშვნისას თვალში საცემია ის ფაქტი, რომ ორი ურთიერთსაპირისპირო მნიშვნელობის თანდებული ერთსა და იმავე დროზე (კერძოდ, წარსულზე) მიუთითებს (1) და (5) წინადადებებში, ხოლო წინადადებებში (2) და (3) ზმნისართები თანდებულების საპირისპირო მნიშვნელობით იხმარება.

უკან ზმნისართის მიმართება წარსულ დროსა და წინ ზმნისართისა მომავალთან ბუნებრივად აღიქმება და ენათმეცნიერებისთვის კამათის საბაბს არ იძლევა, თუმცა იგივე არ ითქმის უკან თანდებულის შესახებ.

უკან თანდებულზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ის წარსულის აღნიშვნის ფუნქციას იძენს არაუადრეს მეოცე საუკუნისა, რასაც ენათმეცნიერები (მაგ., შუქია აფრიდონიძე) რუსული ენის გავლენას მიაწერენ. მეცხრამეტე საუკუნის ჩათვლით უკან მომავალ დროზე მიუთითებდა.

წინ და უკან წინდებულების/ზმნისართების მიერ წარსულსა და მომავალზე მითითება ინდოევროპული ენებისთვისაცაა დამახასიათებელი. ენათმეცნიერებს შეუმჩნეველი არ დარჩენიათ ის ფაქტი, რომ ენაში ისინი ზოგჯერ სრულიად საპირისპირო დროზე მიუთითებენ, კერძოდ, წინ იხმარება როგორც წარსულთან, ისე მომავალთან მიმართებით. ბენგენისტი ამ ფაქტს შემდეგნაირად ხსნის: იმ შემთხვევებს, როცა წინ ასოცირდება ადრე-სთან (წარსულთან), ხოლო უკან – გვიანდელთან (მომავალთან), განაპირობებს მოძრავი დროის წარმოდგენა (დრო მოძრაობს მომავლიდან წარსულისკენ: რაც არის „ხვალ“, ის გახდება „დღეს“, მერე „დღეს“ გახდება – „გუშინ“ და ა.შ.). რაც შეეხება წინ-ის ასოცირებას მომავალთან, ის აიხსნება დროში მოძრავი ეგოს წარმოდგენით. ჩვენ ვმოძრაობთ წარსულიდან მომავლისკენ. ამიტომ ბუნებრივია უკვე განვლილის, წარსულის დაკავშირება იმასთან, რაც უკან მოვიტოვეთ, ხოლო მომავლისა – წინ არსებულ (ან დარჩენილ) დროსთან (ბენგენისტი 1966:8).

ელიზაბეტ ტრაუგოტის აზრით (ტრაუგოტი 1978:380-384), ის შემთხვევები, როცა წინ ასოცირდება „ადრე-სთან“ ანუ წარსულთან, ხოლო უკან „გვიანდელთან“, მომავალთან, არ მოითხოვს მოძრავი დროის წარმოდგენას, არამედ აიხსნება ხდომილებების მიმდევრობასთან ასოციაციით. ხდომილებათა მიმდევრობა შეიძლება წარმოვიდგინოთ შემდეგნაირად: E₁, E₂, E₃, ... E₉... და განვიხილოთ როგორც დროის ხაზი: E₁ არის პირველი (ანუ დასაწყისი), E₂ – მეორე (მომდევნო), E₃ – მესამე (შემდეგი)... დროის მიხედვით, E₁ არის უფრო ადრე, უფრო წინ, ვიდრე E₂, ხოლო E₂ არის უფრო გვიან, ან უფრო უკან, ვიდრე E₁.

აქ შეიძლება დავინახოთ ხდომილებათა მიმდევრობის კავშირი პილის “facing” ორიენტაციასთან. როგორც პილმა აჩვენა, ობიექტების ადგილმდებარეობის დადგენისას ამგვარი ორიენტაცია ევროპული ენებისთვისაა დამახასიათებელი, ხოლო

ზოგი ენისთვის (მაგ., პაუზა) მისი საპირისპირო “aligned” ორიენტაციაა ნიშანდობლივი.

წინ თანდებულის სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციით მე მაშინ დავინტერესდი, როცა შემთხვევით აღმოვაჩინე, რომ ბავშვებისთვის დამახასიათებელია წინ თანდებულის ჩვენგან განსხვავებული ინტერპრეტაცია. რვა წლის ბიჭმა მკითხა, სად უნდა დაეწერა მძიმე წინადაღებაში – „მელიამ დაინახა, რომ ჩიტი აფრინდა“. ჩემი პასუხი „რომ-ის წინ“ მან თავისებურად გაიგო და მძიმე რომ-ის შემდეგ დაწერა.

ამ შემთხვევის შემდეგ რამდენიმე ექსპერიმენტი ჩავატარე და დაკრწენდი, რომ დაახლოებით 10 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის დამახასიათებელია “aligned” ანუ თანაბარმიმართულებითი და არა “facing” ორიენტაცია იმის მიუხედავად, თუ რომელ ორიენტაციას ენიჭება უპირატესობა მათვის მშობლიურ ენაში, გინდაც ეს ორიენტაცია სრულიად საპირისპირო იყოს. შევაცდები, აგხსნა ეს მოვლენა.

ფსიქოლოგების აზრით, ბავშვების მიერ სივრცის აღქმა იწყება მაშინ, როცა ისინი ფორთხვას იწყებენ. ამ მოძრაობით ისინი ნელ-ნელა აღწევენ ერთი საგნიდან ან ერთი ადამიანიდან მეორემდე, სძლევენ რა იმ მანძილს, რომელიც მათ ამ მოცემულობებისგან აშორებს. ენის დაუფლების საწყის საფეხურზე ისინი სწავლობენ დეიქტურ ზმნისართებს აქ და იქ, მათ თანმხლებ ჟესტებთან ერთად. დროის გაზრება კი ბავშვს გაცილებით გვიან უგითარდება. მისთვის არ არსებობს არც წარსული და არც მომავალი, არის მხოლოდ აწმყო, რომელიც ბავშვისთვის ნიშნავს მუდმივად მყოფს, მარადიულს. ფსიქოლოგებს შენიშნული აქვთ ისიც, რომ ბავშვებს „როდის?“ შეკითხვა ესმით, როგორც შეკითხვა „სად?“ (კლარკი 1971:269). ამიტომ, აღბათ, არ არის გასაკვირი, რომ გარკვეულ ასაკამდე ბავშვისთვის წინ თანდებულის ინტერპრეტაცია ხდება არა ხდომილების მიმდევრობის ან დროის ხაზის წარმოდგენასთან ასოციაციის, არამედ სივრცეში მოძრაობის მიმართულებასთან ასოციაციის მიხედვით, მით უმეტეს, რომ ქართულში წინ მიმართულების ზმნისართი და თანდებული წინ ერთმანეთის იდენტურია. ამასთანავე, საყურადღებოა, რომ ბავშვებს ხშირად ესმით უფროსებისგან ბრძანებითი კილოთი ნათქვამი: „წინ იყურე! წინ წადი!“ და ა.შ., ამიტომ მათ შემეცნებაში მყარად იქნებდება წინ სიტყვის კავშირი სივრცეში მიმართულებასთან.

აღსანიშნავია, რომ გერმანულენოვან ბავშვებში ჩატარებულმა მსგავსმა ექსპერიმენტმაც იგივე შედეგი გვიჩვნა, მიუხედავად იმისა, რომ გერმანულში წინდებული vor ზმნისართისაგან (nach) vorne ფორმის მიხედვითაც განსხვავდება. ამრიგად, ბავშვისთვის წინადაღებაში სიტყვების მიმდევრობაში ადგილის განსაზღვრისას უფრო ბუნებრივი ჩანს წინ თანდებულის ინტერპრეტაცია სივრცული ან, შეიძლება ითქვას, მიმართულებითი ასოციაციის მიხედვით, ვიდრე დროის ხაზზე მისი წარმოდგენის ან ხდომილებათა მიმდევრობასთან ასოციაციის მიხედვით.

რაც შეეხება ტრაუგოტის თვალსაზრისს, რომელიც გამორიცხავს წინ თანდებულის ინტერპრეტაციისას მოძრავი დროის წარმოდგენას და უკავშირებს მას

მხოლოდ ხდომილებების მიმდევრობას, რომელიც განიხილება როგორც დროის ხაზი, ამ თვალსაზრისის შეფასებისას ჩვენ მაინც ვერ გავიქცევით კითხვას დროის მოძრაობის და, ამდენად, მისი მიმართულების შესახებ, რომელსაც ბუნებრივად აჩენს ენაში თვით სიტყვა „დროის“ ხმარება: თითქმის ყველა (ყოველ შემთხვევაში ჩვენთვის ცნობილ) ენაში დრო, ჩვეულებრივ, მოძრავ ობიექტად მოიაზრება: დრო გადის, მიფრინავს, გარბის, მიიზღაუნება, წარმავალი დრო, მომავალი და ა.შ. ...

ახლა დავუბრუნდები ისევ წინ თანდებულის, როგორც მეორეული დეიქსისის ერთ-ერთი შემადგენლის, სხვადასხვაგარი ინტერპრეტაციის შემთხვევებს და შევცდები, ავსნა ისინი.

წარმოვიდგინოთ შემდეგი: ტაქსის მგზავრს უნდა, გააჩერებინოს მძღოლს მანქანა დიდი შენობის წინ. „თუ შეიძლება, ამ შენობის წინ გამიჩერეთ“, – მიმართავს ის მძღოლს. ამ შენობის ერთადერთი შესასვლელი კარი შენობის შუაშია. მძღოლს შეუძლია, გააჩეროს მანქანა შენობამდე, შენობის შუაში ან შენობის შემდეგ. პირველ და მესამე შემთხვევაში მას ექნება დეიქტური ორიენტაცია რელატუმის ანუ შენობის მიმართ, მეორე შემთხვევაში კი – არადეიქტური ანუ ინტრინსული, რადგან ჩვეულებრივ შენობის წინა მხარე არის მისი ის ნაწილი, სადაც მოთავსებულია ამ შენობაში შესასვლელი კარი. ცხადია, შენობის ეს ინტრინსული მახასიათებელი არ არის დამოკიდებული მანქანაში შსხდომი პირების ორიენტაციაზე. ტაქსის მგზავრი არის მოლაპარაკე და მძღოლი არის ადრესატი, რომელმაც მგზავრის მითითების შესაბამისად უნდა იმოქმედოს. მას შეუძლია, მიმართოს არა ინტრინსულ, არამედ დეიქტურ სტრატეგიას. ასეთ შემთხვევაში მისი ორიენტაცია შეიძლება არ დაემთხვეს მგზავრის ორიენტაციას. თუ მძღოლი მანქანას შენობამდე გააჩერებს, მას ჰქონია “facing” (ჰილი 1982), ე.ი. მანქანის მიმართულების საპირისპირო ორიენტაცია. ამგვარ ორიენტაციას აღრე მე ვხსნიდი (აბულაძე 1991) დროში მიმდევრობის გამომხატველი ზმნისართის გავლენით: რაც წინ არის, ის ადრეა, ე.ი. შენობამდე, ხოლო შენობის ბოლოს მანქანის გაჩერება აიხსნება ე.წ. “aligned” ან თანაბარმიმართულებითი ორიენტაციით: მანქანა წინ მოძრაობს და მძღოლისთვის შენობის წინ შეიძლება ნიშნავდეს ადგილს შენობის გავლის შემდეგ და არა შენობამდე. ვთქვათ, შენობა ძალიან დიდია, მგზავრს ძალიან ექარება და მისთვის მნიშვნელოვანია, რომ მძღოლის ინტერპრეტაცია მის ინტერპრეტაციას დაემთხვეს, რათა არ მოუხდეს დროის დაკარგვა შენობის დასაწყისიდან მის ბოლომდე (ან პირუკუ – ბოლოდან დასაწყისამდე) მანძილის გავლაზე. ამიტომ საჭირო იქნება მგზავრის ანუ მოლაპარაკის მიერ დამატებითი ინფორმაციის მიწოდება მძღოლისათვის ანუ ადრესატისათვის. ამრიგად, წინ თანდებულის ინტერპრეტაციის შესაძლებლობები იმდენად განსხვავებულია, რომ მხოლოდ მისი ხმარება არ არის საკმარისი მოლაპარაკესა და მსმენელს შორის გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად.

ლიტერატურა:

- აბულაძე 2006:** L. Abuladze, Lokaldeixis im Georgischen, In: Thomas Gehling, Viola Voß, Jan Wohlgemuth (Hrsg.), *Einblicke in Sprache* (Festschrift für Clemens-Peter Herbermann zum 65 Geburtstag), Logos, Berlin, S. 15-33.
- აბულაძე 1991:** L. Abuladze, On Word Pairs Expressing Spatial and Temporal Orientation, *Studia Linguistica* 45, pp. 127-136.
- აპრესიან 1974:** Ю. Апресян, *Лексическая семантика. Синонимические средства языка*, Наука, Москва.
- ბენვენისტი 1966:** É. Benveniste, *Problèmes de linguistique générale*, t. 1, Gallimard, Paris.
- ბუჟლერი 1934:** K. Bühler, *Sprachtheorie. Die Darstellungsfunktion der Sprache*, Fischer, Jena.
- ბროდსკი 1989:** Й. Бродский, *Часть речи. Стихотворения 1972-76*, Ardis, Ann Arbor.
- გრაბოვკი, ვაის 1996:** J. Grabowski, P. Weiss, Das Präpositioneninventar als Determinante des Verstehens von Raumpräpositionen: vor und hinter in fünf Sprachen, In: Lang Ewald / Zifonin, Gisela (eds.): *Deutsch – Typologisch*, de Gruyter, Berlin/New York, S. 289-311.
- ერიხი 1982:** V. Ehrich, Da and the System of Spatial Deixis in German, In: Weissenborn, Jürgen/Klein, Wolfgang (Hrsg.) *Here and there. Crosslinguistic Studies on Deixis and Demonstratio*, Benjamins, Amsterdam / Philadelphia, pp. 43-64.
- კლინი 1994:** W. Klein, *Time in Language*, Routledge (=Germanic Linguistics), New York.
- კლარკი 1971:** E. V. Clark, On the acquisition of the meaning of *before* and *after*, *Journal of Verbal Learning and Verbal Behavior*, 10, pp. 266-275.
- კლარკი 1973:** H. Clark, Space, Time, Semantics, and the Child, In: Moore, Timothy E. (ed.), *Cognitive Development and the Acquisition of Language*, Academic Press, New York/San Francisko/London, pp. 27-64.
- ლიონი 1977:** J. Lyons, *Semantics II*, Cambridge Univ. Press. Cambridge.
- რედენი 2011:** G. Radden, The Metaphor TIME AS SPACE across Languages, In: Mario Brdar, Marija Omazic, Visnja Pavicic Takac, Tanja Gradecak-Erdeljic, and Gabrijela Bulian, (eds.), *Space and Time in Language*, Peter Lang, Frankfurt et al., pp. 1-40.
- მილერი, ჯონსონ-ლეარდი 1976:** G. Miller, Ph. N. Johnson-Leard, *Language and Perception*, Harvard Univ. Press, Cambridge, Massachusetts.
- ტალმი 1983:** L. Talmy, How Language Structures Space, In: Pick, Herbert L. Jr / Acredolo, Linda P. (ed.), *Spatial Orientation. Theory, Research and Application*. Plenum Press, New York/London, pp. 225-282.
- ტრაუგოტი 1978:** E. C. Traugott, On the expression of spatio-temporal relations in language, In: Greenberg, Joseph (ed.), *Universals of Human Language*, vol. 3, Stanford University Press, Stanford, California, pp. 369-400.
- ვატერი 1991:** H. Vater, *Einführung in die Raum-Linguistik*, Gabelt, Köln.

- ფილმორი 1997:** Ch. Fillmore, *Lectures on Deixis*, Publications Center for Language and Information (65), Stanford, California.
- ფილმორი 1982:** Ch. Fillmore, Towards a Descriptive Framework for Spatial Deixis, In: Jarvella, Robert J./Klein, Wolfgang (eds.): *Speech, Place, and Action. Studies in Deixis and Related Topics*, Wiley & Sons, Chichester (u.a.), pp.31-60.
- ფრიკე 2007:** E. Fricke, *Origo, Geste und Raum – Lokaldeixis im Deutschen*, De Gruyter, Berlin und New York, XV, 401 S.
- ჯექენდოფი, ლანდაუ 1992:** R. Jackendoff, B. Landau, Spatial Language and Spatial Cognition, In: Jackendoff, Roy (ed.): *Languages of the Mind, Essays on Mental Representation*. MIT Press, Cambridge, Massachusetts/London, pp. 99-125.
- ჰერბერმანი 1988:** Cl.-P. Herbermann, Entwurf einer Systematik der Deixisarten. Mit einer exemplarischen Analyse des Systema der Lokaldeiktika im Deutschen, In: *Modi referentiae. Studien zum sprachlichen Bezug zur Wirklichkeit*, Winter, Heidelberg, S. 47-95.
- ჰილი 1982:** Cl. Hill, Up/down, front/back, left/right. A contrastive study of Hausa and English, In: Weissenborn, Jürgen/Klein, Wolfgang (Hrsg.) *Here and there. Crosslinguistic Studies on Deixis and Demonstration*, Benjamins, Amsterdam/Philadelphia, pp. 13-42.

Lia Abuladze

Location in Space and the Postposition c'in

(“before”, “in front of”)

Summary

Space is the fundamental category in human cognitive and linguistic systems. Natural languages have many different possibilities to express spatiality. In linguistic literature we sometimes meet the opinion (Heinz Vater, Wolfgang Klein...), that although the space is the most basic category of our experience and our cognition, it is not obligatory to talk about spatial characteristics, whereas each finite verb obligatorily includes temporal information – it expresses tense, aspect, or both. With regard to this problem I can say, that space as a general category figures not only in the ways in which the physical objects are said to be located, but also in the spatial properties of physical objects, such as their size, dimensionality, and contours. While almost every sentence consists of verbal as well as nominal phrases, it seems, that to talk about spatial characteristics is also obligatory.

Speaking about the location in space, we mainly mean how we explain to someone where an object is. This is the question that will be discussed.

We live in the three-dimensional space. We move normally in an upright position. This gives us the means of identifying the vertical dimension in space; directionality in the vertical dimension is established by our experience of the effects of the force of gravity. So, verticality is physically and psychologically the most salient of the spatial dimensions: linguistically it is the primary dimension. There are also two other horizontal dimensions: *front-back* and *right-left* dimensions. They are less salient than the vertical dimension.

Linguistically they are secondary dimensions. The difference between *right* and *left* is dependent upon the prior establishment of directionality in the *front-back* dimension.

If we want to tell someone where something is, we need some means of identifying direction from any one point in space to any other. It is only natural for language users to identify the location of objects in an egocentric fashion. Normally we identify direction from a speaker's zero point – the origo (I, here, now), which is the center of the deictic system (Bühler 1934). Bühler was the first to suggest the basic role of the local dimension in his theory of the deictic field of language. The deictic field, in which the objects are located, is viewed as parallel to the speaker's orientation. This means that *front / back* orientation in the deictic field coincides with the speaker's front / back sides.

In the Georgian language, as well as in other natural languages, we have three pairs of adverbs/postpositions, which belong to primary and secondary dimensions and, therefore, to primary and secondary deictic subsystems. Among these three pairs *front / back* dimension is the most important for establishing the location of objects.

In this article I consider in detail the use of the postposition *c'in* ("before, in front of") in Georgian.

ფუნქციური სიტყვების მეტყველების ნაწილებად პერსონალური ლაზურში

1. თეორიული მიღება

ზოგადთეორიული თვალსაზრისით, მეტყველების ნაწილების გამოსაყოფად კონკრეტულ ბენებრივ ენაში აუცილებელია, რომელიმე სიტყვათა ჯგუფისათვის დამახასიათებელი სემანტიკურ-ფუნქციური განსხვავებულობის გარდა, ფორმალურად (მორფოლოგიურად თუ სინტაქსურად) სპეციფიკური ყალიბებისა თუ პარალიგმების არსებობა და თუ ამგვარი ფორმალური განსხვავებულობა არ დასტურდება, მაშინ მეტყველების შესაბამისი ნაწილის ამ ენის გრამატიკულ სისტემაში გამოყოფა გამართლებული არაა, მეტიც – მოუღებელია (შანიძე 1973, გამურელიძე და სხვ. 2008). ამ კუთხით, განსაკუთრებით პრობლემურ ჯგუფს ქმნიან დაზღვარე მნიშვნელობის მქონე, ე.წ. მცირე, არასრული, ფუნქციური სიტყვები (resp. კავშირები, თანდებულები, ნაწილაკები).¹ ისინი ფორმაუცვლელი ერთეულებია და, ამდენად, ფორმალურად განსხვავებულ მორფოსინტაქსურ ყალიბებს ვერ ქმნიან. ასეთი ერთეულების კლასიფიცირება კონკრეტულ მეტყველების ნაწილად, თუკი ვერ ხერხდება კონკრეტული ლექსიკური ერთეულის კონკრეტულ ფუნქციასთან მეტ-ნაკლებად ცალსახა დაკავშირება თუნდაც ერთი კონკრეტული, ფორმალურად გამორჩეული კონტაქტის შემოფარგლით, განსაკუთრებულ მიღობას მოითხოვს. ამგვარ თეორიულ სირთულეს ქმნის ლაზურში თანდებულების, კავშირებისა და ნაწილაკების დამოუკიდებელ მეტყველების ნაწილებად გამოყოფა.

2. ფუნქციური სიტყვები ლაზურში

2.1. თანდებულებები

ლაზურის მნიშვნელოვან თავისებურებად მიჩნეულია თანდებულთა შედარებითი (მაგ., ქართულთან) სიმცირე (ჩიქობავა 1936), რაც კომპენსირებული ჩანს ზმნისწინთა სიმრავლითა და კომპლექსურობით; და, ასევე, ლოკაციის გამომხატველი ერთეულებით, რომლებიც გარკვეულ მიმართებებს ამყარებენ როგორც ზმნასთან, ისე სახელთან.² ამის გამო, გართულებულია მათი ინტერპრეტაცია და

¹ ამ ტიპის სიტყვების „პრობლემურობაზე“ თუნდაც ეს ტერმინოლოგიური სიჭრელეც მეტყველებს: სხვადასხვა ავტორი მათ მცირე (Minor), ფუნქციურ (Function), არასრულ (შენგელაძა 2000) სიტყვებად განსაზღვრავს.

² იხ. რ. ასათიანი, ლაზურის გრამატიკის კონსპექტი, „უნივერსალი“, თბილისი, 2011.

ცალსახად მეტყველების რომელიმე ნაწილად კვალიფიკაცია, თუმცა იმ სინტაქსურ-სემანტიკური კავშირების მიხედვით, რომელთაც ისინი ამყარებენ წინადადების რომელიმე წევრთან, მათი სინტაქსური როლის დადგენა ცალსახად შესაძლებელია: თუ ისინი ფორმალურ კავშირს ამყარებენ სახელთან და ერთიან თანდებულიან ფრაზას ქმნიან, – **თანდებულებია**; ხოლო, თუ მიემართებიან ზმნას და ქმნიან ზმნურ ფრაზას – **გარემოებები**. ასეთი ერთეულები, მირითადად გარემოების ფუნქციით, დამოუკიდებელ სიტყვებს წარმოადგენენ (მაგ.: **არას** (შორის), **დოლოხე** (შიგნით), **თუდე** (ქვემოთ), **კაპულას** (უკან), **კულე/უკულე** (შემდეგ), **მელე** (იმ მხარეს), **მოლე** (ამ მხარეს), **მეტა** (გარდა), **მანის** (მომდევნოდ), **მინშა** (ახლოს), **დერინგ/დეის** (ნაცვლად), **ოკაჩხე/ოკაჩხე** (უკან), **ოღინე** (წინ, პირდაპირ), **უინ** (ზევით), **წონლე** (პირდაპირ) და სხვ.), თანდებულის ფუნქციით კი ისინი უმთავრესად ერწყმიან გარკვეული ბრუნვის ფორმით წარმოდგენილ სახელს³ და, ამდენად, შესაძლებელია ე.წ. თანდებულიან ბრუნვებზე საუბარიც:

	სახელთან შერწყმული თანდებულები
სახ. ⁴	-კლე (-კენ, გავლით), ⁵ -კორ-კორანი (-ვით, ისე როგორც)
მოთ.	–
მიც.	-სოერი/-სოერი (-ვით, როგორც ვი) ⁶
ნათ.	-კალა (-თან, -თან ერთად), ⁷ კაპულას (უკან) კულე/უკულე (შემდეგ)
მიმ.	-ქა/-ქის (-მდე, სანამ)
დაშ.	-ნი (-თვის)
მოქ.	–

ლაზურში ამგვარ ერთეულებს დამატებითი ფუნქციაც აქვთ – ლოკაციის გამომხატველი გარკვეული ელემენტი შეიძლება დაერთოს რთული წინადადების შემადგენელი ერთ-ერთი (ჩვეულებრივ მეორე) წინადადების ბოლოში წარმოდგენილ ზმნას და გამომხატოს გარემოებითი დამოუკიდებული წინადადება, ე.ი. შეასრულოს **კავშირის** ფუნქცია.

³ დამოუკიდებლად მდგარი თანდებულები, როგორც წესი, სახელს მართავენ ნათესაობით ბრუნვაში.

⁴ ფუძეზე დართული თანდებულები წარმოდგენილია სახელობითის გრაფაში, რამდენადც ფუძე და სახლობითი ლაზურში ფორმალურად ერთმანეთს ემთხვევა.

⁵ კუთვნილებით ნაცვალსახელებთან ეს თანდებული მოთხოვს დაშორებით ბრუნვას.

⁶ მივყვებით ნ. მარის ანალიზს (ჩიქობავა **სოერი/სოერის** (ხოფური) გამოყოფს და მიიჩნევს ნათესაობითი ბრუნვის თანდებულად, სადაც ნათესაობითის **ზ** დაკარგულია, რის გამოც, დ. ჰოლისკი ამ **სოერი/სოერი** (ხოფური) ელემენტებს ფუძეზე დართულ თანდებულთა რიგში ათავსებს).

⁷ ათინურში ასეა, მაგრამ სხვა დიალექტებში ნათესაობითის ნიშანი, ფაქტობრივად, არ ჩანს და ეს თანდებული შეიძლებოდა სახელობითზე (უფრო სწორად, ფუძეზე) დართულ თანდებულთა რიგშიც გადაგვესვა (შდრ. ჰოლისკი 1991).

2.2. კავშირები

საზოგადოდ, ფუნქციურად და სტრუქტურულად ერთგვაროვანი შემადგენლების გამორებისას, ეს შემადგენლები შეიძლება გაერთიანდნენ კავშირით ან მის გარეშე.⁸

2.2.1 შერწყმული წინადადება

შერწყმულ წინადადებაში ზმნასა და არგუმენტებს შორის არსებულ მართვა-შეთანხმების წესებს ემატებათ კომბინატორიკის წესები, რომლებიც აღწერინ ფუნქციათა გამეორებისას წარმოქმნილ გრამატიკულ თავისებურებებს; ლაზურში ამგარი კომბინატორიკის შემდეგი წესები მოქმედებს (კარტოზია 2005):

- **დო** კავშირით⁹ გართიანებულ სახელურ ჯგუფში, სადაც კავშირი, ჩვეულებრივ, ბოლო სახელის წინა პოზიციას იკავებს, ბრუნვის ნიშანს დაირთავს მხოლოდ ბოლო, **დო-ს** მოძღვნო სახელი, დნარჩენები კი ფუძის (=სახელობითის) ფორმით არიან წარმოდგენილნი;¹⁰
- **დო** კავშირი შეიძლება რამდენჯერმე იყოს გამოყენებული და ასეთ შემთხვევაშიც ბრუნვის ნიშნით წარმოდგენილი იქნება მხოლოდ ბოლო სახელი;
- რიცხვის თვალსაზრისით განსხვავებული ვითარებაა – ყოველი გამეორებული სახელი დამოუკიდებლად, თავ-თავისთვის დაირთავს რიცხვის ნიშანს;
- უკავშირო შეერთებისას სახელურ ჯგუფში წარმოდგენილი ყველა სახელი, როგორც წესი, იბრუნვის, თუმცა არის შემთხვევები ბოლოს წინა სახელის უბრუნველობითა;
- გამეორებულ ზმნათა ჯგუფში, როგორც წესი, პირველად დასახელებული ზმნა განსაზღვრავს სახელის ბრუნვას.

2.2.2. როული თანწყობილი წინადადება

თანწყობა (ისევე, როგორც ერთგვაროვანი ფუნქციების გამეორება შერწყმულ წინადადებაში) შეიძლება გაფორმდეს კავშირებით, ან იყოს უკავშირო. თანწყობის ხასიათის და იმ სემანტიკური ნიუანსების შესაბამისად, რაც თანწყობის სემანტიკურ საფუძველს ქმნის, კავშირები შეიძლება იყოს მაჯგუფებელი, მაცალკებელი და მაპირისპირებელი.

⁸ რთულ ქვეწყობილ წინადადებაში კავშირი აუცილებელი ჩანს (იხ. ქვემოთ, როული ქვეწყობილი წინადადება).

⁹ **დო** კავშირის გარდა, ერთგვაროვანი ფუნქციების გასაერთიანებლად ლაზურში გამოიყენება სხვა კავშირებიც, მაგ., მაპირისპირებელი კარ(ნ)ა (=ან/ან ან) და სხვ. (იხ. ქვემოთ, როული თანწყობილი წინადადება).

¹⁰ ასეა მაშინაც, თუ ბოლო სახელი უბრუნველია (მაგ., ამჟღვი დო მან-თი არ-არ ქვა ქობირათ – „ახმედი (ახმედა) და მეც თითო-თითო ქვა მოვნახეთ“). ასეთ შემთხვევაში სახელური ჯგუფის ფუნქცია მხოლოდ კონტექსტით შეიძლება გაირკვეს.

ლაზურში თანწყობის კავშირებია: **დო** (და), **მა – მა/მადა** (ან...ან), **ნე – ნე** (არც...არც), **ამა/ჰამა** (მაგრამ), **ოკულე** (და მერე). ამათგან პირველი ორი მეორ-დება და ჩნდება ყოველი არგუმენტული სტრუქტურის (=შემადგენლური წინადა-დების) თავში, ხოლო დანარჩენი ორი – ბოლო შემადგენლური წინადადების წინ.

დ. პოლისკი ლაზურში გამოყოფს თანწყობის ერთ თავისებურ კონსტრუქცი-ას (პოლისკი 1991), სადაც დროითი მიმართებებისა და მიზეზშედეგობრივი კავ-შირების მიხედვით, პირველი მოვლენის ამსახველი შემადგენლური წინადადება კი არ იწყებს თანწყობილ წინადადებას (რაც ლოგიკურად უფრო მოსალოდნელი იქნებოდა), არამედ მოსდევს მეორე შემადგენლურ წინადადებას თავის კავშირთან ერთად და შედეგად **დო** კავშირი აღმოჩნდება ხოლმე თანწყობილი წინადადების ბოლოს; მაგ.:

• ნეენა	ნეა-ს	ქო-მონტ-უ-ჯი,
ხბო.NOM	ხე-DAT	FF-kideba-AOR.S.3.SG-CON
ბუტკა	ჭკომ-ა-ს-უ-აა	დო.
ფოთოლ.	ჭამა-SBJ-S.3-FUT-Q.3	და
(ხბო ხეზე ჩამოკიდა – რომ, ფოთოლს შეჭამდეს იქნებაო და.)		
(ფოთოლს შეჭამსო (იფიქრა) და ხბო ხეზე ჩამოკიდა – პოლისკის ინტერ-პრეტაცია).		

ხბო ხეზე ჩამოკიდა, რომ ფოთოლს შეჭამსო-და.

მაგრამ ლაზური ამ შემთხვევაში, როგორც ჩანს, უპირატესობას ანიჭებს ამ მიზეზშედეგობრივი მიმართებების სტრუქტურირებას დაქვემდებარებული კონსტრუქ-ციის სახით, სადაც წარმოდგენილია დაქვემდებარების მაჩვენებელი **-ჯი** (=რომ) ნაწილაკ-კავშირი, ხოლო თანწყობის **დო** ასრულებს არა მაჯგუფებელი კავში-რის, არამედ თხრობისათვის (=ნარატიული ტექსტებისათვის) დამახასიათებელი გადაბმის ნაწილაკის ფუნქციას. ამ ფუნქციით **და** კავშირის გამოყენება არც თა-ნამედოოვე ქართულისათვის არის უცხო (განსაკუთრებით ნარატიულ ტექსტებ-ში) და მეტად გავრცელებულია ძველ ქართულში; მაგ.: **და** მოვიდა, რომ ეთქა; და გამოვიდა იუსუ; და რქეა მათ; და ჭამეს ყოველთა; და სხვ. განსხვავება მხო-ლოდ ისაა, რომ გადაბმის **და** ქართულში იწყებს ხოლმე წინადადებას და არა, ლაზურის მსგავსად, მთლიანი წინადადების ბოლოშია განთავსებული.

2.2.3. როული ქვეწყობილი წინადადება

ქვეწყობისას, როგორც წესი, ჩნდება მაქვემდებარებელი კავშირები და მათი გამოტოვება ნაკლებად მისაღებია. ლაზურში ამგვარი კავშირების როლს, ძირითა-დად, სხვადასხვა სახის ნაწილაკები, ბრუნვის ნიშნები და/ან თანდებულები ას-რელებენ (ჩიქობავა 1936):

- თურქულიდან ნასესხები **ჯი/ჩი** (ათინურში);
- ბერძნულიდან გადმოღებული **ოტი;**

- **ნა** (ნაწილაკი რომ თუ კავშირის ფუნქციით);
- **ში/ს/ის/ხი/სის** (კავშირის ფუნქციით: რომ, როცა, როდესაც);
- **ში/ს/ის/ხი/სის+უკულე/კულე** (შემდეგ); **ში+კულე → ჭკულე;**
- **შა/შა-ჯის** (სანამ);
- **შენი** (რამდენადაც);¹¹
- **სთერი** (როგორც კი);
- **შაკის** (სანამ).

ლაზურში მიმართებითი ნაცვალსახელები და ზმნიზედები საერთოდ არ გამოიყოფა ნაცვალსახელების მორფოლოგიურ ქვეტასად და, შესაბამისად, ისინი ვრც კავშირის ფუნქციით იქნებიან დაფიქსირებულნი. ამდენად, მიმართებითი წინადადებები ლაზურში ცალკე სტრუქტურულ ტიპს ვერ ქმნიან.¹²

როგორ ქვეწყობილ წინადადებაში დადასტურებული კავშირების სტრუქტურული ნიშნებია (ჩიქობავა 1936, კარტოზია 2005):

- **ნა** ნაწილაკი კავშირის ფუნქციით იწყებს სუბიექტ-ობიექტურ დამოკიდებულ წინადადებებს და, ძირითადად, დამოკიდებული წინადადების ზმნის წინა პოზიციაში დასტურდება; თუ **ნა** ნაწილაკი პირობით დამოკიდებულ წინადადებას აკავშირებს მთავართან, მაშინ ის მოსდევს ზმნას;
- ყველა სხვა ნაწილაკი კავშირის ფუნქციით დასტურდება სხვადასხვა ტიპის დამოკიდებული წინადადებების ფარგლებში და, ძირითადად, ზმნის მომდევნო პოზიციას იკავებს;
- **ჯი/ჩი** (ათინურში), როგორც წესი, პირობით დამოკიდებულ წინადადებაშია და რამდენადაც ზმნის არამარკირებული პოზიცია არის წინადადების ბოლო, ხოლო პირობით დამოკიდებული, როგორც წესი, მოსდევს მთავარს, ის ასრულებს მთლიანად როგორ დაქვემდებარებულ წინადადებას;
- **ოტი** ნაწილაკი, განსხვავებით **ჯი/ჩი-სგან**, იწყებს პირობით დამოკიდებულ წინადადებას;
- **ში/ს/ის/ხი/სის** ნაწილაკები, რომელთაც ნათესაობითი და მიცემითი ბრუნვის ნიშნებიდან მომდინარე მარკერებად მიიჩნევენ, კავშირის ფუნქციით დასტურდებიან დროის გარემოებით წინადადებებში: **ში** – მეტ-ნაკლებად ყველა კილ-

¹¹ **ნა** და **ის/ხი** ნაწილაკების გარდა, ყველა სხვა ელემენტი სახელებსაც დაერთვის ბრუნვის ნიშნად ან თანდებულად.

¹² იშვიათად, მიმართებითი კონსტრუქციების მთავარ წინადადებაში განთავსებულ სახელურ ფრაზას შეიძლება მოსდევების კითხვითი სიტყვებით ან მესამე პირის დასკურსულად მარკირებული **მუკ** ნაცვალსახელი. ეს ელგმენტები, თავის მხრივ, შეიძლება გართულებულნი იყნენ -**ნა** ნაწილაკით. ასეთი კონსტრუქციები ქართული მიმართებითი წინადადებების კალკად მიიჩნევა; ყოველ შემთხვევაში, ისინი იმდენად სპორადულია, რომ ლაზურში მიმართებითი წინადადების სტრუქტურულად ღირებულ ფორმად მათი მიჩნევა არ უნდა იყოს გამართლებული.

კავში; **სის/სი/სის** – ათინურ-ართაშენულში და, სპორადულად, არქაბულში; ვიწურში გვხვდება მხოლოდ **ის**. მათი განაწილება (იმ დიალექტებში, სადაც მეტ-ნაკლებად ყველა ვარიანტი ფიქსირდება) პოზიციური ჩანს: ხმოვნების მომდევნოდ გვაქვს **ს/სის**, თანხმოვნების მომდევნოდ კი **ის**. ბოლოკიდური **ს** შეიძლება დასუსტდეს და დაიკარგოს კიდეც და მაშინ ჩნდება **ი/→/ი/→/ი** ალომორფულიც;

- **უულუ/ულე** თანდებულიანი ნაწილაკები მოსდევენ დროის გარემოებითის ზემოთ დასახელებულ **ში/სის/სი/სის** ნაწილაკებს და, დამატებით, პირობითობის ელფერი შემოაქვთ; გავრცელებულია **ჭკულე** ვარიანტიც, რომელიც მიღებული უნდა იყოს **შკულე→ჭკულე** ფონეტიკური ცვლილების შედეგად;
- **შენი, სთერი** თანდებულების კავშირებად გამოყენებისას, რომლებიც ზმნის ბოლოს თავსდებიან, მათთან ერთად, მეორე კავშირად, დასტურდება **ნა-ც**, რომელიც თავის ჩვეულ, ანუ დამოკიდებული წინადადების ზმნის წინა, პოზიციაშია; ე.ო. კავშირების დუბლირება ხდება.

ამათ გარდა, სპორადულად, კავშირებად შეიძლება იყოს გამოყენებული: **ორას** (მაშინ, როდესაც), **ემუშენი/ჰემუშენი**³, იშვიათად, **ჰუნ-ქი/ჰუმ-ქი** (იმიტომ, რომ), **სო-ნა** (სადაც), **უვერე-ნა** (თუ), **მუნდე-ნა/მუნდე-თი** (როდესაც). როგორ კონსტრუქციებში ასევე გვხვდება სხვათა სიტყვის ნაწილაკები, რომლებიც ერთმანეთისგან განასხვავებენ პირდაპირ და ირიბ ნათქვამს.

2.3. ნაწილაკები

2.3.1. სხვათა სიტყვის ნაწილაკები

სხვათა სიტყვის გადმოსაცემად ლაზურში გამოიყენება შემდეგი სპეციალური ნაწილაკები (ჩიქობავა 1936): **-ა/-აა, -ღერი/-ღეი, -შო, -ბა**. ამათგან:

- 1) **-ა/-აა** გამოიყენება, როდესაც მეტყველი (resp. პირველი პირი) სიტყვასიტყვით გადმოგვცემს მესამე ან მეორე პირის ნათქვამს (ამავე მნიშვნელობით, ასევე, უმეტესად ათინურში, გამოიყენება ოურქულიდან ნასესხები **-ღერი/-ღეი**);
- 2) **-შო** ჩნდება, როდესაც მეტყველი თავის ნათქვამს გადასაცემად აბარებს მეორე პირს; ხოლო
- 3) **-ბა** გამოიყენება, როდესაც მეტყველი გადმოგვცემს საკუთარსავე ნათქვამს ან ადრე ნაფიქრს.

ყველა შემთხვევაში იგულისხმება რომელიმე პირის ნათქვამის გადმოცემა და, ამდენად, ამ კონსტრუქციებში ხშირად (მაგრამ არა აუცილებლად – განსაკუთრებით, თუ სხვათა სიტყვის ნაწილაკი წარმოდგენილია) ფიქსირდება მეტყველების გამომსატველი ზმნები, ან მეტყველის სხვადასხვაგვარი დამოკიდებულების ამსახველი, ემოციურად შეუერილი სამეტყველო აქტის გამომსატველი ზმნები, მაგ.: **თქმა, დაბარება, მოხსენება, ბრძანება, საყვედური, გაცინება, გაბრაზება** და

სხვ. ამდენად, იქმნება რთული კონსტრუქციები, სადაც ერთ-ერთ შემადგენლურ წინადადებაში წარმოდგენილია ეს მეტყველების გამომხატველი ზმნები, თავად სათქმელი კი, თავისი ნაწილაკებით, წარმოდგენილია მეორეში. ფორმალური კავშირი ამ ორ შემადგენლურ წინადადებას შორის თანწყობის პრინციპს მისდევს და, ძირითადად, უკავშიროდ ხორციელდება.

(3)-შემთხვევაში, ორივე შემადგენლური წინადადების ზმნა სუბიექტური პირ-ველი პირის ფორმითაა წარმოდგენილი, ხშირად ობიექტური წყობისაც (მაგ.: გეუბნები, კარგად ვარ-ძეთქი; ვერ ვაიგე, ვამბობ, კარგად ვარ-ძეთქი);

(2)-შემთხვევაში, თუ მეტყველი თავის ნათქვაში გადასაცემად აბარებს მეორე პირს, მეტყველის სიტყვები მესამე პირის ფორმითაა გადმოცემული და მას ემატება შესაბამისი ნაწილაკი, ხოლო მეტყველების ამსახველი ზმნა მეორე პირის ფორმითაა გადმოცემული (მაგ.: ჩემგან ძოკითხე და გადაუცი, კარგად არის-თქო);

(1)-შემთხვევაში, მეტყველების გამომხატველი ზმნა წარმოდგენილია მესამე პირის ფორმით, ხოლო ნათქვაშის ძირითადი ზმნა – ნებისმიერი პირის ფორმით, სათქმელის შესაბამისად (მაგ.: ასე ძირითა, კარგად ვარ-ო/კარგად ხარ-ო/კარგად არისხო).

ეს მიმართებები მეტ-ნაკლებად პროდუქტიულია ყველა ენაში, სადაც ამგვარი ორი სალოკუციო აქტის გაერთიანება ხდება ერთ რთულ კონსტრუქციად, და მათ შორის ღაზურშიც.

ნიმუშები¹³

- **თიღეძი-ქ – ნეკნა ვა გო-მ-ა-ნწე-ე-ნ-და.**
მელა-ERG კარი.NOM არ PR-SINV.1-PASS-გაღება-PASS-OINV.3-Q.3
მელაბ (თქვა), კარს ვერ გავაღებო.
- **თითო მარქვალი ქო-დო-სქვი-თ დო ქო-პ-ჭეომ-ა-თ-შო, თქვი.**
თითო.NOM კვერცხი.NOM AFF-PR-დება-S.2.PL და AFF-S.1-ჭამა-SM-S.1.PL-Q.2 S.2.თქმა.PST
თითო კვერცხი კი-დადეთ და ვჭამოთ-ო, თქვი.
- **ეპულე ქო-პ-ჭეომ-ა-თ-ძა, გ-ი-წუმერ-თ.**
მერე AFF-S.1-ჭამა-SM-S.1.PL-Q.1 O.2-CV-თქმა.FUT-S.1.PL
მერე ვჭამოთ-მეთქი, გეტყვით.

2.3.2 წინადადებათა ძოლალობის გამომხატველი ნაწილაკები

აგებულების მიხედვით მარტივი, შერწყმული და რთული წინადადებები შინაარსის მიხედვით შეიძლება იყოს ან თხრობითი, ან კითხვითი, ან ბრძანებითი, როგორც დადებითი, ისე უარყოფითი.¹⁴

¹³ შეიმჩნევა ტენდენცია პირველი და მეორე პირების ნაწილაკების ნაცვლად მესამე პირის ნაწილაკის ხმარებისა.

¹⁴ ბრძანებითი ხშირად თხოვნასაც გამოხატავს.

უარყოფითი წინადადება ლაზურში მიიღება ზმნის წინ უარყოფითი ნაწილაკის **ვა/ვა(რ)** (ხოფური) დასმით და, რამდენადც უარყოფითი ნაცვალსახელები ლაზურში არ არის, ეს არის ერთადერთი მექანიზმი წინადადებაში უარყოფითი შინაარსის გადმოსაცემად (თუ არ ჩავთვლით უქონლობის გამომხატველ დერივაციულ მოდელს).

ბრძანებითი გამოიხატება, ქართულის მსგავსად, ზმნის აორისტის ან კავშირებითის ფორმებით.

უარყოფით-ბრძანებითი, ანუ **აკრძალვითი**, იწარმოება **მო** (ნუ)ნაწილაკით, რომელიც **ვა/ვა(რ)** უარყოფითი ნაწილაკის პოზიციაში ჩნდება და მის მორფოლოგიურ ვარიანტადაც შეიძლება იყოს განხილული.

რაც შეეხება **კითხვით წინადადებებს**, ზოგადი კითხვა (<კი/არა> სისტემის) გამოიხატება ან მხოლოდ სპეციფიკური (თხრობითისგან განსხვავებული) ინტონაციით, ან კითხვითი ნაწილაკით **ი/მა**, რომელიც, ძირითადად, დაერთვის ზმნას (თუკი ასეთი არის) ან ნებისმიერ სიტყვას (ეს ხდება ძირითადად დიალოგებში, მეორეული კითხვის, ე.წ. ჩაკითხვის, შემთხვევაში). კითხვითი ნაწილაკი, როგორც წესი, ასრულებს ზმნურ ფორმას და მას შეიძლება მოსდევდეს მხოლოდ სხვათა სიტყვის ნაწილაკი და/ან მის მომდევნოდ კავშირი. მაგ.:

- **ნანა-ს ნუ დო-ბონ-ი-ო-და-შა?**
- დედა-DAT ტანი. NOM V-ბანა-SM.S2-QP-Q.3-CONJ
(დედას ტანი დაბანე-კითხ.ო-როცა)
როცა დედას ტანი დაბანეო?

კომბინატორიების წესები (კარტოზია 2005):

- კითხვითი **ი+სხვათა სიტყვის და→იია** (ხოფურის სარფულ თქმაში);
- სარფულშივე, თუ ზმნური ფორმა **ი-ზე ბოლოვდება**, წარმოიქმნება **იია** სეგმენტი (მაგ., **ძირი-ი-ა→ძიია** (ინტერვოკალურ პოზიციაში **რ-ს** დაკარგვით) – **ვა ძიია?** (ვერ ნახეო)). ეს სეგმენტი შეიძლება გამარტივდეს და შედეგად სარფულთა მეტყველებაში გვხვდება **იია/იია** პარალელური ფორმები;
- თუ წინადადებაში წარმოიდგენილია როგორც უარყოფითი ნაწილაკი, ისე კითხვითი სიტყვა, მათი რიგი მკაცრად განსაზღვრულია (პოლისკი 1991):

[კითხვითი სიტყვა – უარყოფითი ნაწილაკი – ზმნა]

სპეციალურ კითხვაში გამოიყენება კითხვითი ნაცვალსახელები და ზმნიზედები. აქ კითხვითი ნაწილაკი არ გვხვდება და თხრობითის ინტონაციაც, როგორც წესი, შენარჩუნებულია. მაგალითად:

- **ა ბიჭი-ს მუშენი ათხოზ-ი?**
- ამ ბიჭი-DAT რატომ გაგდება-S.2.SM.
ამ ბიჭის რატომ აგდებ გარეთ?

2.4. ზმნურ მორფებათა სრული ჯაჭვი

თუ ამ ნაწილაკებსაც ჩავრთავთ მარტივი ზმნური ფორმების მორფებათა ჯაჭვში, მივიღებთ სხვადასხვაგვარი ზმნური ფორმების ამსახველ ამომწურავ სტრუქტურულ მოდელს:

- (1) მტკიცებითი ნაწილაკი
- (2) ზმნისწინები
- (3) პირის ნიშნები
- (4) ხმოვანპრეფიქსები
- (5) ძირი
- (6) სერიების ფუძეთა მაწარმოებლები
- (7) უწყვეტლის მაწარმოებელი
- (8) კავშირებითი და პირობითი კილოს მაწარმოებლები
- (9) თურმებითების მაწარმოებელი -ურუ¹⁵
- (10) SIII პირის ნიშნები
- (11) ობიექტის მრავლობითობის მაწარმოებელი
- (12) მომავალი დროის მაწარმოებელი უღლებადი მეშველი ზმნა უნონ ან მაწარმოებელი -ურუ¹⁶
- (13) პირობითობის კონ
- (14) თურმებითების მაწარმოებელი დორენ/დორტუნ/დორტას¹⁷
- (15) კითხვითი ნაწილაკი
- (16) სხვათა სიტყვის ნაწილაკი
- (17) მაკავშირებელი ნაწილაკი

3. თეორიული ხასიათის დასკვნა

ზემოთ განხილული მასალის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ: ლაზურში კავშირების, თანდებულებისა და ნაწილაკების ფუნქციური ომონიმურობისა და კონკრეტული ფუნქციების ფორმალური გაუმიჯნაობის გამო, დამოუკიდებელ მეტყველების ნაწილებად მათი (ანუ: კავშირის, თანდებულის და ნაწილაკის) გამოყოფა გართულებულია და მკაცრ თეორიულ საფუძველს მოკლებულია. უმეტეს შემთხვევაში, ერთი და იმავე ფორმის მქონე სიტყვის ზოგადი ფუნქციის დაკონკრეტება მხოლოდ დისკურსისა თუ სპეციფიკური ლინგვისტური კონტექსტების შე-

¹⁵ ერე ფორმანტი დასტურდება მხოლოდ ხოფურში; ის შეუთავსებელია მე-(12) და მე-(13) პოზიციაში წარმოდგენილ მორფებთან.

¹⁶ უნონ უღლებადი მეშველი ზმნა გვხდება მხოლოდ ხოფურში, დანარჩენ დიალექტებში კი გავრცელებულია ერე ფორმაუცვლელი დამშმარე ელემენტი.

¹⁷ ეს ფორმაუცვლელი სუფიქსები (14) გავრცელებულია ვიწურ-არქაბულსა და ათინურ-ართაშნულში. ისინი გამორიცხავენ პირობითობის მაწარმოებელ სუფიქსს კონ (13): ზმნაში წარმოდგენილია მხოლოდ ერთ-ერთი მათგანი – ან (13), ან (14).

მოფარგვლითაა შესაძლებელი, რომელთა ფორმალური გამიჯვნა კონკრეტული ფუნქციის ფარგლებში ვერ ხერხდება (გარდა მე-(15), მე-(16) და მე-(17) შემთხვევებისა, როდესაც კითხვითი, სხვათა სიტყვისა და მაკავშირებელი ნაწილაკების პოზიციები მკაცრად განსაზღვრულია). ამდენად, თეორიულად უფრო გამართლებული და გამართული ჩანს ამ ელემენტების უფრო ზოგადი (არასპეციფიზტული) კვალიფიკაცია მეტყველების ერთ – ფორმაუცვლელ, დამხმარე, მხოლოდ გრამატიკული ფუნქციის მქონე – მეტყველების ნაწილად, რომელსაც პირობითად შესაძლებელია ფუნქციური სიტყვები ვუწოდოთ.

ლიტერატურა:

აძესაძე 1963: ნ. აძესაძე, რომ კავშირი ქართველურ ენებში, თსუ შრომები, ტ. 96, თსუ გამომცემლობა, თბილისი.

ანდერსონი 1963R. D. Anderson, *A Grammar of Laz*, Dissertation, University of Texas, Austin.

ასათიანი 1974: ი. ასათიანი, ჭანური (ლაზური) ტექსტები (ხოფური კილოკავი), „მეცნიერება“, თბილისი.

ასათიანი 2011: რ. ასათიანი, ლაზურის გრამატიკის კონსპექტი, „უნივერსალი“, თბილისი.

გამყრელიძე 2008: თ. გამყრელიძე, ზ. კიქნაძე, ი. შადური და ნ. შენგელაია, თეორიული ენათმეცნიერების კურსი, თსუ გამომცემლობა, თბილისი.

კარტოზია 2005: გ. კარტოზია, ლაზური ენა და მისი აღვილი ქართველურ ენათა სისტემაში, თბილისი.

კაჭარავა 1950: გ. კაჭარავა, სხვათა სიტყვის ნაწილაკები ქართულსა და ზანურში, თსუ სტუდენტთა სამუნიცირო შრომების კრებული, V, თსუ გამომცემლობა, თბილისი.

ლომია 2005: მ. ლომია, პიპოტაქესის საკითხები მეგრულში, თბილისი.

მემიშვილი 2005: ო. მემიშვილი, -ნა კავშირიანი დამზიადებული წინაღაღება ლაზურში, IV, ბათუმი.

ქლევნი 1939: ს. უღენტი, ჭანური ტექსტები, არქაბული კილოკავი, საქ. სსრ მეცნ. აკად. გამომცემლობა, ტფილისი.

როგავა 1988: გ. როგავა, ზანურინი კავშირ-ნაწილაკის კვალი ჭანურ დიალექტში, ოქ, XXVII, თბილისი.

ყიფშიძე 1939: ი. ყიფშიძე, ჭანური ტექსტები, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, ტფილისი.

შანიძე 1973: ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, თსუ გამომცემლობა, თბილისი.

შენგელაია 2000: ნ. შენგელაია, არასრული სიტყვები და ტექსტის სემანტიკური მოღიანობა, „დიოგენე“, თბილისი.

ჩიქობავა 1929: არ. ჩიქობავა, ჭანური ტექსტები. ხოფური კილოკავი ტფილისის უნივერსიტეტის გამოცემა, X, თსუ გამომცემლობა, ტფილისი.

ჩიქობავა 1936: არნ. ჩიქობავა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი, „მეცნიერება“, ტბილისი.

ჯიქა 1967: ს. ჯიქა, თურქული სინტაქსური კალკები ლაზურში, „ორიონი“, აკაკი შანიძეს, თსუ გამომცემლობა, თბილისი.

ჰარის 1988: A. C. Harris, On Hypotaxis in Laz. აბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწდეული, XV, თბილისი.

ჰოლისკი 1991: D. A. Holisky, Laz. *The Indigenous Languages of the Caucasus. Vol. I. The Kartvelian Languages*, Caravan Books, Delmar, New York.

Rusudan Asatiani

Function Words in Laz

Summary

Specific parts of speech such as Postpositions, Conjunctions, and Particles are not functionally distinguished in Laz.

In general, an important peculiarity of Laz is a considerably small number of postpositions (as compared to Georgian) (Chikobava 1936), which is compensated by a high number of preverbs and their complex functions. Some units expressing location also fill in this gap. These units may be related both to a noun and to a verb, which makes it difficult to interpret them as separate single parts of speech, although it is possible to diverse their functions syntactically: when they are linked with a noun and, consequently, create some PP, they may be interpreted as postpositions; while being linked with a verb they create VP, they serve as adverbial modifiers and so, may be interpreted as adverbs. With the function of adverbs such units are mostly independent words; e.g.: *aras* (between, among), *doloxe* (in, inside of), *tude* (below, under), *mele* (there, on that side of), *mole* (here, on this side of), *meta* (besides, instead of), *yanis* (beside, next to), *yaniša* (near), *yrine/yeis* (instead of, in place of), *ok'vačxe/ok'ačxe* (behind, backwards), *oyine* (before, in front of), *žin* (on, on top of, above), *c'oxle* (opposite, in front of), etc. But with the function of postposition they mainly merge with a noun and govern either the stem or more often the genitive case, thus, making it possible to speak about prepositional cases.

	Postpositions merged with a noun
Nom.	- <i>k'ele</i> (towards), - <i>k'or/k'orani</i> (as much as, as far as, in the same way as)
Erg.	-----
Dat.	-----
Gen.	- <i>steri/-stei</i> (as, like), - <i>k'ala</i> (with, along with), - <i>k'ap'ulas</i> (behind, at the back of), - <i>k'ule/-uk'ule</i> (after, afterwards)
All.	- <i>ki/-kis</i> (until, up to)
Abl.	- <i>ni</i> (for)
Ins.	-----

In Laz such units have an additional function – some of them can be attached to a verb standing in the end of a clause (as a rule, in the second clause of complex sentences)

expressing an adverbial subordinate clause (Holisky 1991). That is, they bear the function of a Conjunction as well.

Aslo, Case markers (→Postpositions) are functioning as subordinate Conjunctions (Chikobava 1936):

- Borrowed from Turkish *-ki / či* (in Atina)
- Greek *ot'i*
- *na* (the particle “that” in function “if”)
- *ši/s/is/si/sis* (that, while, when)
- *ši/s/is/si/sis + uk'ule/k'ule* (after); *ši+k'ule → č'k'ule*
- *ša/ša-kis* (until)
- *šeni* (as far as)
- *steri* (as, like)

All these “Conjunctions”, except the Particles *na* and *is/si*, serve as either Case markers or Postpositions as well.

Sporadically, some Particles can be used as Conjunctions as well:

- *oras* (when, while)
- *emušeni / hemušeni^{v/a}*, rarely, *hun-ki / hum-ki* (that’s why)
- *sona* (where)
- *egere-na* (if)
- *mundes-na / mundes-ti* (when)

Thus, one and the same word can be used in a text either as PP, or CONJ, or PTC and only a discourse and/or specific pragmatic context defines its concrete function.

Analyzing and interpreting such data, it is supposed that, based on a general theoretical background, they must be qualified as one, undifferentiated part of speech, namely, **the Function Words**.

მიტაჟორული ტერმინები ფრანგულ და ინგლისურ ენათა ანატომიურ ტერმინოლოგიაში

ტერმინოლოგის სფეროში მეტაფორათა კვლევა ერთ-ერთი აქტუალური მიმართულებაა. შარლ ბალი აღნიშნავდა, რომ მეტაფორა წარმოიშობა ადამიანის გონების არასრულყოფილების გამო, რადგან ადამიანს არა აქვს აბსოლუტური აბსტრაქციის უნარი და ამიტომაც იგი იყენებს მეტაფორას კონკრეტულ სინამდვილესთან კავშირისათვის. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ტერმინოლოგიური სფეროს კვლევისას და, ზოგადად, სამეცნიერო დისკურსული მოღვაწეობისათვისაც. სამეცნიერო დისკურსში ვგულისხმობთ მეცნიერების ამა თუ იმ დარგის სპეციალისტის, პროფესიონალურ ენაზე ურთიერთობისას, ვერბალურად გამეშვეობითებულ მოღვაწეობას; ანუ სამეცნიერო დისკურსი არის მეცნიერის აზრობრივი მოღვაწეობის ვერბალიზებული შედეგი, ლინგვისტური და ექსტრალინგვისტური ფაქტორებით (სამყაროს ცოდნით, მსჯელობით, აზრებით, რწმენებით და ა. შ.). ფართო გაგებით, სამეცნიერო დისკურსი შედგება სხვადასხვა ქვედისკურსისაგან – კერძო მეცნიერებათა დისკურსებისაგან. სამეცნიერო – პროფესიონალური აზროვნების საბოლოო მატერიალურ შედეგად შეიძლება ჩაითვალოს ტერმინოლოგიური ლექსიკონი, როგორც მეცნიერული ცოდნის ფიქსაციის სფერო.

როგორც ცნობილია, სამეცნიერო დისკურსის საფუძველია ტერმინოლოგია. სამეცნიერო დისკურსი ბევრად პგავს კომუნიკაციის სხვა სფეროებს, რადგან იგი, უპირველეს ყოვლისა, სხვა სფეროთა მსგავსად, იკვლევს სამყაროს მრავალფეროვან ასპექტებსა და ფენომენებს, ამ საქმეში კი მეტაფორა ასრულებს მნიშვნელოვნ ფუნქციას, როგორც მეცნიერული შემეცნების (ცოდნის) ინსტრუმენტი. ეყრდნობა რა ანალოგის კანონს, როგორც ადამიანური გონის უნივერსალურ კონიტიურ უნარს, ენის მატარებელს გადაქვს რაიმე წარმოდგენა ერთი სფეროდან მეორეზე და ამგვარად იძნეს ახალ ცოდნას. კოგნიტიურ-დისკურსულ პარადიგმაში ასეთი კოგნიტიური მექანიზმი იწოდება კონცეპტუალურ ინტეგრაციად.

ამგვარად, ტერმინოლოგიური მეტაფორა იქცევა მიღებულ ცოდნათა დამუშავების ეფექტურ საშუალებად, შეუფარდებს რა რაიმე ახალ მოვლენას ადამიანის კოგნიტიურ ბაზაში უკვე არსებულ გამოცდილებას და ასრულებს მნიშვნელოვან ევრისტიკულ ფუნქციას. თუ ერთი კონცეპტი გაიგება სხვა კონცეპტის ტერმინებით, მაშინ საქმე ეხება „კონცეპტუალურ მეტაფორას“, რომელიც ეფუძნება ურთიერთობებს წყაროსა და ნიშანს შორის. ტერმინოლოგიური მეტაფორა პერცეფციულად მარტივია, ის უადვილებს ადამიანს ამა თუ იმ რთული სამეცნიერო

მოვლენის გაგებას. როგორც წესი, მეტაფორული ტერმინი ხელს უწყობს ვებერთელა, მრავალკომპონენტიანი ტერმინოლოგიური ერთეულის შეცვლას.

ნაშრომი ეძღვნება ფრანგულ და ინგლისურ ენებში არსებულ ანატომიურ ტერმინოლოგიაში არსებულ მეტაფორათა ძირითადი წყაროების შესწავლას. საკუთარი სხეულისადმი ინტერესი, მისი კვლევა ადამიანის ერთ-ერთი უძველესი „სამეცნიერო ინტერესია“. უძველეს დროში, როდესაც არ არსებობდა სხეულის შესწავლის სარწმუნო სამეცნიერო მეთოდები და ტექნოლოგიები, კონცეპტუალიზაციის პირველი ფორმები, უპირატესად, უფრო მეტად და ტექნოლოგიური მეტაფორის ევრისტიკული პოტენციალი უფრო მეტად მაღალია, რაც უფრო მეტად ბევრმა ასეთმა მეტაფორამ „იცოცხლა“ მეცნიერების თანამედროვე მდგომარეობამდე.

საკვლევი მასალაა ფრანგული და ინგლისური ენების „ინსტიტუციონალიზებული“ ტერმინოლოგიური ანატომიური მეტაფორები, ფიქსირებულნი კ. ტიელის ლექსიკონში – „ადამიანის ანატომია და ფიზიოპათოლოგია“ (ტიელი 2010).

მასალის ანალიზმა აჩვენა, რომ ფრანგულ და ინგლისურ ანატომიურ ტერმინოლოგიაში ყველაზე მეტად აქტიური და ხშირია მეტაფორიზაციის 4 წყარო:

1. არქიტექტურა

არქიტექტურული ტერმინები ეფექტურ ველს წარმოადგენენ ანატომიურ ცნებათა კონცეპტუალიზაციისათვის. ადამიანის სხეული ჰგავს არქიტექტურულ ნაგებობას საკუთარ სტრუქტურულ ელემენტთა სიმრავლით.

მრავალი ტერმინ-მეტაფორაა საბაზო ტერმინებით: **arcade** ‘თაღედი’ – და **voûte** ‘თაღი’:

Arcade dentaire: dental (alveolar) arch (‘კბილების თაღედი, რომელიც მოიცავს ყველა კბილს’) – organe en forme d'arc composé de dents. Située sur le bord des maxillaires chez l'homme, on y retrouve les incisives, les canines, les prémolaires et les molaires ;

The curved composite structure of natural dentition; the teeth that are supported by the alveolar part of the mandible; inferior dental arch; mandibular dentition.

Voûte plantaire, arch of Foot (‘უქნისგულის არკა, თაღი’): l'ensemble des courbures concaves que présente la surface inférieure du pied: une courbure longitudinale (allant du calcaneum à la tête des métatarsiens) et une courbure transversale (maximale à la base des métatarsiens);

The longitudinal arch consisting of a medial arch, comprised of the calcaneus, talus, navicular, three cuneiform bones, and the three medial metatarsals, and a lateral arch formed by the calcaneus, cuboid, and the two lateral metatarsals.

გადააზრებას ექვემდებარებიან ისეთი არქიტექტურული ელემენტები, როგორებიცაა: **colonne, column pillar** ‘კოლონა, თაღის საყრდენი სვეტი’, **coupole**,

dome ‘გუმბათი’, **pavillon, ear shell** ‘კარავი, ფარდული’, ანატ. ‘ყურის ნიჟარა’, **vestibule**; the inner ear labyrinth gate; ‘ვესტიბული’, ანატ. ‘შიდა ყურის ლაბირინთის კარიბჭე’, **pyramide** ‘პირამიდა’, **tunnel** ‘გვირაბი’ და სხვ. **Coupole pleurale**, la partie la plus élevée de la plèvre pariétale qui coiffe, audessus du plan de la première côte, le sommet du poumon;

The inner ear (internal ear, auris interna) is the innermost part of the vertebrate ear. Abalone.

Pavillon de la trompe: la partie terminale de celle-ci dont les franges balayent la surface de l'ovaire et permettent d'écueillir l'ovocyte au moment de l'ovulation.

აღსანიშნავია, რომ არქიტექტურული და ანატომიური ტერმინები ურთიერთქმედებენ „ორივე მხრივ“; ცნობილია ისეთი ფენომენიც, როგორიცაა ანთოპომორფული მეტაფორა არქიტექტურაში, ანუ როდესაც არქიტექტურული ტერმინი შექმნილია ადამიანის სხეულის ნაწილისაგან: მაგ., „გაპიტელი (საყრდენი სვეტის თავი)“ (ფრანგ. **chapiteau**) (ინგლ. **head of column**) მომდინარეობს ლათინური სიტყვიდან **caput** ‘თავი’.

2. გეომეტრიული ფიგურები

გეომეტრიული ფიგურები პროფესიული წყაროა ანატომიურ ცნებათა მეტაფორული სახელწოდებებისათვის; ამ შემთხვევაში, მეტაფორიზაციის საფუძველია ობიექტის ფორმა; გადააზრებას ექვემდებარება ისეთი ფიგურები, როგორებიცაა: **cercle** ‘წრე’, **cylinder** ‘ცილინდრი’, **cone** ‘კონუსი’, **angle** ‘კუთხე’. მრავალ ანატომიურ ობიექტს შეიძლება პქნდეს წრის ფორმა; ასეთ შემთხვევაში, ანატომიური ცნება იღებს საკუთარ დეფინიციას დამაზუსტებელი კომპონენტის – ტერმინ-კონკრეტიზატორის ხარჯზე; მაგალითად, გეომეტრიული ფიგურა **cercle** ‘წრე’: **cercle de Willis, brain vascular circle** ‘ტვინის დიდი არტერიული წრე’; **cercle artériel du cerveau, large brain blood circle** ‘ტვინის დიდი არტერიული წრე’; **cercle vasculaire articulaire, vascular circle of blood vessels** ‘სისხლძარღვის ძარღვოვანი წრე’; **cercle tendineux de Lower, fibrosing circle** ‘ფიბროზული წრე’.

3. ტანსაცმელი

მეტაფორულად გადააზრებულია ტანსაცმლის ისეთი ელემენტები, როგორებიცაა: **ceinture** ‘ქამარი’ და **poche** ‘ჯიბე’: **ceinture du membre supérieur, upper limb girdle** ‘ზედა კიდურის სარტყელი’, **ceinture scapulaire, shoulder belt, shoulder girdle** ‘შხრის სარტყელი’, **ceinture du membre inférieur, lower limb girdle** ‘ქვედა კიდურის სარტყელი’, **poche gingivale, alveolar pocket** ‘ღრძილის ჯიბე’, **poche parodontale, parodontal pocket** ‘პაროდონტალური ჯიბე’. გადააზრება სხვაგვარადაა ტანსაცმლის ისეთ ელემენტთან დაკავშირებით, როგორიცაა **col** ‘საყლო’; აյ ტერმინ-მეტაფორად გამოიყენება ‘ყელი’: **col utérin, cervix uteri** ‘საშვილოსნოს ყელი’, **col de la côte, rib neck** ‘ნეკნის ყელი’, **col de la vessie,**

urinary bladder neck ‘საშარდე ბუშტის ყელი’, **col de la vésicule biliaire, gall bladder neck** ‘ნაღვლის ბუშტის ყელი’.

4. ხე

ამ შემთხვევაში, მეტაფორის სიხშირით გამოირჩევა **trunc, stem, stick, trunk** ‘ღერო, ჩხირი, ხის ტანი’, როგორც რაღაცის კარკასის აღმნიშვნელი: **tronc aortique, aortic stem** ‘აორტის ღერო’, **tronc intestinal, intestine sticks** ‘ნაწლავის ჩხირი’, **tronc cerebral; cerebral sticks** ‘ცენტრალური ჩხირი’ **tronc pulmonaire; lung sticks** ‘ფილტვის ჩხირი’, **tronc lombo-sacré; waist and butt** ‘წელისა და გავის ჩხირი’, **tronc lombo-sacré, subclavian sticks** ‘ლავიწქეშა ჩხირი’ და ა.შ.

ადამიანის სხეულის ორგანოების მეტაფორული კონცეპტუალიზაცია იყენებს ასევე ისეთ ცნებებს, როგორებიცაა: **rameaux, branches** ‘ტოტები, განშტოებები’ და **racine, basis, root, footer** ‘ფესვი, ფუძე, ძირი’; **rameaux dorsaux; back branches of spinal nerves** ‘ზურგის ნერვების უკანა განშტოებები’, **rameaux ventraux, front branches of chest nerves** ‘მკერდის ნერვების წინა განშტოებები’, **rameaux interganglionnaires, interstitial branches** ‘კვანძთაშორისი განშტოებები’, **racine aortique, aortic base** ‘აორტის ფუძე’, **racine dentaire, tooth root** ‘ქბილის ფესვი’, **racine de l'hélix, spin root of haliotis** ‘ყურის ნიჟარის ხვეულა ფუძე’ და ა.შ.

ამგვარად, მეტაფორიზაციის ზემოჩამოთვლილი ოთხი წყარო ყველაზე მეტად პროდუქტიულია ფრანგული ენის ანატომიურ ტერმინოლოგიაში. ანატომია ცოდნისა და მოღვაწეობის ერთ-ერთი უძველესი დარგია, მისი ტერმინოლოგიის დიდი ნაწილი ჩამოყალიბდა ადამიანის გარემომცველ საგანთა და ფენომენთა მეტაფორული გადაზრების საფუძველზე.

ლიტერატურა:

Bally Ch., *Traité de stylistique française*. Paris, 1950.

J. G. Betts, P. DeSaix, E. Johnson, J. E. Johnson, O. Korol, D. Kruse, B. Poe, J. Wise, M. D. Womble, K. A. Young, *Anatomy & Physiology, CNX. 1.6. Anatomical Terminology*, OpenStax, Houston, 2013.

Dépecker L. Entre signe et concept. Paris, 2002.

Federative Committee on Anatomical Terminology, *Terminologia Anatomica – International Anatomical Terminology*, Thieme, Stuttgart /New York, 1998.

ტიტლი 2010: C. Thiele, *Anatomie et physiopathologie humaines*, Bruxelles.

ვებგვერდები:

<https://www.collinsdictionary.com/dictionary/>

<https://www.britannica.com>

Tsiuri Akhvlediani, Giorgi Kuparadze

Metaphorical Terms in French and English Anatomical Terminology

Summary

In the studies devoted to cognitive terminology, metaphoric terminology is one of the leading directions. Terminology is the basis of scientific discourse. Scientific discourse is much like the other areas of communication, since it, like other fields, investigates the diverse aspects and phenomena of the universe; and, in this case, the metaphor plays an important role as an instrument of the scientific (knowledge) cognition. Based on the law of analogy as one of the universal cognitive abilities of a human mind, the language owner carries something from one sphere to another and thus acquires a new knowledge.

In the cognitive-discursive paradigm, such a mechanism is called cognitive conceptual integration. The terminological metaphor becomes an efficient means to process the knowledge obtained, it cures any new phenomenon of experiences already presented in human cognitive database and performs a significant eurasical function.

The subject of the analysis in our paper is the anatomical terminology of the French and English languages, in particular, the metaphorical nomination in anatomic terminology. If one concept is understood by other concept terms, then the case concerns “the conceptual metaphor” which is based on the relationship between the source and the sign. The terminological metaphor is simple in terms of its perception, it makes it easier for anyone to understand a complex scientific phenomenon of this or that kind. As a rule, a metaphorical term helps to change a huge, multi-component terminological unit.

The purpose of the paper is to identify the main sources of the term – metaphor – in the anatomical terminology of the French and English languages. The conceptual-semantic analysis revealed the main spheres of metaphorical nomination in the presented terminology, namely: “architecture”, “clothes”, “geometric shapes” and “tree”. In the anatomic discourse, in the process of metaphorical conceptualization of anatomical objects, the productivity of manifestation of these areas is evident; the major similarity of these fields is also vivid, on the basis of which the metaphorical re-thinking through the subsequent nominations of anatomical objects becomes possible.

As it seems, for a specialist the terminological picture of the world is closely linked to general knowledge. It is also closely related to the knowledge of other sciences and fields.

ციური ახვლებიანი, გიორგი შუვარაძე

ინგლისურ და ფრანგულ ენათა ფონეტიკური სისტემების ცვლილებათა პერიოდები

ნებისმიერი ენის სისტემა განიცდის მუდმივ ცვალებადობას, მაგრამ ცვლილებები, რომლებიც მოიცავენ ენის სხვადასხვა დონეს, მის სხვადასხვა რგოლს, არ ხდება ერთდროულად. იმისათვის, რომ გამოვავლინოთ კანონზომიერება ენის ისტორიაში, ცვლილებათა კანონზომიერება ენის ყველა დონეზე, აუცილებელია შევადაროთ ცვლილებები სხვადასხვა ენაში. ჩვენს ნაშრომში შევეხებით ფონეტიკურ დონეს, შევადარებთ ცვლილებებსა და მათ რაოდენობას ინგლისურსა და ფრანგულ ენებში VII-XX საუკუნეებში.

ინგლისური ენის ფონეტიკური სისტემის ცვლილებები. ინგლისური ენის დაფიქსირებული ისტორია, ტრადიციულად, იწყება V საუკუნის შუა პერიოდიდან, როდესაც, „ანგლოსაქსონური ქრონიკების“ მატიანის მიხედვით, ანგლების, საქსების, ფრიზებისა და იუტების გერმანიკული ტომები იწყებენ გადმოსახლებას ბრიტანეთში. ინგლისური ენის ისტორიის მკვლევარ მეცნიერთა დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ ძველინგლისური დიალექტები იმ ტომთა დიალექტების გაგრძელებაა, რომლებიც არსებობდნენ კონტინენტზე, ახალი სამშობლოს ტერიტორიაზე კი იქმნებოდა ტერიტორიული დიალექტები. კონტინენტიდან გერმანიკულ ტომთა მიგრაციის პროცესი მიმდინარეობდა საუკუნეთა განმავლობაში და, შედეგად, IX-X საუკუნეებში, შეიქმნა ზედიალექტური სალიტერატურო კოინკ, რომელიც დაფიქსირებულია წერილობით ძეგლებში.

ინგლისური ენის აღწერა და დათარიღება იწყება ძველინგლისური პერიოდიდან (VII-XI საუკუნეები). ამ პერიოდის წერილობითი ძეგლები წარმოდგენილია დიდი ჟანრობრივი მრავალფეროვნებით (ეპოსი, ლირიკა, საქმიანი პროზა, ქარტიები, ანდერძები, მატიანები, ევანგელის ჩანაწერები და სხვ.). ამ ნაწარმოებებში შეინიშნება დიალექტური განსხვავებანი, მაგრამ, მთებედავად ამისა, ძველი პერიოდის ინგლისურ ენას აქვს ერთიანი ფონეტიკური სისტემა.

მიზანშეწონილად ითვლება, რომ ინგლისურ ენაში მიმდინარე ცვლილებების ანალიზი უნდა დავიწყოთ VII საუკუნიდან, ანუ იმ უძველეს წერილობით ძეგლთა დროიდან, რომლებიც ცნობილია ამჟამად. ამ პერიოდის ხმოვანთა სისტემას მწყობრი სახე პქნდა, მასში იყო თანაბარი რაოდენობის გრძელი და მოკლე მონოფონები და დიფონები.

მოკლე მონოფონები: i, y, e, u, a, æ (ეს ბგერა არ წარმოადგენდა ფონეტის);
გრძელი მონოფონები: i:, y:, e:, æ:, u:, a:.

დიფთონგები: ძველინგლისური პერიოდის მოკლე დიფთონგები არ წარმოადგენდნენ დამოუკიდებელ ფონებს, ისინი იყვნენ განსაზღვრულ ფონებათა პოზიციური გარიანტები: **ea** (ფონება /a/-ს ალოფონი), **eo** (ფონება /e/-ს ალოფონი), **io** (ფონება /i/-სალოფონი), **ie** (ფონება /i/-სალოფონი, დამახასიათებელი უესექსის დიალექტისა). ძველინგლისური პერიოდის გრძელი დიფთონგები წარმოადგენდნენ დამოუკიდებელ ფონებს: **ea:, eo:/io:** (აღსანიშნავია, რომ ეს ორი დიფთონგი წარმოადგენდნენ დიალექტურ ვარიანტებს), **ie:**

წერილობითი ძეგლების მიხედვით, ინგლისურ ენაში მოქმედი იყო შემდეგი პროცესები:

1. IX საუკ. – მონოფთონგიზაცია დიფთონგებისა: **ie > y; ie: > y:; X საუკ. – დელაბიალიზაცია ხმოვნებისა: y, y: > i, i: ;**

2. XI-XII საუკუნები – შემდეგ დიფთონგთა ცვლილებები – **ea > æ > a; eo > e; ea: > e:; eo: > e::** ამ ცვლილებათა შედეგად, XI საუკუნეში, მონოფთონგთა სისტემიდან ამოვარდა მოკლე და გრძელი ბგერები: **y, y:** და გრძელი ბგერა **a::** სისტემაში დაირღვა წონასწორობა, სისტემური ურთიერთობები, დაირღვა ენის ფონეტიკური სისტემა ანგლოსაქსონური ტომებისა, რომლებიც კონტინენტიდან მოვიდნენ. XII საუკუნიდან ფორმირებას იწყებს ახალი ფონოლოგიური სისტემა.

3. XII საუკუნიდან XIV საუკუნემდე გრძელდება დაბალი აწეულობის გრძელი ხმოვნების დავიწროება: გრძელი **a:** და გრძელი **o:-tი;** მოკლე **æ** იწყებს **a-**თან შერწყმას; გრძელი **æ:** თანდათანობით ვიწროვდება **e:-მდე,** შემდეგ კი **e:-მდე.**

4. XII საუკუნიდან XIII საუკუნემდე ხდება მოკლე ხმოვნების დაგრძელება ლია მარცვლებში და ამ პროცესის შედეგად კვლავ ჩნდება გრძელი ხმოვანი **a::**

5. ჯერ კიდევ ძველინგლისურ პერიოდში შეინიშნებოდა უმახვილო ხმოვანთა შესუსტების შემთხვევები ბოლო მარცვლებში, XII-XIII საუკუნეებში კი ყველა მოკლე ხმოვანი უმახვილო პოზიციაში იქცევა ბგერა **[ə]-დ.**

6. XI-XIII საუკუნეებში ხდებოდა გრძელ ხმოვანთა დამოკლება დაწურულ მარცვალში, თანხმოვანთა ჯგუფის წინ.

7. XII-XIII საუკუნეებში ვითარდება ახალი დიფთონგები: **ai, ei, au, ou, eu** ხმოვნების შემდეგ თანხმოვანთა ვოკალიზაციის შედეგად, უკანავისმიერი თანხმოვანი **[γ] > არამარცვლოვან [u]-ში, შუაენისმიერი [j] > არამარცვლოვან [i]-ში,** წყვილბაგისმიერი **[w] > არამარცვლოვან [u]-ში,** ხოლო დიფთონგი **oi** ჩნდება XIII-XIV საუკუნეებში, ფრანგული ენიდან ნასესხები სიტყვების შემოსვლის შედეგად. XIII საუკუნეში იცვლება მოკლე და გრძელ ხმოვანთა რიცხობრივი თანაფარდობა, მაგრამ სისტემა ჯერ კიდევ ასიმეტრიულია. ამ პერიოდში მონოფთონგთა სისტემა ასეთი იყო – გრძელები **i:, e:, ε:, o:** (დაი), **o:** (დახურული), **u:, [a:]** და მოკლეები **i, e, a, o, u.**

8. XV საუკუნიდან იცვლება გრძელ ხმოვანთა სისტემა: **e:** დავიწროვდა **e:-დ** და დაი **o:** შეიცვალა **ou-დ.**

9. XV-XVII საუკუნეებში მოხდა მოკლე წმოვანთა ცვლილებები და გაჩნდა ახალი წაკვეთილი წმოვანი [ʌ], კვლავ გამოჩნდა ადრე გამქრალი ბგერა **æ** (ეს ბგერა გამოჩნდა **a > æ** გადასვლისას XV საუკუნეში, სამხრეთ-აღმოსავლეთ დიალექტში და XVI საუკუნეში დამკიდრდა სალიტერატურო ენაში).

10. ახალი გრძელი წმოწების გაჩენა: **a:** სამუალინგლისურიდან – მოკლე **a>æ>a:** > **a::** ეს პროცესი დასრულდა XVIII საუკუნის მეორე ნახევარში. **ə:** გაჩნდა წაკვეთილ წმოვანთა შემდეგ [r]-ს ვოკალიზაციის შედეგად, XVII-XVIII საუკუნეებში.

11. უმახვილო მარცვლებში წმოვანთა ცვლილებები ხდებოდა XV-XVI საუკუნეებში.

ამგვარად, XVIII საუკუნის მეორე ნახევარში მთავრდება ცვლილებები წმოვანთა სისტემაში: მონოფთონგები – მოკლეები: **i, e, æ, o, u, ʌ, ə;** გრძელები: **a:, o:, ə:, i:, u:;** დიფთონგები: **ei, əu, ai, au, ou, iə, eə, uə.**

პირველი წერილობითი ძეგლებიდან მოყოლებული, ძეგლინგლისური ენის თანხმოვანთა სისტემა წარმოდგენილი იყო შემდეგი თანხმოვანი ბგერებით: ბაგისმიერები: **p, b, w, m;** კბილ-ბაგისმიერები: **f, v;** წინააღნისმიერები: **θ, t, d, n, s, ð, z, r, l;** შუაენისმიერები: **k^j, g^j, j, g^{xj};** უკანააღნისმიერები: **k, g, γ, x, ŋ;** ხორხისმიერი: **h.**

1. უძველეს პერიოდში არსებული თანხმოვანთშეერთებები: **[hr], [hn], [hl], XI საუკუნეში** გარდაიქმნენ ჩვეულებრივ სონორულ თანხმოვნებად, დაკარგეს რა თავკიდური **[h].**

2. ერთ-ერთი ყველაზე მეტად მნიშვნელოვანი პროცესი, რომელიც მოხდა თანხმოვანთა სისტემაში ძველინგლისური პერიოდის ბოლოს, იყო უკანააღნისმიერ თანხმოვანთა პალატალიზაციის პროცესი. პალატალიზაციის პროცესის შედეგად, ინგლისური ენის ფონემათა სისტემა შეიცვი ახალი ფონემებით: **[tʃ], [dʒ], [ʃ].** უკანააღნისმიერი **[k]-ს** შუაენისმიერ **[k^j]-ში** გადასვლის პროცესი დაიწყო ჯერ კიდევ უძველეს პერიოდში, ხოლო **[k^j]-ს** **[tʃ]-ში** გადასვლა დასრულდა XI საუკუნეში. შუაენისმიერი **[g^j]** გადავიდა აფრიკატ **[dʒ]-ში.** ჯგუფი **[sk]** შეიცვალა **[ʃ]-თი.**

3. თანხმოვანთა სისტემაში მნიშვნელოვანი ცვლილება იყო უკანა- და შუაენისმიერ ნაპრალოვანთა **[γ], [γ^{j]], [x], [x^{j]]}}** თვისებრივი ცვლილებები, რაც გამოიხატებოდა ნაპრალოვანთა ვოკალიზაციით, ანუ მათი წმოვნებად ქცევით. თანხმოვანთა სისტემიდან გაქრა უკანა- და შუაენისმიერი ნაპრალოვნები. თანხმოვან **[x]-ს** დაკარგვის ცალკეული შემთხვევები აღნიშვნულია XIII-XV საუკუნეების ტექსტებში.

4. XII-XV საუკუნეებში ყრუ ფონემების **f, s, θ** პოზიციურმა მჯდერმა ვარიანტებმა **v, z, ð** მოიპოვეს დამოუკიდებელი ფონოლოგიური სტატუსი.

5. გრძელი თანხმოვნები – გემინატები – არ უპირისპირდებიან მარტივ თანხმოვნებს, იქცევიან კონსონანტიზმის ჩვეულებრივ ერთეულებად. XIV საუკუნეში ქრება თანხმოვანთა განსხვავება სიგრძე-სიმოკლის მიხედვით და ორმაგი თანხმოვ-

ნების არსებობა იქცევა წინამავალი ხმოვანი ბგერის წაკვეთილობის გრაფიკულ მითითებად.

6. საშუალი და ახალი ინგლისური პერიოდების საზღვარზე ჩნდება ახალი უკანავისმიერი ფონემა **ŋ**, რომელიც წარმოიქმნა **ng** შეერთებიდან.

7. XV-XVII საუკუნეებში თანხმოვანთა სისტემაში ხდება ალვეოლარული თანხმოვნების **t**, **d**, **s**, **z** ასიმილაციის პროცესი მომდევნო **j**-სთან, რის შედეგადაც ახალწარმოქმნილი შიშინა თანხმოვნები **[tʃ]**, **[dʒ]**, **[ʃ]** შეერწყნენ ადრე წარმოქმნილებს და გაჩენილი ახალი ფონემა **z + j** ასიმილირდა **ʒ**-დ.

XVIII საუკუნის დასაწყისში, ინგლისური ენის თანხმოვანთა სისტემის შემადგენელი ფონემები იყო: **t**, **d**, **θ**, **s**, **z**, **ʃ**, **tʃ**, **dʒ**, **m**, **n**, **ŋ**, **w**, **j**, **r**, **l**.

თანამედროვე ინგლისურ ენაში შეინიშნება სიტყვის ბოლოში მუღლერ თანხმოვანთა ყრუ თანხმოვნებით ჩანაცვლების ტენდენცია. ბგერა **[t]** ინტერვოკალურ პოზიციაში მუღლერდება. თავკიდური ბგერა **[h]** არ წარმოითქმის. ფინალურ პოზიციაში წარმოითქმის პალატალიზებული **[k'**] და სხვ.

ფრანგული ენის ფონეტიკური სისტემის ცვლილებები. ტრადიციულად, ფრანგული ენის ისტორიის აღწერა იწყება უძველესი წერილობითი ძეგლიდან – „სტრასბურგის ფიცებიდან“ (842წ.), ანუ ძველფრანგული ენის პერიოდიდან (IX-XIII საუკუნეები), შემდგომ კი გამოიყოფა საშუალფრანგული ენის პერიოდი (XIV-XVI საუკუნეები), ახალფრანგული ანუ კლასიკური ენის პერიოდი (XVII-XVIII საუკუნეები) და თანამედროვე ფრანგული ენის პერიოდი (XIX საუკუნიდან დღემდე).

ძველფრანგული ენის ხმოვანთა ფონეტიკური შემადგენლობა თავდაპირველად ასეთი იყო – გრძელები: **i**, **e(a)**, **o**; მოკლეები: **ɛ**, **e**, **a**, **ø**, **o**; დიფთონგები: **ei**, **ie**, **ou**, **uo**; მეორეული დიფთონგები: **ai**, **ei**, **au**, **eu** და ა.შ.; ნაზალიზებული ხმოვნები და დიფთონგები: **an**, **en**, **on**, **in**, **yn**, **ein**, **ien**, **oun**; ტრიფთონგები: **eau**, **ieu**.

IX საუკუნიდან ხდება ცვლილებები ხმოვან ბგერათა შემადგენლობაში:

1. პალატალიზაცია – ბგერა **u:** **u > y** (ფრანციულ დიალექტში VIII-X საუკუნეებში, ლოტარინგიულ და ბურგუნდიულ დიალექტებში კი მოგვიანებით – IX-XII საუკუნეებში).

2. მონოფთონგიზაცია: **ai > ei** (XII საუკუნის დასაწყისში); **ei > oi** (პროცესი იწყება XII საუკუნეში, უმახვილო მარცვლებში და უკვე XII საუკუნის შემდეგში ეს წარმოთქმა ვრცელდება საყოველთაოდ); XIII საუკუნეში დიფთონგი **oi** იცვლება **oe (ue)-თი**; დიფთონგები **eu**, **ue** შეიკუმშნენ მარტივ ხმოვან **oe-დ** (ახალი ბგერა ფონემური სტატუსით); დიფთონგი **ie** გადაიქცა აღმავალ დიფთონგად, შემდეგ **i** იქცა **j**-ად და დიფთონგმა მიიღო ასეთი ფორმა – **je**; დიფთონგი **ou** XIII საუკუნეში შეიკუმშა **u-დ**; XIII საუკუნიდან გახვდება სპორადული შემთხვევები დიფთონგი **au-ს** ასო **o-თი** დაწერილობისა, რაც მოწმობს დიფთონგების მარტივ ხმოვნებად შეკუმშვის პროცესის დასაწყისს.

3. დიფთონგები **üí**, **ié**, **ei** იშლებიან ორ ხმოვნად, რომელთაგან პირველი იქცევა ნაზევარხმოვნად: დიფთონგში **üí** გამოიყოფა **ÿ**; დიფთონგი **ié** > **j**; დიფთონგში **ei** > **oi** გამოიყოფა **w**. ეს ახალი ბგერები იღებენ ფონეტის სტატუსს.

4. ნაზალიზებულ ხმოვანთა ცვლილებები: ე ემთხვევოდა **ã**-ს XII საუკუნეში; XIII საუკუნეში დიფთონგები **aí** და **ei** შეერწყნენ **éi**-ად; XVI საუკუნიდან ეს დიფთონგი წარმოითქმის როგორც ცხვირისმიერი **é**. თანამედროვე წარმოთქმა ღია ცხვირისმიერი **é**-სა დადგინდა XVII საუკუნიდან. XIII-XIV საუკუნეებში **ý** იქცა **ő**-დ; დიფთონგი **yí** იქცა დიფთონგ **ue**-ად.

5. ტრიფთონგი **ieu** >**ioe** >**joe**; XIII საუკუნეში ტრიფთონგი **eau** ხშირად იწერებოდა **au**-თი, რაც მოწმობს **e**-ს არამარცვლოვნ ბუნებას **a**-ს წინ.

6. XIII საუკუნის ძეგლებში გვხვდება მოკლე **e**-სა და გრძელი **é**-ს გადასვლები ღია **ɛ**-ში (სალიტერატურო ენაში ეს წარმოთქმა გვიან მოხვდა).

7. XIII საუკუნეში ხალხურ მეტყველებაში ღია **Q** წარმოითქმის როგორც დახურული **o**:

XIII საუკუნის დასასრულს უკვე არსებობდა ხმოვანთა ახალი შემადგენლობა: გრძელები და მოკლეები: **i**, **e**, **a**, **o**, **u**, **ɛ**, **ø**, **y**, **oe**; დიფთონგები: **au**, **oe**; ტრიფთონგი **eau**; ნაზალიზებულები: **an**, **en**, **on**, **oen**.

ამ პერიოდში ხმოვანთა სისტემამ განიცადა შემდეგი ცვლილებები:

1. უმახვილო ხმოვანთა რელუქცია. პოზიციაზი ჰიატუსისას: **a** > **e**; **a i** > **ei** > **e**-ს წინ; **a** სხვა ხმოვნების წინ ქრება XVI საუკუნიდან; **e** გაქრა XIV საუკუნიდან; **o** > **u**. თავკიდური პოზიცია: **e** > **ə**, **o** > **u**. ბოლოკიდური პოზიცია: უმახვილო ხმოვანი **e** ყველა ბოლოკიდურ პოზიციაში (ბოლო და ბოლოსწინა მარცვალში) რელუცირდება, თუმცა მერყეობა შეინიშნება დაწერილობაში XVI საუკუნეშიც.

2. დიფთონგი **oe** XIII საუკუნიდან იკუმშება **ɛ**-დ და ასევე წარმოითქმის XVI საუკუნიდან, როგორც პარიზული დააღექტის ნიშანი.

3. XVI-XVII საუკუნეებში ნაზალიზებული ხმოვნები ხდებიან ნაზალურები, ანუ მათი მომდევნო ცხვირისმიერი თანხმოვანი აღარ წარმოითქმის: ხდება იმპლოზიური **n**, **m**-ს ნაზალიზაცია, რაც, თავის მხრივ, იწვევს ცხვირისმიერი ხმოვნების მიერ ე.წ. „ისტორიული გრძლივობის“ შეძენას. ცხვირისმიერი **oe**, **e** იცვლებიან, შესაბამისად, **y**, **i**-დ და მოგვიანებით ორივე ხდება ღია, ცხვირისმიერ ხმოვანთა ღიაობისკენ ტენდენციის გავლენით.

4. დიფთონგი **au** XVI საუკუნეში ცოცხალ მეტყველებაში წარმოითქმის როგორც მონოფთონგი **o** და ამავე საუკუნის ბოლოს ეს წარმოთქმა განმტკიცდა საყველთაოდ.

5. ტრიფთონგი **eau** XVI საუკუნის ბოლოს შეკუმშა **au**-დ და შემდეგ **o**-დ; სალიტერატურო წარმოთქმაში **eo** შენარჩუნდა XVII საუკუნემდე.

6. XVI საუკუნეში ცხვირისმიერები: **ai**, **ei**, **i** დაემთხვენ ცხვირისმიერ ხმოვან **é**-ს, თუმცა ცხვირისმიერი დიფთონგი **éi**, გრამატიკოსთა აზრით, წარმოითქმოდა დიფთონგად XVII საუკუნემდე.

7. იმ შემთხვევაში, თუ **oi**-ს მოსდევს **s**, **t**, **x** თანხმოვნები, დიფთონგი წარმოიქმის როგორც **oa** XVI საუკუნეში.

8. უმახვილო ა ხმოვნის შემდეგ იკარგება XVI საუკუნიდან; თანხმოვანთა მომდევნო პოზიციაშიც, სასაუბრო მეტყველებაში, ასევე შეინიშნება მისი დაკარგვის ტენდენცია, სალიტერატურო ენაში კი ამ ბერის წარმოთქმა შენარჩუნდა XVII საუკუნემდე. უნჯი ა-ს (**e caduc**) ამოვარდნამ სიტყვის სხვადასხვა პოზიციაში გამოიწვია სხვადასხვა შედეგი: სიტყვის ბოლოში წარმოთქმაში გაჩნდა ბოლოკიდური მუღერი თანხმოვნები; ხმოვნის შემდეგ, სიტყვის ბოლოში ა-ს ამოვარდნამ გამოიწვია ამ ხმოვანთა დაგრძელება.

9. უმახვილო **u**, **y** პიატუსში წარმოითქმიან ნახევარხმოვნებად, შემდგომ კი XVI საუკუნეში – თანხმოვნებად **w**, **ẅ**.

10. XVI საუკუნეში ოწყება მახვილიან პოზიციაში დენაზალიზაციის პროცესი.

11. XVII საუკუნეში კვლავ გრძელდება ხმოვანთა დენაზალიზაციის პროცესი მახვილიან პოზიციაში და ვრცელდება უმახვილო პოზიციებზეც.

12. XVII საუკუნეში სალიტერატურო წარმოთქმაში მკვიდრდება ტრიფთონგ **eau**-ს შეკუმშვა მონიფორიზე **o**-დ.

13. XVII საუკუნეში დამკვიდრდა ხმოვანთა თვისებრივი განსხვავება მომდევნო წარმოთქმადი თანხმოვნის არსებობა-არარსებობასთან დაკავშირებით (ეს პროცესი დაიწყო XVI საუკუნეში).

14. XVII საუკუნეში დიფთონგი **wę** შენარჩუნებულია არისტოკრატთა მეტყველებაში, სხვა კლასთა წარმომადგენლების მეტყველებაში კი იგი ჟღერს როგორც **wa**.

ამგვარად, XVIII საუკუნის დასაწყისისათვის ჩამოყალიბდა ხმოვანთა სისტემა, რომელიც XX საუკუნემდე უცვლელი დარჩა. XX საუკუნის მეორე ნახევარში მოხდა ცვლილებები ფრანგული ენის ცხვირისმიერ ხმოვანთა ფონოლოგიურ სისტემაში: ცხვირისმიერმა ხმოვანმა **œ** დაკარგა ფონემის სტატუსი და საფრანგეთში, უმეტეს შემთხვევაში, წარმოითქმის როგორც ცხვირისმიერი **ɛ**.

IX საუკუნეში ფრანგულ ენაში იყო თანხმოვანთა შემდეგი შემადგენლობა:

ჩქამიერი ხშელები: **p**, **t**, **k**, **ku**, **b**, **d**, **g**, **gu**; ჩქამიერი ნაპრალოვნები: **f**, **v**, **s**, **z**, **h**, **θ**, **ð**; აფრიკატები: **ts**, **tš**, **d**, **dž**; სონანტები: **m**, **n**, **n̄**, **l**, **l̄**, **r**, **j**.

ამ სისტემაში მოხდა ცვლილებები:

1. XIII საუკუნეში აფრიკატებმა დაკარგეს მსკდომი ელემენტი: **ts**, **tš**, **dž** >**s**, **š**, **ž**.

2. XI საუკუნეში ინტერვოკალური **r**-ს წინ **θ**, **ð** შეიცვალა **t**-დ.

3. ძველფრანგული პერიოდის განმავლობაში, XIII საუკუნის ბოლოს, თანხმოვანთა სისტემიდან გაქრა **qu**, **gu**.

ამგვარად, თანხმოვანთა შემადგენლობა შეიცვალა XIII საუკუნის ბოლოს და გახდა ასეთი: ხშელები – **p**, **t**, **k**, **b**, **d**, **g**; ნაპრალოვნები – **f**, **s**, **v**, **z**, **ž**, **š**; სონანტები – **m**, **n**, **n̄**, **l**, **l̄**, **r**, **j**, **w**, **ẅ**.

XIV საუკუნიდან თანხმოვანთა სისტემაში არ ხდებოდა ისეთი მნიშვნელოვანი ცვლილებები, როგორებიც იყო წინამავალ პერიოდში: 1. XVI საუკუნეში დაი-

კარგა ხორხისმიერი **h**; 2. XVII საუკუნეში **r** წარმოითქმოდა არა როგორც წინა-ენისმიერი ბერა, არამედ როგორც ნაქისმიერი; 3. თანხმოვანთა ცვლილებები სიტყვის შუაში: ინტერვოკალურ პოზიციაში **r>z**; პოზიცია თანხმოვანთა ჯგუფ-ში: XVI საუკუნეში **r** ამოვარდება გარემომცველ თანხმოვნებთან ასიმილაციის ან დისიმილაციის შედეგად, ასევე აღარ წარმოითქმის ბოლოკიდური **e**-ს წინ და **rbr** კომპლექსში; **s** ქრება ნარნარებისა და ცხვირისმიერების წინ (XI საუკუნიდან) და სხვა თანხმოვნების წინაც (XII საუკუნიდან); XIV საუკუნიდან ბოლოკიდურ პოზიციაში თანხმოვნები გაბმულ მეტყველებაში აღარ წარმოითქმებოდა.

XIII საუკუნეში დამკვიდრებული თანხმოვანთა სისტემური მახსიათებლები არ შეცვლილა საშუალფრანგულის პერიოდში. თანხმოვანთა მთავარი ცვლილებები, რომლებიც მოხდა XIV-XVI საუკუნეებში, ეხებოდა ცვლილებებს გაბმულ მეტყველებაში (თანხმოვანთა ამოვარდნა, აღდგენა, მეტათეზა). სისტემიდან გაქრა ერთადერთი თანხმოვანი ფონემა – ფშვინვიერი „გერმანიკული“ **h**, მისი გაქრობა დაიწყო ჯერ კიდევ ძველფრანგულ ენაში.

4. **g, d-ს** პალატალიზაცია.

5. რბილი **l** იცვლება **yod**-ით; ეს პროცესი დაიწყო XVI საუკუნეში და გაგრძელდა ორი საუკუნის განმავლობაში.

XVIII საუკუნიდან ფრანგული ენის თანხმოვანთა სისტემას აქვს 20 ბერა: **p, b, t, d, k, g, m, n, n̄, f, v, s, z, l, r, j, ź, w, ū**. ეს სისტემა არ შეცვლილა და დღესაც ასეთივეა.

მოვახდინეთ რა 14 საუკუნის განმავლობაში ინგლისური და ფრანგული ენების ფონეტიკურ სისტემათა ცვლილებების ანალიზი, შეგვიძლია გამოვიტანოთ შემდეგი დასკვნა:

ფონეტიკური სისტემის ცვლილებებში გამოიყოფა სამი პერიოდი (ფორმირების, სტაბილურობისა და სისტემის დაშლის პერიოდები):

- ფორმირების პერიოდში ცვლილებათა რაოდენობა თანდათანობით იზრდება, აღწევს მაქსიმალურ რაოდენობას და თანდათანობით მცირდება;
- სტაბილურობის პერიოდი ხასიათდება ცვლილებათა არარსებობით და ინგლისურ და ფრანგულ ენებში გრძელდება ორ საუკუნეს;
- სტაბილურობის პერიოდის შემდეგ ფონეტიკურ სისტემაში იწყება ცვლილებები და ამ პერიოდს შეიძლება ვუწოდოთ სისტემის რღვევის პერიოდი.

ლიტერატურა:

Bourcier E., *Éléments de linguistique romane*, Paris, 1949.

Dauzat A., *Histoire de la langue française*, Paris, 1959.

Gimson A. C., *Pronunciation of English*, Cruttenden, Alan (ed.), 7th Edition, Hodder Education; London, 2008.

Gimson A. C., *Gimson's Pronunciation of English*, Cruttenden, Alan (ed.), 8th Edition, Routledge, London, 2014.

- Harris J., *English Sound Structure*, Blackwell, Oxford, 1994.
- Hélix L., *L'ancien français – Morphologie, syntaxe et phonétique*, Armand Colin, Paris, 2018.
- Roach P.*, British English: Received Pronunciation, *Journal of the International Phonetic Association*, 2004, 34 (2): 239-245, doi:10.1017/S0025100304001768.
- Roach P.*, *English Phonetics and Phonology: A Practical Course*, 4th Edition, Cambridge University Press, Cambridge, 2009.
- Wells J. C., *Sounds Interesting*, Cambridge University Press, Cambridge, 2014.

Tsiuri Akhvlediani, Giorgi Kuparadze

Periods of Changes of Phonetic Systems of English and French Languages

Summary

Any language system undergoes constant variability, but changes that include different levels of language, different parts of it, do not take place simultaneously. In order to demonstrate regularity in the history of language, the change in the regularity of these changes at all levels of the language, it is necessary to compare them in different languages.

In the present paper, we will deal with the phonetic level, compare the changes and their number in English and French languages in VII – XX centuries.

Changes in the Phonetic System of the English Language. The analysis must be started from VII century, i.e. from the earliest written monuments that are currently known. The vowel system of this period was a compact system with the equal number of short and long monophthongs and diphthongs.

Changes in the Phonetic System of the French Language.

Traditionally, the description of the history of the French language begins with the ancient written monument – “The Oaths of Strasbourg” (842 BC), or from the period of Old French (IX-XIII cc.), and then the period of Middle French is singled out (XIV-XVI cc.), and the last, the New French or Classical Language (XVII-XVIII cc.) the Modern French period (from the 19th century to present).

Having analyzed the changes in the phonetic systems of English and French on the basis of fourteen centuries, we can conclude:

In the changes of the phonetic systems of the languages under analysis, three periods (formation, stability, and system breakdown) can be singled out:


- During the formation, the number of changes is gradually rising, reaches maximum and gradually decreases;
- Stability period is characterized by the absence of changes, which in the English and French languages lasts for two centuries;
- After the stability period, changes in the phonetic system start and this period can be called system breakdown.

გ05 კვაშილავა

A კლასის ხაზოვანი MI-TA ფონეტის ამოკითხვა

შესავალი

წინამდებარე შრომაში წარმოდგენილია მინოსური ხანის A კლასის ხაზოვანი (LA) დამწერლობით შესრულებული HT 128 თიხის ფირფიტის წარწერა, რომელიც აღმოჩენილი იქნა კუნძულ კრეტაზე, პაგია ტრიადაში და დათარიღდა LM IB პერიოდით (GORILA 1976, I:XXVI, XXVII, 220-221; 1985, V:86), ანუ ძვ.წ. 1500-1450 წწ.-ებით.




1. HT 128 წარწერაში ბალაზოვანი მცენარის, მწვანილისა და სანელებლის, „პიტნის“ აღმნიშვნელი სახელი – ჲ[mi-ta]-ის მიმდევრობა დასტურდება. ქვემოთ მოცემულია ამ ნიშანთა გრაფიკული მოხაზულობა, ფონეტიკური მნიშვნელობები, ამოკითხვა ტიპოლოგიური პარალელებითა და კომენტარითურთ.

2. შეკრებილია mit-ფორმისა და მისი ალომორფების შემცველი „პიტნის“ აღმნიშვნელი სახელები, ფიტონიმები, რომლებიც დასტურდება ქართველურ და ინდო-ევროპულ ენათა ოჯახებისთვის.

mi-ta მიმდევრობის ამოკითხვა

HT 128 თიხის ფირფიტის ა მხარის A კლასის ხაზოვანი წარწერის .3 სტრიქონში დასტურდება  LA073, LA059, LA574=LA120+003 და LA707 ნიშანთა მიმდევრობა (იხ. სურ. 1). „სათესლე მარცვლეულის“ აღმნიშვნელი  LA574=LA120+003 [GRA+PA] ლიგატურის წინ წერია  LA073 და  LA059 ნიშნები და მის შემდეგ –  LA707 ნიშანი (იხ. კვაშილავა 2011:192, 182-184, 195-199; Kvashilava 2017:857, ცხრ. 2; Kvashilava 2011:252, 243-245, 255-259).  LA707 ნიშანი აღნიშნავს წილად რიცხვს, რომლის მნიშვნელობაა $\frac{1}{4}$ (Kvashilava 2017:863, ცხრ. 6). ვერ იკითხება ამ რიცხვის ქვედა ნიშანი, რომელიც, ჩემი ვარაუდით, შეიძლება იყოს  წილადი რიცხვი.



სურ. 1. HT 128 თიხის ფირფიტის ა მხარის
წარწერა GORILA 1976, I:220 221-ის მიხედვით

ამ წარწერაში  LA073 და  LA059 ნიშანთა მიმდევრობა, შესაბამისად, ამოიკითხება როგორც [mi] და [ta] მარცვლები, რაც ემთხვევა მიკენური ხანის B კლასის (LB) ხაზოვანი დამწერლობის  LB073 და  LB059 სილაბოვრამების [mi] და [ta] მნიშვნელობებს (შდრ. Ventris and Chadwick 1973:385, სურ. 27). ეს ნიშნები და მათი ფონეტიკური მნიშვნელობები I ცხრილშია წარმოდგენილი.

I ცხრილი. LAB073 და LAB059 ნიშნების გარიანტები
GORILA 1985, V:XXXVII, XXXIX და
Bennett 1966:298, 299, 304, 305-ის მიხედვით

ამდენად, A კლასის ხაზოვან **ლც** ნიშანთა მიმღევრობა ამოიკითხება ოოგორც [mi-ta] ფორმა.

A კლასის ხაზოვან **შეტე** [mi-ta *GRA+PA* ¼+½] მიმდევრობას შესაძლებელია დაგუკავშირო B კლასის ხაზოვანი MY Ge 602.5B და MY Ge 606.6 (აგრეთვე MY Ge 605.2A,6B) წარწერებში ფიქსირებული მიმდევრობა **სტეპი** [mi-ta *PE* 2]¹ (Jorro and Adrados 1999, I:454-455), რომელიც მ. ვენ-ტრისმა და ჯ. ჩედვიქმა (Ventris and Chadwick 1956:228; 1973:228) გაშიფრეს როგორც „mint 2 bunches“ – „პიტის 2 კონა“². ავტორებმა B კლასის ხაზოვანი მიმდევრობის **სტე**

¹ B ქლასის ხაზოვან MY Ge 603.1 ტექსტში აგრეთვე დასტურდება მიმღევრობა **ՄԵ** [mi-ta-qe] ≈ **ՄԵ** [mi-ta] (Jorro and Adrados 1999:455; შდრ. Ventris and Chadwick, 1956:229; 1973:229, 561).

² «*mi-ta*: abbreviated MI (mint?); counted with PE (numbers 1, 2 and perhaps 20). It is possible that PE represents some sort of measure; perhaps ‘bunch’. The use of *pe* in Cypriot as an abbreviation of the coin πέλεκυς can hardly be relevant. The plant is obviously μίνθα, μίνθη, some kind of mint, a common and widely distributed plant» (Ventris and Chadwick 1956:227, 226; 1973:227, 226, 561). «mint 2 bunches» (Ventris and Chadwick 1956:228; 1973:228), «*mi-ta*, MY 105=Ge 602+. A herb or spice: *mintha* ‘mint’, *Mentha viridis*. [μίνθα Hipponax 6 B.C.+, also μίνθη. Etym. unknown]» (Ventris and Chadwick 1956:400), «*mi-ta*, MY 105=Ge 602+. A spice: *mintha* ‘mint’, *Mentha viridis*. [μίνθα 6 B.C.+.]» (Ventris and Chadwick 1973:561).

[mi-ta] ფორმა გამოავლინეს როგორც ფიტონიმი, ბალახოვანი მცენარის აღმნიშვნელი სახელი: ო მანთა [hē mínt^ha] / ო მანთი [hē mínt^hē] – „პიტნა“³ (შდრ. Frisk 1972, III:153). ეს ფორმები, რომლებიც ძველ ბერძნულ ტექსტებში დასტურდება,⁴ „ა. მეიეს [Meillet 1908-1909:162] სამხრეთ ეკროპის ერთ-ერთი უცნობი ენითგან ნასესხებ სიტყვებ]ად მიაჩნია, რასაც ე. ბუაზაკიც [Boisacq 1916:639] იზიარებს“ (ჯავახიშვილი 1934, II:249, 250).

რ. ბეეკესის (Beekes 2010, I:621, II:955) მიხედვით, მანთა [mínt^hē], მანთა [mínt^hā], მანთის [mínt^hos] და ამ ფორმების ფუძის შემცველი კალამინთა [kalamínt^hē], კალამინთა [kalamínt^ha] და კალამინთის [kalámint^hos] წინარებერძნული წარმოშობის სიტყვებია.⁵ უფრო მეტიც, მანთა, მანთა და მანთის „პლაზგური ეტიმოლოგისაა“ („Pelasgische Etym.“), აცხადებს პ. ფრისკი (Frisk 1970, II:241-242). მანთა-ს პ. პეტერსონი (Petersson 1922:18) განიხილავს როგორც მცირეაზიურ ფორმას, რომელსაც რ. ლაფონმა (Lafon 1935:345-346), ა. ვალდემ და ი. ვალფანმა (Walde and Hofmann 1954, II:72) დაუკავშირეს ქართული სიტყვა „პიტნა“ [p'it'na].

„ნ. ბართაიას [2002:29-30] ვარაუდით – [ზემოხსენებული] „უცნობი ენა“ საერთოქართველურია, რადგან ბერძნულ „მინთასა“ და „კალამინთას“ ეტიმოლოგია ქართველურის ნიადაგზე უკეთ იხსნება, სემანტიკურად უფრო გამჭვირვალეა

³ ბერძნულ მითში დასტურდება ფიტონიმი და თეონიმი მინთ/მინთა [Mínt^hē/Mínt^ha] (Kretschmer 1922:106-107). მითის მიხედვით, მცენარე პიტნის წარმოშობა მიწისქვეშეთის მმართველის, ჰადესის სასიყვარულო ამბავს უკავშირდება. „... [ჰადესმა] მოხიბლა წყაროს ნიმფა ... მინთე ... და ოოლად შეაცდენდა კიდეც მას, [მისი ცოლი] პერსეფონე რომ არ გამოჩენილიყო წამიერად... მყისვე სიცოცხლეს გამოასალმა ასული მიწისქვეშეთის დელიფალმა. მინთეს დაღუპვის ადგილას სურნელოვანი ბალახი პიტნა ამოიზარდა“ (ჯულელი 1988:48).

A და B კლასის ხაზოვნ წარწერებში დადასტურდებული mi-ta – „მითა“როგორც თეონიმი არ ჩანს, მაგრამ B კლასის ხაზოვნ წარწერებში (იხ. KN Dv 1292.B, KN Dl 463.B და PY An 172.4 ტექსტები) ფიქსირდება შემდეგი ანთროპონიმები: **νέτ** [mi-ta-qo]; **νή** [mi-ti] – *Μίτις [*Mítis], Mítus [Mítyś], Mítawas [Mítōs]; **νήπιος**, [mi-ti-no] (Ventris and Chadwick 1973:562; Jorro and Adrados 1999, 1:454); შდრ. ქართველური ანთროპონიმები: მითა [Mit^hai], მიტო [Mit'o], მინტა [Mint'a], გვარი მითაიშვილი [Mit^haišvili] (ღლონტი 1986:162, 163, 286).

⁴ Hippocrates, *The Sacred Disease* II.21, Jones 1959:142; Theophrastus, *De causis plantarum* II.16.2-5; Theophrastus, *Enquiry into Plants* II.IV.1, Hort 1916, I:122; Strabo 8.3.14.344, Jones 1954:50; Dimitrakos 1964, IX:4702; Andrews 1958:127, 129; Beekes 2010, II:955; Beekes 2014:64.

⁵ კალამ-ინთის [kalám-int^h-os] და კალამ-ინთ-ე [kalam-ínt^h-ē] ფორმებში, ე. ბუაზაკის (Boisacq 1916:397), ე. შვიცერისა (Schwyzer 1939, I:526) და პ. შანტრენის (Charntraine 1968, I:483; შდრ. Ventris and Chadwick 1956:xix, 1973:xxiii; Frisk 1960, I:760; Beekes 2010, I:xxxviii, 621; გორდეზიანი 2007, II:76-79) მიხედვით, -ინთ- [-int^h-] კომპლექსი არაბერძნული, არაინდოევროპული წარმოშობისაა.

და გაცილებით მეტი არგუმენტია ამ ტერმინის ქართველური წარმოშობის სა-სარგებლოდ“ (ივანიშვილი 2015).

ეს წანამძღვარები შესაძლებლობას იძლევა, რომ A და B კლასის ხაზოვან [mi-ta] მიმდევობას დავუკავშიროთ საერთოქართველური *მით-აჯ [*mit^h-aj] არქეტიპი, რომელიც „პიტნის“ აღმნიშვნელი სახელია. ლიტერატურაში (გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965; Gamkrelidze 1966; კვაშილავა 2018:7-9; Kvashilava 2018: 453-454) მოყვანილი ლინგვისტური მასალის მიხედვით, ქვემოთ წარმოდგენილია საერთოქართველურ ფუძეენაზე ამ არქეტიპისა და მისი ალომორფების აღდგენა.



ჩიტი და პიტნა. აღდგენილი ფრესკის ნაწილი, კნოსოსი, ძვ.წ. 1650–1550 წწ.
კრეტა, პერაკლიონის არქეოლოგიური მუზეუმი



პიტნა

საერთოქართველური *მი(ნ)თ(უ)- [*mi(n)t^h(w)-] ფუძისა და მისი ალომორ-ფების აღდგენა

ქართველური მი(ნ)თ(უ)- [mi(n)t^h(w)-] ფუძის შემცველი ფორმები წარმოდგენილია შემდეგ ცხრილში:

ქართული *მინთ- [*mint ^h -]	*მინთ-ა [*mint ^h -a] – „პიტნა“ (გორდეზიანი 2007, II:453, 33).
--	--

მეგრული მით- [mit ^h -], -მი(ნ)თ- [-mi(n)t ^h -]	მით-ა [mit ^h -a] – „პიტნა“ (ქაჯაია 2002, III:219; გორდეზიანი 2008, IV:73, 32); ცვალ-მით-ა [?val-mit ^h -a], ცვალ-რი-მით-ა [?val-lim-mit ^h -a], ცვალ-მინთ-ა [?val-mint ^h -a], ცვალ-რი-მინთ-ა [?val-lim-mint ^h -a] – „ტყის პიტნა“ (ქაჯაია 2002, III:219; შდრ. მაყაშვილი 1991:51, 66, 150; შენგელია 1979:137); ცვალ-ი-მითა [?wal-lim-mint ^h -a] – „პიტნა“ (ქაჯაია 2009, IV:534); ცვალ-ი-მითა [?val-i-mit ^h -a], ცვალ-ი-მინთ-ა [?val-i-mint ^h -a] ⁶ – „[პიტნით] გადაზელილი ყველი“ (კიპშიძე 1914:418, 299; შდრ. Lafon 1935:345); ცვალ-მინთ-ა [?val-mint ^h -a] – „პიტნა“, „ყველის პიტნა“ (ქობალია 2010:653; შენგელია 1979:139); ცვალ-მინთ-ამ-ი [?val-mint ^h -am-i] – „პიტნით გადაზელილი ყველი (გებულია), პიტნით შენელებული დაფშვნილი ჭყინტი ყველი“ (ქობალია 2010:653).
---	--

ლაზური მინთ- [mint ^h -]	მინთ-ა [mint ^h -a] – „მეთა“ (Mappр 1910:167), „პიტნა“; „ომბალო“ (ქირია და სხვ. 2015:815).
---------------------------------------	--

სვანური მინთუ [mint ^h w], მინთვ [mint ^h v], მინთ- [mint ^h -]	მინთუ [mint ^h w] – „პიტნა“; „ომბალო“ (თოფურია, ქალდანი 2000:1527, 1834; შდრ. მაყაშვილი 1991:58, 66); მინთვ [mint ^h v], მინთ-რო [mint ^h -r] – „პიტნა“ (მაყაშვილი 1991:66, 155; შენგელია 1979:137, 138).
--	--

II ცხრილი

⁶ რთული ფუძის მქონე მეგრული სიტყვა ცვალ-ი-მი(ნ)თ-ა [?val-i-mi(n)t^h-a] დაიშლება ორ ფორმად: ცვალ-ი [?val-i] – „ყველი“ და მი(ნ)თ-ა [mi(n)t^h-a] – „პიტნა“; ანუ ცვალ-ი მი(ნ)თ-ა [?val-i mi(n)t^h-a] კომპოზიტის მნიშვნელობაა „ყველის პიტნა“ (შდრ. უვახვაშვილი 1934, II:249; Lafon 1935:345; შენგელია 1979:139; ქაჯაია 2002, III:219; ბართაია 2002:29).

თ. გამყრელიძისა და გ. მაჭავარიანის (1965:366-367) ფუძემდებლური თეორიის მიხედვით, ქართველური მი(ნ)თ(უ)- [mi(n)t^h(w)-] სახელური ფუძის შედარებითი და შინაგანი რეკონსტრუქციის გზით, შესაძლებელია საერთოქართველურისთვის „პიტნის“ აღმნიშვნელი სახელური არქეტიპის აღდგენა.

„ფუძის მონოვოკალურობის პრინციპის“ მიხედვით (იხ. გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965:309, შდრ. 243; კვაშილავა 2014:35-36; Kvashilava 2016:111), ოუ { *მი(ნ)თ(უ)- [*me(n)t^h(w)-] / *მი(ნ)თ(უ)- [*ma(n)t^h(w)-] } არქეტიპის რედუცირებულ-საფეხურიანი { *მი(ნ)თ(უ)- [*mi(n)t^h(w)-] } ფუძისეული მორ-ფემა, შესაბამისად, შეუდლდება ნორმალურ საფეხურზე წარმოდგენილ { *-ედ [*-ej] / *-ად [*-aj] } სუფიქსურ მორფემასთან, მაშინ მიიღება შემდეგი მიმდევრობათა სიმრავლე:

- (1) { *მი(ნ)თ(უ)-ედ/-ად [*mi(n)t^h(w)-ej/-aj] } – „პიტნა“.

აგრეთვე აღდგება რთული მიმდევრობათა სიმრავლე:

- (2) { *ყუელ - ი-მი(ნ)თ(უ)-ედ/-ად [*q'wel-i-mi(n)t^h(w)-ej/-aj] / *ყუალ - ი-მი(ნ)თ(უ)-ედ/-ად [*q'wal-i-mi(n)t^h(w)-ej/-aj] } – „ყველის პიტნა“.⁷

ლიტერატურის (შდრ. გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965:198, 306, 368; Gamkrelidze 1966:80, 3.3; Saussure 1879:135) მიხედვით:

- (1) და (2) სიმრავლეთა ელემენტების ფუძისეულ მორფებში ლაბიალური *უ / *w/ სონანტის უმარცვლო *უ [*w] ალოფონი მჭიდროდ ეკვრის წინმავალ მარტივ *ყ [*q'] და *თ [*t^h] თანხმოვნებს და მათთან ერთად ქმნის ქართველურ სტრუქტურაში ყველაზე უფრო ხშირ და უაღრესად ბუნებრივ *ყ+უ [*q'+w] და *თ+უ [*t^h+w] კომპლექსებს, რომლებიც, ფუძის მორფონოლოგიური სტრუქტურის თვალსაზრისით, ფუნქციურად, შესაბამისად, უტოლდება ცალ კონსონანტურ ფონეტებს: *ყ / *q' / და *თ / *t^h.
- (1) და (2) სიმრავლეთა ელემენტების ფუძისეულ და სუფიქსისეულ მორფებში პოსტულირებულია *ე [*e] / *ა [*a] ხმოვანთა თავისუფალი მონაცვლეობა.

ამგვარად, (1) და (2) სიმრავლეთა ელემენტებისთვის სრულდება შემდეგი ტოლობები:

$$*მი(ნ)თ- [*mi(n)t^h-] = *მი(ნ)თუ- [*mi(n)t^hw-];$$

$$\begin{aligned} *ყუელ - ი-მი(ნ)თ- [*q'wel-i-mi(n)t^h-] &= *ყუელ - ი-მი(ნ)თ(უ)- [*q'wel-i-mi(n)t^h(w)-] = *ყუალ - ი-მი(ნ)თ- [*q'wal-i-mi(n)t^h-] = *ყუალ - ი-მი(ნ)თ(უ)- [*q'wal-i-mi(n)t^h(w)-]. \end{aligned}$$

⁷ ამ თეორის მიხედვით, აღდგება საერთოქართველური *ყუელ-ედ/-ად [*q'wel-ej/-aj] / *ყუალ-ედ/-ად [*q'wal-ej/-aj] მიმდევრობა, რომლიდან მიიღება შემდეგი ფორმები: ქართული ყველ - ი [q'vel-i]; ზანური ყუალ - [?wal-] – „კველი“; ლაზური ყვალ - ი [?val-i], ყვალ - ი [q'val-i], კვალ - ი [k'val-i] – „კველი“; მეგრული ყვალ - ი [?val-i] (შდრ. ქირია და სხვ. 2015:857), უტალ-ი [?wal-i] (შდრ. ქაჯაია 2009, IV:534).

რეკონსტრუირებული ფუძისეული და სუფიქსისეული მორფემები, შესაბამისად, განეკუთვნება CVC- და -VS სტრუქტურულ ტიპებს, რომლებიც საერთო-ქართველურ მორფემათა ძირითად კანონიკურ ფორმებს წარმოადგენს (შდრ. გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965:304, 318, 368).

ამდენად, ზემოთ წარმოდგენილი ქართველური მასალის შესწავლა ადასტურებს A კლასის ხაზოვანი დამწერლობის **მი** [mi-ta] მიმდევრობის საერთოქართველურ ენაზე ამოკითხვას.

დანართი

თ. გამყრელიძისა და გ. მაჭავარიანის (1965:366-372) თეორიის მიხედვით, აღდგება საერთოქართველური მიმდევრობა **მე(ნ)თ(უ)-* [**me(n)t^h(w)-*] / **მა(ნ)თ(უ)-* [**ma(n)t^h(w)-*] / **მ(უ)ე(ნ)თ-* [**m(w)e(n)t^h-*] / **მ(უ)ა(ნ)თ-* [**m(w)a(n)t^h-*] / **მ(უ)ი(ნ)თ-* [**m(w)i(n)t^h-*] / **მუ(ნ)თ-* [**mw(n)t^h-*] / **მი(ნ)თ(უ)-* [**mi(n)t^h(w)-*], რომლის მნიშვნელობაა „პიტნა“.

ამ მიმდევრობის ტიპოლოგიური პარალელები ქვემოთ წარმოდგენილია.

- საერთოქართველური A კლასის ხაზოვანი **მი** [mi-ta] (ძვ.წ. XV ს.), **მი(ნ)თ(უ)-ე/ა-* [**mi(n)t^h(w)-e/a-*] > მიკენური ბერძნული B კლასის ხაზოვანი **მი** [mi-ta] (ძვ.წ. XIV–XIII ს.) > წინარებერძნული ჩ მინთ-ი *[^hē mínt^h-ē]*, ჩ მინთ-ა *[^hē mínt^h-ă]*, ჩ მინთ-იც *[^hē mínt^h-os]* (ძვ.წ. VI ს-დან) > ლათინური *menta* (ახ.წ. I საუკუნიდან, Pliny, *Natural History* XXIV. LXXXI. 130, XXVI. LXXIV.121: Jones 1956, VII:92, 356; შდრ. Walde and Hofmann 1954, II:72; Frisk 1970, II:241–242; Chantraine 1974, III:704; Beekes 2010, II:955), *mentha* > ონგლო-საქსური *minite*; ონგლისური *mint* [mɪnt], *mentha* ['menθə]; საშუალო ზემოგერმანული *minze*, *münze*; ძვ. ზემოგერმანული *minza*, *munza*; თანამედროვე ზემოგერმანული *Münze*; გერმანული *Minze*; სანსკრიტი **मथ्** [math], **मन्थ्** [manth] – „პიტნა“ და სხვა ინდოევროპული სიტყვა (შდრ. Monier-Williams 1960:777);
- ქართველური **მინთ-ა* [**mint^h-a*] > (?) **ბინთ-ა* [*bint^h-a*] > **პინთ-ა* [*p'int^h-a*] > **პით-ა* > [*p'it^hn-a*] > *პიტნ-ა* [*p'it'n-a*] – „პიტნა“ (გორდეზიანი 2007, II:453, 33);
- ლათინური *menta* > ბასკური *menda* – „menta“ (შდრ. Azkue 1906, II:29), „პიტნა“;
- ბასკური *batan*, *patan* – „menta“ (Azkue 1905, I:137; 1906, II:159), „პიტნა“; რ. ლაფონმა (Lafon 1935:345) ბასკურ *patan* ფორმას შეადარა: ქართული *პიტ-ნ-ა* [*p'it'-n-a*]; მეგრული *პიტ-ინ-ე* [*p'it'-in-e*] – „მეთა“, „პიტნა“ (შდრ. Кипшиძე 1914:299; ქაჯაია 2002, II:486; ქობალია 2010:563; მაყაშვილი 1991:58, 149); სვანური *პიტ-ნ-აჟ* [*p'it'-n-äj*] (ბალსზემ.), *პიტ-ნ-აღ* [*p'it'-n-aj*] (ლაშხ.), *პიტ-ნ-ა* [*p'it'-n-ä*] (ლენტ.) – „პიტნა“ (ოოფურაა, ქალდანი 2000:1527)

- და ოსური betina – „პიტნა“; აგრეთვე შდრ.: ქართული პიტ-ნ-არ-ა [p'it'-n-ar-a] (ჯავახიშვილი 1934, II:251), ქართული (კახური) პიტ-ნ-ურ-ა [p'it'-n-ur-a] – „პიტნა“ (მაყაშვილი 1991:66);
- საერთოქართველური *ყუბლ - ა-მინთ-ე/ა- [*q'wal-a-mint^h-e/a-] = *ყალ-ა-მინთ-ე/ა- [*q'al-a-mint^h-e/a-] > წინარებერმნული კალ-ა-მინთ-ე [kal-a-mínt^h-ē] (შდრ. Aristophanes, *The Ecclesiazusae* 648, Rogers 1902:98; Beekes 2014:64; Andrews 1958:128; შენგალია 1979:139), კალ-ა-მინთ-ა [kal-a-mínt^h-a]; წინარებერმნული კალ-ა-მინთ-ის [kal-á-mínt^h-os] – „mint“ (შდრ. Pape 1849, I:1192; Babiniotis 2002:814); შდრ. წინარებერმნული კალ-ა-მინთ-ინე [kal-a-mínt^h-ínē], კალ-ა-მინთ-იოს [Kal-a-mínt^h-ios], კალ-ა-მინთ-ითეს [kal-a-mínt^h-ítēs], კალ-ა-მინთ-ობის [kal-a-mínt^h-ódēs] (შდრ. Frisk 1960, I:760; Chantraine 1970, II:483; Beekes 2010, I:621);
 - მეგრული ლუალ-მით-ა [?wal-mit^h-a] > აფხაზური ა-ხეალ-მიტ-ა [ა-ჭალ-მიტ-ა] – „პიტნა“ (ჯავახიშვილი 1934, II:248, 249; ლომთათიძე 1999:25);
 - საერთოქართველური A კლასის ხაზოვანი **ლი** [mi-ta] (ძვ.წ. XV ს.), *მი(ნ)თ-ე/ა- [*mi(n)t^h-e/a-] > მიკენური ბერმნული B კლასის ხაზოვანი **ლი** [mí-ta-qe] (ძვ.წ. XIV–XIII სს.) > წინარებერმნული მინთ-ე [mínt^h-ē], მინთ-ა [mínt^h-ā] (ძვ.წ. VI ს-დან) – „პიტნა“ > საშუალო სპარსული *būdanag / *pūtanak (ძვ.წ. III–ახ.წ. IX სს.) – „pennyroyal“, „ომბალო“;
 - სპარსული **بودنگ** [būdang] – „pennyroyal“, „pulegium“ (Johnson 1852:257); **پوتانک** [pūtank] – „pulegium“, „pennyroyal“ (Johnson 1852:288), „ომბალო“;
 - საშუალო სპარსული *pūtanak > ქართული პიტ-ნ-აკ-ი [p'it'-n-ak'-i] (შდრ. ორბელიანი 1991:627; მაყაშვილი 1991:58) – „პიტნა“ (შდრ. ჯავახიშვილი 1934, II:250; ბართათა 2002:28; ივანიშვილი 2015);
 - საშუალო სპარსული *pūdanag (Dietrich 1988:no.III 30, 36) > არაბული **فونج** [fūdanaj] > **فوتنج** [fūtanaj] – „pennyroyal“, „mint“ (შდრ. Johnson 1852:939), „პიტნა“ (შდრ. ჯავახიშვილი 1934, II:250);
 - საშუალო სპარსული *pūdanag > ებრაული **פונגה** [pūtənag], **פונק** [pūtənaq] (ახ.წ. II ს-დან, შდრ. Levi 1803:574) – „pennyroyal“, „ომბალო“;
 - სპარსული **پودینه** [pūdīna(e)] – „mint“, „spearmint“ (Johnson 1852:289); სპარსული დიალექტური ფორმები **دلیجان** [pīdūna], **جوشقان** [pōdūna], **کمجان** [pūtna], **هنجن** [pūtūna], **پارند** [pūtana] – „pennyroyal“ (Asatrian 2011:649, 935, 978, 1006, 1014), „ომბალო“ > ქართული პიტ-ნ-ა [p'it'-n-a] (შდრ. ორბელიანი 1991:626) > ოსური bitna / bitina – „მეთა“ (შდრ. Walde and Hofmann 1954, II:72; Абаев 1958, I:263), „პიტნა“ (შდრ. ბართათა 2002:27, 28; ივანიშვილი 2015);
 - სპარსული **بودنه** [pūdīna] – „mint“ (Johnson 1852:289) > სანსკრიტი **पुदीन** [pudīna] (XVI ს-დან, შდრ. Nighaṇṭ Ratnākar 1936) – „პიტნა“.

ლიტერატურა:

- ანდრონიკაშვილი 1966:** მ. ანდრონიკაშვილი, ნარგვები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, I, თსუ გამომცემლობა, თბილისი.
- ბაგრატიონი 1986:** ი. ბაგრატიონი, საბუნებისმეტყველო განმარტებითი ლექსიკონი, ტექსტი გამოსცემად მოაშადეს, გამოვლენა და საძიებლები დაურთეს თ. ენუქიძემ და ნ. კიკაძემ, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი.
- ბართაია 2002:** ნ. ბართაია, ერთი მცენარის აღმნიშვნელ ტერმინთა ორგვლივ (პიტნა, პიტნაგ, ფალმინთა, მინთოორ//მინთუ), უკრნალი „ქართველური მეცნიერება“, ტ. VI, 27-31.
- გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965:** თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, სერთოქართველური სტრუქტურის ტაბოლოვა, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი.
- გორდეზიანი 2007, 2008:** რ. გორდეზიანი, მედიტერანულ-ქართველური მიმართებები: საწყისები; წინაბერძნებული; ეტრუსკული, დასკვნითი კომენტარები; რეზიუმე, ინდუქსი, წიგნი I-IV, გამომცემლობა „ლოგოსი“, თბილისი.
- თოფურია, ქალდანი 2000:** ვ. თოფურია, მ. ქალდანი, სვანური ლექსიკონი, თბილისი.
- ივანიშვილი 2015:** მ. ივანიშვილი, მცენარეთა სახელების ნახესხები ფუძეები ქართულ ოთხთაგში, უკრნალი „ქართველოლოგი“, №8(23), თსუ, ქართველოლოგიური სკოლის ცენტრის გამოცემა, <http://kartvelologi.tsu.ge/public/ge/arqive/11/5>
- კვაშილავა 2011:** გ. კვაშილავა, A ხაზოვანი და მისი მონათესავე დამწერლობებით შესრულებული წარწერების ამოკითხვა პროტო-ქართველურ-კოლხურ ენაზე, კრებული „ისტორიულ-ეთნოლოგიური ძიებანი“, XIII, ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, თბილისი, 161-226; უკრნალი „ქართველოლოვა“, №2, №3, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 5-29, 5-50.
- კვაშილავა 2014:** გ. კვაშილავა, ka-ti – ჭურჭლის აღმნიშვნელი სახელის ამოკითხვა HT 63 (HM 57) თიხის ფირფიტის A კლასის ხაზოვან წარწერაში, უკრნალი „ქართველოლოგია“, №2, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 31-39.
- კვაშილავა 2018:** გ. კვაშილავა, A კლასის ხაზოვანი წარწერების ამოკითხვა საერთოქართველურ ენაზე: qa-pa3 – „ჭურჭლის“ აღმნიშვნელი სახელი, უკრნალი „ქართველოლოგია“, №2, თბილისი, 5-21.
- ლომთათიძე 1999:** ქ. ლომთათიძე, აფხაზურსა და ქართველურ ენებში არსებული ზოგი საერთო ფუძის ნახესხების მიმართულებისათვის, „არნოლდ ჩიქობავას საკითხავები“, X ტ., სამეცნიერო სესიის მასალები, თბილისი.
- მაყაშვილი 1991:** ა. მაყაშვილი, ბოტანიკური ლექსიკონი: მცენარეთა სახელწოდებანი, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი.
- ორბელიანი 1991, 1993:** სულახ-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, I, II ტ., გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი.
- ქაჯაია 2001, 2002, 2009:** რ. ქაჯაია, მეცნიერებულ-ქართული ლექსიკონი, I-IV ტ., გამომცემლობა „ნეკერი“ და „ინოვაცია“, თბილისი.
- ქირა და სხვ. 2015:** ჭ. ქირა, ლ. ეზუგბაია, ო. მემიშიში, მ. ჩუხუა, ლაზურ-მეცნიერებრამატიკა, მორფოლოგია, I ტ., გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი.

- ღღონტი 1986:** ა. ღღონტი, ქართველური საკუთარი სახელუბა, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი.
- შენგელია 1979:** გ. შენგელია, უძველესი კოლხურ-იბერიული მედიცინა, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი.
- ჯავახიშვილი 1934:** ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს კონფიდენციალური ისტორია, II ტ., ტბილისი.
- ჯუღელი 1998:** ვ. ჯუღელი, ზღვა და მიწისქვეშეთი, ძვირე ლიტერატურა, პროგრამა „ლოგოსი“, თბილისი.
- Абаев 1958, 1973, 1979, 1989, 1995:** В. И. Абаев, *Историко-этимологический словарь осетинского языка*, Т. 1-4, Издательство „Наука“, Ленинград.
- Кипшидзе 1914:** И. А. Кипшидзе, *Грамматика мингрельского (иверского) языка съ хрестоматией и словаремъ*, *Материалы по яфетическому языкоизнанию*, VII, Типографія императорской Академіи наукъ, Санкт-Петербургъ.
- Марръ 1910:** Н. Я. Марръ, *Грамматика чанскаго (лазскаго) языка съ хрестоматией и словаремъ*, *Материалы по яфетическому языкоизнанию*, II, Санкт-Петербургъ.
- Andrews 1958:** A. C. Andrews, *The Mints of the Greeks and Romans and their Condimentary Uses*, *Osiris*, Vol. 13, The University of Chicago Press, 127-149.
- Asatrian 2011:** G. S. Asatrian, *A Comparative Vocabulary of Central Iranian Dialects*, Safir Ardehal Publications, Tehran.
- Azkue 1905, 1906:** R. M. de Azkue, *Diccionario Vasco-Español-Francés*, Bilbao, Paris.
- Babiniótis 2002:** Γ. Μπαμπινιώτης, *Λεξικό τής Νέας Έλληνικής γλώσσας*, Αθήνα.
- Beekes 2010:** R. Beekes, *Etymological Dictionary of Greek*, I and II Vol-s, with the assistance of L. van Beek, Brill, Leiden and Boston.
- Beekes 2014:** R. S. P. Beekes, *Pre-Greek: Phonology, Morphology, Lexicon*, Ed. by Stefan Norbruis, Brill, Leiden and Boston.
- Bennett 1966:** E. L. Bennett, Some Local Differences in the Linear B Script, *Hesperia*, Vol. 35, Issue 4, 295-309.
- Boisacq 1916:** É. Boisacq, *Dictionnaire Étymologique de la Langue Grecque, Étudiée dans ses rapports avec les autres langues Indo-Européennes*, Heidelberg, Paris.
- Chantraine 1968, 1970, 1974, 1977, 1980:** P. Chantraine, *Dictionnaire étymologique de la langue grecque*, Histoire des mots, Éditions Librairie Klincksieck, Paris, T. I: 1968; T. II: 1970; T. III: 1974; T. IV-1: 1977; T. IV-2: 1980.
- Dimitrákos 1964:** Δ. Δημητράκος, *Μέγα λεξικόν ὀλης τῆς Έλληνικής γλώσσης*, Τόμοι I-XV, Αθῆναι.
- Dietrich 1988:** A. Dietrich, *Dioscurides Triumphans: Ein anonymer arabischer Kommentar (Ende 12. Jahrh. n. Chr.) zur Materia medica*, 2 Vol-s, Göttingen.
- Frisk 1960, 1970, 1972:** H. Frisk, *Griechisches etymologisches Wörterbuch*, Bd. 1-3, Winter, Heidelberg.
- Gamkrelidze 1966:** T. V. Gamkrelidze, A Typology of Common Kartvelian, *Language*, Journal of the Linguistic Society of America, Vol. 42, Issue 1, Waverley Press, Baltimore, 69-83.

- Gorila 1976, 1976, 1979, 1982, 1985:** L. Godart and J.-P. Olivier, *Recueil des Inscriptions en Linéaire A*, 5 Vol-s, Librairie Orientaliste P. Geuthner, Paris.
- Hort 1916:** A. Hort, *Theophrastus: Enquiry into Plants, and Minor Works on Odours and Weather Signs*, with an English translation by Sir A. Hort, Vol. I, W. Heinemann, London.
- Johnson 1852:** F. Johnson, *A Dictionary in Persian, Arabic and English*, Published under the Patronage of the Honourable East-India Company, London.
- Jones 1954:** H. L. Jones, *The Geography of Strabo*, with an English Translation by H. L. Jones, In Eight Volumes, Vol. 4, Harvard University Press, Cambridge, MA.
- Jones 1959:** H. L. Jones, *Hippocrates*, with an English Translation by H. L. Jones, Vol. II, Harvard University Press, Cambridge, MA.
- Jones 1956:** W. H. S. Jones, *Pliny, Natural History*, Vol. VII, Books XXIV–XXVII, with an English Translation in Ten Volumes, Translated by W. H. S. Jones, Harvard University Press, Cambridge, MA.
- Jorro and Adrados 1999:** F. A. Jorro and F. R. Adrados, *Diccionario Griego-Español, Diccionario Micénico (DMic)*, I, II Vol-s, Redactado por F. A. Jorro, Bejo la dirección de F. R. Adrados, Salamanca.
- Kretschmer 1896:** P. Kretschmer, *Einleitung in die Geschichte der griechischen Sprache*, Göttingen.
- Kretschmer 1922:** P. Kretschmer, Mythische Namen, *Glotta*, Bd. 12/1-2, 103-107.
- Kretschmer 1940, 1943:** P. Kretschmer, Die Vorgriechischen Sprache- und Volksschichten, *Glotta*, Bd. 28, H. ¾, 1940:231-278; *Glotta*, Bd. 30, 1943:84-218, 244-246.
- Kretschmer 1953:** P. Kretschmer, Die Leleger und die ostmediterrane Urbevölkerung, *Glotta*, Bd. 32/3.4, 161-204.
- Kvashilava 2011:** G. Kvashilava, Decipherment of the Inscriptions of Linear A and its Related Scripts in the Proto-Kartvelian-Colchian Language, *Studies in History and Ethnology*, Vol. XIII, The Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology, Tbilisi, 227-310.
- Kvashilava 2016:** G. Kvashilava, On Reading the Vessel Name – KA-TI of Linear A Inscription on Tablet HT 63 (HM 57), *Issues of Linguistics*, 2016, Ivane Javakhishvili Tbilisi State University Press, Tbilisi, 2017, 108-118.
- Kvashilava 2017:** G. Kvashilava, On the Decipherment of Linear A Inscriptions in the Common Colchian Language: Mathematics, *International Science and Technology Conference Proceedings*, Harvard University, Cambridge, MA, August 16-18, 2017, 856-864.
- Kvashilava 2018:** G. Kvashilava, On Decipherment of the Inscriptions of Linear A in the Common Kartvelian Language: qa-pa₃ – a Vessel for Liquid, *Proceedings Books*, International Science and Technology Conference, Paris, 18-20 July, 2018, 451-462.
- Lafon 1935:** R. Lafon, Noms «méditerranéens» de la «menthe» en basque, *La Revue internationale des études basques*, Vol. XXVI/2, 345-346.
- Levi 1803:** D. Levi, *Lingua Sacra: In Three Parts*, Vol. III, London.
- Meillet 1908–1909:** A. Meillet, De quelques emprunts probables en grec et en latin, *Mémoires de la société de linguistique de Paris*, XV, Paris, 161-164.

Nigha □ □ Ratnākar 1936: A Compendium of the System of the Hindū Medicine, edited by bhiṣagavarya late Kṛṣṇāśāstrī R. Navre, collated with spacious notes by Laxman Śāstrī Pañśīkar and Kṛṣṇājī Viṭṭhal Soman, Nirṇaya-sāgar Press, Bombay.

Pape 1849: W. Pape, *Handwörterbuch der Griechisch-Dutsch*, Bd. I, Braunschweig.

Petersson 1922: J. K. H. Petersson, *Griechische und lateinische Wortstudien*, Lindstedt, Lund.

Rogers 1902: B. B. Rogers, *The Ecclesiazusae of Aristophanes: Acted at Athens in the Year B. C. 393*, the Greek Text Revised, with a Translation Into Corresponding Metres, Introduction and Commentary by B. B. Rogers, London.

Saussure 1879: F. de Saussure, Mémoire sur le système primitif des voyelles dans les langues indo-européennes, B. G. Teubner Publishers Leipsick.

Schwyzer 1939, 1950, 1953, 1971: E. Schwyzer, *Griechische Grammatik. Auf der Grundlage von Karl Brugmanns Griechischer Grammatik*. C. H. Beck'sche Verlagsbuchhandlung, Bd. I (Allgemeiner Teil, Lautlehre, Wortbildung, Flexion), München, 1939; Bd. II (Syntax und syntaktische Stilistik), 1950; Bd. III (Register), 1953; Bd. IV (Stellenregister), 1971.

Ventris and Chadwick 1956, 1959, 1973: M. Ventris, J. Chadwick, *Documents in Mycenaean Greek*, Cambridge University Press, Cambridge.

Walde and Hofmann 1938, 1954: A. Walde, J. B. Hofmann, *Lateinisches etymologisches Wörterbuch*, Bd. 1, 2, Heidelberg.

Gia Kvashilava

On Reading Linear A Sequence *mi-ta*

Summary

Linear A inscription on HT 128 clay tablet is studied in the paper. The tablet was found in Crete, in Hagia Triada, and was dated back to LM IB period (1500-1450 BC).

1. The sequence of LA073 and LA059 signs is read as [mi-ta];
2. [mi-ta] is presented as South Caucasian – Common Kartvelian archetype denoting the name of *mint*, which displays regular phonological and semantic correspondence with the Georgian material. Regular correspondences of root, as well as affixal morphemes, are presented in the paper;
3. *mi-ta* is semantically interpreted as Common Kartvelian *θooθ-əq/-əq [*mit^h-aj/-ej] archetype the meaning of which is grass-like, herbaceous plant for seasoning, *pitna* – mint. This archetype phonologically and semantically regularly corresponds to the Kartvelian material;
4. The archetype *θooθ-əq/-əq [*mit^h-aj/-ej] is structurally of CVC-VC type which is the main canonical form of the Common Kartvelian language;
5. The study of Kartvelian language material confirms the reading of Linear A sequence [mi-ta] in the Common Kartvelian language.

ქართული არგუმენტაციული სტრუქტურების ლინგვისტური ანალიზი: ძირითადი თეზა¹

“An argument is like an organism. It has both a gross, anatomical structure and a finer, as-it-were physiological one”
(ტულმინი 2003:87)

შესავალი

არგუმენტაცია ჩვენი ყოველდღიურობის განუყოფელი ნაწილია. არგუმენტი-რეტული მსჯელობის, ხერხების და ენობრივი საშუალებების გამოყენება ხდება როგორც პირად საუბრებში, ისე საქმიან გარემოში. არგუმენტაციული სტრუქტურების შესწავლა საშუალებას გვაძლევს, გამოვავლინოთ ის ენობრივი მახასიათებლები, რაც ტექსტს აქცევს არგუმენტირებულად. ცოდნა იმისა, რა ელემენტები ქმნის კონკრეტულ ენაში არგუმენტირებულ ტექსტს, ეხმარება ამ ენის მომხმარებელს საკუთარი უნარ-ჩვევების გაუმჯობესებაში. გარდა ამისა, ბოლო დროს განსაკუთრებით აქტუალურია ენის კომპიუტერული დამუშავების თემა. ამ კონტექსტში ერთ-ერთი მთავარი აქცენტი სწორედ არგუმენტირებული ტექსტების კომპიუტერულ დამუშავებაზე მოდის, რაც იძლევა დიდი მოცულობის ტექსტური მონაცემების ავტომატური დამუშავებისა და გაანალიზების შესაძლებლობას.

სტატია ეხება ქართული პოლიტიკური ზეპირმეტყველების არგუმენტაციული სტრუქტურების ლინგვისტურ ანალიზს, კერძოდ, გაანალიზებულა არგუმენტი-რეტული ტექსტის შემადგენელი ერთი ნაწილის – ძირითადი თეზის ლინგვისტური სტრუქტურა, მახასიათებლები და ფუნქციები. სტატიის მიზანია იმ ენობრივი ნიშნების აღწერა, რაც წინადადებას ანიჭებს სამსჯელო/საკამათო ხასიათს და აქცევს მას არგუმენტირებული ტექსტის ძირითად თეზად.

ემპირიულ მასალად ავიღეთ ქართული პოლიტიკური სატელევიზიო დებატების ტექსტები. შესაბამისად, ტექსტები დიალოგური ხასიათისაა, წარმოადგენს დისკუსიას ორ ან მეტ ადამიანს (უმეტესად, უურნალისტსა და პოლიტიკოსს) შორის.

არგუმენტაციის არსი

არგუმენტაცია არის ნებისმიერი ტიპის კომუნიკაციის ნაწილი. ამ დროს ადამიანები წარმოაჩენენ ამა თუ იმ თემაზე თავიანთი შეხედულების დამადასტუ-

¹ კვლევა შესრულებულია შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის საგრანტო კონკურსის ფარგლებში (PHDF-18-2020).

რებელ არგუმენტებს, საკუთარ მოსაზრებას კი ამყარებენ ფაქტობრივი მაგალითებით/ცოდნით და მათი ინტერპრეტაციის საფუძველზე ცდილობენ, დაარწმუნონ სხვები თავიანთი კონკრეტული აზრის სისწორეში.

„არგუმენტებია არის ენობრივი აქტივობა, რომელიც მიმართულია ინტერაქტიულ კონტექსტზე. იგი დაფუძნებულია ფიქრების, პროცესებისა და სტრატეგიების სქემათა სიმრავლის გამოყენებაზე“ (უნიერი, სენტ-დეზიერი 2019:1).

უცხო სიტყვათა ლექსიკონი არგუმენტაციის ამგვარ განმარტებას გვთავაზობს:

1. არგუმენტების მოვანა (ამ მნიშვნელობით იხმარება ავრევე არგუმენტირება).
2. არგუმენტების ერთობლიობა (უცხო სიტყვათა... 1989:63-68).

არგუმენტაციის საწყისები, იმ მნიშვნელობით, როგორც ჩვენ ვიყენებთ, ანტიკურ სანაში ისახება, კერძოდ, უკავშირდება არისტოტელესა და მის რიტორიკას, რომელშიც ავტორი „დაარწმუნების“ ხელოვნების შესახებ საუბრობს. არისტოტელე ჩამოთვლის იმ ხერხებსა და მახასიათებლებს, რაც კარგ გამომსვლელს უნდა ჰქონდეს და იყენებდეს, რათა დაარწმუნოს აუდიტორია თავისი ნათქვამის სანდოობასა და ჭეშმარიტებაში. ამის მისაღწევად კი ერთ-ერთი ინსტრუმენტია ენა და ენობრივი საშუალებები, რომლებიც ეხმარება გამომსვლელს მისი ტექსტი ეფექტური და სტრუქტურირებული გახადოს და გადააქციოს, არგუმენტირებულ ტექსტებად. არისტოტელე მიუთითებს, რომ გამომსვლელმა კარგად უნდა იცოდეს არა მხოლოდ ის, თუ რა არის სათქმელი, არამედ ისიც, თუ რა ენობრივი საშუალებებითა და როგორი სტილით აპირებს აზრის გადაცემას აუდიტორიისთვის.

არგუმენტაცია უნდა გაიმიჯნოს სილოგიზმებისგან, რაც გულისხმობს დედუქციურ მსჯელობაზე დაყრდნობით ჭეშმარიტი დასკვნის მიღებას. კვლევის ინტერესს არ წარმოადგენს ამგვარი მსჯლობის სტრუქტურა. მოცემული კვლევა ეხება არგუმენტაციას, რომელიც არის რეალურ გარემოში მიმდინარე სოციალური აქტივობა, რომლის მიზანია გამომსვლელის/მოსაუბრის მიერ მეორე ადამიანის დარწმუნება; შესაბამისად, არ არსებობს დასკვნები, რომლებიც აბსოლუტურად ჭეშმარიტი და ობიექტურია, პირიქით, ამ შემთხვევაში სუბიექტურობა გადმოდის წინა პლანზე – სწორედ ობიექტური სინამდვილიდან ფაქტების მოყვანითა და ინტერპრეტაციით ცდილობს გამომსვლელი, თავისი სუბიექტური მოსაზრებისა და დასკვნების ჭეშმარიტებაში დაარწმუნოს სხვა ადამიანი.

ეს იმას ნიშნავს, რომ რეალურ გარემოში მსჯელობას და არგუმენტაციას არ მივყავართ სრულ ჭეშმარიტებამდე, როგორც, მაგალითად, ხდება სილოგიზმში: კველა ადამიანი მოკვდავია,

სოკრატე ადამიანია,

სოკრატე მოკვდავია.

მოცემულ შემთხვევაში დასკვნა – სოკრატე მოკვდავია – იქცევა სამსჯელო საკითხად, რომლის გარშემოც ჩნდება სხვადასხვა მოსაზრება, ხდება არგუმენტების მოყვანა იმის დასამტკიცებლად, რომ სოკრატე ნამდვილად მოკვდავია, მაგ-

რამ რა გონივრულ შეთანხმებამდეც უნდა მივიდნენ მოკამათეები, ეს იქნება არა აბსოლუტური სიმართლე, არამედ მეტად დამაჯერებელი არგუმენტებით მიღებული უფრო სწორი დასკვნა.

„არგუმენტაცია არ არის ლოგიკური დედუქცია, იგი ფორმალური დედუქციის წესებს არ უკუმნება. არგუმენტაცია იყენებს არგუმენტაციის მრავალფეროვან სქემებს, რომელთა მიზანია არგუმენტირებული აქტივობის ნაკლებად ფორმალური გზით წარმოდგენა, კიდორე ამას ლოგიკური დედუქცია გააკეთებდა“ (ჟენიერი, სენტ-დეზიერი 2019:18).

ამდენად, განსხვავება ლოგიკურ დედუქციასა და არგუმენტაციას შორის ის არის, რომ რეალური დედუქციის მიზანია დასკვნის ჭეშმარიტება, რეალურ არგუმენტაციაში კი ეს უკანასკნელი არ არსებობს: დასკვნა უტოლდება ძირითად თეზას, ფოკუსს კი წარმოადგენს მათი დასაბუთება – არგუმენტების ნაწილი. მაგალითად,

შედეგი:

თბილისში აიკრძალო ყველა ფერის ტაქსი, გარდა თეთრისა.

ძირითადი თეზა:

თბილისში უნდა აიკრძალოს ყველა ფერის ტაქსი, გარდა თეთრისა.

რეალური არგუმენტირებისას დებატებში მონაწილე პირებისთვის, რომელთაც ამ საკითხთან დაკავშირებით განსხვავებული მოსაზრებები აქვთ, მნიშვნელობა არ აქვს, ეს უკვე დამდგარი შედეგია, თუ ჯერ მისაღები სადაცო თეზა.

არგუმენტაციის თეორიაში გვაქვს შემდეგი განმარტება: „არგუმენტაცია არის კერძალური, სოციალური და რაციონალური აქტივობა, რომლის მიზანია, დაადასტუროს ძარითადი თეზის სისწორე, მასი საწინააღმდეგო ან მხარდაჭერი არგუმენტების წარმოდგენით“ (იმერენი, გრუტენდორსტი 2004:1).

განვიხილოთ უფრო დეტალურად არგუმენტაციის ეს სამი ასპექტი:

ვერბალური აქტივობა: ესტიკულაციით საკუთარი მოსაზრების დაფიქსირება მიღწევადია, მაგრამ მივიჩნევთ, რომ არგუმენტაცია მაინც ლინგვისტური აქტივობაა – სამეტყველო თუ წერილობითი.

სოციალური აქტივობა: არგუმენტაციის სოციალურობა გულისხმობს, რომ, არგუმენტაციის მიზნიდან გამომდინარე, ასეთი დისკურსი მინიმუმ ორ ადამიანს შორის მაინც უნდა შედგეს – კამათი მოითხოვს პიროვნებას, რომელსაც ვეკამა-თებით.

რაციონალური აქტივობა: არგუმენტაცია დაკავშირებულია გონივრულობასთან, რაც ნიშნავს, რომ ამგვარი დიალოგისას ემოციურობა, პირადი მიზეზები არ გამოდგება. არგუმენტირებული მსჯელობა უნდა იყოს გონივრული, ზოგადი ფაქტებით გამყარებული (შტადე, მნაიდერი 2019:1).

„არგუმენტაცია არის კომუნიკაციური და ინტერაქტიული აქტის კომპლუქტი, რომლის მიზანია, გადაჭრას აზრებს შორის განსხვავება, რასაც მოკამათე აღწევს რაციონალური მსჯელობის საშუალებით“ (იმერენი, გრუტენდორსტი 2004:7).

არგუმენტაცია არის ვერბალური აქტიონბა, შესაბამისად, იგი არის ყოველ-თვის სხვადასხვა სახის ტექსტი.

პირველ რიგში, უნდა განვისხვაოთ წერილობითი და ზეპირი არგუმენტირებული ტექსტები. ეს ორი ყველაზე ფართო ჯგუფია, რომელთა თავისებურებებიც გავლენას ახდენს არგუმენტირებული ტექსტის ენობრივ სტრუქტურაზე.

„არგუმენტაცია შეიძლება იყოს ვერბალური ან წერილობითი, რომელიც მომდინარეობს სხვადასხვა ძედიაწყაროდან. არგუმენტაციის უმთავრესი მიზანია: (1) დაარწმუნოს ადამიანი ან ადამიანთა ჯგუფი კონკრეტული მოსაზრების მართებულობაში; (2) გონივრულ შეთანხმებას მიაღწიოს ორ ან რამდენიმე მოწინააღმდეგე მხარეს შორის სადაცო მოსაზრებასთან დაკავშირებით“ (ჟენიერი, სენტ-დე-ზიერი 2019:4).

ეს ორივე ჯგუფი იშლება სხვადასხვა უანრად:

- წერილობითი არგუმენტირებული ტექსტი შეიძლება იყოს ესე, რიტორიკული ტექსტი, მხატვრული ლიტერატურა (რომელშიც მოცემულია პერსონაჟების დიალოგი), პერსონალური ბლოგი, საგაზეთო სტატია, ინტერვიუ;
- ზეპირი არგუმენტირებული ტექსტი შეიძლება იყოს მონოლოგი, დიალოგი (ორ ადამიანს შორის ნებისმიერ გარემოში), სატელევიზიო დებატები, საპარლამენტო დებატები.

თანამედროვეობაში არგუმენტირებული ტექსტების წყარო ყველაზე ხშირად არის: ჟურნალ-გაზეთები, ბლოგები, სატელევიზიო გადაცემები, საჯარო პირების გამოსვლები.

არგუმენტირებული ტექსტის მთავარი შემადგენლებია მირითადი თეზა და მსჯელობის ნაწილი (მხარდამჭერი/თავდამსხმელი არგუმენტები). თუ ამ ორი ელემენტის იდენტიფიცირება ხდება ტექსტში, მაშინ მას შეიძლება ვუწოდოთ არგუმენტირებული; ამ თვალსაზრისით მნიშვნელობა არ აქვს, ეს ტექსტი დაწერილია თუ ზეპირად წარმოთქმული.

განსხვავება თავს იჩენს მაშინ, როდესაც ჩნდება კითხვა, თუ რა აქცევს ძირითად თეზას მირითად თეზად, არგუმენტებს კი არგუმენტებად, როგორ უკავშირდებიან ისინი ტექსტში ერთმანეთს, რა ნაწილი რას მიემართება; სწორედ აღნიშვნულის განსაზღვრა და კლასიფიკაცია არის კვლევის მიზანიც.


ამგვარ საკითხებზე მსჯელობისას გასათვალისწინებელია, ტექსტი დაწერილია თუ ზეპირი, დიალოგია თუ მონოლოგი, რამდენიმე ადამიანს შორის გამართული სატელევიზიო დებატებია თუ ინტერვიუ ჟურნალისტისა და რესპონდენტის შორის, რა სოციალური გარემოში იქმნება ტექსტი და ა.შ.

კვლევის ემპირიული მასალა არის პოლიტიკური ზეპირმეტყველების ტექსტები, უფრო კონკრეტულად, სატელევიზიო დებატები, უმეტესად უკრნალისტებისა და პოლიტიკოსების შორის. შესაბამისად, აუცილებელია განსაზღვრა იმისა, თუ რა ტიპის სტრუქტურებთან შეიძლება გვქონდა საქმე საკვლევ მონაცემებზე მუშაობისას.

მონოლოგსა და რიტორიკულ ტექსტებში არგუმენტაციის მთავარ ნაწილებს შორის ურთიერთკავშირი შედარებით მარტივი და ერთდონიანია. რაც შეეხება დიალოგს, ამ შემთხვევაში სტრუქტურები უფრო რთული აღსაწერია, რამდენადც მინიმუმ ორი ადამიანის მოსაზრებების მონაცვლეობას გულისხმობს, ამდენად, კავშირები გამოირჩევა კომპლექსურობით.

„არგუმენტირებულ ტექსტს აქვს კომპლექსური სტრუქტურა, რომელიც შედგება ძირითადი თეზისა და არგუმენტების სიმრავლისგან, რომლებიც:

1. მხარდაჭერას გამოხატავენ ან თავს ესხმან ძირითად თეზას,
 2. მხარს უჭერენ ან თავს ესხმან ერთმანეთს – არგუმენტებს ძირითად კონკრეტულ არგუმენტაციულ სტრუქტურაში“ (ენიერი, სენტ-დეზიერი 2019:2).
- ეს სქემის სახით ასე შეიძლება წარმოვიდგინოთ:



სქემა 1.

სქემა 1. გვიჩვენებს იმ მიმართებების სტრუქტურას, რაც არგუმენტირებულ დიალოგს ახასიათებს. მთავარი ელემენტებია: ძირითადი თეზა, საწინააღმდევო და მხარდაჭერი პრინციპის გამომხატველი წინადაღებები; მათი განსაზღვრის შემდეგ იწყება არგუმენტირებული მსჯელობა. ენობრივად გამოხატული თავდამსხმელი და მხარდაჭერი არგუმენტები შესაძლებელია შეგვხვდეს ორივე მხარის წინადაღებებში, მნიშვნელობა არ აქვს, რომელი გამომსვლელი უარყოფს და რომელი

ექსრობა ძირითად თეზას. მათი არგუმენტები მიმართულია არა მარტო ძირითადი თეზის გასაბათილებლად ან მხარდასაჭერად, არამედ ერთმანეთის არგუმენტებზე თავდასხმისთვისაც. შესაბამისად, გვაქვს არა ერთგანზომილებიანი მიმართებები ძირითად თეზას, საწინააღმდეგო/მხარდაჭერ პოზიციასა და არგუმენტებს შორის, არამედ მრავალგანზომილებიანი ურთიერთობები. ეს კი ართულებს ტექსტის ლინგვისტურ ანალიზსაც და, მთ უმეტეს, ამგვარი ტექსტების კომპიუტერულ დამუშავებას, რისთვისაც ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა, ამოიცნოს არა მხოლოდ ის, რომ რამე წინადადება გამოხატავს თავდასხმას/მხარდაჭერას, არამედ ისიც, თუ რის თავდასხმასა და მხარდაჭერას გულისხმობს.


სტეფან ტულმინის მოდელი

არგუმენტაციაზე მსჯელობისას გვერდს ვერ ავუკლით ბრიტანელი ფილოსოფის, სტეფან ტულმინის (ტულმინი 1958/2003) მოდელის განხილვას, რომელიც საფუძველია ამ სფეროში ყველა სხვა თეორიისთვის. მისი მიზანია არგუმენტაციული სტრუქტურების შემადგენელი ნაწილების აღწერა და შეფასება იმისა, თუ ეს სტრუქტურები რამდენად ადეკვატურად გამოიყენება და უკავშირდება ერთმანეთს არგუმენტაციის პროცესში.

ს. ტულმინის კვლევის მთავარი ფოკუსი არგუმენტაციისა და მსჯელობის არსის გაგება/აღწერა იყო. 1958 წელს გამოქვეყნდა მისი წიგნი „არგუმენტის გამოყენება“ (The Use of Argument), რომელიც მიჩნეულია ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ნაშროობად რიტორიკის, კომუნიკაციისა და კომპიუტერული მეცნიერებების სფეროში. სწორედ ტულმინის თეორიას ეფუძნება ის თანამედროვე მიმდინარეობები, რომლებიც არგუმენტაციის კვლევისას განვითარდა სხვადასხვა დარგში. ტულმინის მიზანი იყო, ახლებური პერსპექტივით განეხილა არგუმენტის სტრუქტურის ტიპი, რომელიც განსხვავებული იქნებოდა აბსოლუტივიზმისგან და შედეგად განავითარა პრაქტიკული არგუმენტაცია.

„არგუმენტაციის მთავარი მიზანი არის ის, რომ ძირითადი თეზა, მაუხდავად მისი შინაარსობრივი დატვირთვისა, შეიძლება საუკვო გახდეს“ (ტულმინი 1958:13).

ტულმინის ყველაზე მარტივი სტრუქტურა სქემატურად ასე გამოიყურება:



სქემა 2.

სქემაზე მოცემულია ის სამი ძირითადი ელემენტი, რომელთაგან შედგება არგუმენტირებული ტექსტი.

- ძირითადი თეზა და დასკვნა – ტულმინი მათ ერთმანეთს უტოლებს. ძირითადი თეზა არის სწორედ ის მთავარი წინადადება, რომლის მართებულობაში არწმუნებს არგუმენტირებულად მოსაუბრე მსმენელს. შესაბამისად, საუბრის დასაწყისში წარმოთქმული ძირითადი თეზა არის დასკვნაც, მათ შორის კი დგას არგუმენტაციის ნაწილი.
 - არგუმენტაცია აკავშირებს ძირითად თეზასა და მსჯელობის ნაწილს ერთმანეთთან.
- პირველი ძირითადი ელემენტი არგუმენტაციულ სტრუქტურებში არის ძირითადი თეზა.

ძირითადი თეზის მთავარი განმასხვავებელი ნიშანი ჩვეულებრივი ინფორმაციის გამომხატველი წინადადებისგან არის ის, რომ იგი ქმნის აზრთა სხვადასხვაობის საფუძველს ორ ან მეტ ადამიანს შორის, ქმნის საკამათო სიტუაციას. „ძირითადი თეზა უნდა იყოს სამსჯელო: ის გამოხატავს რაღაცას, რაც ნათელია, მაგრამ დაუშძის კითხვები სხვადასხვა თვალსაზრისით“ (უენიერი, სენტ-დეზიერი 2019:40).

ძირითადი თეზა სხვადასხვა ტიპის ენობრივი ელემენტებით შეიძლება იყოს მარკირებული, უმეტეს შემთხვევაში ესენია: კვიქრობ, მიმაჩნია, ჩემი აზრით და მისთანანი.

მაგალითად:

ფაქტის გამომხატველი წინადადება:

თბილისში ტაქსის ფერი არის თეთრი.

ძირითადი თეზა:

უნდა იყოს თუ არა თბილისში ტაქსის ფერი თეთრი.

ამ შემთხვევაში ჩვეულებრივი ფაქტის ამსახველი წინადადება (ფრაზით: უნდა იყოს თუ არა) იქცა საკამათო თეზად, რომელშიც გამოთქმული აზრის ჭეშმარიტება ეჭვქვეშ დგას და არსებობს სულ მცირე ორი განსხვავებული მოსაზრება შესაბამისი არგუმენტებით.

შესაძლოა, რომ ერთი ასეთი თემის გარშემო მსჯელობა შედგებოდეს რამდენიმე ძირითადი თეზისგან; ამის ნიმუშებს შევხვდებით სატელევიზიო დებატებში, რომელებშიც არის არა კლასიკურად, მეცარად ჩამოყალიბებული ძირითადი თეზა, არამედ ერთი თემა, რომელთან კავშირშიც თავს იყრის რამდენიმე თეზა.

მაგალითად, საკვლევი ემპირიული მასალიდან ერთ-ერთი სატელევიზიო დებატის განხილვის საგანი არის ტაქსების ახალი რეგულაციები. ამ თემის ჩაშლა კი რამდენიმე ძირითადი თეზის სახით ხდება:

- ტაქსების რეგულირება უნდა მიხედვით არ უნდა ხდებოდეს;
- ყველა ტაქსიმ უნდა გაიაროს სავალდებულო შემოწმება;

- ტაქსის ყველა მძღოლს უნდა ჰქონდეს საქმიანობის განხორციელებისთვის სპეციალური ნებართვა.

არგუმენტირებულ ტექსტებში „ორი პრობლემა გადასაჭრელი: (1) იდენტიფირება იმისა, რომ ის ნაძღვილად არგუმენტირებულია და თუ ასეა, (2) ძირითადი თეზის, ქვეთებების, მათთან დაკავშირებული მსარღამჭერი და თავდამსხმელი წინადადებების იდენტიფიცირება“ (უნიერი, სენტ-დეზიერი 2019:39). აღნიშნულის განსახორციელებლად უნდა ჩატარდეს ტექსტების ლინგვისტური ანალიზი.

კვლევისთვის დავამუშავეთ დაახლოებით 30-ამდე სატელევიზიო დებატის ტექსტური ვერსია, მოვნიშნეთ ძირითადი თეზის ნაწილები და ჩავატარეთ მათი ლინგვისტური ანალიზი.

ამგვარი ტექსტების არგუმენტაციული სტრუქტურების თვალსაზრისით კვლევა საკმაოდ სპეციფიკურია, რამდენადაც ორ მთავარ სირთულეს ვწყვდებით:

- ზეპირმეტყველების დროს რამდენადმე არასისტემური და არასტრუქტურირებულია ადამიანების მეტყველება; მიუხედავად იმისა, რამდენად მომზადებული აქვს ადამიანს წარმოსათქმელი ტექსტი, ვერბალური გადმოცემის პროცესი მყაცრ გრამატიკულ წესებს არ ემორჩილება.
- დიალოგის პროცესში იქმნება რთული არგუმენტაციული სტრუქტურები – ორი ან მეტი ადამიანის ტექსტებში იშლება ერთი თემის ირგვლივ არსებული მოსაზრებებიც, თეზები, მსჯელობა, დადგებითი და უარყოფითი პოზიციები.

შესაბამისად, ამ შემთხვევაში იშვიათად შევხვდებით კარგად სტრუქტურირებულ ძირითად თეზას. იგი უმეტესად ფორმულირებულია უურნალისტის მხრიდან და აქვს კითხვის სახე. რესპონდენტები დისკუსიის დასაწყისში აფიქსირებენ თავიანთ პოზიციას, ეთანხმებიან ან უარყოფენ ძირითად თეზას და ამ მიმართულებით აგებენ თავიანთ არგუმენტირებულ მსჯელობას.

მაგალითად:

თქვენი პირადი პოზიცია როვორია, ბაზონო ზოად, უნდა მოხდეს პარლამენტის გადმოტანა?

აქედან გამომდინარე, ჩვენი კვლევის ემპირიული მასალაც და დასკვნებიც საკმაოდ სპეციფიკურია, რადგან ეფუძნება ერთი უანრის ტექსტების ანალიზის შედეგებს. აქვე აღვნიშნავთ, რომ უფრო ზოგადი სურათის მისაღებად საჭიროა უანრობრივად მრავალფეროვანი ტექსტების დამუშავება.

საკვლევ მასალაზე მუშაობისას მოხდა იმ ენობრივი ელემენტების მონიშვნა, რომლებიც ძირითად თეზას ანიჭებენ სამსჯელო ხასიათს, შემდეგ კი დაჯგუფდა გამოყენებული ენობრივი ელემენტები როგორც სემანტიკური, ისე გრამატიკული თვალსაზრისით.

ძირითადი თეზის სემანტიკა სხვადასხვაგვარი შეიძლება იყოს: „მტკიცება, განსჯა, მოსაზრება, შეფასება, რიტორიკული შეკითხვა და ა.შ.“ (უნიერი, სენტ-დეზიერი 2019:2).

ტულმინისთვის მთავარი თეზა იგივე დასკვნაა, რომელიც არის რაციონალური მტკიცება. მას შეიძლება სხვადასხვაგვარი შინაარსი ჰქონდეს. მტკიცება/ დასკვნა შეიძლება გამოხატავდეს:

- ფაქტს;
- მოვლენას;
- ვარაუდს;
- განსჯას;
- შეფასებას;
- განსაზღვრებას;
- რჩევას;
- გაფრთხილებას.

ტულმინი აღნიშნულ სხვადასხვა სემანტიკის გამომხატველ თეზას აჯგუფებს და გამოყოფს ძირითადი თეზის სამ შინაარსობრივ ტიპს:

- „**ფაქტებზე დაფუძნებული ძირითადი თეზა** (*Fact-Based Claims*) ემპირიას ეფუძნება და მისი მიზნება-აღმოჩენა წდება დაკვირვებით, უქმდება მომსახურებით, სტატისტიკით ან სხვა მონაცემებზე დაფუძნებით.
- **განსჯისა თუ შეფასების გამომხატველი ძირითადი თეზა** (*Judgment or Value Claim*) ძირიცავს აზრებსა და სუბიექტურ შეფასებებს.
- **ქმედების პოლიტიკაზე დაფუძნებული ძირითადი თეზა** (*Policy-Based Claims*) ეფუძნება მოქმედებებს, რომლებიც განპირობებულია გარკვეული კონტექსტით, შექმნილი პირობებით“ (უენიერი, სენტ-დეზიერი 2019:17).

ამგვარი შინაარსობრივი კლასიფიკაცია კიდევ უფრო აკონკრეტებს და ნათელს ხდის ძირითად თეზაში გამოყენებული ლინგვისტური ელემენტების ფუნქციას.

ძირითადი თეზის ამოსაცნობად გასარკვევია, თუ რა არის ის ლინგვისტური ელემენტი, რომელიც თეზას აქცევს საკამათოდ; ამისთვის უნდა აღიწეროს ის ლინგვისტური ნიშნები, რომლებიც „ჩვეულებრივ“ წინადადებას სამსჯელო წინადადებად გადააქცევენ.

ზოგიერთი თეზა რაიმე ხელშესახები ლინგვისტური მახასიათებლით არ არის მონიშნული.

საკითხზე მუშაობისას შეირჩა კვლევის ორგვარი მეთოდოლოგია:

- **არგუმენტების ლექსიკონის შექმნა** – იმ ლექსიკური ერთეულების გამოყოფა, რომლებიც საკამათო ხასიათს ანიჭებენ ძირითად თეზას. ამგვარი ლექსიკური ელემენტების სემანტიკური ანალიზის საფუძველზე გამოიყო კონკრეტული ფუნქციური ჯგუფები, რომლებიც გვიჩვენებენ, თუ რა როლი აქვს ამ ელემენტებს ძირითადი თეზის შექმნაში.
- **გრამატიკული ანალიზი და კლასიფიკაცია** – გაანალიზება იმისა, თუ გამოყოფილი ლექსიკური ერთეულები წინადადების რა წევრები არიან, უმეტესად

რა გრამატიკული და სინტაქსური კავშირების გამოყენება ზღება იმ შემთხვევაში, როდესაც ძირითად თეზად კვალიფიცირდება წინადადება.

არგუმენტების ლექსიკონში გამოიყო რამდენიმე ჯგუფი. როგორც ემპირიული მასალის ანალიზი აჩვენებს, ძირითადი თეზის შექმნაში ყველაზე ხშირად მონაწილეობს შემდეგი ჯგუფის სიტყვები:

შეფასება (Assessments) – აღნიშნულ ჯგუფში ერთიანდება სემანტიკურად ახლოს მდგომი ისეთი სიტყვები, რომლებიც გამოხატავენ ადამიანის პირად აზრს, შეფასებას: ჩემი აზრით/თქვენი აზრით, ვფიქრობ/ფიქრობთ, მივაჩნიათ, ძალავით...

მაგალითად:

(ეს) მცირე ნაწილია იმისა, რაზეც ხელისუფლებამ იმუშავა, ან უნდა ემუშავა, თქვენი აზრით, დააკლო თუ არა მცდელობები, თუ კმაყოფილი ხართ მათი მუშაობით ამ მიმართულებით.

ფიქრობთ თუ არა, რომ საფრთხისშემცველია მხავსი პირების გათავისუფლებულება?

მასაღები იყო ეს თქვენთვის და **მივაჩნიათ** თუ არა, რომ უნდა გავრცელებულიყო ეს კადრები?

აკტორიტეტულობა/დამაჯერებლობა (Authority/evidence) – ამ ჯგუფში შედის შინაარსობრივად მსგავსი ისეთი სიტყვები, რომლებიც მიანიშნებენ, რომ მოსაუბრე სხვის ნათქვამს იყენებს თავისი აზრის დასადასტურებლად/უარსაყოფად ან ძირითადი თეზის ფორმულირებისთვის.

მაგალითად:

ერთ-ერთი მთავარი ბრალდება სწორედ ეს არის, რომ, ააა, ქართული ოცნებების ღიადერი, თქვენი, აა, თქმით, აა, რუსულ ფულს იყენებს იმისათვის, რომ, ააა, აწარმოოს წინასარჩევნო კამპანია და მოისყიდოს მოსახლეობა. რა არგუმენტებს ემყარება ასეთი პრეტენზიები?

კონტრასტი (Contrast) – ამ ჯგუფში ერთიანდება სიტყვები, რომლებიც გამოიყენება საპირისპირო აზრის გამოსახატავად.

მაგალითად: ნაცვლად, საპირისპიროდ, მეორე მხრივ...

ანტითეზა (Antithesis) – მოცემულ ჯგუფში შემავალი ერთეულები გამოხატავენ ორ აზრსა, ქმედებასა თუ ფაქტს შორის წინააღმდეგობას, ან გადმოსცემენ ფაქტების თანმიმდევრობას, რომელიც ლოგიკურ დასასრულამდე არ მივიდა.

მაგალითად: მავრამ, თუმცა, მიუხედავად ამისა...

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოსა და რუსეთის პრეზიდენტების მიერ უკვე ხელმოწერილია სამშვიდობო ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც რუსული ჯარი უნდა გასულიყო საქართველოს ტერიტორიიდან, შეთანხმება ჯერჯერობით არ სრულდება და რუსული ჯარი კალივ რჩება საქართველოს ტერიტორიაზე. ხომ არ ფიქრობთ, რომ უნდა დასახელდეს რაიმე კონკრეტული ვადა,

რომლის ფარგლებშიც ამ ჯარმა უნდა დატოვოს საქართველოს ტერიტორია და რა მექანიზმი აქვს ევროპას, იმისთვის, რომ ეს პროცესი გააკონტროლოს?

გამაძლიერებლები (Intensifiers) – აღნიშნულ ჯგუფში ერთიანდებიან ზედ-სართავი სახელები და ზმნიზედები, რომლებიც გარკვეულწილად აძლიერებენ მო-საზრებას, ფაქტს, ზოგადად ნებისმიერი ტიპის შეფასებას.

საკვლევ მასალაზე დაყრდნობით ამ ჯგუფში უნდა გამოიყოს ორი ქვეჯგუფი, ესენია:

ა) პოზიტიური – გამოყენებულია იმისთვის, რომ გაზარდოს მოსაზრების-ფაქტის მნიშვნელობა.

ბ) ნეგატიური – გამოიყენება იმისთვის, რომ მიზანმიმართულად შეამციროს (დააკნინოს) კონკრეტული ფაქტის მნიშვნელობა.

აუცილებლობა (Necessity) – ამ ჯგუფში შემოდის კატეგორიული აუცილებლობის გამომსატველი მოდალური სიტყვები.

მაგალითად: უნდა

უნდა დაუთმოს თუ არა ეთერი, აამ, ტელევიზიებმა ქართველთა მარშის, აამ, ლიდერებს?

შესაძლებლობა (Possibility) – მოცემულ ჯგუფში შედის შესაძლებლობის მოდალობის გამომსატველი ერთეულები.

მაგალითად: შეიძლება, შესაძლოა...

შეიძლება ეს განხდეს აუცილებლოი?

პრიორიტეტულობა (Priority) – ამ ჯგუფში შემავალი სიტყვების გამოყენება ხდება მაშინ, როდესაც გამომსვლელი ცდილობს, გამოყოს ყველაზე დიდი ღირებულების მქონე ინფორმაცია მსჯელობისას.

ასეთებია, მაგალითად: მნიშვნელოვანია, მთავარია, ფუნდამენტურია, ღირებულია...

გუნდის ერთობის შენარჩუნება უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე, მაგალითად, პრიორიტეტი ხედვები და მსოფლმხედველობა?

თუ თქვენ თვლით, რო ასეა სწორი, რა უფრო მნიშვნელოვანია, თქვენი პრიორიტეტი დაუცვათ, თუ თქვენს თანაგუნდებლებს არ აწყინიოთ?

ემპირიულ მასალაზე დაყრდნობით შეიძლება დავასკვნათ, რომ სატელევიზიო დეატებში ყველაზე ხშირად ძირითადი თეზის ფორმულირება ხდება შემდეგი სემანტიკური ჯგუფის სიტყვების საშუალებით: შეფასება, აუცილებლობა, შესაძლებლობა, გამაძლიერებლები.

ძირითადი თეზის ანალიზის შედეგად გამოვლინდა წინადადების მთავარი წევრების გამოყენების ის შემთხვევები, რომლებიც ჩვეულებრივ წინადადებას აქცევენ საკამათო თეზად. ამ თვალსაზრისით ღირებულია, ერთი მხრივ, წინადადების წევრთა კონკრეტული ჯგუფი და, მეორე მხრივ, მათი პოლარობა: პოზიტიური, ნეგატიური ან ნეიтрალური.

ზედსართავები – გამაძლიერებლებში შემავალი ენობრივი ელემენტები უმთავ-რესად სწორედ ზედსართავი სახელებით გამოიხატება.

მაგალითად: მარტივი, რთული, ეფექტური, სახიფათო.

ძირითადი თეზა, რომელშიც ამგვარი ზედსართავები მონაწილეობენ, გამოხა-ტავენ, უმეტეს შემთხვევაში, შეფასებას გარკვეული თვალსაზრისით, ან გაფ-რთხილებას თუ რჩევას.

ტაქსის ნებართვის აღება ძვირია ტაქსის მძღოლებისთვის.

არაეფექტურია პარლამენტის ქუთაისში მუშაობა?

ზმნები – შეფასების (ან შეფასების თხოვნის) გამომხატველ ძირითად თეზას ქმნის კონკრეტული სემანტიკის მქონე ზმნების გამოყენება. მათ არ აქვთ მკვეთ-რად გამოხატული პოლარობა. ეს არის დამოკიდებულების გამომხატველი ზმნები. თუ სატელევიზიო დებატებში ამგვარი ზმნები მეორე პირის ფორმით არის წინა-დადებაში, ეს მიგვანიშნებს, რომ საქმე გვაქვს ძირითად თეზასთან.

მაგალითად:

რამდენად სერიოზულად შეიქმნა ახალი დღის წესრივი, პოლიტიკური, თქვენ როგორ ფიქრობთ?

ებ მაინც მინდა დავუბრუნდე შეკითხვას, აა, **იზიარებთ თუ არა თქვენ, აა, ამ პოზიციას, ბურჯაანაძის ასეთ შეფასებას, როგორც ხელისუფ...**

ასევე, საკვლევ ტექსტებს ახასიათებთ ზმნის ან ზმნური ფრაზების გამოყენე-ბა დიახ/არა კითხვებში შემდეგი სახით: **იზიარებთ თუ არა, ფიქრობთ თუ არა...**

ძირითად თეზაში გვხვდება ეპისტემური ზმნები: **გჯრათ, დარწმუნებული ხართ...**

მაგალითად:

პრეზიდენტმა განაცხადა, რომ მას რუსეთთან ურთიერთობის გადატენიროვა სურს და ამ პროცესში ისეთი კრძნობა ჩნდება, რომ ის მხარდაჭერა, რაც თქვენ ბუშის დროს ვქონდათ, ობამას ადმინისტრაციის მხრიდან აღარ იქნება. მაგალი-თად, ნატოში გაწევრებასთან დაკავშირებით. ეს აღბათ იმიტომ, რომ მათ რუსე-თის გაღიზიანება არ სურთ. **გჯრათ თქვენ ამის?**

მოდალობა – შესაძლებლობის და საჭიროების გამოხატვისთვის უმთავრესად გამოიყენება მოდალური ზმნები და კონსტრუქციები. ამ თვალსაზრისით გამოსა-ყოფია: **უნდა, შეიძლება/შესაძლოა.**

მაგალითად:

ასე რომ, როდესაც ასეთ მუქარის პოსტებს ვხედავთ, ამაზე რეაგირება..., და ამას აქეს მუდმივი ხასიათი, რეაგირება **უნდა** მოახდინოს თუ არა ამაზე სამარ-თალდამკავშირებების მოვალეობა?

უნდა მოვიყვანოთ თუ არა ეთერში და უნდა მივცეთ თუ არა მათ საშუალება თავიანთი ძალადობრივი იდეოლოგია გაავრცელონ?

ამდენად, არგუმენტირებული ტექსტის, უფრო კონკრეტულად, ძირითადი თეზის ლინგვისტური ანალიზის შედეგად გამოვლინდა ის ენობრივი ნიშნები, რომლებიც წინადადებას ანიჭებს სამსჯელო/საკამათო ხასიათს და გადააქცევს მას ძირითად თეზად.

ჩატარებულმა ლინგვისტურმა ანალიზმა აჩვენა, რომ წინადადების ძირითად თეზად გარდაქმაში მთავარ როლს ასრულებენ ზმნები, ერთი მხრივ, ზმნებში გამოხატული პოზიტიური თუ ნეგატიური პოლარობით, მეორე მხრივ კი იმ კავშირებით, რომლებსაც ამყარებენ წინადადების სხვა წევრებთან.

წარმოადგინა ასოცირებულმა პროფესორმა ეთერ სოსელიაძ

ლიტერატურა:

იმერენი, გრუტენდორსტი 2004: F. H. Eemeren, R. S. Grootendorst, *A Systematic Theory of Argumentation the Pragma – Dialectical Approach*, Cambridge University Press, Cambridge.

შტადე, შნაიდერი 2019: M. Stade, J. Schneider, *Argumentation Mining*, Creame Hirts, Series Editor, Morgan & Claypool Publishers.

ჟანიერი, სენტ-დიზიერი 2019: M. Janier, P. Saint-Dizier, *Argumentation mining – Linguistic Foundation*, ISTE, John Wiley & Sons, Inc. Hoboken, London.

უცხო სიტყვათა... 1989: უცხო სიტყვათა ლექსიკონი / შეადგინა [და წინასიტყვაობა დაურთო] მიხეილ ჭაბაშვილმა. მე-3 შესწ. და შევს. გამოცემა, განათლება, თბილისი.

ტულმინი 1958/2003: S. E. Toulmin, *Use of Argument* (Updated Edition 2003), Cambridge University Press Cambridge.

არისტოტელე 1981: არისტოტელე, რიტორიკა, ძველი ბერძნულიდან თარგმნა თამარ გუგამამ, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.

ინტერნეტურსურსები

<http://gnc.gov.ge/gnc/page?page-id=gnc-main-page>

http://mpqa.cs.pitt.edu/lexicons/arg_lexicon/

<https://link.springer.com/article/10.1007/s10579-017-9383-x>

<https://catalog.ldc.upenn.edu/LDC2015T10>

Mariam Matiashvili

Linguistic Analysis of Georgian Argumentative Structures: Main Thesis

Summary

Argumentation is an integral part of our daily lives. Argumentative reasoning, techniques, and language tools are used both in personal conversations and in the business environment. The study of argumentative structures allows us to identify the linguistic

features that make the text argumentative. Knowing what elements make up an argumentative text in a particular language helps the users of that language improve their skills. Also, natural language processing (NLP) has become especially relevant recently. In this context, one of the main emphases is on computational processing of argumentative texts, which will enable the automatic recognition and analysis of large volumes of textual data.

The article deals with the linguistic analysis of the argumentative structures of Georgian political speeches, in particular, with the linguistic structure, characteristics and functions of one part of the argumentative text – Claim. The purpose of the article is to describe the linguistic cues that give the sentence a judgmental/controversial character and make it as a claim of the argumentative text.

The empirical data come from the Georgian Political Corpus, in particular TV debates. Consequently, the texts are of a dialogical nature, representing a discussion between two or more people (most often between a journalist and a politician).

The study has revealed the lexical groups and linguistic cues that transform an ordinary sentence into the claim, which gives grounds for different opinions.

Presented by Prof. Eter Soselia

ზმნის პარადიგმების შესახებ ქართულ ჟღერად მეაზი

ზმნის ვალენტობის ცნება, როგორც ასეთი, უესტურ ენებში დაკავშირებულია სწორედ ზმნის კინეტიკასთან. უესტური ვალენტობა გააზრებულია კინეტიკურ დონეზე. თუ კინეტიკურად ზმნა მიემართება ობიექტის კენ (ან სუბიექტის კენ), მაშინ ითვლება, რომ ზმნა არის აქტანტებიანი (უცხოეთში ფართოდ გავრცელებული ტერმინოლოგით – ეწ. ინკორპორირებული, ანუ ინფლექსიური). ქართული ტრადიციული ენათმეცნიერული სკოლა კი ამ მოვლენას მოიხსენიებს ტერმინით – „პოლიპერსონალიზმი“. უესტურ ენებში ორი ძირითადი ჯგუფი გამოიყოფა: მარტივი და ინფლექსიური. როგორც წესი, მარტივი ზმნები თითქმის ყველა უესტურ ენაში საგრძნობლად სჭარბობს მეორე ჯგუფს.

ძირითადი გრამატიკული სხვაობა უესტურ და სამეტყველო ენათა შორის მდგომარეობს ზმნურ აქტანტთა მიმართ მიდგომაში. სამეტყველო ენებისათვის უპირატესია სუბიექტის კატეგორია, უესტური ენებისათვის კი დომინანტია ობიექტი (ფაუ და სხვები 2018). სამეტყველო ენაში პირიანი ზმნა აუცილებლად მოიხსრებს სუბიექტის ქონას, მიუხედავად სუბიექტის რეალური აქტივობის ხარისხისა. ისეთ შემთხვევებშიც კი, როდესაც ზმნა პირნაკლია და აკლია ფორმალური სუბიექტი (მაგალითად, ფორმებში: ძებინება, ძცხელა, ძცივა და სხვ.), ამ ფორმებში ენას ობიექტი აქვს გადააზრებული სუბიექტად. ქართული ტრადიციული ენათმეცნიერებაც ამ პოზიციას იზიარებს. სამეტყველო ენებში პირიანი ზმნის-თვის სუბიექტის კატეგორია ობლიგატორულია, ხოლო ობიექტის აღნიშვნა მხოლოდ პოლიპერსონალური სტრუქტურის ზმნებს შეუძლიათ და ეს, ზოგადად, მეორეხარისხოვნია სამეტყველო ენების ზმნათათვის. სრულიად განსხვავებული სიტუაცია გვაქვს უესტურ ენებში. აქ დომინანტი აბიექტია. შეიძლება სუბიექტი არც კი იყოს მოცემული წინადაღებაში, თუკი ის ადრე უკვე ახსენეს, მაგრამ ობიექტი აუცილებლად ასახული იქნება. განსაკუთრებით საუბარია ირიბ ობიექტზე, რომელიც ხშირად სულიერობის კატეგორიით ხასიათდება.

ქართული უესტური ენის ზმნის უღვლილებასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ ზმნას აქვს მორფოლოგიური საშუალებები, რათა გადმოსცეს სამეტყველო ქართულის შესაბამისი მწყრივები გამონაკლისის გარეშე, მაგრამ მისი პარადიგმა არ გაიმეორებს სამეტყველო ქართული ენის ზმნის პარადიგმებს. ერთადერთი ტიპის პარადიგმა, რაც შეიძლება ქართულ უესტურ ენაში ზმნას პერდეს, არის პირთა კომბინაციის ფორმები. ასეთი პარადიგმა მხოლოდ ე.წ. ინკორ-

პორირებულ ზმნებს ექნებათ. ქართულ ჟესტურ ენაში ეს მიმართებები კინეტიკურადაა გაღმოცემული. ჩვენ აქ განვიხილავთ ოდენ მხოლობითი ფორმების კომბინაციას, რადგანაც იგივე მიმართულებები იქნება შესაბამისი მრავლობითის ფორმებისთვისაც. განვიხილოთ ზმნა ‘გაკრიტიკება’ ამ თვალსაზრისით.



გაკრიტიკება

სუბ/ ირ.ობ.	I	II	III
I	-----	 გაკრიტიკება	 ვაკრიტიკებ
II	 მაკრიტიკებ	-----	 აკრიტიკებ
III	 მაკრიტიკებს	 გაკრიტიკებს	 აკრიტიკებს

როგორც ვხედავთ, აქ შვიდი ფორმაა წარმოდგენილი და ეს ფორმები განასხვავებენ მანუალურ კინეტიკას ობიექტის მიხედვით. იმავე ტიპის კომბინაცია გვექნება ყველა ინკორპორირებულ ზმნაში. ზმნაში ‘ვეუბნები’ ასევე კინეტიკურად განირჩება სუბიექტიც, როგორც მოქმედების საწყისი, ობიექტი კი წარმოდგენილია როგორც მიზანი, ანუ მოქმედების მიმართების ბოლო პუნქტი:

სუბ/ ირ.ობ.	I	II	III
I	-----	 გეუბნები	 გეუბნები
II	 მეუბნები	-----	 ეუბნები
III	 მეუბნება	 გეუბნება	 ეუბნება

როგორც ზემოთ წარმოდგენილი ცხრილებიდან ჩანს, პირველი ობიექტური პირის შემთხვევაში ხელი მიემართება სხეულისკენ (იხ. პირველი ვერტიკალური სვეტი), მეორე ობიექტური პირის წარმოსახინებლად ხელი მიმართულია წინ (იხ. მეორე ვერტიკალური სვეტი) და მესამე ობიექტური პირის გადმოსაცემად კი ხელი მიმართულია გვერდით (იხ. მესამე ვერტიკალური სვეტი).

პირველი პირის სუბიექტის გადმოსაცემად, ხელი სხეულიდან მიემართება (იხ. პირველი ჰორიზონტალური სვეტი); მეორე პირის შემთხვევაში სხეულის წინ ახლომდებარე სივრცეა გააზრებული მეორე ანუ კომუნიკატორი პირის ლოკაციად და ხელი ამ ადგილიდან მიემართება ობიექტისკენ (იხ. მეორე ჰორიზონტალური სვეტი); ხოლო მესამე სუბიექტური პირის შემთხვევაში გვერდიდან ხდება მოქმედების კინეტიკის დაწყება (იხ. მესამე ჰორიზონტალური სვეტი).

მოცემულ ცხრილებში, ფაქტობრივად, კინეტიკურად წარმოდგენილია ობიექტის და სუბიექტის მარკირება. ობიექტისკენ მიმართულია სუბიექტიდან წამოსული დინამიკა, ანუ სუბიექტი საწყისია, ხოლო ობიექტი არის მიზანი, ანუ ზმნის მოქმედების დანამიკური ფაზების ბოლო პუნქტი.

ზემოთ წარმოდგენილი პარადიგმიდან ჩანს, რომ უსტური ზმნა განასხვავებს სივრცით მარკირებას – პირველი პირი გადმოიცემა სხეულთან ახლოს განთავსებული და სხეულისკენ მიმართული ხელით, ასევე სხეულისკენ მიმართული თითებით; მეორე პირი გადმოიცემა სხეულის წინ მიმართული ხელით და იმავე მიმართულების თითებით; ხოლო მესამე პირი გადმოცემულია გვერდით მიმართული ხელით და იმავე მიმართულების თითებით. ეს პარამეტრები – ხელისა და თითების მიმართულება (ცხადია, აქვე შესაბამისად შეიცვლება ხელისგულის მიმართულებაც) ერთი კონფიგურაციის ფარგლებში – შესაძლოა, გავიაზროთ როგორც ზმნის პირის ნიშნები. საგულისხმოა, რომ სუბიექტი და ობიექტი ამ თვალსაზრისით არ სხვაობს. ერთადერთი, რაც სუბიექტურ პირს ობიექტურისგან განასხვავებს, ეს არის ის, რომ სუბიექტი არის მოქმედების საწყისი და ობიექტი კი – მიზანი, ანუ ბოლო პუნქტი. აქვე უნდა ისიც აღვნიშნოთ, რომ ქართულ უსტურ ენაში ირიბ ობიექტს აქვს დამატებითი მარკირები, რაზეც ადრე ვისაუბრეთ (მახარობლიდე 2015). ამრიგად, ქართულ უსტურ ენაში სუბიექტი კარგადაა გამიჯნული ობიექტისგან, ხოლო პირის რომელობის ზემოთ აღწერილი მოცემულობები მყარი და უნივერსალური პარამეტრებია ზოგადად უსტური ენებისთვის – დედუქციური მიდგომით.

ამრიგად, ქართული უსტური ენის ზმნის პარადიგმაში (და, ზოგადად, უსტურ ენებში) აქტანტების მორფოლოგიური მარკირება ხდება სამი სახით:

1. დეიქტიური მარკირება, როგორიცაა ზემოთ წარმოდგენილი ინკორპორირებული ზმნის პარადიგმა;

2. დესტინაციური მარკირება სემანტიკური კონტენტით (იხ. ვერსიის კატეგორია, პატივისცემითი და უპატივცემლო ფორმების გამოხატვა და ირიბი ობიექტის მარკირება, მახარობლიდე 2015);

3. მორფოსინტაქსური მარკირება – არსებითი სახელით გადმოცემული აქტანტებისთვის ბრუნვის ნიშების დართვა. ტრანზიტული ზმნის სუბიექტი აორისტში გამოხატულია ერგატივით, დანარჩენ შემთხვევებში სუბიექტი ნომინატიურ ანუ არამარკირებულ, ნულოვან ბრუნვაშია, ირიბი ობიექტი კი მარკირებულია მიცემითი ბრუნვის ფარდი დეიქტიური მარკერით და აქ ხდება აქტანტთა მარკირების პირველი და მესამე ტიპების კომბინირება.

ქართულ უსტურ ენაში აღინიშნება აქტანტთა მორფოლოგიური მარკირების ზემოთ მოცემული სამი ტიპის სხვადასხვა სახის კომბინირება.

ლიტერატურა:

- არონოვი, მირი, სანდლერი 2005:** M. Aronoff, I. Meir, W. Sandler, The paradox of sign language morphology, *Language* 81. 301-344. DOI: <https://doi.org/10.1353/lan.2005.0043>
- ბორსტელი 2019:** C. Börstell, Differential object marking in sign languages, *Glossa: A Journal of General Linguistics*, 4(1), 3. DOI: <http://doi.org/10.5334/gjgl.780>

მახარობლიძე 2019: თ. მახარობლიძე, ქართული უსტური ენის ზმის მორფოლოგია, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი, თბილისი, 248 გვ.

მახარობლიძე 2017: T. Makharoblidze, Concerning Some Issues of Imperfective Modality in Spoken and Signed Georgian, In: *Historical Linguistics of the Caucasus*, Paris-Makhachkala, 132-135.

მახარობლიძე 2016: თ. მახარობლიძე, ღიანგვისტური წერილები – III. თსუ, არნ. ჩიქობავს სახელმისამართის ინსტიტუტი, თბილისი, 446 გვ.

მახარობლიძე 2015: T. Makharoblidze, Indirect object markers in Georgian Sign Language, *Sign Language & Linguistics*, 18 (2) John Benjamins Publishing Company, 238-250

მახარობლიძე 2015: თ. მახარობლიძე, ქართული უსტური ენის ღუქსიკონი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი, თბილისი, 1368 გვ.

მახარობლიძე 2015: თ. მახარობლიძე, პოლიპერსონალიზმი უსტურ ენებში, საერთა-შორისო სამეცნიერო კონფერენცია „ენა და კულტურა“ შრომები III, ქუთაისი, გვ. 231-238.

მახარობლიძე 2014: თ. მახარობლიძე, დროის სისტემა ქართულ უსტურ ენაში, ენათმეცნიერების საკითხები, ეძღვნება ირინე მელიქიშვილის ხსოვნას, თსუ, თბილისი გვ. 209-218.

მახარობლიძე 2013: თ. მახარობლიძე, ზმიათა უღვლილება ქართულ უსტურ ენაში, კავკასიონლოგთა III საერთაშორისო კონგრესი „მულტიკულტურალიზმი და ტოლერანტობა კავკასიაში“, თსუ, თბილისი, გვ. 231-233.

მახარობლიძე 2013: თ. მახარობლიძე, The Category of Version in Georgian Sign Language, ვერსიის კატეგორია ქართულ უსტურ ენაში, კადმისი 5, ჰუმანიტარულ კვლევათა უურნალი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, გვ. 168-191.

მახარობლიძე 2012: თ. მახარობლიძე, ქართული უსტური ენა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, USIAD, Save The Children International, თბილისი, 610 გვ.

მათური, რატმანი 2012: G. Mathur, C. Rathmann, Verb agreement, In: Roland Pfau, Markus Steinbach, Bencie Woll (eds.), *Sign language: An international handbook*, MA: De Gruyter Mouton, Berlin/Boston, 136-157. DOI: <https://doi.org/10.1515/9783110261325.136>

ფაუ და სხვები 2018: R. Pfau, M. Salzmann, M. Steinbach, The syntax of sign language agreement: Common ingredients, but unusual recipe. *Glossa: A Journal of General Linguistics* 3(1). 107. DOI: <https://doi.org/10.5334/gjgl.511>

საპოუნტზაკი 2012: G. Sapountzaki, Agreement auxiliaries, In: Roland Pfau, Markus Steinbach, Bencie Woll (eds.), *Sign language: An international handbook*, De Gruyter Mouton, Berlin/Boston, 204-227.

მადლიერება

მინდა უღრმესი მადლობა გადავუხადო ჟესტური ენის მატარებლებს, რომ-ლებიც დამეხმარნენ მასალის მოძიებაში – ნათია და ლამარა ჯაფოშვილებს და თამარ ჯიქიძეს.

Tamar Makharoblidze

On Verbal Paradigms in GESL

Summary

The verb in the Georgian Sign Language (GESL) has morphological means to convey the relevant meanings and forms of all verbal paradigms from spoken Georgian, but GESL verbal paradigms do not repeat the paradigms of spoken Georgian. The only paradigm that GESL verbs may have is the combination of verbal-person forms. Such a paradigm can only appear with so called incorporated verbs. These relations are kinetically expressed in GESL.

The verbs in sign languages distinguish the spatial marking – the first person is conveyed by the hand close to the body and with the hand towards the body, as well as the fingers towards the body; the second person is delivered with the hand in front of the body and the fingers of the same direction; and the third person is given with the hand pointing to the side and fingers in the same direction. These parameters – the direction of the hand and the fingers and, of course, the palm orientation will also change accordingly – within one configuration may be understood as signs of the verbal persons. It is noteworthy that the subject and the object do not differ in this respect. The only thing that distinguishes the subject from the object is that the subject is the beginning of the action and the object is the purpose as the last point. It should be also noted that the indirect object in GESL has additional marking (Makharoblidze 1915). Thus in GESL the subject is well separated from the object, and the data described above seems to be typologically universal – with deductive approach.

The morphological marking in sign language verbal paradigms has the following three types:

1. Deictic marking;
2. Destinative marking with semantic content;
3. Morpho-syntactic labeling when nominal arguments have the case markers.

The subject of transitive verbs in aorist has the ergative marker, while in the other cases it is in nominative and appears with zero marker or non-marked forms. The indirect object is marked with the deictic marker with the content if dative, and here we can observe the combination of the first and third types of morphological marking.

In GESL all three types of morphological marking can occur, and there are also combinations of these types in this language.

ხმოვანთა ფორმაციული ანალიზი ქართულში
და მისი როლი მეტყველი პირის
ამოცნების პროცესში¹

შესავალი

სტატიაში განხილულია სასამართლო ფონეტიკური ექსპერტიზის ერთ-ერთი მეთოდი, კერძოდ, ხმოვანთა ფორმანტული ანალიზის საფუძველზე ჩანაწერში მეტყველი პირის იდენტიფიკაცია და ნაჩვენებია ამ მეთოდის შესაძლო გამოყენება გამოძიების პროცესში. აქვე განხილულია, ერთი მხრივ, კვლევის პროცესისთვის ხელშემწყობი ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ სხვადასხვა მეტყველი პირის ხმათა შორის აკუსტიკურ განსხვავებულობაზე და, მეორე მხრივ, სირთულე და თავსატეხი, რომლებიც შეიძლება ერთი და იმავე მეტყველი პირის ორ გამონათქვაში შორის არსებულმა აკუსტიკურმა სხვაობამ შეუქმნას მკვლევარს. სტატიაში აღწერილია კვლევა, რომელიც ეყრდნობა 30 დიქტორის გამონათქვამების ხმოვანთა ფორმანტული ანალიზის საფუძველზე შედგენილ მონაცემებს. სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე ორივე სქესისთვის განსაზღვრულია ის დიაპაზონი, რომელიც შეიძლება ჩათვალოს ერთი და იმავე მეტყველი პირის შიდა ვარიაციად. ხოლო, თუ ორი ჩანაწერიდან მოპოვებულ სტატისტიკურ მონაცემებს შორის არსებული განსხვავება არ ჯდება ერთი და იმავე მეტყველი პირისთვის დასაშვებ სხვაობათა დიაპაზონში, მაშინ ეს უკვე გვაფიქრებინებს, რომ საქმე გვაქვს ორ სხვადასხვა ინდივიდთან.

ფონეტიკური ექსპერტიზა წარმოადგენს გამოყენებითი ენათმეცნიერების ერთ-ერთ მიმართულებას და იგი მიზნად ისახავს სასამართლო პროცესებში ჩართულ აუდიოჩანაწერებში მეტყველი პირის (დიქტორის) იდენტიფიკაციას, ჩანაწერთა აუთენტიფიკაციას, შეტყობინების გაშიფრას, ხმის მიხედვით დიქტორის ემოციური მდგომარეობის დადგენას და ა.შ.

ფონეტიკური ექსპერტიზის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა მეტყველი პირის, დიქტორის იდენტიფიცირება გამოძიების ხელთ არსებული ხმის ნიმუშების საფუძველზე. ეს პროცესი შეიძლება განიმარტოს როგორც: „ნებისმიერი პროცესი, რომელიც მიზნად ისახავს, სამეტყველო სიგნალის მახასიათებლებზე დაყრდნობით დაადგინოს, კონკრეტული პერსონა არის თუ არა მოცემული გამონათქვამის დიქტორი“ (Atal 1976:460).

¹ კვლევა შესრულებულია შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის საგრანტო კონკურსის ფარგლებში (PHDF-18-405).

როგორც წესი, დიქტორის იდენტიფიცირების პროცესში ჩართულია ორი ტიპის აუდიოჩანაწერები: პირველი – ესაა ჩანაწერი, რომელშიც მეტყველი პირის იდენტიფიცირებას ცდილოს გამოძიება. შემდეგში ვუწოდოთ მას საკვლევი ხმის ნიმუში (questioned voice sample); ხოლო მეორე არის ის ჩანაწერები, რომელთაც გამოძიება თავად მოიპოვებს საეჭვო პირებისაგან, შემდეგში მას ვუწოდოთ ნაცნობი ხმის ნიმუში (known voice sample). სასამართლო ექსპერტიზამ უნდა შეძლოს განსხვავებების ან მსგავსებების პოვნა, რომელიც ამ ორი ტიპის აუდიოჩანაწერებს შორის არსებობს. თუმცა აქ ვნედებით პრობლემას: რასაკვირველია, ადამიანთა მეტყველება ერთმანეთისაგან განსხვავდება, რაზეც ისიც მეტყველებს, რომ ჩვენ გაქვს უნარი, ვიცნოთ ადამიანი მისი ხმის მეშვეობით, მაგრამ პრობლემას ქმნის ის ფაქტი, რომ ერთი და იმავე ადამიანის ხმამაც შეიძლება გვაჩვენოს ძალიან მნიშვნელოვანი შიდა სხვაობები.

როგორ შეიძლება, ხმოვანი სიგნალების მიხედვით განვასხვაოთ ერთმანეთის-გან დიქტორთა მეტყველება და რა განსახვავებს ხმებს ერთმანეთისგან?

ამის გასაგებად უნდა გავერკვეთ სამეტყველო ბგერათა წარმოქმნის მექანიზმი. ფილტვებიდან წამოსულმა პარმა უნდა გაიაროს ვოკალური ტრაქტი, სადაც მას გარკვეული საარტიკულაციო მოძრაობის შედეგად შექმნილი წინაღობა შეხვდება და გააქცერებს. ვოკალურ ტრაქტში საარტიკულაციო ორგანოების მიერ მიღებული მდგომარეობა თითოეული ბგერისთვის წარმოადგენს რეზონატორს. რეზონატორის ოდნავი ცვლილებაც კი იწვევს მასში გამოვლილი ბგერითი ტალღის სიხშირულ ცვლილებებს. ვინათან მეტყველების დროს საარტიკულაციო ორგანოების მდგომარეობა ვოკალურ ტრაქტში მათემატიკური სიზუსტით არ არის დაცული, ერთი და იმავე დიქტორის მიერ წარმოთქმული ბგერების აკუსტიკური მახასიათებლებიც აბსოლუტურად იდენტური, როგორც წესი, არ არის ხოლმე. ამას საკვლევი პირის ვარიაციებს უწოდებენ; მეორე მხრივ, ადამიანთა ვოკალური ტრაქტი, ფიზიოლოგიური თვალსაზრისით, მეტ-ნაკლებად განსხვავდება ერთმანეთისგან და სწორედ ეს ქმნის სხვაობას მეტყველ პირთა საარტიკულაციო ბგერების აკუსტიკურ მახასიათებლებს შორის (დიქტორთაშორისი ვარიაცია).

თუმცა როგორ შეიძლება დადგინდეს და განისაზღვროს ეს განსხვავებები? „სამეტყველო ბგერები როგორია და შედგება ორი ან მეტი სიმაღლის ბგერებისა-გან, რომელებიც ისეა შერწყმული, რომ ერთი ბგერის შთაბეჭდილებას ქმნიან“ (გამყრელიძე და სხვ. 2008:99). სწორედ ეს ბგერის შემადგენელი ნაწილები, ჰარმონიკები ქმნიან ენერგიის კონცენტრაციის წერტილებს ანუ ფორმანტებს, რომელთა სიხშირული მაჩვენებლებიც ცვლადია იმ რეზონატორის მიხედვით, რომელსაც ბგერა გამოივლის. რეზონატორის სხვაობა კი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შეიძლება განპირობებული იყოს როგორც ვოკალური ტრაქტის ფიზიოლოგიური სხვაობით, ასევე საარტიკულაციო ორგანოების განლაგებით. მეტყველი პირის იდენტიფიკაციის პროცესში მნიშვნელოვანია, ფორმანტული ანალიზის შე-

დეგად გამოიკვეთოს ის სხვაობები, რომლებიც მიუთითებენ ვოკალური ტრაქტის ფიზიოლოგიურ განსხვავებაზე, ან პირიქით – მსგავსებაზე.

ფორმანტული ანალიზი, როგორც წესი, ეფუძნება ხმოვნებს, თუმცა ასევე შეიძლება გაანალიზებულ იქნეს სინორებიც. ჩქმიერი ბგერების ცალკეული ფორმანტების გაზომვა შესაძლებელია, თუმცა ისინი იმდენად არასტაბილურია, რომ კვლევისთვის რელევანტურ შედეგებს ვერ იძლევა.

აქვე ჩნდება კითხვა – თუ ერთი და იმავე დიქტორის მეტყველებაშიც კი შეიძლება, ბგერითი სიგნალის ფორმანტების სიხშირეები განსხვავებული იყოს, მაშინ როგორ უნდა დავადგინოთ, ეს სხვაობა მიუთითებს საკვლევი პირის ვარიაციაზე თუ დიქტორთა შორის სხვაობაზე? საქმე ისაა, რომ საკვლევი პირის ვარიაცია, როგორც წესი, გარკვეულ სიხშირულ დიაპაზონში ექცევა, დიქტორთა-შორისი სხვაობა კი შეიძლება ნებისმიერი სიდიდის იყოს.

იმისთვის, რომ დაგვედგინა, თუ რა იყო საკვლევი პირის ვარიაციების ზღვრული დიაპაზონები ქართულში, ანუ რამხელა სხვაობის შემდეგ უნდა ვიფიქროთ, რომ საქმე გვაქვს სხვადასხვა დიქტორთან, ჩავწერეთ 30 დიქტორი. აქედან 13 ქალი და 17 მამაკაცი. ასაკობრივ ზღვრად შევარჩიეთ 25-35 წელი. თითოეული დიქტორისგან ჩავიწერეთ 75 ტოკენი. ყოველი ტოკენის ანლაუტში იდგა ხმოვანი – თითო ხმოვანზე 5 ტოკენი. თითოეული ხმოვნისთვის გავზომეთ ფუნდამენტური სიხშირე და პირველი სამი ფორმანტი. სულ გაზომვების რაოდენობამ შეადგინა 9 ათასი ერთეული. ჩანაწერები გაკეთდა სხვადასხვა შენობაში, თუმცა ყველგრძელ ერთი და იმავე აღჭურვილობითა და დახურულ გარემოში დიქტორსა და მიკროფონს შორის ოცსანტიმეტრიანი დისტანციის დაცვით. თითოეული სიტყვის თავში ჩაწერილი ფონური ხმაურის დახმარებით გამოვიყენეთ ე.წ. „სავარცხლი“ ფილტრები, რათა მოგვეშორებინა ფონური ხმაური. გაზომვები გავაკეთეთ შემდეგი პარამეტრების მიხედვით: F0, F1, F2, F3. ყოველი სპიკერის-თვის თითოეული პარამეტრის მიხედვით გამოვთვალეთ სიხშირული დიაპაზონი. ცხრილის სახით წარმოგიდგენთ მინიმალურ და მაქსიმალურ დიაპაზონებს პარამეტრებისა და სქესის გათვალისწინებით:

	F0		F1		F2		F3	
	Min	Max	Min	Max	Min	Max	Min	Max
ქალი	43	163	481	1077	1900	2815	1308	3079
მამაკაცი	33	183	351	949	1589	2218	1119	3072

სიხშირული დიაპაზონები სქესისა და ფორმანტების მახჯდვით.

როგორ და რაში შეიძლება გამოგვადგეს ეს მონაცემები? როგორც ცხრილიდან ჩანს, ქალებს შორის ფუნდამენტური სიხშირის ყველაზე მცირე დიაპაზონი (ანუ მაქსიმალურ და მინიმალურ მონაცემს შორის სხვაობა) იყო 43 ჰც, ხოლო ყველაზე მაღალი – 163 ჰც. მამაკაცებში იგივე მონაცემი მერყეობს 33 ჰც-იდან

183 პც-ამდე. მონაცემებზე დაყრდნობით შეიძლება დავუშვათ: თუ საკვლევი და ნაცნობი ხმის ნიმუშების F0-ის მინიმალური და მაქსიმალური ოდენობების სხვაობა მეტია 170-ზე (ქალების შემთხვევაში), თამამად შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ საქმე გვაქვს დიქტორთა შორის სხვაობასთან, თუმცა, თუ იგივე მაჩვნებელი ბევრად დაბალია, ის მაინც არ გამოგვადგება იმის დასამტკიცებლად, რომ საქმე გვაქვს ერთსა და იმავე სპიკერთან, რადგან შეიძლება იყოს სრულიად შემთხვევითი გადაფარვა ანუ სპიკერთაშორისი მსგავსება.

ხმოვანთა ფორმანტული ანალიზი ასევე ჰშირად გამოიყენება დიქტორის სქესის განსასაზღვრავად. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ზესადგამი მილისა და საარტიკულაციო ორგანოების ფორმა-მდგომარეობა გავლენას ახდენს ბგერის აკუსტიკურ მახასიათებლებზე. ასე, მაგალითად, დიდი სახმო იოგები ვიბრირებს უფრო დაბალ სიხშირეზე, პატარა იოგები კი – უფრო მაღალზე. ქალებს საშუალოდ უფრო მოკლე იოგები აქვთ, ვიდრე მამაკაცებს, ამიტომ ქალები უფრო მაღალი სიხშირის მქონე ბგერებს წარმოოქმნავთ, ვიდრე მამაკაცები, რასაც ჩვენ მიერ მოყვანილი ცხრილიც ადასტურებს.

სქესი	F0_Hz	F1_Hz	F2_Hz	F3_Hz
ქალი	187	491	1616	2867
კაცი	102	458	1428	2603
საშუალო	141	472	1510	2718

ხმოვანთა საშუალო სიხშირული მაჩვნებლები სქესის მახჯდვთ

ცხრილში მოყვანილია 4 აკუსტიკური პარამეტრის – ფუნდამენტური სიხშირისა და პირველი სამი ფორმანტის საშუალო არითმეტიკული მაჩვნებლები სქესის მიხედვით. როგორც ვხედავთ, კაცების ხმის სიხშირული მაჩვნებლები ყველა პარამეტრის მიხედვით ბევრად დაბალია, ვიდრე ქალებისა. შესაბამისად, სპიკერის იდენტიფიცირების პროცესში თუ საკვლევი ხმის ნიმუშის დიქტორის საშუალო ფუნდამენტური სიხშირე ნაკლებია ორივე სქესის ხმის ნიმუშთა საშუალო არითმეტიკულთან შედარებით, საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ დიქტორი მამრობითი სქესისა; ამასთან, რაც უფრო დაბალი იქნება ეს მონაცემები, მით უფრო მეტი საფუძველი გვექნება ამის სამტკიცებლად და, პირიქით, რაც უფრო მაღალი იქნება საშუალო ფორმანტული სიხშირები, მით მეტია შანსი, რომ დიქტორი მდედრობითი სქესის იყოს.

აქვე აუცილებელია გავითვალისწინოთ ის გარემოებაც, რომ ფონეტიკურ ექსპერტიზას არ შესწევს ძალა, გადაჭრით ამტკიცოს, რომ 2 საკვლევი და ნაცნობი ხმის ნიმუშები ერთსა და იმავე დიქტორს ეკუთვნის, ვინაიდან ყოველთვის არსებობს შანსი იმისა, რომ ხმათა მსგავსება სრულიად შემთხვევითი იყოს და მკვლევარი ცრუ დადებით დასკვნამდე მივიდეს, თუმცა პირიქით კი ნაკლებად

მოსალოდნელია. შესაბამისად, იგი უნდა განვიხილოთ როგორც საგამომძიებლო პროცესისთვის დამზარება, რომელმაც შეიძლება გააძლიეროს ან შეასუსტოს საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებები; და არა როგორც მთავარი მტკიცებულება გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

წარმოადგინა ასოცირებულმა პროფესორმა მარინე ივანიშვილმა

ლიტერატურა:

გამყრელიძე და სხვ. 2008: თ. გამყრელიძე, ი. შადური, ზ. კინაძე, ნ. შენგელაია, თეორიული ენათმეცნიერების კურსი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.

Atal 1976: B. Atal, Automatic Recognition of Speakers from their Voices, *Proceedings of the IEEE*, pp. 460-475.

Hollien 1990: H. Hollien, *Acoustics of Crime*, Plenum, New York.

Hollien 1992: H. Hollien, Noisy Tape Recordings in Forensics *ESCA Proceed., Speech Processing in Adverse Conditions*, Nice, 167-170.

Hollien 2012: H. Hollien, About Forensic Phonetics, *Linguistica*, pp. 27-53.

Rose 2002: P. Rose, *Forensic Speaker Identification*, Taylor & Francis, London.

Mariam Navadze

Vowel Formant Analysis in Georgian and its Importance in the Speaker Identification Process

Summary

The article aims to discuss one of the methods of Forensic Phonetics, in particular, speaker identification by formant analysis, and to show the usage of the method during the investigation process. There are also considered physio-acoustic factors that influence, on the one hand, inter speaker variation and, on the other, make intra speaker variations.

The voice of 30 speakers has been recorded and analyzed. Approximately 9 thousand measurements have been made according to the following parameters: F0, F1, F2, F3. By the statistical data, the range of inter and intra speaker variations for each sex has been defined. If there is a difference between two voice recordings, which is more than inter speaker range, we should suppose that there are two different speakers in these recordings.

Presented by Prof. Marine Ivanishvili

ნიკოლოზ როინაშვილი

ფრონეს ხეობის მეტყველების ზოგიერთი თავისებურება

ფრონეს ხეობის სოფლებში: ძვილეთში, გვირგვინაში, ძაღინაში, თერეგვანში, ავნევში, ყორნისში, ნულში, თიღვაში, ასევე წეობიდან დევნილი მოსახლეობის ახალ დასახლებებში, რომლებსაც ეწოდებათ ახალი სოფელი, მოხისის დასახლება, ქარელის დასახლება, ქვენატკოცის დასახლება, აგარა, ასევე გორის დასახლებებში ჩაწერილი მასალების მიხედვით, გვხვდება ონომასტიკური მასალები, რომლებიც ქართველი მოსახლეობის, თავადაზნაურობის ცხოვრებას, სახელებს უკავშირდება.

მნარეში, ძირითადად, დომინირებს ქართლური დიალექტი, რომელიც ერთ-ერთი უდიდესია ენის დიალექტებს შორის და ფონეტიკური, მორფოლოგიური, ლექსიკური მნიშვნელობით გაძატონებული მდგომარეობა მოიპოვა. ამასთან, ხეობა ახლაც განიცდის დასავლეთ საქართველოს, კერძოდ ზემო იმერულისა და მცირედ რაჭულის გავლენას. ამისი მიზეზი კი ისტორიულად ცნობილი მიგრაციაა, რომელმაც დიდი კვალი დაამჩნია ხეობის მეტყველებას. მაგალითად, „1715 წლის რუისის საეპისკოპოსოს დავთრის“ მიხედვით, ხეობის არაერთ სოფელში მოსული მოსახლეობაა, ძირითადად, იმერეთიდან და რაჭიდან (თაყაიშვილი 2015:12, 13).

ამ დროს სოფელ აგნევში დამკვიდრებულია: სეხნია ომანაძე, პაპუნა ნადირაძე, სეხნია ჩიხრაძე, გიორგი ბრეგვაძე...

სოფელ არგნითში: შიო იალანაშვილი, ნასყიდა სხირტლაძე, თამაზ კობახიძე....

სოფელ ნულში: გიორგი საყვარელიძე, ბერი შავაძე, შიო შავაძე, დემეტრე დე-მეტრაშვილი, იმერელი გიორგი...

სოფელ ღვერთევში: სეხნია მესხი, გოგია შარაბიძე, თამაზა მესხი, მახარე მესხი...

სოფელ მდავში: შიო ჩინჩალაძე, სეხნია ჩინჩალაძე, ლაზარე ბუხაიძე, ივანე და ბეჭუა ჭიტაძეები...

სოფელ ბეჭმარში: ივანე, გიორგი ნებიერიძეები, ბერი, შიო გვიმრაძეები....

სოფელ წორბისში: მასურა, ივანე, გოდერძი მაისურაძეები... თამაზა რაჭველი, მამუკა კობერიძე...

სოფელ ხტანაში: ჰაატა კობერიძე, სეხნია შავაშაძე, გიორგი სირაძე, დათუნა სირაძე.

ასეთივე მდგომარეობაა თერეგვანში, ოურორაში, ძაღინაში, ხუნდისუბანში და სხვა სოფლებში, სადაც აბსოლუტური უმრავლესობა ქართველია.

დღეს ხეობის მოსახლეობა ეთნიკურად არ არის ერთფეროვანი, ქართველების გარდა ცხოვრობენ აზერბაიჯანელები, ბერძენები, სომხები, ოსები, რაც გავლენას ახ-

დენს მეტყველებაზე და საერთოდ ენობრივ მონაცემებზე. ამ და სხვა მიზეზების გამო მეტყველება მხარეში არ არის ერთფეროვანი, განსხვავებულია, ქართლურის გავლენა დიდია.

ასეთ ვითარებაში იკვეთება ხეობის სოფლების მეტყველება, რომელიც თავი-სებური ენობრივი მოვლენებით ხასიათდება.

ხმოვანთა ასიმილაცია: ეგ კაცი მაგნეს ვერ გეექცევათ. ხო ნახე დეედევნა და კიდეც მაიყვანს. მეეშვი, ეგ შენი საფერო არ არის. მაგნენა იჭიდავეს ატოცში და გია მეერია. ქოხის კარები გეეტეხნათ და მატორი წეელოთ. რას ჩამეეკიდა, თავი დაანებოს მეთქი.

დისიმილაცია: პირჯვალი გადიწერა და წავიდა. გუშინწილ იყო დღეობა გო-მართასი.

ბგერათა ჩართვა: მაგათი მოვახლე არა ვარ. ნოვეს დაუძახებ, იმან იცის ჩვენი გვარი. თავისი დედა ინგილოვა.

ბგერათა დაკარგვა: (მ)შრალი საქონელი (მ)შვილდურზე გარეგეს. ეგ ეკლე-სია (მ)ცხეთიჯვარშია.

„1715 წლის რუისის საეპისკოპოსოს დავთარში“ ფრონეს ხეობის სოფლებში მცხოვრებთა ბოლოხმოვნიანი სახელები სახელობით ბრუნვაში ხშირად წარმოდგენილია თ ნიშნით: იმერელი გიორგი, საყვარელიძე გიორგი, სუხიშვილი სულხანი (სოფ. ნული); გაბრიელაშვილი გიორგი, ლიაჯაშვილი გიორგი, ელიაშვილი სუხანი (სოფ. ერგნეთი); მაისურაძე გოდერძი, ციცხუაშვილი გიორგი (სოფ. წორბისი); დონაძე პაატი, გივიტაშვილი გოდერძი, ჭილლაძე გიორგი (სოფ. ძალინა) და სხვა.

თანამედროვე ვითარებით საზოგადო სახელები ხეობაში ამავე ნიშნით არის წარმოდგენილი: მმაი, დაი, მამაი, დედაი...

მრავლობითი რიცხვი ჩვეულებრივ იწაროება -უბ სუფიქსით, მაგრამ ხშირად -ხ და -თ სუფიქსებიც გამოყენება: მამაცანთ ნასახლარები, ეკლესიის სერები, თედიაანთ წყარო, შინდიაანები, სარველები, მთვარეულები, კობერაანთ გორა, თხელიძიანი, კობერაანი, ხახუტაანი, ორგორები, ზაღლაანთ ნასოფლარი, ტრანკაანთ ჭალები, ნაფუძრები, კაპანაანი, ქვაკუთხეები, ნაკანტორები და სხვა.

სიტყვათწარმოება. ხეობაში ასახულია მეურნეობის სხვადასხვა დარგი. მსაზღვრელი გამოხატავს სოფლებს, უბნებს, ცალკეულ გვარებსა და განაყრებს ანუ შტოგვარებს: ვასიკოს ახო, რომანოზას მიწა (სოფ. წნელისი), ბარუსას ჭალა, ბათლომეს მიწა (სოფ. ლოპანი), გოგალაძეების ახოები, ნადირაძეების სერი (სოფ. ლოპანი), შაორშაძეების ნაყვერი, იმერლების უბანი (სოფ. ქალეთი). ნაკვეთებისა და უბნების წარმოებისას -უბ სუფიქსი ნაკვეთის სიდიდეზე მიუთითებს და არა სიმრავლეზე: ჭიოტაძეები, შშვილდაურები, ხოდაბულები, ხარაიშვილების სათებზია, დარბაიძეების წისქვილი, ნავენახარი და სხვ.

პრეფიქს-სუფიქსური წარმოებიდან წინა ვითარების სახელებს აწარმოებს **ნა-არ**, დისიმილაციით **ნა-ალ** აფიქსები: ნავენახარი, ნავენახევი (სოფ. ჭინელისი), ნაბოსლარი, ნაბოსლარები (სოფ. წიფლითი), ნაფუძარი, ნაფუზარი, ნაქერალი (მინ-დორი), ნაქერალა (ტყე-სერი) (სოფ. თიღვა).

ხეობაში გახვდება თავსართ-ბოლოსართიანი დანიშნულების **სა-, სა-ე, სა-ო** წარმოებაც: **სა-ბერულ-ო**, **სა-ჯვარე** (სოფ. ხუნდისუბანი), **სა-მულრის-ო**, **სა-სარ-ე**, **სა-ბამბ-ო** და **სხვ.**

-ურ სუფიქსს გავრცელებული ინფორმაციით სხვადასხვა ფუნქცია აკისრია სხვადასხვა დაალექტში. ფრონეს ხეობის ქართლურში კუთვნილებას აღნიშნავს და ნაწარმოებია ანთროპონიმებისაგან. ამასთანავე გამოყენებულია საკუთრივ ტოპონიმების საწარმოებლადაც: **შალიბაური** (შალიბაშვილი, სოფ. ფათქინეთი), ნაკაშაური (ნაკაშიძე, სოფ. წნელისი), **ტრანკაული**, **ნადირაული** (სოფ. ქალეთი), **კოჭინაური**, **თათულაური** (ტოპონიმები, სოფ. ქალეთი) და **სხვ.**

ასეული წლების განმავლობაში ხეობაში **შეიცვალა** ეთნიკური ვითარება, ზოგი დასახლებული პუნქტი ამოვარდა, ზოგგან აგრესის შედეგად უცხოტომელები დასახლდნენ, მაგრამ მაინც დარჩა ტოპონომასტიკური სახელები, რომლებიც ნაწარმოებია გვარებისაგან. საფუძველი ის არის, რომ დოკუმენტური და ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, ძველი გვარები ხეობაში ტოპონიმებში დასტურდება ნაწილობრივ.

ვახუშტი ბაგრატიონის შრომას დართული სოფლების სიაში (ვახუშტი 1997:208, 209) და ოთანე ბაგრატიონის ცნობით, იმერეთის მომიჯნავე ზონაში, ფცის წყალზე (ფრონე) დასტურდება სოფელი წყდულეთი, ოთანე ბაგრატიონთან ის წყლელეთია, უფრო ადრე კი „1715 წლის რუისის საეპისკოპოსო დავთრის“ მიხედვით მწყვდელისი. ტოპონიმის მაწარმოებელი **-ურ** და **-ოს** სუფიქსები საუგუნები მონაცვლეობენ, ჰიდრონიმული ძირი „წყ“ კი შენარჩუნებულია (ბაგრატიონი ი. 1986:43).

სოფელში, ხენებული დავთრის მიხედვით, ცხოვრობდნენ: აბრამიშვილი, ნადირაძე, მექვაბიძე, ბატარიძე, ქოჩლაძე; ამ ორი ბოლო გვარის ლოკალიზაცია სოფელში ურბანიზაციის გამო ვერ მოხერხდა, მაგრამ ქარელის რაიონის სოფლებში: აგარაში, ქვენატკოცაში დღეს განთავსებული აბრამიშვილები და ნადირაძეები მიუთითებუნ, რომ მათი წინაპრების საცხოვრებელი ადგილი იყო სოფლის დასაგლეთი ტყის პირი, ფრონეს მარჯვენა ნაპირი, სადაც დასტურდება ტოპონიმები გვარების მიხედვით – აბრამეთი, ნადირაძეები, მექვაბიძეები. ამ ადგილას ახლაც არის შემორჩენილი ციხე, რომლის ახლოს დასტურდება ტოპონიმები: იარაღის ღელე და ქვაბთა ღელე, რაც დავით აღმაშენებლის ბრძოლებთან უნდა იყოს დაკავშირებული.

სოფელი ქალეთი ერთ-ერთი ძველი დასახლებული პუნქტია ხეობაში. მისი ანთროპონიმები 1715 წლის დავთრისა და დღევანდელი ვითარების მიხედვით

მთლიანად განსხვავებულია. ადრე სოფელში ცხოვრობდნენ: ნებიერიძე, კახეთელიძე, ფოფხაძე, ბოჟაძე. დღეს სოფელში ამ გვარებიდან აღარავინ დარჩა, მაგრამ შემონახულია ტოპონიმები ნებიერიძედან – ნებიერეთი, ტყის პირის, საძოვარი. კახეთელიძედან – კახაური, ახლა ბუჩქარია. ფოფხაძის გვარიდან – ფოფხაძები, ტოპონიმი. ბოჟაძის გვარი არა ჩანს, მაგრამ დადასტურებული გვაქვს სხვა სოფელში. დღეს სოფელ წნელისში სახლობენ: შაორშაძე, გოგაძე, ხარაიშვილი, დარბაძე, შეყლაშვილი, ჩიბიროვი.

დავთრის მიხედვით, ასევე დიდი დასახლებული პუნქტი ყოფილი სოფელი ფათქინეთი, სადაც ცხოვრობდნენ: დუჩიძები, ჭილლაძები, იაღანაშვილები, მიქაძები, ოსაძები, გვრიტიძები, ბასაძები, სახუაძები, შალიბაშვილები. დღეს აღნიშნულ სოფელში დარჩა მხოლოდ შალიბაშვილების გვარის ხუთი ოჯახი, სამი ოჯახი ნოზაძე, ორი მაჭარაშვილი, ორ-ორი ოჯახი შაორშაძე და გვიან ჩამოსახლებული გაგიევი.

იაღანაშვილები, დღეს უკვე იარღანაშვილები, გადასახლდნენ სოფელ სუნისში, აღმოსავლეთის მხარეს სამი კილომეტრის მოცილებით, მაგრამ ძველ ადგილთან ახლაც აქვთ კავშირი და ძველი სამოსახლო შემოღობილი აქვთ, იქვეა ღვთისმშობლის ეკლესია, რომლის დღეობა 21 სექტემბერს აღინიშნება. ოსაძეების გვარი მთლიანად გადასახლდა სოფელ ფცაში და მათ ადგილ-ნამოსახლარს ჰქვია „ოსაძეების ადგილი“. სოფლიდან გვრიტიძეები და აბასაძეები გადასახლდნენ გორისა და ქარელში.

სოფელში ძველი გვარებიდან ნაწარმოები ტოპონიმებიდან აღსანიშნავია „დუჩიძეს ტყე“, რომელიც ლოკალიზდება დუჩიძეების ყოფილ სამოსახლოსთან, ამჟამინდელი სოფლის დასავლეთით, სადაც ადგილობრივთა ბაღებია მოწყობილი.

ხეობაში ბევრი გვარია გადაშენებული, რომელთა კვალი არა ჩანს, მაგრამ ძიების შედეგად შესაძლებელია მათი აღდგენა.

ლიტერატურა:

ბაგრატიონი ი. 1986: იოანე ბაგრატიონი, ქართლ-კახეთის აღწერა, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი.

კახუშტი 1997: კახუშტი ბაგრატიონი, საქართველოს გეოგრაფია, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი.

თაყაიშვილი 2015: ე. თაყაიშვილი, რუსის სამწყსოს დავთარი, გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის გამოცემა.

იმნაიშვილი 1974: გ. იმნაიშვილი, ქართლური დიალუქტი, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი.

ღლონტი 1988: ა. ღლონტი, ფრონეულის ხეობათა ტოპონიმია, თბილისი.

Some Particularities of Prone Valley Speech

Summary

In the village of the Prone Valley, a significant part of which is occupied by a foreign country today, according to the recorded materials there basically live people who arrived in ancient times from Racha and Imereti. Their last names are: Skhirtladze, Saqvarelidze, Maisuradze, Gorgadze, Sharabidze, Chinchaladze, Bukhaidze, Gvimradze, Koberidze, Shavashadze, Siradze, Nebieridze, Kharazishvili and others.

In such circumstances, basically in relation to Kartli, was revealed the speech of the inhabitants of the valley villages, which is characterized by a number of peculiarities: assimilation of the vowels, dissimilation of sonorants, epenthesis and apheresis of consonants.

Toponymic units, which are durable, remained from old surnames: from Nebieridze – Nebiereti, Kakhetelidze – Kakhauri, Nakashidze – Nakashauri, Trankadze – Trankauli, etc.

In the “Episcopal Book of Ruisi of 1715” the last syllable of the names of the people inhabiting the villages of Prone Valley is often presented by *o (i)* sign in the nominative case: Sukhiashvili Sulkhani (village Nuli), Gabrielashvili Giorgi, (Ergneti), Maisuradze Goderdzi (village Tsorbisi) and others.

According to the modern situation generic names in the valley are presented with the same sign: As usual the suffix **-ებ (‐eb)** is used to produce the plural number, but we often use **-ნ (‐n)** and **-ო (‐o)** suffixes as well.

There are many surnames in the valley, which are exterminated. Basically the reason was the attack of the representatives of other ethnic groups, which forced Georgians to leave the native places.

მადლობის სამეტყველო აქტის სპეციფიკა ქართულ და ინგლისურ ენებში

სამეცნიერო ლიტერატურაში აღინიშნება, რომ მადლობის აქტი და მასზე გაცემული პასუხის აღეკვატურობა/არადეკვატურობა სოციუმის მიერ აღიარებული წორმაა, ამდენად, სამართლიანად მიჩნევა (ბეჭუ 1980, ფლოიდ და სხვები 2018, ჩანგი და სეტო 2015), რომ მადლობისა და მადლიერების გამოხატვის სამეტყველო აქტების კვლევისას მნიშვნელოვანია კულტურული ფაქტორის სპეციფიკის გათვალისწინებაც, რადგანაც სწორედ სოციუმის სოციალურ-კულტურული თვისებები განსაზღვრავს მადლობის ფორმულებსაც და მათი კონტექსტური ინტერპრეტაციის სახეებსაც. მაგალითად, ზოგიერთ აღმოსავლურ კულტურაში ოჯახის წევრების მიმართ მადლობის გამოყენება სამარცხინოდ ითვლება, მაშინ, როდესაც დასავლურ სოციუმში ეტიკეტი ითვალისწინებს მადლობის გადახდას ფამილიარულ სიტუაციაშიც კი (აპტე 1974:86-87). მადლობის სამეტყველო აქტის დროს გამოყენებული ფორმულის არჩევანსა და მისი ინტერპრეტაციის აღეკვატურად გააზრებაში, გარდა კულტურული ფაქტორისა, დიდ როლს ასრულებს ასევე კონტექსტიც, რადგანაც ერთი და იგივე ფორმულა სხვადასხვა კონტექსტში შეიძლება განსხვავებულად უღერდეს. რაც შეეხება მადლობის აქტის გამოყენების ძირითად მიზანსა და მიზეზს, სპეციალურ ლიტერატურაში აღიარებულია, რომ თავად სამეტყველო აქტიც და მასზე პასუხიც, გარკვეულწილად, აღადგენს სამეტყველო აქტის ორივე მონაწილე მხარეს შორის კონტექსტის წინარე სიტუაციის ბალანსს (ლებრა 1976:91, ჰავერკატე 1988). გარდა ამისა, მადლობა და მასზე შესაბამისი რეაქცია სოციალური კავშირის გამასა თუ შენარჩუნებაშიც ეხმარება მონაწილეებს (ლეიკოფი 1999, გრეინგერი 2013, ლიაო 2013).

ბრაუნი და ლევინსონი მადლობის აქტს ასევე „ვალდებულების“ მინიმზაციას უკავშირებენ (ბრაუნი და ლევინსონი 1987). სერლი (სერლი 1969:67) მადლობის სამეტყველო აქტის შემდეგ დახასიათებას გვთავაზობს:

აქტის პროპოზიციული შინაარსი წინარე აქტი (A) ჩადენილი შემენელის მიერ (H) წინარე შინაარსი აქტი (A) გარკვეულ სარგებელს აძლევს მოსაუბრეს (S) და ამასვე აღიარებს მოსაუბრე (S) გულწრფელობა (S) მადლიერია (A)-ს გამო ძირითადი მახასიათებელი გამოხატავს მადლობას (A)-ს გამო.

როგორც ვხედავთ, სერლის მიერ შემუშავებული ფორმულა არ ითვალისწინებს მადლობის საპასუხო რეაქციას, რასაც მკვლევრები მის ნაკლად მიიჩნევენ. წინამდებარე ნაშრომის მიზანია, ქართული და ინგლისური ენების მონაცემების

მიხედვით მაღლობის სამეტყველო აქტის ფუნქციურ-სემანტიკური მახასიათებლების გამოვლენა, შედარება და შესაბამისი დასკვნების გამოტანა.

ნაშრომი ეყრდნობა იუნგის (1994) მიერ ჩატარებულ კვლევას, რომელიც დღესაც აქტუალურად ითვლება და შეეხება ამერიკული კულტურისათვის დამა- ხასიათებელი მაღლობის აქტის გამოხატვის სპეციფიკას, შესაბამისად, სტატიაში მოცემულია იუნგის მიერ მოწოდებული კლასიფიკაციის ვერიფიკაციისა და ბრი- ტანულ და ქართულ ენებსა და კულტურებში მისი შესაძლო მოდიფიკაციის მცდელობა. ანალიტიკური და კომპარატივისტული მეთოდების საფუძველზე ნაშ- რომში აღწერილია მაღლობის აქტის თითქმის ყველა შესაძლო შემთხვევა ქარ- თულ და ბრიტანულ ინგლისურ ენებში, შეძლებისდაგავარად წარმოდგენილია ასევე მაღლობის აქტის შესაბამისი რეაქციებიც. კვლევა ეფუძნება ბრიტანული და ქართული ბეჭდვითი მედიისა და სატელევიზიო შოუების მასალებს, აგრეთვე, ბრიტანული ეროვნული კორპუსის მონაცემებს. თითო ენაში განხილულია მად- ლობის სამეტყველო აქტის 130-ამდე ნიმუში. იუნგი ეყრდნობა დელ ჰაიმსის ეთ- ნოგრაფიულ მიღების კვლევის საგნისადმი და მსჯელობს მაღლობის აქტისა და მასზე რეაქციის გამოხატველი ფორმულების გამოყენების რამდენიმე განსხვავე- ბულ სახესა და ფუნქციაზე.

ჩვენი დაკვირვებით, იუნგის მიერ მოცემული კლასიფიკაცია ქართული, ამე- რიკული და ბრიტანული კულტურებისათვის უნივერსალურად შეიძლება ჩაითვა- ლოს, თუმცა კვლევამ ასევე გამოავლინა რამდენიმე კრიტერიუმი, რომლებზეც იუნგი არ საუბრობს და რომლებიც ჩვენს კლასიფიკაციაში მოყვანილია 6-10 ნომრით. იუნგი გამოყოფს მაღლობის სამეტყველო აქტის რამდენიმე ფუნქციას:

- ა) გარკვეული (კონტექსტზე ორიენტირებული) 'სარგებლის' აღნიშვნა;
- ბ) საუბრის დაწყების, შეწყვეტის, დასრულებისა და თემის შეცვლის ფუნქცია;
- გ) რაიმე ადგილის დატოვებისა და გამოშვიდობების ფუნქცია;
- დ) შეთავაზებაზე დადებითი ან უარყოფითი ჰასუნის ფუნქცია;
- ე) უარყოფითი ემოციური მდგომარეობის გამოხატვის ფუნქცია.

ჩატარებულმა კვლევამ საშუალება მოგვცა გაგვეთვალისწინებინა და დამატე- ბით გამოგვეყო მაღლობის სამეტყველო აქტის, შემდეგი ტიპის ფუნქციები:

1. გარკვეული (კონტექსტზე ორიენტირებული) 'სარგებლის' აღნიშვნა: 'სარ- გებელი' შეიძლება იყოს მენტალური და ფიზიკური. ფიზიკური სარგებლის ერთი ძირითადი სახეა საჩუქარი და მასზე მაღლობა, ხოლო მენტალური (არა ფიზი- კური) სარგებელი გამოხატება რაიმე დახმარების გაწევაში. მსგავს კლასიფიკა- ციას გამოყოფს კულმასიც, რომელიც მიიჩნევს, რომ სარგებელი შეიძლება იყოს ფაქტობრივი და პოტენციური (კულმასი 1981, 2005). პოტენციური სარგებელი მოიცავს დაპირებას, შეთავაზებას და ყველა სამეტყველო აქტს, რომლებიც ამ კატეგორიას შეიძლება მივაკუთვნოთ; მეორე მხრივ, ფაქტობრივი სარგებელი გა- მომდინარეობს უკვე მომხდარი აქტიდან და მხოლოდ პოსტფაქტუმ მაღლობის ფუნქცია აქვს. სარგებელი შეიძლება იყოს პირდაპირი და არაპირდაპირი. პირდა-

პირი სარგებლის დროს მიმღები პირდაპირი გზით ‘სარგებლობს’ რაიმე წინარე შემთხვევის შედეგით, ხოლო ირიბი სარგებლის დროს ეს გზა ირიბია. ამ შემთხვევებს მიაკუთვნებენ ირიბ სამეტყველო აქტებს. მაგალითად, განვიხილოთ შემდეგი საილუსტრაციი მასალა:

A: უკაცრავად, ფურცელი დაგივარდა! (აწოდებს ფურცელს)

B: დიდი მადლობა!

A: არაფრის!

ამ კონტექსტში ერთი მონაწილე მადლობას უხდის მეორეს ფურცელის მიწოდებისთვის, რის გამოც მოლაპარაკის მადლობას იმსახურებს. საინტერესოა ისიც, რომ მადლობის ეს აქტი სრულდება (A)-ს აღეკვატური რეაქციის გამომხატველი ენობრივი ფორმულით – არაფრის. შეიძლება ითქვას, რომ ქართული ენის მონაცემების მიხედვით, მადლობის სამეტყველო აქტში ამ ფორმულის გამოყენება საკმაოდ ხშირი და ბუნებრივი მოვლენაა ნებისმიერ სოციალურ სიტუაციაში.

A: By the way, I hope, you remember that.

B: Thank you, sure I do (Breakfast).

მოყვანილ დიალოგში სამეტყველო აქტის მონაწილე (B) მადლობას უხდის პარტნიორს მნიშვნელოვანი ფაქტის შეხსნების გამო. პასუხად, იღიმის და თავს აქვევს. ინგლისურენოვან დიალოგში საუბრის მონაწილე ადრესატი აღარ თვლის საჭიროდ მადლობის საპასუხოდ შესაბამისი ენობრივი ფორმულის გამოყენებას, რადგან, სავარაუდოდ, ეს ზედმეტად ოფიციალური და ობიექტური ტონის გამომხატველი იქნებოდა. Mrs. Jervis, thank you for all your kindness. Heaven reward you for what you have done for me. ზემოთ მოყვანილ მაგალითში მოსაუბრე მადლობას უხდის მსმენელს უკვე მიღებული სარგებლის გამო. საინტერესოა, რომ ამ შემთხვევაში მოლაპარაკე მადლიერებას რედუქლიცირებული კონსტრუქციით გამოხატავს და ერთგვარად დალოცვის სემანტიკურ ნიუანსები ატარებს, როცა ზებუნებრივ ძალებზე ამახვილებს ყურადღებას. აღნიშნულ ვითარებაში ქართულ ენაში შესაძლოა, გამოყენებულ იქნეს შემდეგი ფრაზა: ღმერთი გადაგიხდის სამაგიეროს; ღმერთი არ დაგივიწყებს. თუმცა პირველი ფრაზა ქართულ ენაში უფრო უარყოფითი კონოტაციის მატარებელი შეიძლება იყოს, ფართო კონტექსტიდან გამომდინარე. ქართულ ენაში მიღებული სარგებლის საპასუხოდ გამოიყენება ასევე ფრაზები: გადამხადოს, ათასჯერ გადამხადოს და ა.შ. ამგვარ მაგალითებში, სავარაუდოდ, გამოხატულია მოქმედის მოდალური დამოკიდებულება, ხაზგასმულია მიღებული დახმარების განსაკუთრებული მნიშვნელობა და საპასუხო ქმედების მზაობა. ამგვარი ენობრივი ფორმულები შეიძლება შევაფასოთ როგორც მადლობის გადახდის ირიბი აქტი.

2. საუბრის დაწყების, შეწყვეტის, დასრულებისა და თემის შეცვლის ფუნქცია:

2.1. საუბრის დაწყება: მადლობის გადახდით საუბრის დაწყება ფორმალურ ხასიათს ატარებს და სამეტყველო ეტიკეტის ერთ-ერთი მახასიათებელია. რო-

გორც წესი, მადლობის გადახდის სამეტყველო აქტი ამ თვალსაზრისით არის ფორმალური მიმართვა, ოფიციალური/აკადემიური ლექციის შემადგენელი ნაწილი, კონფერენციისა და თოკშოუს დაწყების ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ენობრივი ფორმულა. შეიძლება ითქვას, რომ ეს ერთგვარი უნივერსალური მოდელია, ამდენად, მასალის მოძიება თანაბრადაა შესძლებელი ორივე სამიზნე ენაში.

- Laureen Thank you for this question. I'd like to start with the issue I had to...
- დიდი მადლობა, რომ ამ კითხვით მომმართეთ. ალბათ, ეს არის ყველაზე აქტუალური და პასუხგასაცემი კითხვა დღევანდელ ქართულ პოლიტიკაში;
- ძალიან დიდი მადლობა ამ შეკითხვისათვის.

ამ კონტექსტებში პროგრამის წამყვან უურნალისტს მადლობას უხდიან შეკითხვისათვის, რაც, ირიბად, საუბრის დასაწყისის მანიშნებლად შეიძლება მივიჩნიოთ. გარკვეულ შემთხვევებში მადლობის აქტი მიზნად ისახავს მოლაპარაკის შემზადებას და საუბრის თემაზე სპეციულური აქცენტების გაკეთებას. ამას ადასტურებს ზემოთ მოყვანილი მეორე მაგალითი. როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული, პრეზენტაციის მადლობით გახსნა ყურადღების მიპყრობის ერთგვარი ხერხია, ამით გამომსვლელი მიანიშნებს დამსწრე საზოგადოებას, რომ იგი მზად არის საუბრის დასაწყისად (იუნგი 1994:7).

2.2. საუბრის თემის დასრულებისა და თემის შეცვლის ფუნქცია:

- დიდი მადლობა, რომ მობრძანდით, ბატონო გია. მერაბ, რას ფიქრობთ...
- Let's see how much work they have done. Thank you for being with us. We will come back to you soon;
- Thank you and we are perfectly happy to answer any questions you may have... thank you. აღსანიშნავია, რომ საუბრის დასრულების ფუნქციით მადლობის გადახდის დროს შეიძლება იგივე ენობრივი საშუალებები იქნეს გამოყენებული, რომლებიც იხმარება საუბრის დასაწყისში:
- Thank you, America;
- Thank you for joining us;
- Thank you for being with us;
- დიდი მადლობა მობრძანებისათვის.

მიუხედავად ამისა, ქართული და ინგლისური ენების მონაცემების მიხედვით განსხვავებული ვითარება ფიქსირდება ვრცელი ფრაზების გამოყენებისას, რაც ქართული ენის სინტაქსური თავისებურებითაა განპირობებული. დამშვიდობების დროს ენობრივ ფორმულებში მოცემულია წარსული დროის ზმნური ფორმები: მაგალითად: დიდი მადლობა, რომ იყავით ჩვენთან; დიდი მადლობა, რომ მონაწილეობა მიიღეთ ჩვენს გადაცემაში (შდრ. Thank you for being with us). ქართულ ენაში ენობრივ ფორმულები ნეიტრალურია მხოლოდ იმ შემთხვევებში, თუ წინარე ვითარება იგულისხმება ფართო კონტექსტის მიხედვით, მაგალითად, ფრაზა

– დიდი მადლობა, რომ დაგვთანხმდით ინტერვიუზე – თავისუფლად შეიძლება გამოიყენოთ როგორც საუბრის დასაწყისში, ისე მისი დასრულებისას. განსხვავება ექნება მხოლოდ სემანტიკურ დატვირთვას, საუბრის დასაწყისში აღნიშნულ ფრაზას ექნება ირიბი/ნაწილობრივი მისალმების ფუნქცია, დაილოგის ბოლოს კი კიდევ ერთხელ გაესმება ხაზი მადლიერების გამოხატვას და ავტომატურად იქნება საუბრის დასრულების ნიშანი.

3. რაიმე ადგილის დატვირთვისა და გამომშვიდობების ფუნქცია: მადლობის ფორმულები ინტენსიურად გამოიყენება განშორების დროსაც და, ამდენად, მადლობის სამეტყველო აქტის ერთ-ერთი სემანტიკური ვარიაცია სწორედ დამშვიდობების ფუნქციის გამოხატვა. ამგვარი დატვირთვა მადლობის გადმოცემის ენიბრივ საშუალებებს აქვთ როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენებში. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ორივე ენაში ამ მიზნით გამოიყენება როგორც სინტაქსური კონსტრუქციები და ფართო კონტექსტი.

- ეთერში იყო „პოზიცია“, დიდი მადლობა, რომ არ გადართეთ.
- Thanks for inviting us today. We enjoyed every minute of our stay here;
- Thank you for your kind attention. Till next Wednesday.

4. შეთავაზებაზე დადებითი ან უარყოფითი პასუხის ფუნქცია: თავაზიანობის გამოხატვის სტრატეგია მოითხოვს ამა თუ იმ შეთავაზებაზე ნებისმიერი პასუხის გაცემის წინ მადლობის გადახდას. ეს მოვლენა უნივერსალური აღმოჩნდა ორივე სამიზნე ენისათვის.

- დიდი მადლობა ამ წინადადებისთვის, შემოთავაზებისთვის, ნაყოფიერი თანამშრომლობისთვის;
- Madame, you are welcome to Pleasant hall; Thank you, William;
- Thank you for this suggestion but I cannot accept it.

5. უარყოფითი ემოციური მდგომარეობის გამოხატვის ფუნქცია:

- ამაზეც მადლობა... დიდი მადლობა რა (ფამილარული საუბარი)... მადლობა მომიზენებია, მაგრამ....
- Thank you for loving me so much.

უნდა აღინიშნოს, რომ როდესაც ვსაუბრობთ მადლობის სამეტყველო აქტის უარყოფით ემოციურ კონტექსტზე, რამდენიმე სემანტიკურ მახასიათებელზე უნდა გავამახვილოთ ყურადღება. როგორც მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, გარკვეულ შემთხვევებში ამ ტიპის სამეტყველო აქტი შეიძლება გამოხატავდეს ირონიას, ზოგიერთ კონტექსტში კი – გაბრაზებას.

6. მადლობა ფართო კონტექსტით: ქართული სოციოკულტურული მახასიათებლებიდან გამომდინარე, ქართულ დაილოგურ მეტყველებაში უხვად არის მადლობის გადახდის შემთხვევები ფართო კონტექსტით, როდესაც მოლაპარაკე ინ-

დივიდი ვრცლად გადმოსცემს თავის დამოკიდებულებას, შეფასებას მადლობის აქტის პარალელურად. როგორც წესი, მადლობის გადახდას თან სდევს ასენა-განმარტებები, დამატებითი ინფორმაცია, დაზუსტება და ა.შ.

- ვინც მოვიდა, ყველას მადლობა იმიტომ, რომ ისინი ჩემი შემოქმედების ნამ-დვილი თაყვანისმცემლები არიან. მე ერთ-ერთ სიმღერაზე ჩავედი დარბაზში და ვნახე, რომ იგი სავსე იყო.
- აქვე მინდა დიდი მადლობა გადავუხადო იმ ადამიანებს, რომლებმაც ჩვენი ოჯახის მიმართ დიდი თანადგომა გამოავლინეს.

7. მადლობა – რედუპლიკაცია, ექსპრესიულობის გამოხატვა: ქართული ენის მონაცემების მიხედვით ხშირად ფიქსირდება ისეთი შემთხვევები, როდესაც მად-ლობის გადახდის სამეტყველო აქტის დროს მადლიერების ფორმულები რამდენ-ჯერმე გამოიყენება ერთი და იმავე პიროვნების მიერ. რედუპლიკაცია ამ შემ-თხვევაში ექსპრესიულობის ელფერის მატარებელია და მიზნად ისახავს, ერთი მხრივ, შთაბეჭდილების მოხდენას, ხოლო, მეორე მხრივ, მადლიერების გამოხატ-ვას. ქართულ სოციოკულტურულ სივრცეში მოლაპარაკე ვალდებულად თვლის თავს, ინტენსიურად გამოხატოს მადლობა, რათა ამით დააფიქსიროს თავისი და-მოკიდებულება წინარე სიტუაციაში განხორციელებული ქმედების მიმართ. ამ თვალსაზრისით, ქართული ენის სამეტყველო სტრატეგია გარკვეულწილად გან-სხვავდება ბრიტანული ინგლისური ენის მონაცემებისაგან.

- მეორე დღეს ჩვენი სპექტაკლი იყო დანიშნული. დილის 5 საათამდე გვერდი-დან არავინ მოგვშორებია. ყველაფრისათვის დიდი მადლობა ბატონ ლევან ღლონტს, თეატრის დირექტორს, და მთლიანად კოლექტივს. ჩვენს გას-ტროლს უშუალოდ კურირებდნენ აჭარის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ბატონი ნოდარ ფალავა და ქალბატონი ჩიტო ომერიძე. აჭარის ტელევიზიის ხელმძღვანელი პატა კაკაურიძე ყველანაირად მხარში გვედგა. დიდი მადლობა ყველას ყურადღებისა და სიყვარულისათვის.
- დიდი მადლობა, ოღონდ მართლა, უღრმესი მადლობა, არ ვიცი, სამაგიერო როგორ გადავიხადო...

8. მადლობა – კომპლიმენტი, ირიბი მადლობა: სამეტყველო სიტუაციაში მადლობის გადახდა ხშირად ირიბი გზით ხდება და კომპლიმენტის სახეს ატა-რებს. ყოფით საუბარში ქართული ენა ბევრ ამგვარ ენობრივ ფორმულას გვიჩვე-ნებს. ამ ტიპის დიალოგში ექსპრესიულობის გაზრდის მიზნით ქართული ენის მატარებლები ხშირად იყნებენ ასევე შორისდებულებს, შეკითხვის ფორმებს:

- შენი ფასი არ არის;
- ოქროს გოგო ხარ;
- რატომ შეტუხდით?

- ვაიმე, ნუ წუხდებით;
- Don't bother, honestly. It is kind of you.

9. ენაში დაფიქსირებული შესიტყვებები: საინტერესოა, რომ მადლობის გადახდის სტრატეგია ენაში აყალიბებს მყარ შესიტყვებებს, რომლებიც არცოუ ისე იშვიათად გამოიყენება მადლიერების გამოსახატავად. შედარებითი ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ ამგვარი ფორმულები უფრო მეტად სპეციფიკური უნდა იყოს ქართული ენისათვის.

- მადლობა ღმერთს, რომ დღეს ყველა აქ ვართ...
- მადლობა თქვით, შანტაჟისთვის რომ არ ვიყენებთ მათ. თქვენ საქმეში არ ვერევით, თავი დაგვანებეთ, რაც უკეთ ვიცითო;
- Thank god we managed to do this.

10. შესრულებულ (ან არშესრულებულ) თხოვნაზე რეაქცია: ამ ტიპის სამეტველო აქტში იგულისხმება ექსტრალინგვისტური საშუალებების ჩართვა, მაგალითად, პაუზის დაფიქსირება შედეგის მისაღწევად. ეს სტრატეგია უფრო ხშირად გამოიყენება ოფიციალურ სიტუაციაში, ასევე, მკაცრი დამოკიდებულების გადმოსაცემად, სიტუაციას კი არ არბილებს, არამედ უფრო უარყოფით ემოციურ მუხტზე მიუთითებს. ამგვარი სტრატეგია უფრო დამახასიათებელი აღმოჩნდა ინგლისური ენისათვის.

- Take your elbows off the table. Thank you.

საინტერესოა, თუ რა ვითარებაა მადლობაზე პასუხის გაცემის ენობრივი ფორმულების გავრცელებისა და გამოყენების სიხშირის თვალსაზრისით ქართულ და ინგლისურ ენებში. ინგლისურ ენაში გამოიყოფა საპასუხო რეაქციის გმომხატველი რამდენიმე სიტუაცია (იუნგი 1992:12): მიღება: You are welcome, Sure, O.K., My pleasure... უარყოფა: No problem, Not at all, Don't mention it... ორმხრივობა: Thank you კომენტარი: დეტალური ახსნა არავრბალური პასუხი: ღიმილი, თავის დაქნევა... პასუხისაგან თავის შეკავება. ქართულ ენაში მადლობაზე პასუხის გაცემის შესაძლებლობები, შეიძლება ითქვას, რომ ნაკლებად მრავალფეროვანია. ძირითადად, გამოიყენება ფორმა არაფრის/არაფერს, გაიხარე, არავერბალური პასუხი ან ირჩი სტრატეგია უფრო საუბრის სხვა თემაზე გადატანის მიზნით. ჩატარებული კვლევის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ მადლობის გადახდის რეპრეზენტაციული ფორმები მეტ-ნაკლებად უნივერსალურია ქართული და ინგლისური ენებისათვის. ოფიციალურ ვითარებაში სამეტყველო ეტიკეტის მიხედვით მადლობის გადახდის ფორმები თითქმის იდენტურია ორივე სამიზნე ენაში. განსხვავებას გვიჩვენებს მხოლოდ რამდენიმე გარკვეული სპეციფიკური სამეტყველო სიტუაცია, რომლებსაც საფუძვლად უდევს ენების მატარებლების სოციალური ცოდნა, სოციოკულტურული მახასიათებლები, მაგალითად: სათქმე-

ლის შერბილება, რედუქტონიკაცია, ექსპრესიულობა და ინტენსივობა, რაც, ჩვენი კვლევის მიხედვით, უფრო დამახასიათებელია ქართული სოციუმისათვის და, შესაბამისად, ბუნებრივადაა ასახული სათანადო ენობრივ ფორმულებში.

ლიტერატურა:

- აპტე 1974:** M. L. Apte, Thank you and South Asian languages. A comparative socio-linguistic study, *Linguistics: an interdisciplinary journal of the language sciences*, 136, 67-89.
- ბეფუ 1980:** H. Befu, Structural and motivational approaches to social exchange, In: *Social Exchange: Advances in Theory and Research*, Kenneth, Gergen, Martin, Greenberg, Richard, Willis (Eds.), Plenum Press, New York, 197-214.
- ბრაუნი 1987:** P. Brown and S. C. Levinson, *Politeness: Some Universals in Language Usage*, Cambridge University Press, Cambridge.
- გრეინჯერი 2013:** K. Grainger, Of babies and bath water: Is there any place for Austin and Grice in interpersonal pragmatics? In: *Journal of Pragmatics*, 58, 27-38.
- იუნგი 1994:** W. H. Jung, Speech acts of “thank you” and responses to it in American English, Paper presented at the Annual meeting of the American Association of for Applied Linguistics (at <http://eric.ed.gov/?id=ED404879>, retrieved 24/11/2014).
- კოულმასი 1981:** F. Coulmas, “Poison to your soul”. Thanks and Apologies Contrastively viewed, In: *Conversational Routine: Explorations in Standardized Communication Situations and Prepatterned Speech*, F. Coulmas (Ed.), Mouton, The Hague.
- კოულმასი 2005:** F. Coulmas, *Sociolinguistics: The study of speakers' choices*, Cambridge University Press, Cambridge.
- ლებრა 1976:** T. Lebra, *Japanese Patterns of Behaviour*, The University of Hawaii Press, Honolulu.
- ლიაო 2013:** B. Liao, On appropriacy of thanking: Dynamic compensation and adaptation, In: *English Language Teaching* 6 (5), 71-80.
- სერლი 1969:** J. R. Searle, *Speech acts: An essay in the Philosophy of Language*, Cambridge University Press, Cambridge.
- ფლოიდი და სხვები 2018:** S. Floyd, G. Rossi, J. Baranova, J. Blythe, M. Dingemanse, K. H. Kendrick, J. Zinken, N. J. Enfield, Universals and cultural diversity in the expression of gratitude, *Royal Society Open Science*, 5: 180391. doi:10.1098/rsos.180391.
- ჩენგი და სეთი 2015:** W. Cheng and A. Seto, Thanks a bunch: cross-cultural comparison of the speech act of thanking, In: *Teaching, Learning and Investigating Pragmatics, Principles, Methods and Practices*, Edited by Sara Gesuato, Francesca Bianchi and Winnie Cheng, Cambridge Scholars Publishing.
- ჰემესი 1972:** D. H. Hymes, On communicative Competence, In: J. B. Pride and J. Holmes (eds), *Sociolinguistics. Selected Readings*, Harmondsworth, Penguin.

Manana Rusieshvili, Giuli Shabashvili

The Speech Acts of “thank you” in Georgian and English Languages

Summary

This article discusses the peculiarities of the speech act of “thank you”, the pragmatic motivation of its use in different speech situations and the linguistic formulas actualized in them.

The empiric data of the article are taken from Georgian and British print media and TV shows, as well as from the British National Corpus and explored through analytical and comparative research methods.

The theoretical framework of the study includes the classification suggested by Jung, according to which several functions of the speech act of “thank you” are distinguished: Expression of a context-oriented ‘benefit’; starting, stopping, ending the conversation or changing the topic; a formula used before leaving; expression of a positive or a negative response to the offer and of a negative emotional state.

The novelty of the paper lies in singling out of the following additional features: the act of *thank you* in a broader context; the speech of *thank you* in reduplication; the speech act of *thank you* as a compliment and an indirect way of thanking; the speech act of *thank you* as a set phrase; as a reaction to a fulfilled (or not fulfilled) request, the involvement of extralinguistic means.

As research has shown, in a formal setting, speech etiquette forms of this speech act are almost identical in both target languages. In specific speech situations, such as softening, reduplication, expressiveness and intensity, the use of this speech act is more characteristic of the Georgian than of the English language.

გრამატიკალიზაციით განაირობებული ომონიმია კომპიუტერულ ლინგვისტიკის შექმნის

ანოტაცია

სტატია ეხება ცოცხალ ენობრივ სისტემაში მიმღინარე გრამატიკალიზაციის პროცესსა და იმ სირთულეებს, რომელთაც გრამატიკალიზებული ელემენტები წარმოქმნიან კომპიუტერულ ლინგვისტიკაში. XXI საუკუნის ენათმეცნიერების ერთ-ერთი უმთავრესი გამოწვევა ენის ელექტრონული დოკუმენტირებაა, რაც თავისთვად გულისხმობს ენობრივი კორპუსებისა და ენობრივი მასალის ავტომატური თარგმნის პროგრამების შექმნას. ვინაიდან ენა ცოცხალი ორგანიზმია, იგი მუდმივად განიცდის ცვლილებებს, ეს ცვლილებები მის ყოველ დონეზე აისახება. ენობრივი მასალის ელექტრონული დოკუმენტირება, მისი განთავსება კორპუსში აუცილებლობით მოითხოვს კორპუსისათვის ავტომატური ანოტირების მექანიზმის – ანალიზატორის შექმნას.

გრამატიკალიზაცია ელემენტისათვის პარადიგმატული კლასის ცვლილებას გულისხმობს – ლექსიკური შინაარსის მქონე სიტყვაფორმა კარგავს ლექსიკურ მნიშვნელობას და ამის გამო ველარ ამყარებს ჩვეულ მიმართებას აღმნიშვნელთან, ის იმენს სპეციფიკურ გრამატიკულ ფუნქციას, ანუ იქცევა ფუნქციურ ელემენტად. ლექსიკური ელემენტის ფუნქციურ ელემენტად გარდაქმნის პროცესი ნაკლებად არის შესწავლითი ქართული ენისათვის და სისტემურ და სრულყოფილ აღწერას მოითხოვს. საკითხი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ბუნებრივი ენის დამუშავების (NLP), ჩვენს შემთხვევაში კი ქართული ენის, ავტომატური ანალიზის სრულყოფილი ფუნქციონირებისათვის.

ქართული ენის დღეისათვის არცერთი კორპუსი, მათ შორის ქართული ენის ეროვნული კორპუსიც, არ არის აღჭურვილი იმგვარი ანალიზატორით, რომელიც ალგორითმზე დაყრდნობით შეძლებდა ომონიმური ანუ, ფორმალური თვალსაზრისით, მსგავსი ლექსიკური და განსხვავებული ფუნქციური ელემენტების მოძიებას და მათ აღეკვატურ კლასიფიკაციას. ეს კი, შესაბამისად, კორპუსში წარმოქმნილი ომონიმის პოვნიერების საკითხსა და ენობრივ ფორმათა ორაზროვნების მოხსნის პრობლემის გადაწყვეტას შეუწყობდა ხელს. გრამატიკალიზებული ელემენტების ამოცნობის პრობლემის გადაჭრა გაამარტივებს ავტომატური თარგმნის პროგრამების დახვეწის საკითხს.

¹ კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის სახელობის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დოკუმენტორანტურის კვლევითი პროექტის ფარგლებში (პროექტის მიფრთ PHDF-18-557).

სტატია მიზნად ისახავს გრამატიკალიზაციის პროცესის თეორიული ჩარჩოს აღწერას ზმნური წარმოშობის ფუნქციურ ერთეულებზე დაყრდნობით და ქართული ენის ანალიზატორის, ისევე, როგორც ენის კორპუსში საძიებო სისტემისა და ავტომატური თარგმანსათვის თეორიული საფუძვლის, შექმნას.

საკვანძო ცნებები

კორპუსლინგვისტიკა; გრამატიკალიზაცია; ფუნქციური ელემენტი; ავტომატური თარგმანი; ომონიმია.

გრამატიკალიზაცია და ფუნქციური ელემენტები

ენა ნიშანთა სისტემაა და კომპლექსურ ფენომენს წარმოადგენს. ენის სრულ-ფასოვანი ანალიზი, ერთი მხრივ, ენობრივი სისტემის კვლევას, მეორე მხრივ კი, მისი ფუნქციონირების მექანიზმის შესწავლას, მისი სიღრმისეული და ზედაპირული სტრუქტურების ურთიერთმიმართების ანალიზს გულისხმობს, რაც თანამედროვე ენათმეცნიერების უმთავრესი გამოწვევაა. იმავდროულად, ენა მუდმივად ცვალებადი სისტემაა. ენობრივი სისტემის დიაქრონიული ანალიზი გვიჩვენებს, რომ ცვლილებები ენის ყოველ დონეზე ხორციელდება, იცვლება ენის ფონოლოგური შემადგენლობა, მისი მორფოლოგიური სისტემა და სინტაქსური სტრუქტურები, ცვლილებები მოქმედებს სემანტიკისა და პრაგმატიკის სფეროშიც.

ენის უპირველესი ფუნქცია – მისი საკომუნიკაციოდ გამოყენება ენობრივი ინვენტარის მეშვეობით ხორციელდება. ენობრივ ინვენტარს შენაარსისა და გრამატიკული ფუნქციის მქონე ენობრივ ელემენტთა ერთიანობა ქმნის. ენაში არსებული ინვენტარი სხვადასხვაგვარ პარადიგმატულ კლასად ნაწილდება. ენობრივ სისტემაში მიმდინარე ცვლილებების პარალელურად ენობრივმა ნიშანმა შეიძლება შეიცვალოს დანიშნულება და სიტყვათა ერთი პარადიგმატული კლასიდან მეორეში გადავიდეს. ამ ტაქტის ცვლილებას მიეკუთვნება გრამატიკალიზაციის პროცესიც (Lehman 2015:10).

გრამატიკალიზაცია ენის განვითარების ლოგიკურად თანმხლებ მოვლენად არის მიჩნეული. იგი უნივერსალური ფენომენია და ტიპოლოგიაში კარგად არის ცნობილი. გრამატიკალიზაციის პროცესის მიმდინარეობისას ლექსიკური შინაარსის მატარებელი ენობრივი ნიშანი კარგავს ლექსიკურ მნიშვნელობას და ველარაონციელებს რეფერენციას, ანუ ველარ ამფარებს ჩვეულ მიმართებას აღმიშვნელთან. ასეთ შემთხვევაში საქმე გვაქვს დელექსიკალიზაციასთან, რის შედეგადაც დელექსიკალიზებული ფორმა იძენს სპეციფიკურ გრამატიკულ ფუნქციას, ანუ იქცევა ფუნქციურ ელემენტად. გრამატიკალიზაცია დროში გაწელილი პროცესია, იგი ერთბაშად არ ხორციელდება, რის გამოც ენაში ხშირად დასტურდება ლექსიკურიდან ფუნქციურ ელემენტად ეტაპობრივი გარდაქმნის სხვადასხვა საფეხური (Hopper 2003:27).

ტიპოლოგიური თვალსაზრისით, განსაკუთრებით საინტერესო სურათს ქმნის ზმნურ ფორმათა გრამატიკალიზაცია. წინამდებარე სტატიაში ჩვენ სწორედ რამდენიმე ზმნური ფორმის გრამატიკალიზაციის პროცესს განვიხილავთ. საკითხის კლევის პროცესში სხვადასხვა მეთოდს გამოვიყენებთ: შედარებით-შეპირისპირებით ძეთოდს, ჩანაცვლების ძეთოდს, კორპუსლინგვისტური ანალიზის ძეთოდს, სტატისტიკურ ძეთოდს და სხვ.

ზმნურ ფორმათა გრამატიკალიზაციის თვალსაზრისით, ტიპოლოგიურად ყველაზე ხშირად გამოიყენება ლექსიკური ერთეულები: ადგომა, დაჯდომა, ხედვა, აღება. თანამედროვე ქართულ ენაში გრამატიკალიზაციის პროცესში მყოფი შემდეგი სიტყვაფორმები დასტურდება: ადგა, აიღო, მიღი, მოღი, დაღვა, ჩანს, იქნება. სტატიაში განხილული იქნება: ადგა, აიღო, მოღი სიტყვაფორმები, ქართული ენის ეროვნული კორპუსის მასალაზე დაყრდნობით.

გრამატიკალიზაციის საფეხურები

გრამატიკალიზაციის პროცესი დროშია განვიხილი და მის დასრულებას შესაძლოა, საუკუნეებიც დასჭირდეს. ეს პროცესი დროის გარკვეულ მონაკვეთში ჯერ კიდევ დაუსრულებელ, შეუალებურ ფაზაში იმყოფება, როდესაც ერთი და იგივე ფორმა პარალელურად იხმარება როგორც გრამატიკალიზებულ, ფუნქციურ ელემენტად ქცეულ ერთეულად, ისე ზმნური შინაარსის მქონე ლექსიკურ ერთეულად, ანუ პარალელური, შეიძლება ითქვას, ომონიმური ფორმები თანაარსებობენ ენობრივ სისტემაში. გრამატიკალიზაციის ამ შუალედურ ეტაპს სემიგრამატიკალიზაცია ეწოდება (Lehman 2015:11).

სამეცნიერო ლიტერატურაში გრამატიკალიზაციის ოთხი საფეხურია გამოყოფილი:

- **დესმანტიზაცია** – ენობრივი ერთეული კარგავს ლექსიკურ მნიშვნელობას. ლექსიკური მნიშვნელობის დაკარგვას სხვადასხვა ფაქტორი განაპირობებს, მათ შორის უმთავრესია სემანტიკური კონტექსტი. დესმანტიზაციის კლასიკურ ნიმუშად მიჩნეულია გადაადგილების სემანტიკის მქონე საბაზისო ზმნების გამოყენება მომავალი დროის საწარმოებლად ინგლისურში, მაგ., *I am going to do ...*
- **ექსტენცია** – ახალი ფუნქციით გამოყენების სიხშირის ზრდა. ამ ეტაპზე ფართოვდება დესემანტიზებული ელემენტის მოხმარების არეალი.
- **დეკატეგორიზაცია** – ენობრივი ერთეული კარგავს საკუთარ პარადიგმატულ (გრამატიკულ) ნიშნებს, ანუ ფორმაციალებადი სიტყვა თანდათანობით ფორმაუცვლელ სიტყვად იქცევა. ამ საფეხურზე შესაძლოა, ენობრივ ერთეულს შენარჩუნებული ჰქონდეს მორფოსინტაქსური მახასიათებლები, მაგრამ ერთეული ვეღარ ამყარებს მორფოსინტაქსურ კავშირს წინადადების სხვა წევრებ-

თან და ველარ აწარმოებს პარადიგმას. დამოუკიდებელი სიტყვა დამოკიდებული ხდება სხვა სიტყვებზე და იქცევა მათ თანმხლებ ერთეულად.

- **ეროზია** – დეკატეგორიზებული და დესემანტიზებული ენობრივი ერთეული, რომელიც ფორმაციალებადი სიტყვათა კლასიდან გადასულია ფორმაუცვლელ სიტყვათა კლასში, იწყებს ცვეთას და მარტივდება. ამ გზით მიღებულად მიჩნევა ქართულში ნაწილაკთა უმრავლესობა, მაგალითად, ეგებ-ეგების. მანანა თანდაშვილი მიუთითებს, რომ, ხშირ შემთხვევაში, გრამატიკალიზაციის შედეგად მიღებული ფუნქციური ელემენტი იმის საპირისპირო მნიშვნელობას გამოხატავს, რასაც გრამატიკალიზაციამდე გადმოსცემდა ღერძისკურად: რასაკირველია (= დადასტურება) < რა საკვირველია (გაოცება) (თანდაშვილი 2016:95).

სემიგრამატიკალიზაციის ეტაპზე მყოფი ერთეულები

ცოცხალ ენობრივ სისტემაში მიმდინარე გრამატიკალიზაციის პროცესსა და სემიგრამატიკალიზაციის ეტაპზე მყოფ ენობრივ ერთეულს დავაკვირდეთ შემდეგი სიტყვაფორმის მაგალითზე – **აღვა**. შევადაროთ ერთმანეთს მისი გამოყენების ორი შემთხვევა:

1. პეტრე შებინდებისას **აღვა** და მინდვრისკენ მიმავალ გზას დაადგა.
აღვა – ამ შემთხვევაში პრედიკტი – მოქმედების გამოშხატველი ღერძისკური ერთეული ზმნაა. დასადასტურებლად გამოვიყენოთ ღერძისკური სუბსტიტუციის მეთოდი:
 - პეტრე შებინდებისას **წამოდგა** და მინდვრისკენ მიმავალ გზას დაადგა.
2. რა კარგად გამახსენეთ ეს ამბავი, რომ **აღვა** თქვენი გაზეთი და ერთი ამბავი აუტეხა!
მივმართოთ იმავე სუბსტიტუციის მეთოდს:
 - რა კარგად გამახსენეთ ეს ამბავი, რომ **წამოდგა** თქვენი გაზეთი და ერთი ამბავი აუტეხა!

დგა ერთეულის ჩანაცვლება სხვა ზმნური ერთეულით გვაჩვენებს, რომ მოცემულ წინადადებაში **აღვა** დაცლილია ღერძისკური შინაარსისგან და მისი ჩანაცვლება მსგავსი ღერძისკური შინაარსის მატარებელი ზმნური ფორმით სემანტიკურად გაუმართავ წინადადებას გვაძლევს.

ამდენად, წარმოდგენილ კონტექსტში **აღვა** ფუნქციურ ელემენტადაა ქცეული და მოქმედების დასაწყისის სემანტიკას გამოხატავს.

აღსანიშნავია, რომ ფუნქციურ ელემენტად ქცეული ზმნური ერთეული, ღერძისკური შინაარსის გარდა, წინადადებაში სინტაქსურ ფუნქციასაც კარგავს. სინტაქსურად ზმნა წინადადების ერთ-ერთი მთავარი და საყრდენი წევრი, შემასმენელია, ხოლო გრამატიკალიზებული ზმნური ერთეული კარგავს წინადადების მთავარი წევრის ფუნქციას.

ფუნქციური და ფორმალური პერსპექტივა

გრამატიკალიზაციის პროცესის კვლევისას ორი ძირითადი მიღებობა გამოიყოფა: ფუნქციური და ფორმალური.

ფუნქციური მიღებობისას უმთავრესია, პასუხი გაეცეს შეკითხვას, თუ როგორ აისახება ენობრივი ერთეულის ფუნქციაზე გრამატიკალიზაციის შედეგად წარმოქმნილი ცვლილებები სემანტიკის ან მისი საკომუნიკაციო ფუნქციის, პრაგმატიკის თვალსაზრისით. ფუნქციური მიღებობა ცვლილობს, ენის საკომუნიკაციო ფუნქციაში მიმდინარე ამ ცვლილებების ახსნას და ემცენის კონტექსტებს, რომლებშიც ეს ცვლილებები დასტურდება (Hopper, Traugott 2002:71).

ფუნქციური თეორიების გამართოანებელია მცდელობა, გამოარყვიონ და აღწერონ გრამატიკული სისტემა იმ ექსტრალინგვისტური საჭიროებების გათვალისწინებით, რომლებიც ენობრივ სისტემებს აკისრიათ. ეს საჭიროებები სამ ნაწილად შეიძლება დაიყოს:

1. მიზნები და ამოცანები, რისთვისაც ენობრივი გამოსახულებები გამოიყენება;
2. საშუალებები, რომლებითაც ბუნებრივი ენები ფუნქციონირებენ;
3. ბუნებრივ ენაში ჩადებული შინაარსები.

ექსტრალინგვისტურ საჭიროებათა სამი კლასი, შესაბამისად, განსაზღვრავს ენათმეცნიერების სამ სხვადასხვა დარგს: პირველი, მიზნები და ამოცანები – პრაგმატიკას; მეორე, ბუნებრივი ენის ფუნქციონირების საშუალებები – სინტაქსს, მორფოლოგიას, ფონოლოგიასა და ფონეტიკას; მესამე, ბუნებრივ ენაში ჩადებული მნიშვნელობები – სემანტიკას. გრამატიკალიზაცია გაებულია როგორც არა მხოლოდ მორფოსინტაქსური ცვლილება, არამედ, უპირველესად, სემანტიკისა და პრაგმატიკის თვალსაზრისით ცვლილება (Frajzyngier 2008:14).

სემანტიკური თვალსაზრისით, გრამატიკალიზაციის პროცესის განხილვა ცხადყოფს, რომ გრამატიკალიზებული ზმნური ერთეულები თავდაპირველისაგან განსხვავდებული მნიშვნელობის გამოხატვის ფუნქციას იძენენ. ამ ახალ სემანტიკურ ნიუანსთა გამოსაკვლევად ჩატარდა ექსპერიმენტი, რომელიც მიზნად ისახავდა ფუნქციური ელემენტების სემანტიკის დასადგნად ცდისპირთა კომპეტენციის გამოყენებას. ექსპერიმენტის მიმდინარეობისას ინფორმაციების მიეწოდათ წინადადებები. მათი ამოცანა იყო, ამ წინადადებებში შეეცვალათ ხაზგასმული სიტყვა ისე, რომ წინადადების მნიშვნელობა უცვლელი დარჩენილიყო. საპილოტე კვლევისთვის 8 ინფორმაცია შეირჩა, მიღებული შედეგები წარმოდგენილია ტაბულა 1-ის სახით:

ტაბულა 1.

ო, რა კარგად გამახსენეთ ეს ამბავი! რომ უდიდესობა თქვენი გაზეთი და ერთი ამბავი აუტეხა, ასეც არ ყოფილა საქმე!	
ცდისპირი I	ო, რა კარგად გამახსენეთ ეს ამბავი! რომ წამოხტა თქვენი გაზეთი და ერთი ამბავი აუტეხა, ასეც არ ყოფილა საქმე!

ცდისპირი II	ო, რა კარგად გამახსენეთ ეს ამბავი! რომ უცა თქვენი გაზეთი და ერთი ამბავი აუტეხა, ასეც არ ყოფილა საქმე!
ცდისპირი III	ო, რა კარგად გამახსენეთ ეს ამბავი! რომ ძიღვა თქვენი გაზეთი და ერთი ამბავი აუტეხა, ასეც არ ყოფილა საქმე!
ცდისპირი IV	ო, რა კარგად გამახსენეთ ეს ამბავი! რომ დაუყონებლივ თქვენსა გაზეთმა ერთო ამბავი აუტეხა, ასეც არ ყოფილა საქმე!
ცდისპირი V	—
ცდისპირი VI	—
ცდისპირი VII	ო, რა კარგად გამახსენეთ ეს ამბავი! რომ ძოისროლა თქვენი გაზეთი და ერთი ამბავი აუტეხა, ასეც არ ყოფილა საქმე!
ცდისპირი VIII	ო, რა კარგად გამახსენეთ ეს ამბავი! რომ აჯანყდა თქვენი გაზეთი და ერთი ამბავი აუტეხა, ასეც არ ყოფილა საქმე!

კომპეტენციის ტესტით მიღებული მასალის ანალიზი გვიჩვენებს, რომ გრა-
მატიკალიზებული სახით **ძიღვა** სიტყვაფორმა რამდენიმე ფუნქციას ატარებს და
შემდეგ სემანტიკურ ჯგუფებად შეიძლება დაიყოს:

- I. გამოხატავს სწრაფ, ეფექტურ რეგისტას – ჩანაცვლებულია შემდეგი ერ-
თეულებით: **წამოხტა, უცა, დაუყონებლივ.**
- II. დროში გაწელილი, დინამიკური, შედეგ ზე ორიენტირებული პროცესის გა-
მომხატველია – ჩანაცვლებულია შემდეგი ერთეულებით: **ძიღვე, აჯანყდა.**
- III. არასწრაფდა ინტერპრეტირებული – ჩანაცვლებულია ერთეულით: **ძოისროლა.**

საინტერესოა, რომა ინფორმანტმა ვერ შეძლო მოცემული ერთეულის
განსხვავებული ზმნით ჩანაცვლება წინადადების საერთო შინაარსის შეუცვლე-
ლად. ასევე, საინტერესოა მეოთხე ინფორმანტის შედეგი, მან მნიშვნელობის შე-
სანარჩუნებლად, ნაცვლად ზმნური ფორმის ჩანაცვლებისა, წინადადების მთლიანი
კონსტრუქციი შეცვალა.

უნიტიური თვალსაზრისის თანახმად, გრამატიკალიზაციის პროცესში უმ-
ნიშვნელოვანები ადგილი უჭირავს სემანტიკურ და პრაგმატიკულ ცვლილებას,
ნიშნის შინაარსის პლანის ცვლას, ხოლო ფორმის ცვლილება გაგებულია რო-
გორც შინაარსის ცვლის თანმხლები შედეგი.

ამ მიღობისგან განსხვავებით, **ფორმალური** თვალსაზრისით, უმნიშვნელოვა-
ნებია ფორმალური ცვლილება, ხოლო შინაარსის ცვლა დანახულია როგორც
ფორმის ცვლის თანმხლები მოვლენა.

ნორმალური მიღობის თანახმად, გრამატიკალიზაცია არ განიხილება რო-
გორც დამოუკიდებელი ცვლილება, ის შედეგია გადააზრებისა (reanalyses) და
პარამეტრების ვარიირებისა (parametric variation)(Frajzyngier 2008:10).

გრამატიკალიზაცია შედეგია თაობათა შორის ცვლილებებისა – ენობრივი
სისტემის ერთი მდგომარეობიდან მეორეში გადასვლისა.

ფუნქციური ელემენტები და ომონიმია კორპუსლიგვისტიკაში

XXI საუკუნის უმთავრესი გამოწვევა მეცნიერების ყოველი დარგისა და, მათ შორის, ჰუმანიტარიისათვის მონაცემთა კომპიუტერული დამუშავებაა. ენობრივ მონაცემთა დიგიტალური მეთოდებით დამუშავება ენობრივი კორპუსების შექმნას მოიაზრებს. კორპუსი მოცემულ ენაზე შექმნილი ტექსტების ელექტრონული ბაზაა, რომელიც მომხმარებელს საგანგებო ნიშნულებით მარკირებულ, სხვადასხვა დონეზე ანოტირებულ ენობრივ მასალას სთაგაზობს, მოქნილი სამიებო მექანიზმით.

კორპუსში შემავალი ენობრივი ერთეულების ანოტირება ანალიზატორის მეშვეობით ხორციელდება. რაც უფრო დახვეწილია კორპუსი, მით მეტია ინფორმაცია, რომელსაც მომხმარებელი იღებს ამა თუ იმ ენობრივ ერთეულზე მორფოლოგიური, სინტაქსური თუ სემანტიკური თვალსაზრისით.

კორპუსის ერთ-ერთი უპირატესობა ავტომატური ამომცნობი მექანიზმის, სათანადო ანალიზატორის არსებობაა, რომელიც გამორიცხავს კორპუსში შემავალი ერთეულების მანუალურ დამუშავებას და, ნაცვლად ამისა, კორპუსში ჩაშენებული ლექსიკონის, მორფოსინტაქსური წესებისა და მორფებითა ბანკის საშუალებით ავტომატურ ანალიზს ახორციელებს. იმისათვის, რომ ანალიზატორმა შეძლოს კორპუსში შემავალ ენობრივ ერთეულთა ავტომატურად მარკირება და მომხმარებელს ადეკვატური ინფორმაცია მიაწოდოს, საჭიროა ენობრივ ერთეულთა სრულფასოვანი კვლევა როგორც ფორმობრივი, ასევე ფუნქციური თვალსაზრისით.

ქართული ენის ეროვნული კორპუსის მოცულობა 130 მილიონ ტოქნის აღემატება, რაც საკმაოდ მაღალ რაოდენობრივ მაჩვენებლად შეგვიძლია მივიჩნიოთ. კორპუსი აღჭურვილია მორფოლოგიური ანალიზატორითა და შესაბამისი მარკერებით, რომელიც კორპუსში შემავალ ტექსტებს ავტომატურად ენიჭება ანოტირების პროცესში.

როგორც უკვე აღნიშნე, ანალიზატორის გამართული მუშაობის პირობა ენობრივ მონაცემთა სრულფასოვანი ფორმობრივი და ფუნქციური ანალიზია. სამწუხაროდ, ქართული ენის ენობრივი მასალა ფუნქციური პერსპექტივით სათანადოდ შესწავლილი და აღწერილი არ არის. შედეგად, ქართული ენის ეროვნულ კორპუსს არ აქვს აღგორითმი, რომელზე დაყრდნობითაც შეძლებს ფუნქციურ ელემენტთა ავტომატურ ამოცნობას, მათ გამიჯვნას სხვა პარადიგმატულ კლასს მიკუთვნებული ერთეულებისაგან და სათანადოდ მარკირებას. შესაბამისად, წარმოიქმნება ომონიმიის პროცესი და ფერხდება კორპუსში ორაზროვნების მოხსნის საკითხი.

გრამატიკალიზებულ ფუნქციურ ელემენტებთან დაკავშირებული ომონიმის საკითხი კორპუსლიგვისტიკაში განვიხილოთ ზმნური წარმოშობის შერჩეული სამი ენობრივი ერთეულის: **ადგა, აიღო, მოდი** მაგალითზე. სამივე სიტყვაფორმა მოქ-

მედების გამომსატველი ზმნაა, რომელიც მორფოლოგიურად გამოხატულია, პირველ ორ შემთხვევაში – მესამე სუბიექტური პირის ფორმით წყვეტილში, ხოლო მესამე შემთხვევაში – მეორე სუბიექტური პირის ფორმით ასევე წყვეტილში.

ქართული ენის რეფერენციალურ კორპუსში დასახელებული ენობრივი ერთეულებისათვის შემდეგი რაოდენობის კონტექსტი იძებნება:

1. **ადგა** – 4173
2. **აიღო** – 13231
3. **მოდი** – 7717

კონტექსტების ანალიზი ცხადყოფს, რომ ავტომატური მარკირებისას ანალიზატორისთვის მიუწვდომელი რჩება მითითებულ ზმნურ ერთეულთა ფუნქციური მნიშვნელობა და ყოველი კონტექსტისათვის მათ მხოლოდ ზმნის მარკერს ანიჭებს, შესაბამისად, ანალიზებს როგორც ზმნურ კატეგორიას.

მაგალითად განვიხილოთ ზემოთ მოცემული წინადადება:

- ო, რა კარგად გამახსენეთ ეს ამბავი! რომ **ადგა** თქვენი გაზეთი და ერთი ამბავი აუგუსა, ასუც არ ყოფილა საქმე!

The screenshot shows the GNC search interface with the search term 'адг' entered. The results page displays several examples from the corpus, each with a preview of the document and a detailed morphological analysis on the right side. The analysis includes the word form, its grammatical features (like gender, number, case, tense), and its context within the sentence. The interface is in Georgian and English, with various buttons for filtering and navigating through the results.

ასევე, განვიხილოთ სიტყვაფორმა აიღო:

The screenshot shows the GNC search interface with the search term 'აიგო' entered. The results page displays several examples from the corpus, each with a preview of the document and a detailed morphological analysis on the right side. The analysis includes the word form, its grammatical features (like gender, number, case, tense), and its context within the sentence. The interface is in Georgian and English, with various buttons for filtering and navigating through the results.

სიტყვაფორმა ძოდი: ღმერთო ჩემო... არა! ძოდი და ნუ გაიცინებ.

The screenshot shows the GNC search interface with the following details:

- Search Query:** კონტაქტი
- Refinement:** document, განკუთხი
- Time:** 0.02 sec. (0.01 CPU sec.)
- Results:** 31 items
- Content Preview:** A snippet of the first result from page 1, line 3, containing the word 'კონტაქტი'.
- Table Headers:** word, norm, მნიშვნელი, ლიტერატურული გვ. და რიცხვი, მნიშვნელი, ლიტერატურული გვ. და რიცხვი.
- Table Data:** The table lists 31 entries, each with a word, its normal form, its meaning, its literary source, and its frequency.

Design & Implementation: Design & implementation: Paul Meurer, Universitetet i Bergen, CLARINO Centre, 2020 | Copyright (C) GNC Project 2011 – 2020

ქართული ენის ეროვნული კორპუსიდან დამოწმებული მაგალითები ცხადყოფს, რომ, მიუხედავად იმისა, წარმოდგენილი ზმნური ერთეულები: **ადგა, აიღო, მოღი** განხილულ კონტექსტებში არა პრედიკატის, არამედ ფუნქციური ელემენტის სახითაა წარმოდგენილი, ანალიზატორისათვის ისინი აღიქმება როგორც ზმნა და მონიშნულია შესაბამისი მარკერით. მაშასადამე, იკარგება უმნიშვნელოვანების გრამატიკული დირექტულება ენობრივი ერთეულისა – გამოხატოს ენის ფუნქციური შესაძლებლობის სხვადასხვა ასპექტი.

გარდა კორპუსინგვისტიკისა, გრამატიკალიზებული ფუნქციური ელემენტები დამატებით სირთულეებს წარმოქმნიან ავტომატური თარგმნის პროგრამებში, მაგალითად, როგორიცაა Google translate.

სათარგმნელად ავიღოთ ქართული ენის რეფერენციალური კორპუსის მაგალითები:

GNC	Google translate
<p>I. სახლში მაღვ მოღი, გთხოვ!</p> <p>II. კარაბადინმა სოჭვა, მოღი და ნუ დაიჯერებ.</p>	<p><i>Come home soon, please!</i></p> <p><i>Karabadin said, come and don't believe it!</i></p>
<p>I. წიგნი ხელში აიღო და მევობარს აჩუქა.</p> <p>II. მანაც აიღო და უთხრა: კარვი, ბებერო გაიძევრავ, მიიღებ შენ იმ თრმოცდაოთხ ათასს..</p>	<p>He took a book and gave it to a friend.</p> <p>He took it and said, okay, old man, you will get those fifty-four thousands of you.</p>
<p>I. საღამოს ადგა, ჩაიცვა და ქალაქიდან წავიდა.</p> <p>II. ადგა და თავისი ქალი მდიდარ კაცს მიათხოვა</p>	<p>In the evening he got up, got dressed and left the city.</p> <p>He got up and married his daughter to a rich man.</p>

აშკარაა, რომ ავტომატური თარგმნისას გრამატიკალიზებული ფუნქციური ელემენტების თარგმანი არააღეკვატური ხდება, რამდენადაც პროგრამა აანალიზებს მათ არა როგორც ფუნქციურ ელემენტებს, არამედ როგორც მოქმედების

გამომხატველ ზმნებს, მსგავსად ქართული ენის ეროვნული კორპუსის მორფოლოგიური ანალიზატორისა.

სტატიაში განხილული პრობლემის გადასაჭრელად ჩატარებული საპილოტე კვლევა აჩვენებს, რომ კონტექსტებში საკვლევ წნობრივ ერთეულთა განაწილების ანალიზი, მათი რაოდენობრივი აღწერა და სტატისტიკური ანალიზი შესაძლებელს ხდის ანალიზატორისათვის ფორმალური წესების სისტემის შემუშავებას, რაც ომონიმურ წნობრივ ერთეულთა გასამიჯნავ ალგორითმს უნდა დაედოს საფუძვლად. ეს საკითხის კვლევის პროცესში ერთ-ერთი წამყვანი ამოცანა და კვლევის გზით მიღებული უმთავრესი შედეგია.

მაგალითად გავანალიზო მოდი ერთეულის კვლევის შედეგად მიღებული მონაცემები.

კონტექსტების კვლევის შედეგად გამოირიცხა გარკვეული პოზიციები და, ამასთანავე, გამოვლინდა ის პოზიციებიც, რომლებშიც ერთეული მოდი ზმნური შინაარსის ფუნქციითა წარმოდგენილი. ამ პოზიციათა ავტომატური გამორიცხვა ამცირებს რიცხვს იმ პოზიციებისა, რომლებშიც წნობრივი ერთეული შესაძლოა, გრამატიკალიზებული სახით იყოს დადასტურებული; ეს კი, თავის მხრივ, გარკვეული ალგორითმის შემუშავების საშუალებას იძლევა. ეს პოზიციებია:

1	წინ უძლვის ტოკენი „გონს“ – გონს მოდი
2	წინ უძლვის ტოკენი „ჰემაზე“ – ჰემაზე მოდი
3	წინ უძლვის ტოკენი „აქეთ“ – აქეთ მოდი
4	წინ უძლვის ტოკენი „ისე“ – ისე მოდი
5	წინ უძლვის ტოკენი „აქ“ – აქ მოდი
6	წინ უძლვის ტოკენი „ჩემთან“ – ჩემთან მოდი

განსაკუთრებით საინტერესოა მიმდევრობა მოდი და. კორპუსში ამ მიმდევრობისთვის 787 კონტექსტია დადასტურებული, მათგან მხოლოდ 88 კონტექსტში ის ფუნქციონირებს როგორც ზმნა, დანარჩენ შემთხვევებში წარმოდგენილია ფუნქციური ელემენტის სახით.

მიღებული შედეგების მიხედვით, ფორმალური ნიშნების საფუძველზე შესაძლებელია შემდეგი წესების შემუშავება:

- თუ მოდი სიტყვაფორმა დასტურდება მყარ შესიტყვებში და მისი კოოკურნტია გონს, ჰემაზე, მაშინ მას მიენიჭოს ზმნის მარკერი.
- თუ მოდი სიტყვაფორმის წინამდებარე ან მომდევნო კოოკურნტია ზმნიზედა, მაშინ მას მიენიჭოს ზმნის მარკერი.
- თუ მოდი სიტყვაფორმის მარჯვენა კოოკურნტია და, მაშინ მას მიენიჭოს ფუნქციური ელემენტის მარკერი.

შედეგები შესაძლოა შემდეგი აღვრცითმის სახით განვაზოგადოთ:
თუ სიტყვაფორმა მოდი დასტურდება 1,2,3,4,5,6 პოზიციებში, მას აკტომა-ტურად მიენიჭოს ზმის მარკერი (V), ხოლო სხვა პოზიციებში – ფუნქციური ელემენტის მარკერი.

კინადან რაოდენობრივი ანალიზი მიღებული შედეგების სანდოობის გან-მსაზღვრელია, ცხრილების სახით წარმოვადგენთ აღვრცითმის ცდომილების პროცენტულ შესაძლებლობას.

- ენიჭება ზმის მარკერი:

წინ უძლვის ტოკენი „გონს“ – გონს მოდი		
კონტექსტების რაოდენობა	57	100%
ზმიური	57	100%
ფუნქციური	-	-
აღვრცითმის ცდომილება – 0 %		

წინ უძლვის ტოკენი „ჰეუაზე“ – ჰეუაზე მოდი		
კონტექსტების რაოდენობა	8	100%
ზმიური	8	100%
ფუნქციური	-	-
აღვრცითმის ცდომილება – 0 %		

წინ უძლვის ტოკენი „აქეთ“ – აქეთ მოდი		
კონტექსტების რაოდენობა	22	100%
ზმიური	22	100%
ფუნქციური	-	-
აღვრცითმის ცდომილება – 0 %		

წინ უძლვის ტოკენი „ისე“ – ისე მოდი		
კონტექსტების რაოდენობა	7	100%
ზმიური	7	100%
ფუნქციური	-	-
აღვრცითმის ცდომილება – 0 %		

წინ უძლვის ტოკენი „აქ“ – აქ მოდი		
კონტექსტების რაოდენობა	69	100%
ზმიური	69	100%
ფუნქციური	-	-
აღვრცითმის ცდომილება – 0 %		

წინ უძლვის „ჩემთან“ – ჩემთან მოდი		
კონტექსტების რაოდენობა	27	100%
ზმიური	27	100%
ფუნქციური	-	-
აღვრცითმის ცდომილება – 0 %		

- ენიჭება ფუნქციური ელემენტის მარკერი:

მოსდევს ტოკენი „და“ – მოდი და		
კონტექსტების რაოდენობა	787	100%
ზმიური	699	88.8 %
ფუნქციური	88	-
აღვრცითმის ცდომილება – 11.2 %		

წესების სახით განხილული აღვორითმის ცდომილების მაჩვენებელი 1-იდან 11.2 პროცენტამდე მერყეობს, რაც აღვორითმის შესაძლო ცდომილების დასაშვები მაჩვენებელია. შემუშავებული წესების ეფექტურობის უტყუარობის დადგნა შესაძლებელი გახდება კოდის სახით გადაწერილი წესების ქართული ენის ეროვნული კორპუსის ანალიზატორში ჩაშენებისა და სატესტო რეჟიმში გაშვების შედეგად.

წარმოადგინა ასოცირებულმა პროფესორმა რუსუდან ასათაანშა

ლიტერატურა:

გამყრელიძე... 2008: თ. გამყრელიძე, ზ. კიქნაძე, ი. შადური, ნ. შენგელაია, თეორიული ენათმუცნიერების კურსი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.

გოგოლაშვილი 2016: გ. გოგოლაშვილი, ახალი ქართული ენა. II, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.

თანდაშვილი 2016: გ. თანდაშვილი, ქართული ენის ფუნქციური გრამატიკის საფუძლები, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტის გამომცემლობა, ბათუმი.

შანიძე 1980: ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძლები, III ტომი, თბილის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.

Baker 2003: M. C. Baker, *Lexical Categories: Verbs, Nouns, and Adjectives*, Cambridge University Press, Cambridge.

Frajzyngier 2008: Z. Frajzyngier, Grammaticalization, typology, and semantics: Expanding the agenda, In: *Rethinking Grammaticalization*, New perspectives, Benjamins, Amsterdam.

Heine 2003: B. Heine, Grammaticalization, In: *The handbook of historical Linguistics*, Janda&Joseph (eds.), Blackwell, Oxford.

Heine 2002: B. Heine, *On the Role of Context in Grammaticalization*, Benjamins, Amsterdam, Philadelphia.

Hengeveld... 2017: K. Hengeveld, H. Narrog, H. Olbertz, *The Grammaticalization of Tense, Aspect, Modality and Evidentiality*, De Gruyter Mouton, Berlin.

Hopper, Traugott 2003: P. J. Hopper, E. C. Traugott, *Grammaticalization*, Second edition, Cambridge University Press, Cambridge.

Hurford... 2003: J. R. Hurford, B. Heasley, M. B. Smith, *Semantics: A course book*, Cambridge University Press, Cambridge.

Lehman 2015: Ch. Lehman, *Thoughts on Grammaticalization*, Second edition, Seminar für Sprachwissenschaft der Universität, Erfurt.

Mariam Rukhadze

Homonymy Caused by Grammaticalization in Corpus Linguistics

Summary

The article refers to the process of grammaticalization and the problems arisen due to the grammaticalized elements of verbal origin in computer linguistics. Today no one argues about the establishment of digital bases of language and the importance of its processing with digital methods, these are the principal challenges in the 21st century. Language is a constantly changing system; changes are made at each level of the language. The creation of corpus means the formation of automatic recognition – analyzer.

The process of grammaticalization involves a change of the paradigmatic class for a linguistic sign. During the process of grammaticalization a lexical unit loses its historically developed semantics and after desemanticization acquires some specific grammatical function, consequently, we obtain the functional element. Functional elements create special difficulties in processing language by computer methods, particularly in corpus linguistics and machine translation programs. Since the Georgian language material is not functionally properly processed, the Georgian National Corpus (GNC) does not have an algorithm to subtract the functional elements from the elements belonging to another paradigmatic class, which makes the homonymy and makes the problem of disambiguation unsettled.

The article aims to describe a theoretical frame of grammaticalization and to show the homonymy caused by grammaticalized elements of verbal origin in computer linguistics.

Presented by Prof. Rusudan Asatiani

ჯემალ აჯიაშვილის პოეტური მეტყველება

სიტყვის მნიშვნელობის განსხვავებული ნიუანსები, პოეტურ ტექსტში სემანტიკურ სტრუქტურათა გართულება ან გაუბრალობა ლექსიკური ერთეულის მრავალწახნაგოვანი არსებობის გამოვლენაა. ყოველ პოეტს ხომ საკუთარი ლექსიკონი, მყარი სემანტიკური რიგი, სიტყვათა შორის კავშირთა თავისი სამყარო აქვს. ავტორისეული დერივატები და კომპოზიტები შემოქმედებითი პროცესის განუყოფელი ნაწილია და მასში ვლინდება ენის შინაგანი ბუნება, მისი პოტენცია. სიტყვაწარმოების მოდელები, ფაქტობრივად, წარმოადგენენ ენის შესაძლებლობას, რაც პოეტურ სიტყვათქმნადობაში რეალიზდება.

წინამდებარე წერილში შევცდებით, წარმოვაჩინოთ პოეტური სიტყვათთხზვა ჯემალ აჯიაშვილის ლექსების მიხედვით და ენის დერივაციული საშუალებების შემოქმედებითად გამოყენების მისეული ტექნიკა. განვიხილეთ მის მიერ შეთხზული ლექსები. შემოქმედის სასიტყვეთი იმითაც არის საყურადღებო, რომ მასში ხშირად შემონახული და გამომზეურებულია ნაკლებად ცნობილი ან უამთა სკლის გამო სრულიად მივიწყებული და ზოგჯერ უცნობი ლექსიკური ერთეული, დღეს უკვე იშვიათად ხმარებული. პოეტური სიტყვათთხვის მკაცრ დეფინიციას არ ვიძლევით. ეს არის პოეტური ენის ის სიტყვები, რომლებიც არ განეკუთვნება საერთო სალიტერატურო ენას, ხოლო ის კრიტერიუმი, რომლითაც სიტყვა მიეკუთვნება საერთო სალიტერატურო ენას, მარტივია: იგი უნდა დადასტურდეს ქართული ენის ძირითად, ფუნდამენტურ, აკადემიურ ლექსიკონში (ჩვენს სინამდვილეში ეს ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონია). თუმცა ამთავითვე უნდა ითქვას: ჯემალ აჯიაშვილის შემთხვევაში ილია აბულაძის ძველი ქართული ლექსიკონის, სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონის“, უცხო სიტყვათა ლექსიკონის გამოყენების გარეშე არაფერი არ გამოვა.

საილუსტრაციო მასალისათვის დავჯერდით გამომცემლობა „ინტელექტის“ მიერ დაარსებულ სერიას – ‘100 ლექსი’ (აჯიაშვილი 2013). პოეტი ერთგულობს მყარ სალექსო ფორმას – სონეტს, არა ინგლისურს, არა კოჭლს, არამედ კლასიკურს, სტროფიკით: 4 4 3 3. კრებულში 99 სონეტი და ერთადერთი ორსტროფიანი ლექსია სათაურით „ეპიტაფია“ (აჯიაშვილი 2013:68). ციტირებისას გამეორების თავიდან აცილების მიზნით მხოლოდ გვერდს ვუთითებთ. ჯემალ აჯიაშვილისეული პოეტური მეტყველება ამ ერთი კრებულის მიხედვითაც მრავალფეროვანია.

ქართულს, ისევე როგორც სხვა ენებს, აქვს საშუალებები, რომელთა ბეჭვეობითაც წარმოიქმნება ახალი სიტყვები. ამ მხრივ განსაკუთრებული როლი აკის-

რიათ აფიქსებს. ნეოლიგიზმები, რომლებიც გვხვდება ჯემალ აჯიაშვილის შემოქმედებაში, ისეთი სიტყვაწარმოებაა, რომლის დროსაც პოეტი იყენებს თავსართბოლოსართების ჩვეულებრივ ინვენტარს, ღერძისკონებში დადასტურებულ ძირებსა თუ ფუძეებს, და მათი შეერთებით იძლევა დერივატს ან კომპოზიტს, რომელიც სავსებით სწორია წარმოების თვალსაზრისით და, იმავდროულად, უჩვეულოა შინაგან კავშირთა მოულოდნელობის გამო.

პოეტური სიტყვაწარმოების პრეზენტაციას სახელების გამომზეურებით ვიწყებთ: მერმისის ანალოგით უნდა იყოს დღეისი (დღეისს მოსდევს მერმისი) (38). ვფიქრობთ, პოეტისეული ეს ოკაზიონალიზმი დასაკანონებელია, (ხმა) ზედროული (22);

ბოლოსართებითაა წარმოქმნილი შემდეგი ოკაზიონალიზმები:

- ობა: არაგვობა (არაგვობას რატომ ივიწყებ) (73), უბაწრობა (23), ტირიფობა, ძეწნობა, უზეწრობა (26), უარსობა (82), ნაბზარობა, ნახეთქობა (55), ალამდრობა (61), ნიშანსვეტობა (77), უმზეობა (10);
- ება: ბნელმეტყველება (62);
- ურ-/ულ-: ფანტაზმური (40), აისური, დაისური (69), გაღმური (11,100), აზავრული (71), ჩარხული (83);
- იერ-: ნათლიერი (45);
- ოსან-: ჩანგოსანი (44,85).

შემდეგი სახელები თავსართ-ბოლოსართითაა წარმოქმნილი:

- სა-ე:** საკემსე (12), საპატრუქე (20), სამინდე (27), სადათვე (30), სახემსე (41), სანეკნე (77), სარტოვე (78), სამოყვრე, სამტრე (79);
- სი-ე:** სიმარტოხელე (8), სიამხანაგე (12), სიპარტახე (12), სიორჭოფე (13), სიავხორცე (18), სითავხედე (19), სიავსულე (26,103), სიგველე, სიავკაცე (26), სიმერცხლე, სიქედნე, სიფუქსავატე (43), სიმამლაყინწე (45), სისათნოვე (53), სითავკაცე (61), სიაღმაცერე (64), სიგულნამცეცე (66), სიფეხშიველე (71), სითავთხელე (74), სიოხრე (75), სინარეკლე (77), სიარამზადე (83), სიაღე (101).

აღსანიშნავია, რომ ეს კონფიქსური წარმოება დომინანტურია ჯემალ აჯიაშვილისათვის. მან უცილოდ იცის, რომ მამლაყინწობა, თავხედობა და ფუქსავატობაა სალექსიკონო ფორმები, მაგრამ წარმოქმნის სწორედ ეს მოდელი მოსწონს.

სა-ო: სასულთათანო (11), სადაისო (7,86), საგვირისტო (66), საჰეპიენდო (93);
უ-ო: უთრიაქო, უნარგილო (17), უედემო (79), უარსებო (29), უფოლადო (34), უზეიმო (87);

მე-ე: მემინდე (91), მეტროე, მერაყიფე (89);

მე-ურ-: მეტყვეური (81);

მო-ე: მოჭარმაგე (12);

მა-ურ-: მანათური (37);

იშვიათი კონფიქსური დერივატებია სახერხისი (38), მდაბიორი (66), უნდობარი (85).

არსებით სახელს ზედსართავის მახასიათებელი ზარისხის კატეგორია არ გააჩნია. პოეტი არ ეპუება ამ შეზღუდვებს და ამა თუ იმ მოვლენის ინტენსივობისა თუ ოდნაობითობის გამოსახატავად ხან ზედსართავის აღმატებითი ზარისხის მაწარმოებელ უ-ეს- კონფიქსით „აღჭურავს“ არსებით სახელს – უზამთრესი (79), (დარაბებ-ში) უდარაბესი (31), ხან ოდნაობითი სმო-ო თავსართ-ბოლოსართით: მონახშირო(59).

წინა ვითარების სახელებია:

ნა-: ნაძალი (10), სახენალალი (<ლალა)(51);

ნა-არ/-ალ-: ნაუცხოვარი (52), ნამებავარი (97), ნაზუთხარი (100), ნაფორცხნალი (13), ნასამხრალი (28), ნაოქროვალი (75), ნაჯართალი (75), ნააბსურდალი (82), ნამინანქრალი (87), ნაბაზრალი (95), ნაწვეთალი (96), ნამებავარი (97), ნაფორცხარი (99), ნაორკეცალი (77), ნადარბაზალი(106).

ნა-ევ-: ნაბოგირევი (21,74), ნაიჯარევი (82), ნაფაიფურევი (87), ნაფერმერთალევი (89).

ავტორი არაერთგზის მიმართავს რედუპლიცირებას:

ღრუბელ-ღრუბელ (96); ნაკუწ-ნაკუწ (16), ღამ-ღამ (101);

ზმნათა პირიელ ფორმებში, უპირველესად, ყურადღებას იპყრობს ავტორის დამოკიდებულება პირის კატეგორიისადმი. პოეტი გასაოცარი სილალით „დანავარდობს“ ამ არცთუ ვრცელ პარადიგმაში: მასმიე, მახემსე (12), (წვეთწვეთობით) გადაგლვარა და გადაგცალა (15), ჩამსახე (18), ჩაგეკლიტე, ჩაგერაზე (28), გიყმო (59), ამწესე (66), დავთოვე (78), მაგალობე (74), დავითმე (74), ამეგლე (77), (რა) მეგიუება (94), (ქარში) გამთესე (66), შებინდე (91), აზეურდა (83), მაკოწიწებ, მძერწავ, მჩალხავ (101);

ძველი ქართულისეული ფორმებია: დის (10), გვარქვი (19), (სულმა) ითნიოს (23), ვილმე (43), დიოდე (50), მაკვდინგბდე (53), აკვდენს (87), აოტა (63), მელმის (70), (სიმწრით მონაწევარს მუქთად) წარცემქ (82), ვიდოდა (52), (მონეველმა) მითნო (70), რბის (81), ვიენოთ (82);

საშუალი გვარის ფორმანაკლი ფორმებია: იაზავრებს (17) იარსე (29), იცრუება (88), იენე (60), ვიენოთ (82), იოტა (56), იძმო, იყისმათა (56), (კვერო) იკვერე (26), იამინდეს (27), (სულმა) იმარტოსეულა (36), იზეფირებს (10), დაჩიოდა (14), იმუგუზლა (27), იბჟუტებოდა (66), (რისთვის) ივნე (56), (პურიც) იპურებს (87);

სხვა ზმნისწინითაა: ჩამოქრება (10), დამსაზღვრელი (30), შესახმარი (47), ჩამკვიდრდა (63), ჩაგაოთხებს (63), მომეფდა (68), გაიღვარა (70), ჩამინოს (75), (ქარვად) გაღვრის (75), (კალო) დავლეწე (91), მოჩნდება (93), (ღამეები) მოათევიეს (97), ამიმზურებს (101), გადაზაფრული (103), შემოაქრა (106);

პოეტი თხზავს ნასახელარ ზმნებს: ჩარკინოს (17), (რამ) გაგააბა (38), საღლობს, სალამათობს (87), აბლაბუდობს, დაადაისებს (89), ჩაგაოთხებს (63), (შუბლს) უჩარჩოებს (60), (დუშაშს) აშაშებს (82), ანიავქრებს (9), (ნისლი) მანდილობს (36), ემთაგორება (53), (მწუხრით) გათაღხე (54), (ანგელოზი) გატარტაროზდა (20), მოავთანდილობს (36), იდარბაზე (46), გაიბასრე (56), იენე (60), ტყეობს (81), გადაისრავენ (83), დაბადაგდება (96); ხოლო მეფის – ასარგადონის¹ – სახელის ზმნის ფუქეში დაუნჯებით აწარმოებს ჯემალ აჯიაშვილი ზმნას – ასარგადონობს (63).

საწყისი: ნეტარყოფა (23); (წლები) ცვენადი – მასდარი-ად/-დ-ი მოდელი გააქტიურებულია თანამედროვე ქართულში (გადილია 2010:100).

მიმღეობა: აღსაღვომი (76), ჩასარჯული, ჩამინული(93);

ვნებითი გვარის ნამყო დროის მიმღეობებია: ნაზაკვარი(29), დანაბნევი (75), ნაოტი (55), მონაყიდარი (86), განაღლობი (102)(შანიძე 1973:575);

მიმღეობიანი კომპოზიტები: ცადაქნილი (24), ჯიქანდაბერილი (30), ლიბო-ჩამპალი (30), ხელდაკვალთული (34), სიმგაცვეთილი (44), ბნელმეტყველი (60), ფეხდაბუშული (83), სანთელდავიწყებული (91);

ალიტერაციის მაგალითებია:

აქანებს ქარი ქუჩა-ქუჩა და ანიაგქრებს (9);

ოქროს და ქარგას განამქრევდნენ საქარბორიედ (15);

და მარქენალი თავისივე რქებით დარქინოს (17);

გარდამოღის და გამოღმიდან გაღმა გადაღის (30);

დაასე მუდამ ქანაანთან ქარი ქანაობს (63);

ქარონის ნავი ქანაობდა ბნელ აქარონთან (13);

და ვიღრე ცაზე გრძელდებოდა დასთა დასობა (12);

ისევ რეწავდა სასწაულებს ცის სარეწავი (25);

წამს სწყდება წამი, იცვითება ბოლო უწყისი (30);

ცისკენ მიიწევს მეოცნებე ცისფერყანწელი (20);

წლებს ისაკუთრებს წელთაღრიცხვა წელში წახრილი (24);

¹ ისაიას ხანაში, ძვ.წ.-ის 680-669 წლებში, ასურეთში მეფობდა ასარგადონი. მან აღადგინა ბაბილონი და დაპყრობითი ომების შედევრად ასურეთს კვლავ დაუმორჩილა სირია, პალესტინა, ფინიკია და ეგვაჟე. ეს მეფეა ვალერი ბრიუსოვის სონეტის – Accapragdon (Ассирийская надпись) – პერსონაჟი (Я – вождь земных царей и царь, Accapragdon). ვვარაუდოთ, ეს ლექსიც „მონაწილეობდა“ სიტყვის შექმნაში.

წუთს აცილებდა დამწუხრებული წუთისოფელი (25);
ცერავს და ცერავს მატიანე ქარვის საცერებს (64);
ერთურთს მიჯროდა გასამიჯნი და გამიჯნული (79);
ისევ ათბუნებს დათუნიას სითბო სადათვის (30) და სხვ.

ქრომატიულად ამაღლებულია ბიბლიისეული და მითოლოგიური სეგმენტები,
რომლებიც სიძველის კოლორიტსა და განსაკუთრებულ რელიეფურობას ანიჭებენ
საღექსო თხზულებას:

სოფლის საძოვრებს მოსდგომოდა ნოეს კამეჩი (7);
ამაოება ამაოთა, – ქუხდა კოპელეთ, – (8);
მხრებს ათბუნებდა ნაზამთრალზე სითბო ხალენთა(13);
და მარიამი მაშრიყიდან მოგვებს ელოდა... (25);
ბეთლემის კართან ჩამომჯდარა თეთრი ქედანი (29);
ხე ცნობადისა ქაოსიდან ძლივს ამოზარდა(31);
და ღივის თესლი – შემეცნების ხედ განთესილი(35);
როცა ხარებას ენაცვლება სხვა ურუანტელი
და სხვანაირი მოლოდინი წმინდა ჩასახვის... (42);
იღვიძებს ყრმა და ოორდანეს სანაპიროდან
სიკვდილს უგალობს სიკვდილების დასათრგუნავად (49);
გაღვიძებია ამალთეას ზევსის ჭალებთან (59);
მარხულობს მოგვი, სამლოცველოც ამ მარხვაშია
და წარსულიდან მომავალზე ბჭობს ორაკული (60);
და წყალს, რომელიც დღეწიადაგ სადღაც მიტოპავს, –
ნოეს სიბერე აფიქრებდა ყოვლის წინარე
და უიმედოდ ატოკებდა დაშლილ კიდობანს... (72);
აპა, სტიქსი და აქერონი, აპა, ჰადესი, –
ჭვრეტ, ორაკულო, ტროელების უკვდავ გმირობას (60);
და ეზოს ჩრდილში მოთმინებას ქსოვს პენელოპა.
ნუ ფიქრობ, ძმაო, კვლავ ნუ ფიქრობ ძველ ითაკაზე(61);
და სარკმლებს შორის გაიელვებს ზევსის პროფილი (39);
პირმოღუშულმა მოირებმა მოთქმას უხშირეს (77).

პოეტი მსუბუქად გარდათქვამს ციტატებს ზეპირსიტყვიერებიდან:
გეცლება ჟამი, – ასჯერ ზომე, ასჯერ გასჭერი (47);
კვლავ შეაჭირვებს ჭიანჭველას რწყილის ჯაგარი (67);
უნდა შეგეძლოს ოდინდელი სიბრძნის შენახვა,
რომ გზა, რომელიც გაიარეს თხამ და ვენახმა,
არ წარიხოცოს უთავბოლო სოფლის ბრუნვაში... (102);
და წყალნიც წავიდ-წამოვიდნენ, დარჩნენ ქვიშანი (86);

მერე ფრინდი და ინდი-მინდი, ვერას გახდები,
უკან ქაჯი და მაცილია, წინ – ბაყბაყდევი (94).

ჯემალ აჯიაშვილი თავისი ლექსების ქსოვილს აფერადებს ქართული პოეზის
გაუხუნარ პერსონაჟთა სახელებით:

და ჭაშნაგირის მოსაკლავად გიხმობს ფატმანი (47);
და საწყალ ფატმანს დააცხრება გულანშაროში (67);
და სიყვარულით ეგებება ფატმან-ხათუნი
ფარისეველთა ტყვეობიდან გამოხსნილ ნესტანს... (104);
სიმგაცვეთილო ჩანგოსანო, მწყემსო ქაცვია (44);
და გოგოთური კოპალასთან ხინკლებს კეპავდა (99).

პოეტური რემინისცენტრიების სახით არის მიმობნეული მის ლექსებში ფრაზე-
ბი ქართველ პოეტთა შემოქმედებიდან, რასაც ახლავს წყაროს მყისიერი იდენტი-
ფიკაცია:

ისევ მოირლვა კარვის კალთა.... (41);
მწყემსი სტვირს უკრავს, მსმენელები სმენად მოსულან
და დარბაზობა გაუმართავთ ღომს და ანტილოპს (36);
ისევ იმ მადლით დაადგება ნაცნობ ზუბოვებას (67);
ტანო ტატანოს გულწამტანო კავო და ზილფო (76);
და სევდის ბაღში შემოდგომის ქარი ირწევა (54);
როცა საძოვრად მიუშვია ზეზვას ცხენები
და მატყლის ჯარას მიჯდომია თორლვას ჯალაბი... (80);
მზემ თიბათვისამ – აისურმა თუ დაისურმა (69);
მოვარე მკათათვის – მზეო თიბათვის (30);
ცვრიან ბალაზე გაზაფხულის სიფეხშიშველე (71);
მზე გვირგვინოსნის (56);
დოქის ბაგეს (27) და სხვ.

პოეტის სტრიქონებში აკუმულირებულია ორიენტისა და ოქსიდენტის ტრა-
დიცული დაპირისპირება:

და როცა რომთან ისპაპანმა ქიშპი გააბა,—
მზაკვრულად წარდგა კეისართან ვიღაც დერვიში
და სისხლის ენით ამეტყველდა მთელი ქაბა (38).
მძვინვარებს რომი უძლეველი ზალიფატივით (38).

ჯემალ აჯიაშვილის პოეზიისათვის განსაკუთრებით ნიშანდობლივია ლექსემა-
თა ექსპრესიული შეხამებები; პოეტს შემოაქვს სიახლის ნიშნით აღბეჭდილი, გა-
უცვეთელი ფრაზები, საოცარი ემოციით დამუხტული შესიტყვებები, რომლებიც
მკითხველის წარმოსახვაში დაუკიწყარ ზატებს ქმნიან:

შუქს ასხივებდა სასოება სამლოცველოთა (8);
უცხო ფიქრებმა შორეული მთები შენისლეს
ცა ღრუბლებს შორის გაისარჯა ნაკუწ-ნაკუწ და (16);
სცენასთან მოდის გაზაფხული – ძველი
და ზამთრის თვალწინ უსირცხვილოდ მალაყს გადადის... (22);
და მკვდარ კამარებს საფირონის ბეჭდებით ბეჭდავს (104);
ნაზამთრალ ზეცას მორღვეოდა ნისლის საკინძე (45);
ვეხლები სივრცეს, რომელიც უნაპირო ბინდით შებინდე (91);
ჩამოეშვა ფარდა მშვენების (65);
ლეგენდებში მშვიდად შეველი (64);
უფლებანი მორჭიმით აუფლა (66);
დაუხშობდეს წსოვნის გალავნებს (75);
მომავლიდან წყევლას მოვიტან (59)
დრო კი ბოლთას სცემს (57).

ორკომპონენტიანი უსრული წინადადებებია: ცრემლებით მცვარავ; დამბალავს ვძალავ; მოდგა სუფევა; ქარვად გაღვრის და სხვ.

სამკომპონენტიანი შესიტყვებების სტრუქტურა ასეთია: მსაზღვრელ-საზღვრულის მართულ კონსტრუქციაში ჩართულია საზღვრულის ატრიბუტი:

წარმავლობის დუხშირ რელიეფს (25);
წარმოსახვის პირქუში რელიეფი (29);
სინამდვილის ფერმკრთალი ასლი (45);
სულის უსასრულო სამაროვანში (46);
თვალთმაქცობის ნაცნობი ბენეფისი(65);
სივრცეების განახლებული წელთაღრიცხვები (65);
მოგონების ყრუ გორაკიდან (86);

სინტაგმები: ბინდის ბენეფისი (8), ცა ნასაპნარი (71), ცის სარეწავი (25), უგზო ფორიაქი (71), ავსულის სიაგსულე (26), ფოთოლცვენის ხმა (62), გაზაფხულის სიფეხშიშველე (71), ბინდის მაყარი (104), ყლორტი სარტოვე (78), მაჭრის ღულუნი (62), მთვრალი ჭინკა (62), წლები ცვენადი (62), ნაიჯარევი სიყვარული (94), ყორნის სითეთრე (43), ხმა აზავრული (71) და სხვ.

ამჯერად შევეცადეთ, ჯემალ აჯიაშვილის ლექსთა ენაზე მოგვეწოდებინა რამდენიმე დაკვირვება. ცალკე კვლევის საგნად გვესახება მის პოეზიაში დაუწევებული ონომასტიკონი.

ლიტერატურა:

აჯიაშვილი 2013: ჯემალ აჯიაშვილი, 100 ლექსი, გამომცემლობა „ინტელექტი“, თბილისი.

გადილა 2010: K. Gadilia, A brief note on reinforcement of one derivational model in contemporary colloquial Georgian, *ტემოდოვიური ძეგბანი*, VI, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი.

შანიძე 1973: ა. შანიძე, ქართული ენის კრამატიკის საფუძლები, თბილისის უნივერსიტის გამომცემლობა, თბილისი.

Marika Jikia

Jemal Ajiashvili's Poetic Speech

Summary

Every poet has his/her own lexicon, semantic relations, his/her world of relationships between the words. The author's derivatives and composites are an inseparable part of the creative process and in it is revealed the inward nature of a language, its potency.

In the present letter we will try to introduce the poetic word creation according to Jemal Ajiashvili's verses and his technique of creative use of derivational means of the language. We have examined the lexemes he has composed, which do not belong to the common literary language; and the criterion, according to which a word belongs to a common literary language, is simple: it shall be evidenced in the fundamental, academic dictionary of the Georgian language (in our reality this is the explanatory dictionary of Georgian language). Though, in Jemal Ajiashvili's case, without using of Ilia Abuladze's Old Georgian Dictionary, Sulkhan-Saba Orbeliani's "Sitkvis Kona" and Dictionary of Foreign Words, nothing can be done.

The poet uses the usual inventory of prefixes and suffixes, stems and roots, evidenced in dictionaries, and by joining them together gives a derivative or composite, completely correct from the point of view of production and, at the same time, uncommon because of the unexpectedness of its internal linkages.

Chromatically are elevated Biblical segments, which confer to his poetical composition archaic colouring and particular relief:

In Jemal Ajiashvili's poetry exceptionally should be noted the expressive word combinations, in which the poet's figurative thinking is manifested.

For illustrative material we have contented ourselves with his collection "100 Poems".

იავებული თეორიის აღზევება და დაცვა.

ნაწილი მომენტი: გზადება მომენტი

დისკუსიისათვის – 1949-1950 წლები¹⁻²

1949 წელი მნიშვნელოვანია იმ მხრივ, რომ სწორედ ამ დროს შეირყა ოფიციალური დამოკიდებულება მარის თეორიის მიმართ – იოსებ სტალინს გაუჩნდა ეჭვი, რომ მარის თეორია არ იყო მარქსისტული, სხვაგვარად რომ ვთქვათ, მარისტული მარქსისტულს აღარ ნიშნავდა. სტალინი ალბათ დამოუკიდებლად არ მისულა ამ აზრამდე. მას ეხმარებოდნენ ამ თვალსაზრისის ჩამოყალიბებაში. გარეფაქტორებმა ხელი შეუწყო იოსებ სტალინის ჩარევით საბჭოთა ენათმეცნიერებიდან ნიკო მარის სახელის ამოგდებას, ხოლო თვით სტალინს მრავალ სახოტბო სახელთან ერთად შეემატა კიდევ ერთი სახელი: „მეცნიერების კორიფე“.

პირველ ნაწილში უკვე ვიმსჯელეთ გიორგი ახვლედიანის გეგმის შესახებ, რომელიც ნიკო მარის ენათმეცნიერული მემკვიდრეობის ათვისებას ისახავდა მიზნად. იგი მოიწონეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თორმეტი საენათმეცნიერო კათედრის სხდომაზე. ეს ბუნებრივი იყო იმ ვითარებაში, როცა სწორება ნიკო მარის იაფეტურ თეორიაზე ხდებოდა. სსრკ მეცნიერებათა აკადემია, რა თქმა უნდა, მოიწონებდა ამ გეგმას 1949 წლის 21 ივლისისა და 22 ნოემბრის სხდომების³ ფონზე. მაგრამ იგივე 1949 წელი უნდა ავიღოთ ამოსავალ წერტილად, როცა სსრკ-ის უმაღლესმა პირმა, იოსებ სტალინმა, სერიოზულად დაიწყო ფიქრი მარის თეორიის კრიტიკაზე. ამ წელს იმართებოდა შეხვედრები, პარტიული მუშაკებისა და მეცნიერების კონსულტაციები მარის თეორიის ყველა ღირსებისა და ნაკლის გამოსავლენად. სწორედ 1949 წლის ბოლოს მისწერა კანდიდ ჩარკვიანმა იოსებ სტალინს სპეციალური წერილი საბჭოთა ენათმეცნიე-

¹ ნაშრომი შესრულებულია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული სამეცნიერო პროექტის (გრანტი №FR/503/1-30/14) ფარგლებში. აგზორს კვლევის შედეგები ასახული აქვს მონოგრაფიაში „საბჭოთა ენათმეცნიერების ქართული სამკუთხედი“, გმომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2018.

² სტატიის ერთი ნაწილი წაკითხულია მოხსენებად (სტალინის კომენტარები არნოლდ ჩიქობავას სტატიაზე) გიორგი ახვლედიანის სახელობის ენათმეცნიერების ისტორიის საზოგადოებისა და იგნე ჯავახშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთობლივ საერთაშორისო კონფერენციაზე – იდეოლოგია და ლინგვისტური იდეები, 2017 წელი, 6-9 ოქტომბერი, თბილისი, საქართველო.

³ Стенограмма заседания бюро отделения литературы и языка АН СССР 22/XI-49, тсж მუზეუმი, აკად. გიორგი ახვლედიანის პირადი არქივი, დოკუმენტი №9904 ზო 1386.

რებაში შექმნილი მდგომარეობის შესახებ. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საარქივო სამმართველოში, ყოფილ პარტიულ არქივში, ინახება საქმე,⁴ რომელიც მოიცავს არნოლდ ჩიქობავას ორ სამეცნიერო სტატიას. ეს სტატიები საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის აგიტაციისა და პროპაგანდის განყოფილებას მიუღია 1949 წლის 21 აპრილს. ერთ-ერთი ამ სტატიებიდან არის მანქანაზე რუსულად გადაბეჭდილი ნაშრომი ნიკო მარის სტადიური თეორიის შესახებ, ხოლო მეორე ეხება თურქულ ლინგვისტურ თეორიას „გიუნეშ დილს“ და მის კავშირს ისტორიზმის პრობლემასთან თანამედროვე ენათმეცნიერებაში. ორივე სტატია კანდიდ ჩარკვიანმა დაურთო თავის წერილს. არნ. ჩიქობავას პირველი სტატიით იგი ამყარებდა თავის მოსაზრებებს ნიკო მარის თეორიაზე, მეორე სტატიით კი სტალინს წარუდგინა იმის საჩვენებლად, რომ მარის უარყოფითი გავლენა გასცდა საბჭოთის ფარგლებს და ახლა უკვე თურქმა ენათმეცნიერებმა შექმნეს იაფეტიდოლოგიაზე დაყრდნობით „რასისტული მოძღვრება“. სტალინი ამ საკითხს უბრუნდება მხოლოდ 1950 წლის გაზაფხულზე. კ. ჩარკვიანს გადასცემენ მის წერილს სტალინის რეზოლუციით: „დაუბრუნდეს ამხანაგ ჩარკვიანს (“Вернуть Т-шу Чарквиани”)\“. გარდა ამ რეზოლუციისა, სტალინის კანდიდ ჩარკვიანის ცამეტგვერდიან სტატიაზე დართული აქვს მეტად მნიშვნელოვანი კომენტარები, რომლებსაც განვიხილავთ კანდიდ ჩარკვიანის მიერ მარის მთავარი შეცდომების ჩამოთვლისას.

საკითხისთვის ნათელის მოსაფენად აუცილებელია აღვადგინოთ, რა ხდებოდა საქართველოს სამეცნიერო ცენტრებში, როგორ აისახებოდა მათ ყოველდღიურ ცხოვრებაში მოსკოვში თავიდან საიდუმლოდ, შემდეგ კი ლიად გამოცხადებული ბრძოლა იაფეტური თეორიის წინააღმდეგ. რა გზა გაიარა არნ. ჩიქობავას სტატიამ, სანამ იგი გაზეთ „პრავდაში“ დაიბეჭდებოდა 1950 წლის 9 მაისს. თუ ერთმანეთს შევაჯერებთ ჩვენს ხელთ არსებულ ყველა მასალას, ასეთ სურათს მივიღებთ. ჩვენ გვაქვს თთხი საარქივო დოკუმენტი:

- I. კანდიდ ჩარკვიანის წერილი სტალინისადმი „საბჭოთა ენათმეცნიერების მდგომარეობის შესახებ“, გაგზავნილი 1949 წლის 27 დეკემბერს, რომელიც შეტანილია მის წიგნში „სტალინთან ურთიერთობის ეპიზოდები“ (კ. ჩარკვიანი 2015). დიდ მადლობას ვუხდით ონგლისური ფილოლოგიის ცნობილ სპეციალისტს, საქართველოს ყოფილ ელჩს დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოში, ბატონ გელა ჩარკვიანს, კანდიდ ჩარკვიანის ვაჟს, რომელმაც ეს წერილი გადმოგვცა და მისი გამოქვეყნების ნება დაგვრთო (ბოლქვაძე 2018:153-165).
- II. რუსეთის სოციალურ-პოლიტიკური ისტორიის სახელმწიფო არქივში დაცუ-

⁴ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საარქივო სამმართველო, ყოფილი პარტიული ორგანოების არქივი, ფონდი №14, ანაწერი №23, საქმე №476, საქმე №38.

ლი დოკუმენტი Записка Сталина И. В. к рассылаемой статье Чикобавы А. “О некоторых вопросах советского языкоznания”, с приложением статьи А. Чикобавы справками Сталина И. В.,⁵ რომლის მოპოვებაში დახმარებისათვის დიდ მადლობას კუხით ამერიკელ მეცნიერს, პროფ. ეთან პოლოკს.

III. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საარქივო სამმართველოს ყოფილი პარტიული ორგანოების არქივში დაცული აგიტაციისა და პროპაგანდის განყოფილებისთვის ჩაბარებული არნოლდ ჩიქობავას ორი წერილი ენათა ნიკო მარისეული სტადიალური კლასიფიკაციის შესახებ და თურქული ენობრივი თეორიის „გიუნეშ დილის“ შესახებ. სწორედ მარის სტადიალურ თეორიაზე დაწერილი სტატიაა ის, რომელიც წაიკითხა და შენიშვნები დაურთო სტალინმა კანდიდ ჩარკვიანის წერილთან ერთად. სწორედ ეს წერილი ინახებოდა იმ საქალალდეში, რომელიც სტალინმა არ დაუბრუნა ჩიქობავას და პრავდისთვის ახალი სტატიის დაწერა შესთავაზა (ჩიქობავა 1985). დამოწმებული სტატიის მხოლოდ ინგლისური ვერსიის სქოლიოში მიუთითებს ჩიქობავა: მალე, ჩარკვიანის ხელით, მე მივიღე ჩემი სტატია მარის ენის განვითარების სტადიების შესახებ სტალინის შენიშვნებით.⁶ ეს ინფორმაცია არ არის მოცემული ჩიქობავას სტატიის არც რუსულ და არც ქართულ ვარიანტებში. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საარქივო სამმართველოს, ყოფილი პარტიული ორგანოების არქივში ახლაც ინახება ეს წერილი კომენტარებისა და შენიშვნების გარეშე. მასთან ერთად საქალალდეში დეგს სტატია თურქული თეორიის „გუნეშ დილის“ (მზის ენების) შესახებ.

IV. არნოლდ ჩიქობავას მიერ „პრავდისთვის“ დაწერილი წერილის ასლი, რომელიც გადმოგვცა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა, ბატონმა ვაჟა შენგელიამ, რისთვისაც დიდ მადლობას მოვახსენებთ პატივცემულ მეცნიერს. ეს უნდა იყოს არნ. ჩიქობავას „პრავდაში“ 1950 წლის 9 მაისს დაბჭიდილი წერილის წინა ვარიანტი (იხ. თ. ბოლქვაძე 2018:167-174).

კანდიდ ჩარკვიანი სტალინისათვის მიწერილ წერილში საბჭოთა ენათმეცნიერების შესახებ დანანებით აღნიშნავს: საბჭოთა ენათმეცნიერებაში შექმნილ არასახაბიელო მდგომარეობას განაპირობებს ის, რომ ენათმეცნიერთა ყველაზე აქტიური ნაწილი ენის წარმოშობის, მისი ბუნებისა და განვითარების შესახებ მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის მითოებათა დანერგვაზე კი არ ფიქრობს, არამედ ბრმად მისდევს ნიკო მარის თეორიას, რომელიც თავის სწავლებას მარქსისტულ მოძრვებად ნათლავს. მარის კვლევათა შესწავლამ ჩარკვიანი დაარწმუნა, რომ, მცდელობის მიუხედავად, ცნობილმა ენათმეცნიერმა ვერ შეძლო მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიის ათვისება და დიალექტიკური მატერიალიზმის მეთოდის გამოყენება

⁵ ფონდი №558, ანაწერი 11, საქმე 1251, დოკუმენტი 1.

⁶ I soon received, through K. Charkviani, my paper on Marr's stadal development of languages, with J. Stalin's notes (ჩიქობავა 1985).

ენათმეცნიერებაში, რამაც გამოიწვია მისი დასკვნების უმწიფრობა. კანდიდ ჩარკვინი ჩამოთვლის და ანალიზებს მარის ყველაზე მთავარ ექვს შეცდომას. თოთოეულზე ი. სტალინი აწერს თავის კომენტარს. ჩვენ ორივეს – კ. ჩარკვიანის მოსაზრებას და სტალინის კომენტარებს – წარმოვადგენთ ერთად, რაც მკითხველს განსახილველი საკითხების აღქმას გაუადვილებს.

1) მარის მოსაზრებები არ ეთანხმება მარქსიზმ-ლენინზმის კლასიკოსებს ისეთ საკითხებში, როგორებიცაა: კლასთა და ენათა წარმოქმნა, ნაციონალური ენებისა და ნაციონალური კულტურის ბედი სოციალიზმის დროს. მისი აზრით, ენა წარმოქმნის მომენტიდანვე კლასობრივი იყო. „სხვაგვარ მიდგომას იაფეტი-დოლოგია არ ცნობს... უკლასო ენა აქამდე არ არსებულა. ეს მხოლოდ მომავალი უკლასო საზოგადოების საქმეა.“ სტალინი ამ მოსაზრებას სისულელედ თვლის, რაც პირდაპირ უწერია კომენტარში: „სისულელეა: კლასობრივი ენები არ არსებობს“ (“Глупость. Классовых языков нет”). კანდიდ ჩარკვიანის დაკვირვებით, მარი ვერ ასაბუთებს ამ მოსაზრებას. მართალია, ენას აკავშირებს წარმოების პროცესთან, მაგრამ მაგიაც წარმოებად მიაჩნია და ქმნის ტერმინს – „შრომამაგიური პროცესი“. აქედან ასკენის, რომ მაგბი ქმნიდნენ განსაკუთრებულ კლასს. სტალინი გადაჭრით არ ეთანხმება ამ მოსაზრებას. „არა“, – ვკითხულობთ მინაწერში. მეცნიერს, რომელსაც უფრო უძლიერი საბჭოთა ენათმეცნიერება ოცდათი წლის განმავლობაში და ამ საქმეში თვითონ სტალინს არამცირედი როლი მიუძღვის, ყოველ შემთხვევაში, არსად და არასდროს 1950 წლამდე მარი და მისი თეორია არ დაუწუნია, ახლა იმეტებს შეურაცხმყოფელი ეპითეტისათვის: „სულელი!“ (“Дурак!”). კ. ჩარკვიანი გაკვირვებულია იმ ფაქტით, რომ მარი ხვდება თავისი მოსაზრებების შეუთავსებლობას მარქსიზმის კლასიკოსებთან, მაგრამ უკან კი არ იხევს, არამედ წერს: „ენგელსის მოსაზრებები კლასთა წარმოქმნის შესახებ სერიოზულ შესწორებებს მოითხოვს“.

ასევე მიუღებელი აღმოჩნდა მარის აზრი „ბურჟუაზიული ენების“ ცნების თაობაზე. ამ საკითხშიც უთანხმოებაა მარქსიზმის კლასიკოსებსა და მარს შორის. არსად არ უთქვამთ მარქსისტებს, რომ გერმანული, რუსული ან ინგლისური ბურჟუაზიული ენებია. შეიძლება ვიმსჯელოთ ენობრივ სტილთა კლასობრივ შეფერილობაზე, მაგრამ არ შეიძლება იმის მტკიცება, რომ რომ ნაციონალური (ეროვნული) ენა მთლიანად ეკუთვნის ამა თუ იმ კლასს. სტალინი ისეთ კომენტარს აკეთებს: „მარი ურევს, მაგრამ იგი უახლოვდება იმ მოსაზრებას (პოზიციას), რომ ენის განვითარება დაკავშირებულია ადამიანთა შემოქმედების ნაყოფიერებაზე“ (“Марр путает, но он приближается к положению о том, что развитие языка связанно с развитием производительности людей”). ამ ნაწილში კ. ჩარკვიანი იმოწმებს ალექსანდრე წულუკიძეს: „ენის განვითარებაში მონაწილეობას იღებს საზოგადოების ყველა ფენა, მაგრამ რადგან ამ სულიერ იარაღში აისახება ფარული სოციალური დაპირისპირებები, მას იყენებენ ერთმანეთის გასანადგურებ-

ლად.“ რაც უნდა გასაკვირი იყოს, სტალინი არ ეთანხმება მის ყოფილ თანამებრძოლს, მასთან დაახლოებულ მარქსისტს, ალექსანდრე წულუკიძეს, რომელიც საპრობილეში ტუბერკულოზით დაავადების გამო აღრე წავიდა ამ ქვეყნიდან. იგი დიდი ასოებით წერს კომენტარში: „არა“, თან შემოხაზავს ამ სიტყვას.

2) კანდიდ ჩარკვიანის აზრით, მარი ვერც კი ხვდება, რომ ენათა სტადიალური კლასიფიკაციით (რომელიც იაფეტური თეორიის უმნიშვნელოვანესი საკითხია, – თ.ბ.), წყალს ასხამს რასისტთა წისქვილზე. იგი იმოწმებს ენათა ოჯახების მარისეულ დაყოფას სტადიური განვითარების მიხედვით. ამ ჩამონათვალზე სტალინის გაკეთებული აღნიშვნებით და კომენტარით თუ ვიმსჯელებთ, ჩანს, რომ მას უკვირს სემიტური ენების მოხვედრა ევროპულ ენებთან ერთად IV სტადიის ენებში, რასაც კითხვის ნიშნის დასმით გამოხატავს. ჩარკვიანის შეფასებით, ქართულს მარის სტადიურ კლასიფიკაციაში „შეურაცხმყოფელი“ ადგილი აქვს მინიჭებული. საერთო საკაცობრიო ენობრივი შემოქმედების უმაღლეს პროდუქტად გამოცხადებულია სწორედ „ევროპული“ (მარის ტერმინოლოგიით „პრომეთეიდული“) და სემიტური ენები, რომლებიც მიღებულია იაფეტურ ენათა ტრანსფორმაციის შედეგად. ასეთი გარდაქმნა დაკავშირებული უნდა იყოს ლითონის აღმოჩენასა და მეურნეობაში მის ფართო მოხმარებასთან“. ეს მტკიცება კანდიდ ჩარკვიანს დამაჯერებლად არ მიაჩნია. „სხვა დანარჩენი ენები მარმა გამოაცხადა საკაცობრიო კულტურის განვითარების წინა საფეხურზე გაჩერებულ, ნაშთებად შემონახულ, გაქვავებულ ენებად... მარის სქემა საშუალებას აძლევს „ანგლო-საქონი იმპერიალისტებს“, თავიანთი ენა გამოაცხადონ ყველაზე დაწინაურებულ ენად მსოფლიოში. გარდა ამისა, ეს სქემა შეიძლება გახდეს ანტიპატრიოტული და ანტინაციონალური გამოხტომების საფუძველი ყველა და ყოველგვარი კოსმოპოლიტიზმისათვის, რომლებიც უარყოფენ საბჭოთა ხალხების კულტურულ თვითმყოფადობასა და მათ ისტორიულ კავშირს“. კ. ჩარკვიანი „ქართული საბჭოთა კულტურის დამცირებად“ აფასებს ქართული ენის შეტანას „ლამის გაქვავებულ, განვითარების უნარის არმქონე ენათა ჯგუფში“. ეს დაუსაბუთებელი თეორია მარმა შექმნა იმის მიუხედავად, რომ თავის აღრინდელ ნაშრომებში არა-ერთხელ ხაზგასმით აღნიშნავდა ქართული ენის ლექსიკურ სიმდიდრეს, მის გამომსახველობასა და მოქნილობას, რომ ქართულმა წარმატებით გაუძლო ისეთ ენებთან კონკურენციას, როგორიც იყო არაბული, ბერძნული და სპარსული.

ამ ორ აბზაცში გამოთქმულ მოსახრებებზე – ანგლო-სანქსონელ იმპერიალისტებზე, ანტიპატრიოტთა გამოხტომებსა და მარის თეორიაში ქართულ ენის დამამცირებელ მდგომარეობაზე სტალინი ხარხარებს, რაც გამოიხატება მინაწერში: „ხა-ხა-ხა“ (“xa-xa-xa”) სამჯერ, ლამის მიჯვრით და იქვე აღნიშნავს: „არა“ (ასე არ არის) (“He to”). ვის დასცინის ამ შემთხვევაში სტალინი? უნდა ვიფიქროთ, რომ იგი დასცინის თავად თვალსაზრისს, რომ ევროპული ენების მეოთხე სტადიის ენებში შეყვანით ანგლო-საქსი იმპერიალისტები თავს მოიწონებენ და

იმაზეც ხარხარებს, რომ ზოგიერთ ქართველს, თუ ყველას არა, აწუხებს, რომ თურმე ქართულს არ ეკადრება ენათა ისეთ ჯგუფში მოხვედრა, რომელიც ვერ განვითარდა ისე, რომ ევროპული და სემიტური ენების დონისთვის მიეღწია.

3) შეცდომად არის მიჩნეული თეზა, რომ მსოფლიოს ყველა ენის ლექსიგური მასალა შედგება მხოლოდ ოთხი ელემენტისაგან. საილუსტრაციოდ მოტანილია ქართული (იაფეტური) სიტყვა „მორის“ ჩინური, ფინური და რუსული ცალების ანალიზი.

4) საბჭოთა ენათმეცნიერების ერთ-ერთ მთავარ ამოცანად მარი სახავდა ერთიან საკაცობრიო ენას, რაც პრაქტიკულად შეუძლებელია არა მხოლოდ ახლა, არამედ მთელ მსოფლიოში სოციალიზმის გამარჯვების შემდეგაც კი დიდი ხნის განმავლობაში. ამას კ. ჩარგვიანი ურთავს სტალინის ცნობილ ციტატას ერთიანი საკაცობრიო ენის შექმნის პირობებისა და შედგენილობის შესახებ, რომელზეც უკვე ვიმსჯელეთ (იხ. ზემოთ). ორივეგან სტალინს მიუწერია: „ეს მარის სისულელეებია“ (“Это глупости Маррпа”) როგორც ეს კომენტარი აჩვენებს, სტალინი ნამდვილად არ გრძნობდა სინდისის ქენჯნას იმის გამო, რომ ერთ დროს თვითონაც იმავე აზრს ავითარებდა და საბჭოთა ხალხმა იცოდა ეს, როგორც აჩვენებს „პრავდაში“ გამოქვეყნებული მიმოწერა, განხილული ეთან პოლოგის მიერ (იხ. ზემოთ).

5). მარის ერთ-ერთი შეცდომა არის ის, რომ კულტურისა და ენის ჩასახვის ადგილად მიაჩნია დასავლეთ შუამდინარეთი, რითაც დამატებით არგუმენტს აძლევს ანგლო-ამერიკელ რასისტებს მათი კულტურული განსაკუთრებულობისა და „ატლანტიდელი“ ადამიანის გამორჩეულ კულტურულ როლზე სხვა რასებთან შედარებით. სტალინი ამასთან დაკავშირებით წერს: „ანგლო-ამერიკელები აქ არა-ფერ შუაშია“ (“Англо-американцы не причём”) და კვლავ დასცინის თვალსაზრისს, რომ მარის მოსაზრება თითქოს ანგლო-ამერიკელ რასისტთა პოზიციებს ამაგრებს. იგი ამ აბზაცს აწერს: „ხა-ხა-ხა!“

6) კ. ჩარგვიანი მარს ბრალს სდებს კოსმოპოლიტიზმში, რადგან იგი საბჭოთა ხალხებისგან ითხოვდა მათი ნაციონალური ინტერესებისა და კულტურული ღირებულებების მსხვერპლად შეწირვას „საერთო საკაცობრიო“ კულტურისათვის. ამის მაგალითად იმოწმებს საბჭოთა კავშირის ბევრი ხალხისთვის ახალი ანბანების შექმნას ლათინურზე დაყრდნობით. სწორედ მისი მცდელობით შეიცვალა აფხაზური დამწერლობა და იგი აფხაზურისათვის სრულიად შეუფერებელ ლათინურ ანბანს დაეყრდნო. ეს საკითხი განსახილველ პრობლემად სულაც არ მიაჩნია სტალინს, რაც ჩანს მისი კომენტარიდან: „ეს წვრილმანია“ (“Это мелочь”). კანდიდ ჩარგვიანს კი სერიოზულად აღელვებდა ის, რომ მარი ძველი დამწერლობის მქონე ხალხებისაგან – ქართველებისა და სომხებისაგანაც – კი მოითხოვდა ლათინურ ანბაზზე გადასვლას. სტალინს არ მიაჩნია ეს ენის ბედის განმსაზღვრელად: „შრიფტ-გრაფიკა არ წყვეტს ენის ბედს. სისულელე“ (“Шрифт-графика не решает судьбу языка. Глупость”). ნიკო მარი სრულიად

სერიოზულად აყენებდა საკითხს, რომ „საერთოკავკასიური კულტურული ერთიანობის მიზნით“ შექმნილიყო საერთო ლათინური ანბანი. ადრე თუ გვიან რუსებსაც მოუწევდათ გრაფიკის შეცვლა. „საბჭოთა კავშირში სოციალისტურმა მშენებლობამ აჩვენა ამ აზრის უსუსურობა,“ – წერს კ. ჩარკვიანი.

მოუწევდავად მარის იაფეტური თეორიის დაუნდობელი კრიტიკისა, ნიკო მარის, როგორც კავკასიოლოგს, დიდად აფასებდა საქართველოს კომუნისტური პარტიის ლიდერი კანდიდ ჩარკვიანი. იგი მიიჩნევდა, რომ მარმა პირველმა აჩვენა ერთმანეთის მონათესავე ხეთების, პელაზგების, ეტრუსკებისა და იბერების (ე.წ. იაფეტი ხალხების) განსაკუთრებული წვლილი მსოფლიო კულტურის შექმნაში. მართალია, ბოლო პერიოდში მარმა უარყო ამ ხალხების ნათესაობის იდეა, მაგრამ მის ძველ ნაშრომებს არ დაუკარგავთ მნიშვნელობა, თუმცა სტალინი ფიქრობდა, რომ „მარის დამსახურება ამაში მთავარი არ არის“ (“Заслуга Маррa не главное в этом”). კანდიდ ჩარკვიანი და იოსებ სტალინი ერთნაირად მაღალ შეფასებას აძლევენ მარის დამსახურებას ქართულ-სომხურ ფილოლოგიაში: „მარს უდიდესი დამსახურება მიუძღვის ქართული და სომხური წერილობითი წყაროების შესწავლასა და გამოცემაში, ისტორიკოსებისა და ენათმეცნიერების აღზრდაში“. სტალინი ამ ნაწილს აწერს: „დიახ“ და ამ სიტყვას ქვეშ ორ ხაზს უსამს, როგორც მნიშვნლოვანი მინაწერს.

კანდიდ ჩარკვიანის წერილის ძირითადი იდეა ის არის, რომ მარქსისტულ-ლენინური ენათმეცნიერების განვითარებისათვის აუცილებელია, სააშკარაოზე გამოვიტანოთ მარის ლინგვისტური თეორიის მიუღებელი მხარეები. „სამართლიანად უნდა შეფასდეს მისი მეცნიერული მემკვიდრეობა. რაც სასარგებლოა საბჭოთა ენათმეცნიერებისა და ისტორიისათვის, უნდა მივიღოთ უარვყოთ ყველაფერი, რაც ეწინააღმდეგება მარქსიზმ-ლენინიზმს, ხელს უშლის ჩვენს ხალხებს სოციალისტური კულტურის განვითარებაში. ეს უნდა გააკეთონ თვითონ მეცნიერებმა, მაგრამ უმრავლეს შემთხვევაში სამეცნიერო დაწესებულებების ხელმძღვანელები მარის მიმდევრები არიან და მის მოსახრებებს დოგმად მიიჩნევენ. ასეთი ვითარებაა, მაგალითად, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის მარის სახელობის ენისა და აზროვნების ინსტიტუტში. მისი დირექტორი, პროფ. სერდიუჩენკო ბურუჟუაზიულ ენათმეცნიერად აცხადებს ყველას, ვინც მარის მოსახრებებს არ იზიარებს“. ამ თვალსაზრისს ამყარებს სსრკ მეცნიერებათა აკადემიის 1949 წლის 22 ივნისის დადგენილება და 1949 წლის ნოემბრის სხდომა, როცა გიორგი ახვლედიანი ყოველნაირად ცდილობდა არნოლდ ჩიქობავას დაცვას, მაგრამ სერდიუჩენკოს ვერ შეაცვლევინა აზრი მასზე, როგორც ნიკო მარის თეორიის დამწუნებელზე. კ. ჩარკვიანი განსაკუთრებულ აქტიურობას იაფეტური თეორიის კრიტიკის თვალსაზრისით ელის ქართველი პარტმუშაკებისა და მეცნიერებისაგან, რადგან მარი პირდაპირ ეხება საქართველოს ისტორიისა და კულტურის საკითხებს და მათ უფრო მეტი მასალა აქვთ მარქსისტულ-ლენინური პოზიციებიდან მარის სამხილებლად.

არნოლდ ჩიქობავამ 1985 წელს გამოაქვეყნა წერილი „როდის იყო და როგორ“, რომელშიც ძალიან ფრაგმენტულად აღწერს ენობრივი დისკუსიის მზადების პერიოდს. ამის მიუხედავად, წერილში აღნიშნულია რამდენიმე ფაქტი, რომლებიც საშუალებას იძლევა, ნაწილობრივ, მაგრამ მაინც აღვადგინოთ ამ ისტორიის ზოგიერთი მომენტი. არნოლდ ჩიქობავა ადასტურებს, რომ 1949 წელს „რესპუბლიკის მაშინდელი ხელმძღვანელის, რვატომიანი „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ კურატორის – კანდიდ ჩარკვიანის წინადადებით“ (სხვათა შორის, ამავე წერილიდან ირკვევა, 1949 წელს კანდიდ ჩარკვიანი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, სახალხო მეურნეობის ეკონომიკისა და დაგეგმვის სამეცნიერო კვლევითი ონსტიტუტის დირექტორი ყოფილა), დაწერა მოკლე მოხსენება 6. მარის ენის განვითარების სტადიების შესახებ (ჩიქობავა 1985:24). თუმცა იქამდეც, 1949 წლამდეც, გამოთქვამდა არნ. ჩიქობავა თავის კრიტიკულ დამოკიდებულებას ნიკო მარის თეორიის მიმართ (მაგალითისთვის იხ. ჩიქობავა 1941 ან უფრო ადრე 1935).

კანდიდ ჩარკვიანის მოგონებებიდან ვიგებთ: „ქართველ ლინგვისტთა უფროსი თაობის წარმომადგენლები კვლავ უჩიოდნენ მარისტების მოძალებას ენათმეცნიერებაში და კონკრეტულად მიუთითებდნენ მარის ახალი ენათმეცნიერული თეორიის გავრცელების მავნე შედეგებზე საბჭოთა მეცნიერებისათვის. ამ საკითხზე ჩვენთან სპეციალურად მოვიდა, მაგალითად, აკადემიკოსი არნოლდ ჩიქობავა და დაწვრილებით გამაცნო თავისი კრიტიკული მოსაზრებები ენების სტადიური კლასიფიკაციის მიმართ. გარდა ამისა, ა. ჩიქობავამ გადმომცა თავისი ნაშრომები. უნდა ითქვას, რომ ბევრი ახალგაზრდა ქართველი ენათმეცნიერი მარის ან მისი მოწაფეების აღზრდილი იყო და ბრძად აღიარებდა იაფეტურ თეორიას. ისინიც ბლოდროინდელი მოდიფიკაციის იაფეტიდოლოგიას ერთადერთ მარქსისტულ თეორიად ასაღებდნენ და, რაც ძალი შესწევდათ, იცავდნენ მას „ინდოევროპესტების“, ე.ი. უფროსი თაობის ლინგვისტების თავდასხმებისაგან. ეს „ბრძოლა“ ხშირად საქმაოდ მწვავე ხასიათს იღებდა და ხელს უშლიდა ნორმალურ კვლევით მუშაობას ენათმეცნიერებაში და ენათმეცნიერული დისციპლინების სწავლებას უმაღლეს სკოლებში. მოგონებების ამ ნაწილში მოცემული ინფორმაცია, რომ „ლინგვისტები კვლავ უჩიოდნენ მარისტების მოძალებას“, ბუნებრივად ებმის ილიზაროვის ინფორმაციას, რომ „ჩარკვიანამდე ქართველი მეცნიერები, მათ შორის არნ. ჩიქობავა, ესაუბრებოდნენ ლავრენტი ბერიას, რომელიც, თავის შხრივ, არწმუნებდა სტალინს, რომ მარის თეორია არა მხოლოდ უვარვისია მეცნიერული თვალსაზრისით, არამედ საზიანოა ქართული ნაციონალიზმისთვის“ (ილიზაროვი 2012:187). ეს პირად საუბრებშიც გვსმენია უფროსი თაობის ლინგვისტებისაგან, მაგრამ საარქივო დოკუმენტებით ამის დადასტურება არ შეგვიძლია. თავად ილიზაროვი ყურადღებას ამახვილებს მის მიერ სტალინის ბიბლიოთეკაში აღმოჩენილ არნ. ჩიქობავას წიგნზე „სახელის ფუძის უძველესი აგებულებისათვის ქართველურ

ენგბში“, თბილისი, 1942, რომელიც მას რუსული წარწერით უჩუქებდა ბერიას-თვის. “Глубокоуважаемому Лаврентию Павловичу Берия – одна из работ, выполненная в реорганизованном Вами Институте языка. С благодарностью от автора. 16.IV.1942”. ილიზაროვი ლავრენტი ბერიასთვის ნაჩუქარი წიგნის სტალინის ბიბლიოთეკაში პოვნას იმით ხსნის, რომ ლ. ბერიამ საენათმეცნიერო საკითხებით დაინტერესებულ სტალინს ფურადღება მიაქცევინა ამ მეცნიერისთვის, რომელიც არ იზიარებდა ნიკო მარის თეორიას (ილიზაროვი 2012:187-190. ამ ფაქტზე ყურადღებას ამახვილებს პოლოვი 2006:113-114).

როგორც ვაჟა შენგელიას მოგონებიდან ირკვევა, ლავრენტი ბერია მაშინაც დახვედრია აეროპორტში ქართულ დელეგაციას, როცა ენობრივი დისკუსიისთვის ემზადებოდნენ: „1950 წლის საენათმეცნიერო დისკუსიამდე ერთი თვით ადრე, 10 აპრილს სტალინის მიწვევით მოსკოვში ჩაფრინდნენ: არნ. ჩიქობავა, საქართველოს მაშინდელი ხელმძღვანელი (ცპ-ის პირველი მდივანი) კ. ჩარკვიანი, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე და ორი მინისტრი... აეროპორტში მათ ლ. ბერია დახვდა და მანქანაში მიიპატიქა. მძღოლის გვერდით თვითონ დაჯდა, უკანა სავარძელზე – კ. ჩარკვიანი და ბ-ნი არნოლდი, გადმოსაწევ სკამებზე, რომლებიც წინასავარძლებზე იყო დამონტაჟებული, – დანარჩენი სამი პირი. ამ სკამებზე ჯდომა (ზურგშექცევით) საკმაოდ უხერხული იყო. ბ-ნი არნოლდი შეწუხდა (უკანა სავარძელზე სამი კაცი მაინც დაეტეოდა თავისუფლად) და თქვა: ხომ არ შეიძლება ისინი გადმოსხდნენ? ლ. ბერია: არა უშავს, ჩაიტკეპნებაან (საუბარი რუსულად იყო)“ (შენგელია 2014:71).

არნოლდ ჩიქობავას ხშირად უხდებოდა შეხვედრა კანდიდ ჩარკვიანთან ქართული ენის განმარტებით ლექსიკონთან დაკავშირებით. ალბათ, საფუძველს მოკლებული არ იქნება, თუ ვითქმირებთ, რომ ამ შეხვედრებზე, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის გარდა, სხვა საჭირობო საკითხებსაც ეხებოდა, რომელთა შორის იაფეტური თეორია, ძნელი წარმოსადგენია, უკანასკნელ ადგილზე ყოფილიყო. მით უმეტეს, რომ ძალიან გართულდა ვითარება არნ. ჩიქობავასათვის. მას მხოლოდ თბილისში კი არ აკრტიკებდნენ, არამედ უკვე მოსკოვში სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ენისა და ლიტერატურის განყოფილებაც ძალიან ღელავდა, რომ არაერთგზის გაკრიტიკებული არნოლდ ჩიქობავა კვლავ ანგარიშგასაწევ ენათმეცნიერად ითვლებოდა. ამ საკითხზეც მოიძენება კანდიდ ჩარკვიანის წიგნში ჩვენთვის საინტერესო თავი – „როგორ დაიწყო დისკუსია ენათმეცნიერების საკითხებზე“ (ჩარკვიანი 2004:395-408), რომელშიც დაწვრილებით არის მიმოხილული, როგორ მივიდა მასთან არნოლდ ჩიქობავა, აუხსნა საბჭოთა ენათმეცნიერების არასახარბიელო ვითარება მარისა და მარქსიზმის ერთმანეთთან გატოლების გამო, რა არაჯანსაღ გარემოს ქმნიდა ეს ენათმეცნიერებისთვის, რომლის შეცვლა აუცილებელი იყო ვითარების გამოსასწორებლად. როგორც ჩანს, ეს დიალოგი კანდიდ ჩარკვიანთან სწორე 1946 წლის შუა თვეებში უნდა გა-

მართულიყო და სტალინსაც ჩარკვიანი ამ საკითხზე 1946 წელს ესაუბრა, ხოლო 1949 წლის ბოლოს კიდევ ერთხელ დაუბრუნდა (ამ საკითხთან დაკავშირებით ის. აგრეთვე კნდიდ ჩარკვიანის ვაჟის, გელა ჩარკვიანის საკონფერენციო მოხსენება (გ. ჩარკვიანი 2017). სტალინთან მისი შეხვედრისას გამართულ დიალოგსაც გადმოგვცემს კ. ჩარკვიანი თავის მოგონებებში:⁷

საქმე საქმემდე 1950 წლის აპრილში მივიდა, როცა არნოლდ ჩიქობავა კანდიდ ჩარკვიანის დახმარებით შეხვდა სტალინს (ამის შესახებ ის. ზემოთ). 1985 წელს დაბეჭდილი წერილიდან და კანდიდ ჩარკვიანის მოგონებებიდან ზუსტად ვიცით, რომ 1950 წლის 10 აპრილს შეხვედრა გაიმართა მოსკოვში, სტალინის აგარაკზე, რომელსაც ესწრებოდნენ სტალინი, კ. ჩარკვიანი, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, ორი მინისტრი და არნოლდ ჩიქობავა. „ამჯერად განხილვის საგანი იყო მხოლოდ ენის საკითხები: სტალინის შენიშვნები „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონზე“ (რომლის პირველი ტომი ახალი გამოსული იყო) და 6. მარის „ახალი მოძღვრება“. სწორედ ამ შეხვედრაზე გადაწყდა დისკუსის მოწყობა და სადისკუსიო სტატიის დაწერა დაევალა არნოლდ ჩიქობავას, რომლისთვისაც სტალინს უთქვამს: „დაწერეთ, ვნახოთ. თუ გამოდგა, დავგეჭდავთ. თქვენს მოხსენებას გიბრუნებთ“, და სტალინმა საქალალდე მაგიდაზე დადო (მასში იყო მოხსენება ენის სტადიების შესახებ), მაგრამ იქვე დასძინა: „თუმცა არა – ჯერ დავიტოვებ: ვნახოთ, ახლა როგორ დაწერთ ამ საკითხებზე, მოხსენებასაც მერე დაგიბრუნებთ“ (ჩიქობავა 1985:26). არნოლდ ჩიქობავა არ წერს, როგორ მოხვდა მისი მოხსენება ენის სტადიების შესახებ იოსებ სტალინთან. თუმცა ერთი რამ ცხადია, რა თქმა უნდა, განიხილავდნენ სტალინის მოსაზრებებს ჩიქობავას მოხსენებაზე. „პრაგდისთვის“ დაწერილი სტატია „ი. სტალინმა ორჯერ წაიკითხა და შენიშვნებიც დაურთო. ამ შენიშვნების განსახილველად

⁷ – რატომ აყენებთ საკითხს ისე, რომ მარის თეორიის კრიტიკით მარტო საქართველოს პრესა გამოვიდეს. ეს არ არის ადგილობრივი, ლოკალური საკითხი. ის ცენტრალური პრესის ფურცლებზე უნდა გამოვიტანოთ. ამასთან უნდა მოქმედოს არა ცალმხრივი კრიტიკული გამოსვლები მარის თეორიის წინაღმდეგ, არამედ დისკუსია ენათმეცნიერების საკითხებზე, რომელშიც ყველა მიმართულების ენათმეცნიერები მიიღებენ მონაწილეობას.

– ეს ყველაზე სწორი გადაწყვეტილება იქნება, ამხანავო სტალინ! – ვუპასუხე მე. – მაგრამ ვინ დაიწყებს? – იკითხა ი. სტალინმა და ახლა პროფესორ ჩიქობავას მიუბრუნდა. – აი თქვენ უნდა გამოხვიდეთ პირველი. დაწერეთ სტატია მარის თეორიის შესახებ, ენათმეცნიერების მდგომარეობაზე და ჩვენ მას დავბეჭდათ „პრაგდაში“ დისკუსიის წესით.

პროფესორი ჩიქობავა დიდი ზანია ისწრაფოდა საჯაროდ შერკინებოდა ენების სტადიური განვითარების თეორიის მიმდევრებს და დამცველებს და წინადადებაზე უარი არ უთქვამს, – პირიქით, მან ის სიამოვნებით მიიღო.

გადაწყდა, რომ სტატია დაიწერებოდა მოსკოვში, რათა დროზე ყოფილიყო შეთანხმებული და მომზადებული გამოსაქვეყნებლად (კ. ჩარკვიანი 2004:404-405).

ორჯერ მომიხდა ი. სტალინის აგარაკზე მისვლა. თითოეული საუბარი 2-3 სა-ათს გრძელებოდა“. არნ. ჩიქობავა აქებს სტალინს: „სტალინი ბუნდოვანებას ვერ ითმენდა, ენის საკითხები მას არსებითად აინტერესებდა ეროვნულ საკითხებთან დაკავშირებით. გავრცელებული აზრის საწინააღმდეგოდ, მასთან კამათი შეიძლებოდა. ზოგჯერ ის გვეთანხმებოდა კიდეც („ამაში თქვენ მართალი უნდა იყოთ!“) (ჩიქობავა 1985:25-26).

ამერიკელი მეცნიერი, ეთან პოლოკი, ავტორი მეტად მნიშვნელოვანი წიგნისა „სტალინი და საბჭოთა სამეცნიერო ოქები“, ზუსტი თანამიმდევრობით აღწერს, რომ არნოლდ ჩიქობავას სულ მცირე ორჯერ მაინც აქვს გადამუშავებული „პრაგდაში“ დაბეჭდილი სტატია. პირველი ვარიანტი მან შექმნა სტალინთან 1950 წლის აპრილში შეხვედრის შემდეგ, რომელიც სტალინის სარედაქციო კომენტარებით დაუბრუნდა ავტორს. არნ. ჩიქობავამ 1950 წლის 2 მაისს კვლავ გაუგზავნა სტალინს გასწორებული ვარიანტი, რომლის განხილვისა და რედაქტირების შემდეგ, 6 მაისს იგი სტალინმა დაუგზავნა პოლიტიუროს წევრებს: ბერიას, ბულგანინს, კაგანოვიჩს, მალენკოვს, მოლოტოვსა და ხრუშჩოვს (პოლოკი 2006:113-114). სწორედ ამ წერილზე გვსურს მკითხველთა ყურადღების გამახვილება, რომელიც აღმართ 1950 წლის 2 მაისს წაიკითხა და კომენტარები დაურთო სტალინმა. როგორც უჰვე აღნიშნეთ, წერილის ასლი გადმოგვცა ბატონმა ვაჟა შენგელიამ, რისთვისაც მადლობას ვუხდით მას.

არნოლდ ჩიქობავას სტატიაზე სტალინს გაკეთებული აქვს ათიოდე კომენტარი. როგორც კანდიდ ჩარკვიანის წერილში, აქაც, ნიკო მარის ამა თუ იმ ნაშრომიდან დამოწმებულ ნაწყვეტზე სტალინი აკეთებს ასეთ მინაწერებს: “Какая глупость!”, “Чепуха!”, “Глупость...” („რა სისულეელე!“ „სისულეელე!“). ასე აფასებს სტალინი ნიკო მარის მოსაზრებებს ენათა განვითარების სტადიებზე (მარი 1936:405), რომელიც მოცემულია ჩიქობავას მანქანაზე გადაბეჭდილი წერილის მე-4 გვერდზე (“Какая глупость!”). ასევე 6. მარის წარმოდგენას ყველა ენის ერთიანი გლოტოგონიური პროცესის პროდუქტად, რომელსაც მოჰყვება ენის სტადიების ცვლა (არნ. ჩიქობავას წერილის მე-6 გვერდი: “Чепуха!”). სტალინი მსგავს კომენტარს წერს არნოლდ ჩიქობავას წერილის მე-13 გვერდზე (“Глупость...”), სადაც ავტორი მკითხველს აწვდის ინფორმაციას, რომ თურქმა რასისტებმა გამოიყენეს ენათა ელემენტებით ანალიზის მარისეული პრინციპი. იგი ერთ ელემენტამდე დაიყვანეს და დედამიწის ყველა ენის ყველა სიტყვის საფუძვლად აღიარეს თურქული „გურ“ (მზე). ამით კი ამტკიცებდნენ, რომ ყველა ენა თურქულიდან მომდინარეობს.

სტალინი რამდენიმე ადგილას სვამს კითხვას. როცა არნოლდ ჩიქობავა ჩამოთვლის ენათა ოჯახებს, მაგალითისთვის იმოწმებს: „ხეთურ-იბერიულ ოჯახს (ცოცხალი იბერიულ-კავკასიური ენებითურთ), ინდოეროპულ ოჯახს, სემიტურ ოჯახს, უგრო-ფინურ ოჯახს“. სტალინი სვამს კითხვას: “А Китайцы?” (ჩინელე-

ბი? – გვ. 10). რის გამო უნდა დაინტერესებულიყო სტალინი ჩინელების ადვილით ენათა ოჯახებს შორის, ამაზე ქვემოთ ვიმსჯელებთ. ამავე ნაწილში არნ. ჩიქობავა განიხილავს გენეალოგიური კლასიფიკირების შედეგად ერთი ოჯახის-თვის მიკუთვნებული ენების დამოუკიდებლობაზე. „მართალია, ეს არ გამორიცხავს, – წერს არნ. ჩიქობავა, – მათი განვითარების ერთგვაროვნებს, რაც გამოწვეულია ხალხთა საერთო საზოგადოებრივ-კონომიკური ცხოვრებით. მაგრამ ეს ერთგვაროვნებაა და არა ერთიანობა, რადგან განვითარების ამოსავალი მასალა განსხვავებულია“. ამ ნაწილთან დაკავშირებით სტალინი სვამს კითხვას: რა არის ეს? (მსგავსება?) (“Это что? (Сходство?”). ეს შეკითხვა აჩვენებს, რომ სტალინს უფრო მეტის გაგება სურდა ამ საკითხზე.

არნოლდ ჩიქობავა ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერების მეთოდის მნიშვნელობის დასამტკიცებლად იმოწმებს ენგელსის „ანტი-დიურინგს“ და აღნიშნავს, რომ ენგელსი თვითონაც იყენებდა ისტორიულ-შედარებით მეთოდს (მარქსი ენგელსს ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერების სპეციალსტს უწოდებდა)“. არნოლდ ჩიქობავას ამ საკითხზე სპეციალური მოხსნებაცა აქვს წაკითხული, რომელსაც კიდევ ვახსენებთ წიგნის მომდევნო ნაწილებში. წსნებული აბზაცი სტალინს არ მიაჩნია საკმარის არგუმენტად და კომენტარში წერს: “Недостаточный аргумент”.

არნ. ჩიქობავა ვერ მალავს აღშფოთებას, რომ ნიკო მარს მხოლოდ ინდოევროპული ენები მიაჩნია განვითარების მაღალ საფეხურზე მდგომ ენობრივ ჯგუფად, სხვები კი ამ ეტაპამდე ვერ მაღლდებიან. ასეთია, მაგალითად, იაფეტური ენები, რომლებსაც ნ. მარი „მსოფლიო წინსვლას ჩამორჩენილ ენებად“ მოიხსენიებს. „თურმე ქართული ენა ვერ ამაღლებულა ლათინურამდე: განვითარების უფრო დაბალ საფეხურზე შეჩერებულა. მარის სტადიალური სქემის მიხედვით, იგი საბოლოოდ მიღურსმნულია ამ საფეხურზე“. ასეთი შეფასება არ აკმაყოფილებს სტალინს. მას ჰარის, რომ არნ. ჩიქობავას იაფეტური ენების და მათ შორის, ქართულის მოხსენიება „მსოფლიო წინსვლას ჩამორჩენილ ენად“ სწყინს, როგორც ქართველს: “Вы обижены, но обида не довод” („თქვენ ნაწერი ხართ, წყენა კი არგუმენტი არ არის“). ამავე აზრს გამოოქამს სტალინი კანდიდ ჩარკვიანის 1949 წლის დეკემბრის წერილზე დართულ შენიშვნაში. არნ. ჩიქობავა აკრიტიკებს მარის მოსაზრებას: „განვითარების უნარის არმქონე ხალხებს მატერიალისტური მეცნიერება არ იცნობს“. სტალინი წსნის, რას გულისხმობს მარი: „არსებობს ჩამორჩენილი ერების შთანთქმის პროცესი. აქედან ვიღებთ მკვდარ ენებს“ (“Бывает процесс поглощения отсталых наций. Отсюда мертвые языки”).

ერთადერთი შეფასება, რომელსაც უეჭველად ეთანხმება სტალინი, არის ის, რომ ნ. მარის თეორია სახელს უტეხს საბჭოთა ენათმეცნიერებას. „მხოლოდ საქმეში ჩაუხედაობა და სრული უპასუხისმგებლობა თუ ათქმევინებს ადამიანს, რომ პალეონტოლოგიური ანალიზი (ელემენტებით), ენათა ერთიანი გლობოგონი-

ური პროცესი და სტადიური კლასიფიკაცია იაფეტურ თეორიაში საბჭოთა მატერიალისტური ენათმეცნიერების მონაპოვრებია. ეს „მონაპოვრები“ რეალურად ენის მატერიალისტური მოძღვრების, საბჭოთა ენათმეცნიერების დისკრედიტაციას გამოიწვევს მხოლოდ“. სტალინი ადასტურებს ამ აზრს: *Пожалуй! – წერს იგი. არნ.* ჩიქობავა სწორედ ამ კომუნტარს გულისხმობს, როცა წერს, რომ სტალინი ზოგჯერ ეთანხმებოდა მის მოსაზრებებს (იხ. ზემოთ, ჩიქობავა 1985).

ბევრ ენათმეცნიერს თავიდანვე არ სჯეროდა, რომ სტალინმა იაფეტური თეორია მარქსიზმ-ლენინიზმის ვულგარიზაციის გამო დაიწუნა. ეჭვის მიზეზი იყო ის, რომ სტალინს ადრევე შეეძლო, ფრთხი შეეკვეცა მარქსიზმის ვულგარიზატორისთვის, თუნდაც პარტიის XVI კრილობამდე. ამ ყრილობაზე 6. მარი განსაკუთრებით დაუახლოვდა კომუნისტურ პარტიას.

როცა 1950 წლის 9 მაისს გამოქვეყნდა არნ. ჩიქობავას წერილი გაზეთ „პრავდაში“, ყველა მაშინვე ვერ მიხვდა, რა მიზანი ჰქონდა ამ წამოწყებას. როგორც ბ. ილიზაროვი წერს, თავიდან რედაქციამ მიიღო 190 სტატია, რომელთაგან 70 იცავდა ნიკო მარის თეორიას, 100 წერილში კი გაკრიტიკებული იყო ნიკო მარის თეორიის მხოლოდ რამდენიმე ასევეტი, თუმცა იაფეტური მოძღვრება მთლიანობაში ასივე ავტორს მოსწონდა, მხოლოდ 20 სტატიის ავტორი გამოდიოდა ამ თეორიის წინააღმდეგ. დისკუსიაში ჩართულმა ავტორებმა და, როგორც ბორის ილიზაროვი წერს, თვით „პრავდის“ რედაქციამაც კარგად არ იცოდა, რა მიზნით იყო წამოწყებული ეს დისკუსია. სტატისტიკური მონაცემები აჩვენებს, რომ სტალინის ჩარევის გარეშე, არნ. ჩიქობავას კრიტიკულ სტატიას ადვილად ჩაახშობდნენ ნიკო მარის თეორიის მომხრე ენათმეცნიერები. თავის მხრივ, სტალინს ნამდვილად ჰქონდა მიზნად, კვალი დაეტოვებინა საბჭოთა ენათმეცნიერების ისტორიაში. როგორც ბ. ილიზაროვი წერს, სტალინს დაურეკავს „პრავდის“ ერთ-ერთი რედაქტორისთვის, ილიჩევისთვის და შეუქია მასთან საუბარში ახალგაზრდა, პროვინციაში მცხოვრები უცნობი გენიოსი და მისი ნაწერის გასაცნობად დაუბარებია. ამ პროვინციელი ახალგაზრდა გენიოსის სახელის უკან თვითონ სტალინი იმაღლებოდა. ასე გადასცა „პრავდის“ რედაქციას მან დასაბეჭდად წერილი, რომლის ბოლოს იკითხებოდა ხელმოწერა: სტალინი. „პრავდის“ რედაქტორმა, ილიჩევმა მიიღო გადაწყვეტილება, შეეჩერებინა გაზეთის აწყობა, რომ სასწავლოდ დაებეჭდათ სტალინის წერილი (ილიზაროვი) აქ მოყვანილი ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებლობა ეკისრება ბ. ილიზაროვს, მაგრამ სტალინის ლინგვისტური ინტერესების უარყოფა შეუძლებელია.

რა შეიძლებოდა ყოფილიყო სტალინის შეხედულების ცვლილების მიზეზი. ერთ-ერთი გავრცელებული მიზეზი იმდოროინდელი საბჭოური გაკიცხვისა იყო ხალხის მტრების გამოვლენა. თვითონ ფორმა, როგორც მიაწოდეს საზოგადოებას სტალინის „პრავდაში“ გამოქვეწებული წერილი, მთლიანად თავსდებოდა ომის და ომისშემდგომ პერიოდში სტალინის გამოსვლებისთვის განსაკუთრებული მნიშ-

ვენლობის მინიჭების ტრადიციაში. ამ მხრივ მნიშვნელოვან ინფორმაციას იძლევა ენათმეცნიერ მედვედივის მოგონება, როგორ გააცნეს პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტებსა და პროფესურას სტალინის შეცვლილი მოსაზრება ნიკო მარზე. სტალინის სტატია 1950 წლის 20 ივნისს გამოქვეყნდა „პრავდაში“. მედვედევი იხსენებს: იმ დღეს ლენინგრადის უნივერსიტეტში შეწყვიტეს ყველა გამოცდა. პროფესორები და სტუდენტები ვესტიტიულში შეკრიბნენ. სტალინის სტატიას რადიოთი ქვეყნის ყველაზე ცნობილი დიქტორი იური ლევიტანი კითხულობდა. ყველა სულგანაბული უსმენდა სტალინის წერილს. ჩაიცინეს, როცა სტალინი ენის კლასობრიობის იდეას აკრიტიკებდა: ნუთუ ის ამხანაგები ფიქრობენ, რომ ინგლისელი ფეოდალები ინგლისელ ხალხს თარჯიმნის მეშვეობით ესაუბრებოდნენ? განა ისინი ინგლისურ ენაზე არ მეტყველებდნენ? მსმენელი საზოგადოება შეირნა, როცა სტალინმა მეშჩანინოვი ახსენა, რომელიც „ხელმძღვანელთა კასტას მარის მოწაფეებს უწოდებს“. დარწმუნებული რომ არ ვიყო, მეშჩანინოვისა და ენათმეცნიერების სხვა მოღვაწეების პატიოსნებაში, ვიტყოდი, რომ ასეთი ქცევა მტრობის ტოლფასია“. სტუდენტებმა და პროფესორებმა კარგად დაიმახსოვრეს სტალინის სიტყვები: მარი ვერ გახდა მარქსისტი ან მხოლოდ მარქსის ვულგარიზაცია შეძლო“. ჩვენ სიხარულით გადავხედეთ ერთმანეთს, როცა სტალინმა თქვა, რომ „მეცნიერება ვერ იარსებებს დისკუსიის გარეშე. ენათმეცნიერებაში გავრცელებული იყო არაგრევის რეჟიმი, რომელიც უპასუხისმგებლობას აღვივებდა. ამ რეჟიმის ლიკვიდაცია აუცილებელია! ამით დისკუსია დასრულდა, თუმცა სტალინმა კიდევ ოთხჯერ გამოაქვეყნა პასუხები მკითხველთა წერილებზე „პრავდაში“.

მეშჩანინოვმა ყველა თანამდებობდა დაკარგა, მისმა მოწაფეებმა კი მოინანიეს მარის ცოდვები და სწრაფი ტემპით გადაეწყვინენ „ამხანაგი სტალინის ნაშრომების შუქზე“. მასობრივი რეპრესიები არ ყოფილა, მაგრამ ერთმანეთისთვის ანგარიშის გასწორება კიდევ დიდხანს გაგრძელდა. ენისა და აზროვნების ინსტიტუტის დირექტორი გახდა აკად. ვ. ვ. ვინოგრადოვი. იგი ხელმძღვანელობდა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ენისა და ლიტერატურის განყოფილებას და ურნალ „ენათმეცნიერების საკითხებს“. ყველა უმაღლეს სასწავლებელსა და პარტიულ სკოლაში შემოიღეს სალექციო კურსი „ენის სტალინური მოძღვრება“, რომელიც მიყრუებული სოფლების რაიკომშიც კი ისწავლებოდა. ენათმეცნიერების საკითხები კოლმეურნებმაც „გაიგეს“. სტალინური მოძღვრების გავრცელების ამბავი ბევრ ნაწარმოებში აისახა. ერთ-ერთი მათგანია თეოდორ აბრამოვის რომანი „გზები – გზაჯვარედინები“. როგორ აღიქვამდა ენობრივ დისკუსიას და მის შედეგებს კოლმეურნე გლეხობა, კარგად ჩანს ამ ნაწყვეტიდან (ვიმოწმებთ შერჩევით): „თურმე ისევ გამოჩნდნენ ხალხის მტრები ... ვიღაც აკადემიკოსები. ამბობენ, რუსული ენის განადგურება უნდოდათ თურმე... თურმე თვით იოსებ ბესარიონის ძემ გაუსწორა მათ ტვინები გაზეთ „პრავდაში“... ამასაც მოვესწარით! შარ-

შან ვიღაც კოსმოპოლიტები უცხოელ კაპიტალისტებს მიეყიდნენ, წელს კი – აკადემიკოსები. გაუგებარია, ჩვენები საით იყურებიან?! არამზადებს ვერ ანადგურებენ!“ (მედვედევი 1997:1037-1038).

ვ. ვინოგრადოვის დანიშნასთან დაკავშირებით ვაჟა შენგელია, არნოლდ ჩიქობაგას მოწაფე და მისი ნდობით აღჭურვილი პირი, იხსენებს: „კნობილი საენათმეცნიერო დისკუსიის წინა პერიოდში ერთ-ერთი შეხვედრისას სტალინს უკითხავს: მოსკოვის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანი ვინ არის? არნ. ჩიქობავა: პროფესიონისტი ჩემოდანოვი. სტალინი: რა კაცია ეს ჩემოდანოვი? არნ. ჩიქობავა: პირადად არ ვიცობ, მაგრამ ერთი წიგნი აქვს ენათმეცნიერებაში სხვასთან თანაავტორობით... შეძლევ, პოლიტიუროს წევრების შეკრებაზე სტალინს განუცხადებია: ჩემოდანოვი მოსკოვის უნივერსიტეტში დეკანად მუშაობს, ვინოგრადოვი კი ზის (გადასახლებულია), ეს როგორ შეიძლებაო... რამდენიმე დღეში ვ. ვინოგრადოვი მოსკოვში დაბრუნებს და ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანად და ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორად დანიშნეს, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს-მდივანიც გახდა... აკად. ვ. ვინოგრადოვი ხშირად უტეორებდა ბ-ნ არნოლდს: თქვენ გადამარჩინეთ, კაცად მაქციეთო... მოსკოვში ჩასვლისას სადგურში ზვდებოდა, შინაც ეპატიუროდა, გამომგზავრებისას აცილებდა... ეუბნებოდა: აკადემიკოსად უნდა წარგადგინოთო... იმდენჯერ გაუმეორებია, რომ ბ-ნ არნოლდს ერთხელაც ირონიით მიუგია: მე ერთი უბრალო გლეხის შვილი ვარ და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიონალ რომ ვითვლები, ჩემთვის ესეც ზედმეტიაო... ბ-ნ არნოლდის კომენტარი: ეტყობა, ელოდა ჩემგან, რომ ვეტყოდი, ოღონდ თქვენ ეს გააკეთეთ და თქვენი სურვილის ამსრულებელი ვიქებით“ (შენგელია 2009:79-80). ამ მოგონების მიხედვით, არნოლდ ჩიქობაგას წვლილი მოუძღვის ვ. ვინოგრადოვის გათავისუფლებასა და დაწინაურებაში, რასაც თურმე ცნობილი მეცნიერი ვინოგრადოვი ყოველთვის დიდი მოწიწებით აღნიშნავდა.

ქვეყნის მტრების ცნობილი საბჭოთა თეორიის გარდა, არსებობს სტალინის შეხედულების ცვლილების სხვა ახსნაც. როცა 1949 წელს, სტალინის სამოცდაათი წლის იუბილეს მოსამზადებლად ჩასული კანდიდ ჩარკვიანი თავისუფალ დროს წერდა სტალინისთვის წარსადგენ წერილს საბჭოთა ენათმეცნიერების მდგომარეობაზე, როგორც ირკვევა, იუბილეზე შეკრებილ სტუმრებს შორის მხოლოდ მას როდი აწუხებდა ეს საკითხი. სტალინის იუბილეს ესწრებოდა მათ ძელუნი, რომელიც მოწვეული იყო როგორც განსაკუთრებული სტუმარი და მოსკოვის დიდ თეატრში ძალიან საპატიო ადგილას იჯდა – პრეზიდიუმში „თანამდროვეობის უდიდესი გენიის“ გვერდით. ეს არ იყო შემთხვევითი სტუმრიბა, რადგან სწორედ 1949 წელს დაიწყო ჩინეთში კომუნისტური სახელმწიფოს მშენებლობა და მისი დაკავშირება სსრკ-სთან. 1950 წელს მოეწერა ხელი სსრკ-სა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის თანამშრომლობის ხელშეკრულებას, რომლის მომზადებას საბჭოეთისა და ჩინეთის ლიდერთა ხშირი შეხვედრები სჭირ-

დებოდა და ამის გამო სტალინი და მათ ძედუნი ხშირად ჩნდებოდნენ ერთად. როგორცა ჩანს, სხვა საკითხებთან ერთად ისინი ლინგვისტურ საკითხებზეც მსჯელობდნენ (გორბანევსკი 1991:147-152).

აღმართ სტალინი გრძნოდა უხერხულობას, რომ საბჭოთაში აღიარებული ერთადერთი ლინგვისტური თეორია ჩინურს პრიმიტიულ ენად განიხილავდა, მაშინ, როცა პოლიტიკური კონიექტურა დღის წესრიგში აყენებდა, მოხსნილიყო ყველა ის დაბრკოლება, რომელთაც თუნდაც იოტისოდენად შეეძლო შეეძლა ხელი საბჭოთასა და კომუნისტური ჩინეთის დაახლოებისათვის. სწორედ ეს უნდა ყოფილიყო მარის იაფეტური თეორიის საბოლოო ლიკვიდაციის თაობაზე სტალინის ურყოვი გადაწყვეტილების მიზეზი, რამაც, თავის მხრივ, სათავე დაუდო იაფეტური თეორიის დაწუნების, აბუჩად აგდებისა და დაცინვის უკიდეგანო მასშტაბებს. საქმე იქამდე მივიდა, რომ საბჭოთა ენათმეცნიერებმა ჩინეთში ჩინურის მეცნიერებულ კვლევასაც შეუწყვეს ხელი და სინოლოგია გაათავისუფლეს „ბურუუაზული ენათმეცნიერების“ გავლენისაგან. ჩინურად ითარგმნა სტალინის „მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები“ და არნოლდ ჩიქობაგას „ენათმეცნიერების შესავალი“, რომლის შინაარსი განაპირობა სწორედ 1950 წლის ენობრივმა დისკუსიაში ამ. ერთ-ერთ დამაჯერებელ მიზეზად უნდა ჩავთვალოთ ის, რომ საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის პოლიტიკურმა ურთიერთობებმა შეცვალა სტალინის დამოკიდებულიება იაფეტური თეორიისადმი. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეს ძირითადად განაპირობა ნ. მარის აზრმა, რომ ჩინური და, შესაბამისად, ჩინელი ხალხი განვითარების თვალსაზრისით გაიყინა უძველეს ეტაპზე. დისკუსიის „ჩინური ფაქტორი“ აისახა სოლუუნცინის რომან „პირველ წრეში“.

ე. ველმეზოვა, რომელიც დაინტერესდა მხატვრულ ლიტერატურაში ლინგვისტური თეორიების ასახვის საკითხით, განიხილავს ალექსანდრე სოლუუნიცინის რომანის ერთ ნაწყვეტს, რომელშიც 1950 წლის „ენობრივი დისკუსიის“ წინა პერიოდია აღწერილი (ველმეზოვა 2014; ველმეზოვა 2015:275-283). რომანის მთავარ გმირს ღრმად სწამს, რომ კომუნიზმი გაიმარჯვებს მთელ დედამიწაზე და ამ დიდი საქმისთვის ჩინელები ცოტას ნამდვილად არ აკეთებს საბჭოთა ხალხთან ერთად. საბჭოთა კავშირი და ჩინეთი მეგობრობს. მეგობრობენ ყველა ხალხის დიადი მამა, სტალინი და მათ ძედუნი, მაგრამ არსებობს ერთი „უხერხული დეტალი“, რომელიც ამ მეგობრობას ჩრდილს აყენებს, ხოლო კომუნიზმის მთელ მსოფლიოში გამარჯვების საქმეს საფრთხეს უქმნის. ამ „უხერხულობას“ ოფიციალურ საბჭოთა ენათმეცნიერულ თეორიად აღიარებული ნიკო მარის „ახალი ენობრივი თეორია“ ანუ იაფეტური თეორია ქმნის, რომლის მიხედვითაც ჩინური, როგორც ძირეული ენა, განვითარების ყველაზე დაბალ საფეხურზე დგას და ჩინელები, როგორც ძირეულ ენაზე მოლაპარაკე ხალხი, გაყინული არიან განვითარების ერთ სტადიაზე და წინსვლა არ უწერიათ. თავისთავად ეს იდეა, ენათა მორფოლოგიური ტიპების დაკავშირება ამ ენებზე მოლაპარაკე ხალხების განვი-

თარების დონესთან, უშუალოდ ნიკო მარს არ ეპუთვნის. იგი მეცხრამეტე საუკუნეში იღებს სათავეს, მაგრამ ეს ვერ შევლის ჩინელი და საბჭოთა ხალხების ურთიერთობაში შექმნილ „უხერხულ ვითარებას“.

ალექსანდრე სოლუენიცინის ნაწარმოებს თუ დავეყრდნობით, სწორედ „ჩინეთის საკითხმა“ გამოიწვია ნიკო მარის თეორიის დასამარება საბჭოთა კავშირში. 1950 წელს გამართული „ენობრივი დისკუსია“ გაზეთ „პრავდის“ ფურცლებზე სწორედ ამის გამო დაწყებულა. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მნელი დასაჯერებელია, სოლუენიცინს ობიექტურობა აინტერესებდეს. აი რას წერს იგი: ჩიქობავას გაუბედავს და დაუწერია ანტიმარქისტული ერესი, რომ ენა არ არის ზედნაშენი, რომ არსებობს მხოლოდ ნაციონალური ენები და არა ბურჟუაზიული და პროლეტარული ენები. მოკლედ, არნ. ჩიქობავა ღიად დაუპირისპირდა მარის მოსაზრებებს. მიუხედავად იმისა, რომ მარიც და ჩიქობავაც ქართველები იყვნენ, სწორედ რამდენიმე მარქისტ-მარისტი ქართველი ენათმეცნიერი აღაშფოთა ჩიქობავას თავსედობამ და ისეთი ბრალდებები წაუყენეს, რომ ღამით უშიშროების სამსახურის თანამშრომელთა კაკუნს უნდა დალოდებოდა. რადგან ჩიქობავას მიაკრეს ამერიკული იმპერიალიზმის აგენტის იარლიყი, მას ვეღარაფერი იხსნიდა სტალინის სატელეფონო ზარის გარდა. სტალინმა ჩიქობავას სიცოცხლე აჩუქა, ხოლო ჩიქობავას მარტივ, პროვინციულ ფიქრებს გენიალური განვითარება მისცა და უკვდავება მიანიჭა (სოლუენიცინი 1968/1999:171-172).

აშკარაა, რომ ამ სიტყვების ავტორს ერთნაირად სმულს ნიკო მარი, არნოლდ ჩიქობავა და იოსებ სტალინი. სიძულვილის მთავარი მიზეზი მათი ქართველობაა, შემდეგ კი სხვა მიზეზები ემატება. ამასთან დაკავშირებით კიდევ ერთხელ უნდა დაგიმოწმოთ ილიზაროვი, რომელიც ხაზგასმით წერს, რომ ჩიქობავას უკან იდგა ბერია, ამიტომ სილუენიცინის ფიქრი, თითქოს ამერიკული იმპერიალიზმის აგენტად მონათლულ ჩიქობავას უშიშროების სამსახურის თანამშრომელთა დევნა მოჰყვებოდა, გადაჭარბებულია, რადგან ჩიქობავას ლ. ბერია იცავდა და ასე ადვილად ვერაფერს დააკლებდნენ (ილიზაროვი 2012:187-190). ბერიას „დამსახურებათა“ შორის მხოლოდ გულაგის სრულყოფასთან, ზოგიერთი კავკასიელი ხალხის გადასახლებასა და „ატომური პროექტის“ წარმატებასთან ერთად უნდა მოვიხსნიოთ მისი წვლილი ნ. მარის მითის დარღვევაში. ბერია და ჩიქობავა იხრებოდნენ ქართული ნაციონალიზმისკენ, სტალინი კი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ძალიან ხელოვნურად ახდენდა ველიკორუსული შოვინიზმის კულტივირებას (ამ თვალსაზრისით მდრ. თეოდორ აბრამოვის რომანის „გზები – გზაჯვარედინების“ – ზემოთ დამოწმებული ნაწყვეტი: ვიდაც აკადემიკოსები რუსული ენის წართმევას ცდილობდნენ. – თ.ბ.). არნ. ჩიქობავა ავთარებდა იბერიულ-კავკასიურ ენათა ნათესაობის თეორიას, რომელიც ილიზაროვს ქართული ნაციონალიზმის გამოვლინებად მიაჩნია. ქართველ ინტელექტუალთა ერთ ნაწილში არსებობდა აზრი, რომ არნ. ჩიქობავამ აღადგინა ქართველი ხალხის ჰეგემონია კავკასიაში. ვითომ სწორედ ნაციონალიზმის ამოსაძირკვად დაიწყო, ილიზაროვის აზრით, სტა-

ლინმა „მეგრულთა საქმე“, რომლითაც ბერიას უქმნიდა საფრთხეს, მაგრამ ამ მიზეზით ლამის ფეხლი მეგრული გვარის მქონე თანამდებობის პირი გაათავისუფლეს თანამდებობიდან, მათ შორის, არნოლდ ჩიქობავა, რომელიც მხოლოდ 1950-1952 წლებში იყო ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორი. კ. ჩარკვიანი კი გაათავისუფლეს თანამდებობიდან იმ მიზეზით, რომ მას გამოეპარა „მეგრულთა საქმე“ (კ. ჩარკვიანი 2004).

ნიკო მარის იაფეტური თეორიის მიმართ სტალინის დამოკიდებულების შეცვლის ერთ-ერთ მიზეზად, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ასახელებენ ნაციონალიზმს. მაგალითად, ა. არაბული ფიქრობს, რომ ქნობრივი დისკუსია მოტივირებული არ იყო საკუთრივ ლინგვისტური ინტერესებით, რომ ამ კამპანიას ხილული და დეკლარირებული მოტივაციის გარდა პქონდა ღრმა, შეფარული და შორს გამიზნული მოტივი და ეს უნდა ყოფილიყო ეროვნული ენების დაცვისა და განვითარების სურვილი. სავარაუდოა, – წერს ა. არაბული, – რომ სწორედ ეროვნული ენების საარსებო ინტერესი ედო საფუძვლად საბჭოთა იმპერიის განვითარების გარკვეულ ეტაპზე „საენათმეცნიერო დისკუსიის“ წარმართვას, ხოლო ამისი იდეოლოგიური საფუძველი შექმნა მიზანმიმართულმა გამოყვანამ „ბაზისი-ზედნაშენის“ კატეგორიების ყოვლისმომცველი დიქტომიიდან. ენისთვის განსაკუთრებული მოვლენის სტატუსის მინიჭებამ, რომელიც არც ბაზისს ეკუთვნის და არც ზედნაშენს, შექმნა საშუალება, ღიად გამოცხადებულიყო, რომ „ეროვნული ენა არის ეროვნული კულტურის ფორმა“, რაც ცვლიდა ლენინურ ნაციონალურ პოლიტიკას, რადგან უშვებდა ეროვნული ენების „აყვავების“ შესაძლებლობას სოციალიზმის მსოფლიო მასშტაბით გამარჯვების შემთხვევაში. ა. არაბული ფიქრობს, რომ მარის ოთხელემენტოვანი თეორია თურქულ ერთელემენტოვან აბსურდს იმიტომ დაუკავშირა არნ. ჩიქობავამ, რომ მეორე მსოფლიო ომის დამთავრებისთანავე დაიწყო საკმაოდ ინტენსიური და, რაც მთავარია, საფუძვლიანი სამეცნიერო-იდეოლოგიური შეტევა თურქეთის მიერ მიტაცებული ტერიტორიების შესახებ და „გიუნეშ დილის“ გაცამტვერებაც ამ კონტექსტში უნდა წავიკითხოთ 1945 წლის 20 დეკემბრის „ზარია ვოსტოკაში“ გამოქვეყნებულ წერილთან – „რამდენიმე შენიშვნა ლაზების შესახებ“ – ერთად (არაბული 2014:9,17,18-19).

არის საფუძველი ვიფიქროთ, რომ არნოლდ ჩიქობავა მხოლოდ ოთხელემენტოვანი ანალიზის ერთ ელემენტამდე ჩამოყვანის გამო არ აკრიტიკებდა თურქულ ენობრივ თეორიას, რომ ამ კრიტიკაში აისახება მეორე მსოფლიო ომში საბჭოთა კავშირის გამარჯვების შემდეგ საქართველოში გაჩერილი რეალური მოლოდინი დაკარგული ტერიტორიების აღდგენისა, რასაც საფუძველს უმაგრებდა სწორედ ქართველ მეცნიერთა ჩართულობა ამ საქმეში. მაგრამ სტალინის შენიშვნები და კომენტარები, რომლებსაც იგი აწერს კანდიდ ჩარკვიანისა და არნოლდ ჩიქობავს წერილებს, არ გავძლევს ამ ვარაუდის გამოთვემის საშუალებას. ამ მხრივ საინტერესოა, როგორ აღაშფოთა კანდიდ ჩარკვიანი ნიკო მარის სტადიალურ თეორიაში ქართულის მესამე სტადიის ენებში მოქცევამ, რაც მან (ალბათ) არნოლდ

ჩიქობავასაგან შეიტყო: „კანდიდი, ბუნებრივია, აღშთოთდა, და ეს აშკარად ჩანს მის მიერ სტალინის სახელზე გაგზავნილ დოკუმენტში. ბელადის წასაქეზებლად მან ისიც კი დაწერა, რომ ეს თეორია ამართლებს ანგლო-ამერიკელი რასისტების პრეტენზიებს მათი კულტურული როლის განსაკუთრებულობაზე, მაგრამ სოსომ, როგორც იტყვიან, ეს არ „ჭამა“ და კიდეზე თავისი ცნობილი ყავისფერი ფანჯრით ასეთი რამ მიაწერა: ხა-ხა-ხა. ანგლო-ამერიკანცი არ მის მემკვიდრეობის წერტილი გავისავათ. თავის დროზე ლორენსის მამა დევიდ კელი ბრიტანეთის ელჩი იყო საბჭოთა კავშირში და მის მემკვიდრეობში მარის სტალინისულ კრიტიკასთან დაკავშირებით ასეთ ფრაზას ვკითხულობთ: „მარის ენის წარმოშობის თეორია ჭეშმარიტად მარქსისტულია. 30 წლის მანძილზე ამ თეორიას იღებდნენ. ახლა კი სტალინმა მისი ყველა პუნქტი უარყო. სტალინის კომენტარი სავსებით გონივრულია“. როცა ლორენსს ჩემი მოსაზრება გავუზიარე და კანდიდის წერილის ასლი ვაჩვენე, კარგა ხანს ჩუმად იყო, მერე ერთი ამოიოხრა და თქვა: „საელჩოში მაშინ დიდი აკადემიური განათლების დიპლომატები მუშაობდნენ, მათ შორის იყო ისაია ბერლინიც. შენ რომ იცოდე, როგორ იმტვრევდნენ თავს იმაზე, თუ რატომ გადაწყვიტა სტალინმა ენის კლასობრივი თეორიის მქადაგებლის, მარის განადგურება. ახლა ყველაფერი ცხადი გახდა. მარქსისტ სტალინს ქართველმა სტალინმა სძლია“ (გ. ჩარკვიანი 2015:7-8).

კიდევ ერთხელ დაგაკვირდეთ, როგორ რეაგირებს სტალინი კანდიდ ჩარკვიანის მოსაზრებაზე, რომ ნ. მარმა „ქართული საბჭოთა კულტურა დაამცირა ლამის გაქვავებულ, განვითარების უნარის არმქონე ენათა ჯვეფში“ შეტანით. ასეთ შეფასებაზე სტალინი გულიანად ხარხარებს და რამდენიმე ადგილას აწერს: „Ха-ха-ха“ (ხა-ხა-ხა). ნ. მარის ეს თეზა ძალიან არ მოსწონს არნოლდ ჩიქობავსაც: „თურმე ქართული ენა ვერ ამაღლებულა ლათინურამდე: განვითარების უფრო დაბალ საფეხურზე შეჩერებულა. მარის სტადიალური სქემის მიხედვით, იგი საბოლოოდ მიღურსმნულია ამ საფეხურზე“. მაგრამ სტალინი ამას არგუმენტად კი არა, ჩიქობავს წყენად უთვლის. სტალინის აზრით, ქართველ მეცნიერს ეწყონა მარის მიერ ქართულის „მსოფლიო წინსვლას ჩამორჩენილ ენად“ მოხსენიება. სტალინის კომენტარი ასეთია: “Вы обижены, но обида не довод” („,თქვენ ნაწერი ხართ, წყენა კი არგუმენტი არ არის“). კ. ჩარკვიანი იწუნებს ნ. მარის გადაწყვეტილებას, რომ ყველა ხალხმა, მათ შორის უძველესი დამწერლობის მქონე ხალხებმა კავკასიაში – ქართველებმა და სომხებმა – ლათინური ანბანი უნდა აირჩიონ, მაგრამ სტალინი ამას არ მიიჩნევს პოობლემატურ საკითხად. „შრიფტ-გრაფიკა არ წყვეტს ენის ბედს. სისულელეა“ (“Шрифт-графика не решает судьбу языка. Глупость”). ასევე წვრილმან საკითხად (“Это мелочь”) მიაჩნია აფხაზურისთვის ლათინურზე დაფუძნებული ანბანის შექმნა. სტალინის ასეთი კომენტარები კანდიდ ჩარკვიანისა და არნოლდ ჩიქობავს წერილებზე, გვაფიქრებინეს, რომ ქართული ნაციონალიზმით ვერ აიხსნება სტალინის გადაწყვეტილება, გმხილებინა ნიკო მარის იაფეტური თეორია, როგორც მარქსიზმის ვულგარიზაცია.

უფრო დამაჯერებელი ჩანს ენათა სტადიური კლასიფიკაციის მარისეული სქემის დაწუნება ჩინეთთან მეგობრული ურთიერთობის აუცილებლობის გამო. ჩინური ენის პრიმიტიულ ენათა რიგში ჩაყენება იყო ის „უხერხული დეტალი“, რომელიც საბჭოთასა და ჩინეთის მეგობრობას ჩრდილს აყენებდა და უფრო მეტიც, კომუნიზმის მთელ მსოფლიოში გამარჯვების საქმეს საფრთხეს უქმნიდა, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ნიკო მარის მოსაზრება ჩინური ენისა და ჩინული ხალხის შესახებ. ეს უნდა იყოს ერთი მთავარი მიზეზი ნიკო მარის იაფეტური თეორიის დაგმობისა, რომელსაც შეიძლება ემატებოდეს ე.წ. ნაციონალური შეხედულებები, მაგრამ ეს უფრო გვერდით მოვლენად უნდა განვიხილოთ, ვიდრე მთავარ მიზეზად. ნ. მარის მიმართ სტალინი, როგორცა ჩანს, თანდათანობით იცვლიდა შეხედულებას. როგორც ილიზაროვი აღწერს, მიუხედავად ნ. მარის სურვილისა, სტალინი სხვადასხვა მიზეზით არ შეხვდა მარს (ილიზაროვი 2012). ვაჟა შენგელის მოვონებებიდან ჩანს, რომ არც მარის ხუმრობა ახარებდა სტალინს: „ნ. მარი 1930-34 წლებში საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი იყო და შესაძლებლობა პქნდა პირდაპირ დაერეკა სტალინთან. დაურეკავს კიდეც არაერთხელ და მიღება უთხოვა. სტალინი: მე რამდენჯერმე მთხოვა ნ. მარმა მიღება, მაგრამ ის მე არ მივიღე... ერთხელაც ნ. მარი ურეკავს სტალინს და ეუბნება: თქვენ პოლიტიკაში ხართ ბელადი, მე – მეცნიერებაში... სტალინი: რა სისულელეა! [სტალინი ნაწყინიც ყოფილა ნ. მარზე, თუმცა მისი კარიერული წინსვლისათვის ხელი არ შეუშლია. წყენის მიზეზი შემდეგი ყოფილა: ერთ-ერთი დაპატიმრების დროს დაკითხვა სანკტ-პეტერბურგის უნივერსიტეტის მოუწყვიათ. სტალინს უარი უთქვამს პასუხი გაუცა შეკითხვებზე – რუსული კარგად არ მესმისო. თარჯიმნად მოუყვანიათ ნ. მარი. სტალინს გაჰკვირვებია: ბატონი ნიკო, თქვენ აქ რა გინდათო?]“ (შენგელია 2014:72). სამაგიეროს გადახდა და ანგარიშის გასწორება სტალინის ერთ-ერთი მთავარი თვისება იყო. ასე რომ, აქ შეიძლება მრავალი მიზეზი იყრიდეს თავს, მაგრამ ჩინეთთან მეგობრობა და სოციალიზმის მთელ მსოფლიოში გამარჯვების იდეა მაინც წარმმართველი უნდა იყოს. სტალინის თვისებას უნდა ავლენდეს ეგრეთ წოდებული „მეგრელთა საქმეც“, რომლის გამო ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობიდან ძალიან მაღე გაათავისუფლეს არნოლდ ჩიქობავა, რომელიც სულ რაღაც ორი წლის წინ საბჭოთა ენათმეცნიერების გმირი იყო. კანდიდ ჩარკვიანიც ჩამოაშორეს თანამდებობას იმისთვის, რომ „მეგრელთა საქმე“ ვერ შეამჩნია.

მოლოდ სტალინი და მსოფლიოში სოციალიზმის გამარჯვების იდეა კი არ ხდებოდა მწერალთა შთაგონების წყარო, არამედ არნოლდ ჩიქობავას გამტედაობისთვისაც შეუსხამს მწერალს ხოტბა. როგორც ვაჟა შენგელია წერს: „1950 წლის თავისუფალმა საენათმეცნიერო დისკუსიამ, რომელშიც ენათმეცნიერებს შორის გადამწყვეტი როლი არნ. ჩიქობავაშ შეასრულა, მაღალი შეფასება მიიღო როგორც ჩვენში, ისე – უცხოეთში (ვ. გეორგიევი, გ. მაიერი, რ. იაკობსონი...). არნ. ჩიქობავას სამეცნიერო მოღვაწეობასა და ჭეშმარიტებისათვის ბრძოლას მა-

ლალი შეფასება მისცეს არა მხოლოდ მეცნიერებმა. რუსმა მწერალმა გრ. სვირ-სკიმ თავისი რომანი „გამარჯობა, უნივერსიტეტი“, რომელიც 1952 წელს გა-მოქვეყნდა ურნალ „ოქტიაბრში“, მიუძღვნა მეცნიერის პრინციპულობასა და სი-მართლისათვის ბრძოლას. როცა წიგნი არნოლდ ჩიქობავასთვის უჩუქებია, ასეთი წარწერა გაუკეთებია: „დიდად პატივცემულ არნოლდ სტეფანეს ძე ჩიქობავას. როცა მე ვქმნიდი პროფესორ გორდევევის სახეს, თვალწინ მედგა თქვენი ჭეშმა-რიტად გმირული ბრძოლა და გამარჯვება მარიზმზე. გულწრფელი პატივისცემით გრიგორი სვირსკი. 2.П.62“ (Глубокоуважаемому Арнольду Степановичу Чикобава. Когда я создавал образ профессора Гордеева, перед моими глазами были Ваша поистине героическая борьба и Ваша победа над марризмом. С искрен-ным восхищением 20/II-52г.). ამრიგად, როგორც ირკვევა, მწერალს თავისი რო-მანის მთავარი პერსონაჟის – პროფესორ სერგეი გორდევევის პროტოტიპად არნ. ჩიქობავა მიაჩნდა (შენგელია 2015:104-105). შეიძლება ისიც დავამატოთ, რომ ნაწარმოების მოქმედი პირის გვარი – გორდევევი – შორს არ არის მზამეტყველე-ბისაგან, როცა პერსონაჟის სახელწოდებაში აისახება მისი თვისება, ამ შემთხვე-ვაში – სიამაყე.

ბევრს ეგონა და დღესაც ბევრს ჰგონია, რომ სტალინის „პრავდაში“ გამოქ-ვეყნებული წერილი ენათმეცნიერების საკითხებზე არნოლდ ჩიქობავას დაწერილი იყო, მაგრამ თვით არნოლდ ჩიქობავა ყოველთვის უარყოფდა მის ავტორობას. ამ საკითხზე ბევრს დაუწერია, მაგრამ აქ ისევ ვაჟა შენგელის მოგონებებიდან და-ვიმოწმებთ ერთ ნაწყვეტს: „ორმოცდაათიანი წლების მეორე ნახევარში, როდესაც სტალინის მხილება და კრიტიკა დაიწყო, არნ. ჩიქობავას აძალებდნენ, რომ ეთ-ქვა – საენათმეცნიერო დისკუსიის შემაჯამებელი წერილი სტალინს მე დავუწე-რეო (მით უმტეს – სტალინის ამ წერილში ფაქტობრივ არნ. ჩიქობავას დებუ-ლებათა მხარდაჭერა იყო გამუდავნებული)... ბ-მა არნოლდმა კატეგორიული უარი განაცხადა: სტალინთან რამდენიმე შეხვედრა გაიმართა და მათ მხოლოდ საკონ-სულტაციო ხასიათი ჰქონდა და, რაც გამოქვეყნდა, თავად მას ეკუთვნისო“ (შენ-გელია 2010:79).

ლიტერატურა:

არაბული 2014: ა. არაბული, გასული საუკუნის საენათმეცნიერო დისკუსიის გააზრე-ბისათვის, იძერისულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. X II, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ისტორიუმი, თბილისი, 9-21.

ბოლქვაძე 2018: თ. ბოლქვაძე, საბჭოთა ენათმეცნიერების ქართული სამკუთხედი, გა-მოქვემდობა „უნივერსალი“, თბილისი.

გორბანევსკი 1988: М. В. Горбаневский, Конспект по корифею, *Литературная газета*, Москва, 25.05.1988.

ველმეზოვა 2014: Е. В. Вельмезова, *История лингвистики в истории литературы, Индрик, Москва.*

ილიართვი 2012: Б. С. Илизаров, *Почетный академик Сталини академик Mapp, Вече, Москва.*

მარი 1936: Н. Марр, Общий курс учения об языке, *Избранные работы*, т. 2, Академия Наук СССР, Государственная академия истории материальной культуры имени Н. Я. Марра, Государственное социально-экономическое издательство, 23-126.

მუდმუჯვერი 1997: Р. Медведев, *Сталин и языкознание, Вестник Российской Академии Наук*, том 67, №11:1034-138.

პოლოკი 2005/2013: სტალინი როგორც მეცნიერების კორიფე: იდეოლოგია და ცოდნა ომისშემდგომ წლებში, კრებულში – სტალინი: ახალი ისტორია, ინგლისურიდან თარგმნა ნანა დიხამინჯიაძე, გამომცემლობა „არტანუჯი“, თბილისი, 2013:497-528; Georgian Translation of: Pollock E., Stalin as the coryphaeus of science: Ideology and knowledge in the post war years, In: *Stalin: A New History*, (ed. Sarah Davies, James Harris), Cambridge University Press.

პოლოკი 2006: E. Pollock, *Stalin and the Soviet Sciences Wars*, Princeton University Press, Princeton and Oxford.

სოლუციისი 1968/1999: А. И. Солженицын, В круге первом, *Собрание сочинений в девяти томах*, т. II, Терра, Москва.

შენგელია 2009: ვ. შენგელია, ფრაგმენტები მოგონებიდან აკადემიკოს არნოლდ ჩიქობავაზე, არნოლდ ჩიქობავას საკითხავები, XX, 2009 წლის 14-17 აპრილი, მასალები, თბილისი.

შენგელია 2010: ვ. შენგელია, ფრაგმენტები მოგონებიდან აკადემიკოს არნოლდ ჩიქობავაზე, არნოლდ ჩიქობავას საკითხავები, XXI, 2010 წლის 13-16 აპრილი, მასალები, თბილისი.

შენგელია 2014: ვ. შენგელია, ფრაგმენტები მოგონებიდან აკადემიკოს არნოლდ ჩიქობავაზე, არნოლდ ჩიქობავას საკითხავები, XXV, 2014 წლის 14-17 აპრილი, მასალები, თბილისი.

ჩარკვიანი 2004: კ. ჩარკვიანი, განცდილი და ნააზრული, გამომცემლობა „მერანი“, რედ.: ზ. ჯიბლაძე, ლ. ასლანიშვილი, თბილისი.

ჩარკვიანი კ. 2015: კ. ჩარკვიანი, სტალინთან ურთიერთობის ეპიზოდები, გელა ჩარკვიანის რედაქციით, გამომცემლობა „არტანუჯი“, თბილისი.

ჩიქობავა 1985: არ. ჩიქობავა, როდის იყო და როგორ, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწლეული, XII, თბილისი, 1985:24-29.

ჩიქობავა 1985: Arn. Chikobava, When and how it happened, *Annual of Ibero-Caucasian Linguistics*, The Academy of Sciences of the Georgian SSR, XII:39-43.

ჩარკვიანი კ. 2017: G. Charkviani, Stalin and Candide Charkviani: Dialogue on Soviet Linguistics (1949-1950), *International conference – Ideology and Linguistic Ideas*, Giorgi Akhvlediani Society for the History of Linguistics, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, 6-9 October, Program and Abstracts, Tbilisi.

Tinatin Bolkvadze

The Rise and Fall of Japhetic Theory

Part II: Preparing for the Linguistic Discussion – 1949-1950 Years

Summary

The paper deals with the archival data related to the preparation period of the linguistic Discussion of 1950: 1) Kandid Charkviani's letter to Stalin about the Situation in Soviet Linguistics sent on 27 December 1949; 2) The document kept in the State Archives of Russian Socio-Political History – Записка Сталина И. В. к рассылаемой статье Чикобавы А. “О некоторых вопросах советского языкознания”, с приложением статьи А. Чикобавы с правками Сталина И. В. (ID # F.558, op.11, d.1251, doc.1, State Archives of Russian Socio-Political History, Moscow); 3) Two letters of Arnold Chikobava on N. Marr's stadal classification of languages and Turkish Language Theory – Güneş Dil Teorisi (the Sun Language Theory) delivered to the Propaganda Department and stored in the former Archives of Party Bodies of the Archives Division of the Ministry of Internal Affairs of Georgia (Fund #14, Record #23, Case #467; Case #38, Archival Division of the Ministry of Internal Affairs, the former archive of the Communist Party bodies); 5) A copy of the letter written by Arnold Chikobava for “Pravda”, which was handed over by Prof. Vazha Shengelia, corresponding member of the Georgian Academy of Sciences, for which we would like to express our gratitude to the scientist. This should be the previous version of Arnold Chikobava's letter published on 9 May 1950 in “Pravda”.

პრესტანტინე პრეგადე

**სტალინის 60 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო
პრეგადე (1940) და იდეოლოგიური დისკუსია¹**

**1. იდეოლოგიური დისკუსიის აგების მექანიზმები სტალინის
საიუბილეო კრებულში**

კრებულის პირველივე გვერდები, უფრო სწორად, თავფურცლები ზედმიწვენით ავლენენ იმ დისკურსულ თვისებებს, რაც მომდინარეობს ეწ. „დისკურსული საზოგადოებებისაგან“ (ფუკო 1974:27), შესაბამისად, მათში აკუმულირებული დოქტრინებიდან და მათ ფარგლებში მოქმედი ინსტიტუციებიდან: კერძოდ, იმთავითვე იკვეთება, რომ კრებული კონკრეტული ინსტიტუციის დაკვეთაა და ის მომზადდა ლინგვისტური სელექციის, ფილტრაციისა და დოქტრინაციის პრიციპების მიხედვით „დისკურსული საზოგადოებების“ ორ სექტორში – ერთი მხრივ, მომზადდა მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტსა და სახელმწიფო გამომცემლობის პოლიტლიტერატურის სექტორში, მეორე მხრივ, კომუნისტურ (ბოლშევკურ) პარტიაში. ერთგანაც და მეორეგანაც გათვალისწინებულია დოქტრინა, დოქტრინულობა, რაც გაცხადებულია კრებულის პირველსავე თავფურცელზე მოცემულ ლოზუნგში: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“. ეს ლოზუნგი დოქტრინული ბუნებისაა, ვინაიდან იგი შემოიკრებს ფართო მასებს ერთადერთი დირექტორების – პროლეტარიატის – ქვეშ და სწორედ ამ დირექტორების გარშემო ხდება დისკურსირებული მასების იდეური დარაზმა და მათი თვითიდნებობის განსაზღვრა. შესაბამისად, დისკურსულ-დოგმატური სიტყვა პროლეტარიატი კრებულის ყველა ავტორისათვის დოგმატური აღმნიშვნელია და ჭეშმარიტების ცენტრი. მსგავსი ჭეშმარიტების ცენტრია სხვა დოგმატური აღმნიშვნელი – სტალინი, რომელიც კრებულის მესამე თავფურცელზე გვხვდება სსრკ-ის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების ტექსტში. კრებულის ავტორები და გამომცემლები, ამგვარად, იმთავითვე თანხმდებიან იმაზე, რომ მათი დისკურსული ტექსტები იმუშავებს ამ ორი ამოსავალი დოქტრინული გამონათქვამას – პროლეტარიატი და სტალინი – განვირცობისა და გავრცელების მიმართულებით:

¹ წაკითხულია მოხსენებად გიორგი ახვლედიანის სახელობის ენათმეცნიერების ისტორიის საზოგადოების, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, სახელმწიფო ენის დეპარტამენტის, დანის მეცნიერებათა სამეცნო აკადემიისა და პეტერბურგის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთობლივ საერთაშორისო კონფერენციაზე – იდეოლოგია და ლინგვისტური იდეები, 2019 წელი, 12-14 სექტემბერი, თბილისი, საქართველო.

„ღოქტრინა ტენდირებს იმ მიმართულებით, რომ მუდმივად განივრცოს და გავრცელდეს. ერთადერთი დისკურსული ძირთვის (ანუ, ღოქტრინის – კ.პ.) გარშემო თაგმოყრის საფუძველზე ინდივიდები, სულ ერთია, რა რაოდენობისაც არ უნდა იყვნენ ისინი, საკუთარ თავს ერთიან მთლიანობად განიხილავენ. ამ ერთიანობის ერთადერთი წინაპირობა, როგორც ჩანს, არის ამ ინდივიდების მიერ ერთი და იმავე ჭეშმარიტებათა აღიარება და, ასევე, კონკრეტულ დისკურსზე შეთანხმება, როგორც სულ შემდგომ ეს ინდივიდები წესების მკაცრი დაცვით მიჰყევიანი. [...] ერთიანი ღოქტრინისადმი მიუსუნებულობა ვრცელდება არა მხოლოდ მოლაპარაკე სუბიექტზე, არამედ – მის გამონათქვამებზე. წწორედ მისი გამონათქვამის მიხედვით აღგენენ ღოქტრინისადმი მიუსუნებულობა არა მოლაპარაკე სუბიექტი დაუქვემდებაროს თუ არა იზოლირებისა და გაცხრილვის პროცედურებს მაშინ, თუკი იგი ერთ ან მრავალ მულტილ გამონათქვამს გააქცევებს. [...] ამგვარად, ღოქტრინა, როგორც მექანიზმი, მუდამ კოთხვის ნიშნის ქვეშ დააყენებს ხოლმე მოლაპარაკე სუბიექტის გამონათქვამებს და საჭიროებისამებრ გადაამოწმებს, რამდენად შეესაბამებიან ეს გამონათქვამები ერთიან ღოქტრინულ ნიშნებსა და მანიფესტაციებს, რამდენად შეესატყვისებიან ისინი საერთო კლასობრივ (ხაზი ჩემია – კ.პ.), საზოგადოებრივ, რასულ, ეროვნულ, ან ინტერესთა ჯგუფების სტატუსსა და ამოცანებს, რათა შეძგომ ეს მოლაპარაკე სუბიექტები შესატყვისად დაირაზმონ საერთო ბრძოლისათვის, ამბობისათვის, წინააღმდევობისათვის ან ხოტბა-დიდებისათვის. ამგვარად, ღოქტრინა ინდივიდებს კონკრეტულ გამონათქვამებზე მიაბამს და უკრძალავს მათ სხვა გამონათქვამთა წარმოებასა და არტიკულირებას. ღოქტრინა იმავროვრულად იყენებს გამონათქვამთა კონკრეტულ ტაბებს, რათა ინდივიდები ერთმანეთთან დაახლოოს და სხვა არასასურველი ინდივიდებისაგან გამოჯნოს. შესაბამისად, ღოქტრინა ახორციელებს ორგაზ კონტროლს: იგი, ერთი მხრივ, აკონტროლებს მოლაპარაკე სუბიექტებს და იქვემდებარებს მათ კონკრეტული დისკურსების ფარგლებში, მეორე მხრივ, აკონტროლებს და იქვემდებარებს დისკურსებს მოლაპარაკე სუბიექტების ჯგუფებად სელექციის მიხედვით. [...] რიტუალური ძეტყველება/თქმა, დისკურსული საზოგადოებანი და ღოქტრინული ჯგუფები ერთმანეთთან მჭიდროდ არიან დაკავშირებული და ქმნან ერთ დიდ სტრუქტურას, ისინი მკაცრად და ძველობის განსაზღვრავენ, ერთი მხრივ, მოლაპარაკე სუბიექტთა სხვა-დასხვა დისკურსებზე გადანაწილებას, მეორე მხრივ, განსაზღვრავენ დისკურსების მორგებას კონკრეტული კატეგორიის სუბიექტებზე (ფუკო 1974:29, 30, 31).

სწორედ ფუკოს მიერ საზგანმული ეს ღოქტრინული „ელემენტები“ და მექანიზმები უდევს საფუძვლად სტალინისადმი მიძღვნილ საობილო კრებულს და განაპირობებენ, რომ კრებულში შემავალი ტექსტები (სტატიები და მოხსენები) იმთავითვე დისკურსული ბუნების იქნება, რომ ამ ტექსტების მიზანია მასების „პასტორალიზმის, სტალინიზმის, ბოლშევიკური პარტიის ჭეშმარიტი ღოქტრინების მიხედვით. ეს კი ნიშნავს იმას, რომ კრებულის ყველა ავტორი იყენებს ენობრივი სელექციისა და ფილტრაციის ერთსა და იმავე წესებს და ამიტომ ავტორები წმინდად ერთი და იმავე ლექსიკური მარაგით ოპერირებნ, მათ

ტექსტებში მუდმივად ერთი და იგივე სელექცირებული ლექსიკური ერთეულები გამოიყნება და მუდმივად ერთი და იგივე გამონათქვამი არტიკულირდება.

2. სტალინის ფიგურის საკრალიზაცია

კრებულში დოქტრინული განვრცობა და გავრცელება, პირველ რიგში, „უკავშირდება სტალინის პოლიტიკური ფიგურის, ბოლშევიკურ-კომუნისტური პარტიის, პროლეტარიატის, მარქს-ენგელს-ლენინის საკრალიზაციას, რაც ავტორების მიერ განხორციელებულია კონკრეტული დისკურსული ელემენტების საფუძველზე, რაც, თავის მხრივ, ეყრდნობა რელიგიური საკრალიზაციისა და ესქატოლოგის ტრადიციას. ამასთან, ამ ტრადიციის გათვალისწინებით, კრებულში ასევე განვითარებულია დიქტომიური დაყოფა „მართლმორწმუნებად“ (მაგ.: ბოლშევიკები, პროლეტარიატი) და „მწვალებლებად“ (მაგ.: მენშევიკები, ბურჟუაზია), ასევე განვითარებულია პოლიტიკური „ცოდვების“ მონანიებისა „და პოლიტიკური „ცოდვებისაგან“ განწმენდის მორალური დოგმები და „რელიგიური“ პრაქტიკა. ამიტომ კრებულის ყველა ტექსტში გამოყენებულია ერთი და იგივე დისკურსული მექანიზმები და ელემენტები, რომელთა საფუძველზეც განხორციელებულია სტალინის პოლიტიკური ფიგურის, ბოლშევიკურ-კომუნისტური პარტიის, პროლეტარიატის, მარქს-ენგელს-ლენინის საკრალიზაცია და პოლიტიკური მორალიზება, კერძოდ:

- ა) პიპოსტაზირება, ანუ სტალინის ფიგურის ახალი მეხისისა და ახალი უფლის რანგში აღზევება, რაც აღნიშნულია სიტყვებით: „მამა“, „ბელადი“; შესაბამისად, სტალინისდამი უშუალო მიმართვის ფორმა, რათა გადრმავდეს სულიერი მამაშვილური ერთობა ბელადსა და მასებს შორის, ყოველთვის „შენობითია“, მეორე გრამატიკულ პირშია – „შენ...“ (შდრ.: „ბოლშევიკური პარტიის ცენტრალური კომიტეტი შენი სამოცი წლისთვის დღეს მურვალჯდ მოგეხსალ-მება შენ, პარტიისა და საბჭოთა ხალხის დიდ ბელადს“; კრებული... 1940:7);
- ბ) მარადიულობის დისკურსი – სტალინი დროსივრცული კატეგორიების მიღმაა, მისი არსი მარადიულია;
- გ) ძოხეანური დისკურსი – სტალინი, ვითარცა მოძღვარი და მასწავლებელი, რომელიც, როგორც თეორეტიკოსი, ახალ ჭუშმარიტ მცნებებსა და დოგმებს ქმნის მსოფლიო პროლეტარიატისათვის;
- დ) მზრუნველი მამის დისკურსი – მამა, რომელიც ბელი აღთქმის ღმერთივით ზრუნავს თავის „რჩეულ ერზე“ (პროლეტარიატზე, მშორმელებზე, გლეხებზე, „საბჭოთა ხალხზე“), ისტორიული უძმანობის დროს მუდამ მის გვერდით დგას, თანაუგრძნობს მას და მუდამ გადაარჩენს: „სტალინი სათუთად ზრუნავს ამხანაგებისათვის, მუგობრებისათვის, ხალხისათვის. იგი ღენინივით ასახიერებს ადამიანისადმი უღრმეს სიყვარულს და თავდადებულ ბრძოლას მისი სრული განთავისუფლებისათვის, მისი ბეჭინერებისათვის“ (კრებული... 1940:71);

- ვ) პროლეტარიატი – როგორც ახალი „რელიგიური თემი“, ახალი „მართლმორწმუნების“;
- გ) პარტია – ვითარცა ახალი „ეკლესია“, რომელიც ახალი ესქატოლოგიური უამისკენ – კომუნიზმისკენ უსახავს გზას პროლეტარიატს;
- დ) „თეორეტიკოსები“: მარქსი, ენგელსი და ლენინი – ვითარცა ახალი „წინასწარმეტყველები“, „მოციქულები“ და „მახარებლები“, რომელთაც არ უწერიათ „აღთქმული ქვეყნის“ – კომუნიზმის დამყარების – ხილვა და კომუნისტურ „სამოთხეში“ შესვლა („უდიდეს თეორეტიკოსებს – მარქსსა და ენგელსს – არ დასცალდათ თავიანთი იდეების განხორციელება ცხოვრებაში, არ დასცალდათ მათი განხორციელების ნაყოფის ნახვა“; კრებული... 1940:65);
- ე) პროლეტართა რევოლუციური ბრძოლა და ბოლშევკიკთა იატაკქვეშა მოღვაწეობა, როგორც ახალი „რელიგიური“ დვაწლი და „კატაკლიზმი“ ახალი მისიონერობა;
- ვ) ბურჟუაზიურ-რეაქციონერული ძალები, მეზუევიკები, ტროცკისტები, სოციალ-დემოკარტები და სხვ. – ვითარცა ახალი „მწვალებლები“ და „სექტანტები“;
- გ) მათგან გამიჯვნა, ვითარცა ცოდვებისაგან განწმენდა;
- დ) ინდუსტრიალიზაცია, კოლუმბიიზაცია – ვითარცა ახალი „რელიგიური დოგმატები“;
- ე) კომუნიზმის დამყარება სოციალიზმის გზით, ვითარცა ახალი „ესქატოლოგია“.

გაზეთ „პრაგდის“ მოწინავეში, რომელიც კრებულის პირველი სტალინი მესამდ, ახალ მამა-ღმერთადაა გამოცხადებული. ეს საკრალური ჰიპოსტაზირება კი კოდირებულია დისკურსულ აღმნიშვნელებში – მამა, ბელადი. რაც მთავარია, ეს ჰიპოსტაზირება დოგმატიზებული, ლეგიტიმირებული და ინსტიტუციონალიზებულია იმით, რომ სტატია უმთავრეს და უპირველეს საკავშირო მრავალმილიონიან პარტიულ („ეკლესიურ“) გაზეთშია გამოქვეყნებული, კერძოდ, კომუნისტურ-ბოლშევკური პარტიის ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში, „პრაგდაში“, სადაც ახალი „ეკლესია“, ანუ საბჭოთა კავშირის კომუნისტურ-ბოლშევკური პარტია ბეჭდავს და მთელი საბჭოთა იმპერიის მასშტაბით ავრცელებს თავის დოგმატურ „ეპისტოლებებს“: „ჩვენი თვალუწიდებული სახელმწიფოს 183-მილიონიანი ხალხი აღფრთოვანებითა და ხმამაღლა აღიდებს თანამედროვეობის უდიდეს აღამიანს, გენიალურ ბელადსა და მოაზროვნეს, ახალი ცხოვრების შემოქმედსა და ხუროთმოძღვარს, ყველა ქვეყნის მშრომელთა და ჩავრულთა მამას [...] მოელი მსოფლიოს მუშათა და გლეხთა თვალი მიაყრობილია სტალინისაკენ, ივი არის მათი იმედი, ივი არის მათი მომავალი! სტალინი ჩვენი ბეღნიერებაა! [...] ხალხთა ამ ერთიანობის ბელადი და დროშა, სსრ კავშირის ხალხთა ბელადი, როგორც ეს მოელი მსოფლიოს მშრომელებმა იციან, არის ლენინის საქმის დიდი განმეობი – ჩვენი სტალინი, რომლის გარშემო ძვირდოდ დარაზმულია ჩვენი

პარტია, საბჭოთა ხალხები, ყოველივე, რაც საუკეთესოა მხოფლიო განმათავისუფლებელ ძოძრაობაში. ბოლშევიზმის ბელადში, სხრ კავშირის ხალხთა ბელადში, ყველა ქვეყნის მუშები, ბუნებრივია, რომ მხოფლიო კომუნიზმის ბელადსაც ხდავენ“ (გამუქება ყველგან ჩემია – კ.ბ.) (კრებული... 1940:11, 12, 29-30).

მოხმობილ პასაუებში სტალინის საკრალიზაცია განვითარებულია საფეხურებრივად: თავდაპირველად „უდიდესი ადამიანი“ შემდგომ გადაიქცევა „გენიალურ ბელადად“ და ბოლოს „მშრომელთა და ჩაგრულთა მამად“. სტალინის მამობა აქ რაიმე სტანდარტული მეტაფორა ან რიტორიკული ხერხი კი არაა, არამედ მიზანმიმართულად შერჩეული დისკურსული „დოგმატია“, რომლითაც ერთხელ და სამუდამოდ ხაზგასმულია, რომ სტალინი ახალი „მამა-ღმერთია“. შესაბამისად, იგი ერთდროულადაა პირველსაწყისი, დემიურგი („ახალი ცხოვრების შემოქმედი“), ეთიკური აღმზრდელი და „რელიგიური ფსიქოლოგი“ – მშრომელთა და ჩაგრულთა ნუვეშისმცემელი და სასოება. ამავე პასაუში, იმავდროულად, ხაზი ესმება ნიუანსს, რომ სტალინი მაინც და მაინც „მშრომელთა და ჩაგრულთა“ მამას, რაც გულისხმობს, რომ კაცობრიობის საერთო შემადგენლიდან სწორედ „ჩაგრული მშრომელები“ არიან „ჭეშმარიტი მართლმორწმუნები“, ვინაიდნ სწორედ ისინი აღიარებენ და თაყვანს სცემენ სტალინს, როგორც მამასა და ჭეშმარიტებას („აღფრთოვანებითა და ხმამაღლა ადიდებს“). ამიტომაც, ხსნა, ნუვეში და ბეჭინიერება მხოლოდ სტალინის წიაღშია.

ამ დოქტრინულ ბირთვს, რომელიც კოდირებულია აღმნიშვნელებში: მამა, ბელადი, შემდგომ ექვემდებარება კრებულის ენის სელექცია და ფილტრაცია. შედეგად, ავტორები იყენებენ დისციპლინებულ დისკურსულ ენას, რომლის ფარგლებში სხვადასხვა ვარიაციით მუდმივად გამოყენებულია ერთი და იგივე ლექსიკური ერთეულები, ფრაზეოლოგია და სინტაგმატური წყობა, რომელთა საფუძვლზეც ხაზი ესმება სტალინის განსაკუთრებულობას, მის „ზეკაცობას“, რჩეულობას (იგი ყველა მასშტაბური საქმის სათავეშია – საბჭოთა არმიის შექმნის, კოლმეურნეობების ჩამოყალიბების, ინდუსტრიალიზაციის, კოლექტივიზაციის საქმეში), ან ხაზი ესმება კომუნისტურ-ბოლშევიკური პარტიის გადამწყვეტი ისტორიულ-ესქატოლოგიურ როლს კომუნიზმის მშენებლობაში, ან ხაზი ესმება პროლეტარიატის, როგორც „რჩეული ერის“, განსაკუთრებულ მნიშვნელობას და ა.შ.

ზემოთქმულის საილუსტრაციოდ მოვიყვანთ ამონარიდებს ვ. მ. მოლოტოვისა და ა. მიქოიანის წერილებიდან: „სტალინი, როგორც ლენინის საქმის განმგრძობა“ და „სტალინი – ეს არის ლენინი დღეს“: „ყოველივე ამის გაკეთება ჩვენმა პარტიამ სრული წარმატებით შეძლო ბოლშევიკური პარტიის ორგანიზატორისა და იდეური ბელადის, ამს. სტალინის ხელმძღვანელობით“ (კრებული... 1940:18), „ყოველივე ამაში მთავარი და გადამწყვეტი დამსახურება მიუძღვის ამს. სტალინს, ლენინის საქმის განმგრძობს, საკ. კ. პ. (პ) და საბჭოთა კავშირის ბელადს“ (კრებული... 1940:იქვე), „შემდეგ ში აშკარა გახდა, თუ მარქსიზმ-ლენინიზმის რა უდიდესი თეორეტიკონია ამს. სტალინი“ (კრებული... 1940:19).

„ამხ. სტალინმა, ისე როგორც სხვამ არავინ, ღრმად გაივთ ლუნინის გულში ჩაძრულობი იდეები“ (კრებული... 1940:იქვე), „და მართლაც, მთელ უდიდეს და მრავალმხრივ პრაქტიკულ მუშაობაში ამხ. სტალინი გამოდის, როგორც თანმიმდევრაში მარქსისტი, როგორც შეურიგგებლი ლუნინელი“ (კრებული... 1940:22), „მისი, გარევნულად არა ყოველთვის შესამჩნევი, ხოლო სინაძვილუში უაღრესად აქტიური მონაწილეობა ყველა სახელმწიფო საქმეში მუდავნდება ყველაფერში ყველა ნაბიჯზე“ (აქ მოლოტოვი პავლე მოციქულის ანალოგით სტალინს, ფაქტობრივად, დგომის იმ თვისებებს მიაწერს, რასაც, პავლეს მიხედვით, სამყაროში ღმერთის ყოველ არსა და მატერიაში განფენილობა ჰქვია: „რავთა იყოს ღმერთი ყოვლად ყოველსა შინა“ [1 კორინთ. 15, 28] – კ.ბ.) (კრებული... 1940:25-26), „ამხ. სტალინის ხელმძღვანელობით პარტიამ ძირითადად უკვე ააშენა სოციალისტური საზოგადოება, რის განხორციელებაც კიდევ ვერ ძირის ლუნინმა“ (აქ ლენინი ერთგვარ „მოციქულად“ თუ „წინასაწრმეტყველადაა“ გამოყვანილი, ხოლო სტალინი უკვე პირველი და უკანასკნელი მესია, იგია ახალი „ალფა და ომეგა“, რომელმაც უნდა მოიყვანოს და დააყენოს ესქატოლოგიური უამი – კ.ბ.) (კრებული... 1940:27), „იკვლევს კომუნიზმის მოძღვრება გზას წინ, გზას სრული გამარჯვებისაკენ“ (კრებული... 1940:30), „დღეს მთელი ჩვენი ქვეყნა და მსოფლიოს მთელი მშრომელი კაცობრიობა ზემოს უმართავს თავის ბელადს, მამასა და მეგობარს – ამხანაგ სტალინს“ (კრებული... 1940:62), „მან გენიალურად გამოიყენა მუცნიერული მემკვიდრეობა (მარქს-ლენინის მოძღვრებანი – კ.ბ.), განაცითარა ივი ახალ პირობებში, მან გააძლიდოა ივი“ (კრებული... 1940:63) (გამუქება ყველგან ჩემია – კ.ბ.) და მრავალი სხვა.

3. ისტორიის ტელეოლოგიურობა და კომუნისტური ესქატოლოგია

როგორც ჭეშმარიტი მესია, სტალინი ისტორიაში უნდა შევიდეს, მისი სიტყვა, მისი „ლოგოსი“ აქ უნდა გაცხადდეს. აქ ის საკუთარი თეორიული ნაშრომებითა (მოძღვრებითა) და საკრალური ტექსტით, ეწ. „სტალინური კონსტიტუციით“ (შდრ.: „ამხანაგმა სტალინმა შექმნა მოძღვრება სოციალისტური საზოგადოების აშენების შესახებ, რომელიც აღბეჭდილია საბჭოთა კავშირის კონსტიტუციაში“; კრებული... 1940:64) თავად ქმნის ისტორიას და ისტორიის მსვლელობას ანიჭებს ნებას, ძალასა თუ ქმედებას, რათა ტელეოლოგიის პრინციპზე დაყრდნობით ისტორიულმა პროცესმა შეუფერხებლად, განუხრელად და თანმიმდევრულად ისწრაფის საბოლოო მიზნისაკენ – კომუნიზმის დამყარებისაკენ. ლ. მ. კაგანოვიჩის წერილი „ისტორიის ლოკომოტივის დიდი მემანქანე“ (კრებული... 1940:48-61) სწორედ სტალინის მესიანისტური როლის გადმოცემასა და ისტორიის კომუნისტური ესქატოლოგიით დეტურმინებულობის მტკიცებას ეძღვნება. მეთოდად და დისკურსად, ცხადია, მატერიალისტური დიალექტიკა აღებული.

ამ დიალექტიკური მატერიალიზმის ამოსავალი დებულებაა, რომ, ერთი მხრივ, არის „ჭეშმარიტება“ („უასოვანი“) კომუნიზმის სახით და, მეორე მხრივ, არის შემფერხებელი არაჭეშმარიტი, ბოროტი ძალა კაპიტალიზმის სახით,

რომელიც აფერხებს მსოფლიო ისტორიის განვითარებას. შესაბამისად, ძალა, რომელიც აფერხებს ისტორიას, აუცილებლობით უნდა მოისპოს და განადგურდეს იმ კლასის მიერ, რომელშიც „ჭეშმარიტება“ და რომელსაც წინ მიჰყავს ისტორიის სვლა მაღალი მიზნისაკენ – კომუნიზმისაკენ, და ეს კლასია პროლეტარიატი. ამ პროცესს, ცხადია, სათავეში უდგას სტალინი, როგორც ბელადი, ვინც ისტორიის მსვლელობას მაღალ აზრს ანიჭებს, ვისაც ისტორიაში საზრისი შეაქვს და ვისაც ისტორიის განვითარება უწყვეტად მიჰყავს საბოლოო და ერთადერთი მიზნისაკენ – კაცობრიობის საბოლოო ბენდიერი ესქატოლოგიური ჟამისაკენ, კომუნიზმისაკენ, ვინაიდან მხოლოდ იგი, როგორც რჩეული, როგორც ახალი მესია და ბელადი, მხოლოდ იგი ფლობს მისთვის შესაფერის „ზებუნებრივ“, „სასწაულებრივ“, „ნათელ ხილვით“ უნარებს, რომელთა წყალობითაც სტალინს შეუძლია, წინასწარ განჭვრიტოს ისტორიის მომავალი და ნათელ იღოს იგი, ანუ რასაც ის განჭვრებს, ზუსტად იმ სახითვე აღსრულდება და დაქმდება: „ამხანაგ სტალინის ერთ-ერთ დამახასიათებელ თვისებას შეადგენს მისი ნიჭი – გარეგნულის, თვალისათვის არც თუ ისე შესამჩნევის იქთ დაინახოს მოვლენების არსი, მათი ფეხი და ამ საფუძვლით გაიხდოს ათეულ წლებით წინ. [...] სტალინი, როგორც ბელადი, წამოყენებულია ახალი კლასის (ე.ი. პროლეტარიატის – კ.პ.) მიერ, კლასის, რომელსაც წინ მიჰყავს ისტორია (ხაზი ჩემია – კ.პ.), რომელიც მოწოდებულია მოსპოს კაპიტალიზმი და ააშენოს კომუნიზმი. [...] სტალინმა გაატარა ისტორიის ღოკომოტივი ციცაბო და ძნელ აღმართ-დაღმართებზე, მიხვეულ-მოხვეული გზებით, იგი სტოკებდა ღოკომოტივის ღუმელში მხოლოდ იმ ფასოვანს (ხაზი ჩემია – კ.პ.), რაც მამოძრავებელ ენერგიას იძლევა, ხოლო ხენჯს იგი დროულად აცილებდა, არ აბრკოლებდა რა ამავე დროს მსვლელობას. [...] დღეს ხალხი სიამაყით ეუბნება თავის დიდ მემანქანეს: შენ არა მარტო შეინარჩუნე რელიებზე ისტორიის ღოკომოტივი, შენ დააჩქარე მისი მსვლელობა წინ მიუხედავად მტრების მხრით კველა დაბრკოლებისა და გამცემლობისა, შენ მიიყვანე რევოლუციის დიადი მატარებელი სოციალიზმის სადგურამდე, რათა გამარჯვებით მიგვიყვანო კომუნიზმის სადგურამდე“ (კრებული... 1940:48,51,58,61).

4. კალინინის სტატია, როგორც „ახალი აგიოგრაფია“

კრებულში მოთავსებული მ. ი. კალინინის სტატია „ამხანაგ სტალინის დაბადებიდან სამოცი წლისთავისათვის“ (კრებული... 1940:73-165) შეგვიძლია განვიხილოთ ერთგვარ „აგიოგრაფიულ“ ტექსტად, ახალ ბოლშევიკურ-სტალინურ „აგიოგრაფიად“, სადაც ტრადიციული ქრისტიანული აგიოგრაფიის დისკურსის, პოეტიკის, იმაგოლოგიისა და მეტაფორიკის მიხედვით საკრალიზებულია ახალი „სიწმინდები“ – სტალინი, პარტია, გადმოცემული და გამყარებულია ახალი „დოგმები“, მაგ., პროლეტარიატი, ინდუსტრიალიზაცია, სადაც გადმოცემულია

სტალინის, როგორც „მესიის“ (თუ ახალი „წმინდანის“), ცხოვრება სასულიერო სემინარიაში მარქსიზმთან ზიარებიდან და იატაკქვეშა-, „კატაკლმბური“ საქმიანობიდან მოყოლებული და აღწერილია მისი ახალი მსოფლიო „ღვაწლი“, კომუნისტურ-სოციალისტური საკაცობრიო ღვაწლი, კომუნისტური იდეისადმი მისი ერთგულება, მარტვილობა, მსახურება, ასევე გადმოცემულია ბურჟუაზიის, მეზევიზმისა თუ სოციალ-დემოკრატიის „ურწმუნოებასთან“, „მწვალებლობასა“ და „სექტანტობასთან“ სტალინის შეურიგებელი ბრძოლის ისტორია (საინტერესოა, რომ ამ „ელემენტების“ დასახასიათებლად კალინინი პირდაპირ იყენებს რელიგიურ ეპითეტიებს – „მცირედმორწმუნენი“; კრებული: 19 40:137) და, რაც მთავარია, გადმოცემულია ახალი „ესქატოლოგია“ – კომუნიზმის, ვითარცა ათასწლოვნი ახალი „იერუსალიმის“ სამარადისო და საყოველთაო დამყარება სტალინის, ამ ახალი „მესიის“, მიერ. ამ გზაზე კი სტალინი ეწევა „მოციქულებრივ“ საქმეს – იბრძვის და ქადაგებს ჭეშმარიტებისათვის, სათავეში უდიას პარტიას, როგორც ახალ „ეკლესიურ“ კომუნიონს და პროლეტარიატს, როგორც ახალ „მართლმორწმუნებეს“: „არსებითად ამხანაგ სტალინის გენერალურ ძრივნად ხელახლა არჩევა ნიშავდა პარტიის ხელმძღვანელობის მის ხელში გადასცლას. ამხანაგ სტალინის, როგორც პარტიის ბელადს, დაკაისრა უდიდესი პასუხისმგებლობა პარტიის ერთიანობის განმტკიცებისათვის ღენინიზმის ბაზაზე, საბჭოთა ხელისუფლების განვითარებისა და განმტკიცებისათვის, საბჭოთა ქვეყანაში სოციალიზმის აშენებისათვის. [...] ამხანაგმა სტალინმა ამავე დროს უდიდესი თეორიული მუშაობა გააჩადა. მას ეპუთნის უპირველეს ყოვლისა ცნობილი ღუქციები „ღენინიზმის საფუძვლების შესახებ“. უნდა ითქვას, რომ ეს იყო არა ჩვეულებრივი ღუქციები, ეს იყო ღენინიზმის მხურვალე დაცვა, მასების წინაშე მისი გამედული დაპირისპირება ყველა მტრული თეორიისადმი. ამხანაგმა სტალინმა დიდად წინ წასწია მარქსისტულ-ღენინური რევოლუციური თეორია; ახალი შინარსით გააძლიერა მარქსიზმ-ღენინიზმის ყველა ძირითადი საკითხი ახალი პირობებისადმი შეფარდებით, ახალ საფეხურზე აიყვანა ღენინის მიძღვნება იმპერიალიზმზე; დაამუშავა საკითხი პროლეტარიატის სახელმწიფოს შესახებ, გლოხთა საკითხი, ნაციონალური საკითხი, პარტიისა და პროლეტარიატის დიქტატურის სისტემაში მისი როლის შესახებ, სტრატეგიისა და ტაქტიკის საკითხები და დასახრულ, საკითხი ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვებისა და სოციალიზმის მშენებლობის გზების შესახებ“ (კრებული... 19 40:132, 134-135).

ამგვარად, კალინინი ყურადღებას ამახვილებს სტალინის „საწრმუნოებრივ“ ღვაწლზე, რაც გამოიხატა: ა) სტალინის საჯარო გამოსვლებში, როგორც ახალ მოციქულებრივ „ქადაგებებში“; ბ) გამოიხატა თეორიული შრომების შექმნაში (რამაც შემდგომ ჯამში 11 ტომი შეადგინა), როგორც ახალ მოციქულებრივ „ეპისტოლებში“, და ბოლოს; გ) გამოიხატა სტალინურ კონსტიტუციაში, როგორც ახალ „იოანესულ გამოცხადებაში“, სადაც მოცემულია ახალი „ესქატოლოგიური ჟამის“ – კომუნიზმის გარდაუვალი დადგომის ვიზონები: „კაპიტა-

ლიზმი ჩვენს ქვეყანაში დამარცხებულია, გაწმენდილია გზა კომუნიზმის მშენებლობისათვის და მშრომელ მასებთან ერთად, ხელმძღვანელობს რა მათ, **ამხანავი სტალინი აშენებს კომუნიზმს** (ხაზი ჩემია – კ.პ.). [...] სტალინური კონსტიტუციის მიღებით დასრულდა უკლასო სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის მთელი ისტორიული ზოლი (ანუ, დასრულდა 1936 წლის დეკმბერში კონსტიტუციის მიღებით – კ.პ.). დაიწყო ბრძოლის პერიოდი კომუნიზმის აშენებისათვის“ (კრებული... 1940:153, 158). აქვე კი ნაგულისხმებია, რომ მხოლოდ ამ „ეპისტოლეებსა“ და „ქადაგებებში“ ცხადდება ერთადერთი ჭეშმარიტება – ჭეშმარიტება კომუნიზმის არათუ საბჭოთა კავშირში, არამედ მთელს მსოფლიოში გარდაუვალი დამყარებისა. ამით კი კალინინს თავისი დისკურსი მაქსიმალურად მიჰყავს იმ მიმართულებით, რომ მის ტექსტში, როგორც გამოხატვამში, გამოვლინდეს ნება ჭეშმარიტებისადმი.

შემდგომ, ქრისტიანულ სათხოებათა ანალოგითა და მიბაძვით, კალინინი აქცენტს აკეთებს „რწმენაზე“, როგორც კომუნისტური „სარწმუნოებრივი“ ღვაწლის აღსრულების უმთავრეს, ფუნდამენტურ შინაგან მდგომარეობაზე, როგორც კომუნისტური იდეოლოგიის აღიარების საბაზისო შინაგან მდგომარეობაზე. ამ დებულების არგუმენტაციისას კი იგი ეყრდნობა უმაღლეს ავტორიტეტს და მოჰყავს თავად სტალინის სიტყვები: „შეძღვომ, ჩვენი მშენებლობის ნათელი პერსპექტივების უქონლად, სოციალიზმის აშენების რწმენის“ (ხაზი ჩემია – კ.პ.) უქონლად მუშათა მასებს არ შეუძლიათ შევნებული მონაწილეობა მთიღონ ამ მშენებლობაში, მათ არ შეუძლიათ შევნებულად უხელმძღვანელობ გლობობას. სოციალიზმის აშენების რწმენის (ხაზი ჩემია – კ.პ.) უქონლად შეუძლებელია ნებისყოფის ვამოჩენა სოციალიზმის მშენებლობისადმი. ჩვენი მშენებლობის სოციალისტური პერსპექტივების უქონლობა ამიტომ იწვევს პროლეტარიატის ნებისყოფის შესუსტებას ამ მშენებლობისადმი გარდაუვალად და უგვევლად [სტალინი, „ოპოზიციის შესახებ“]“ (კრებული... 1940:137).

ამგვარად, აქ აქცენტირებულია მასების მიერ გამოვლენილი უპირობო რწმენის აუცილებლობა, რასაც უკვე აქვს ახალი ობიექტი, ერთდღოულად სეკულარიზებული და საკრალიზებული ობიექტი: რწმენა საბჭოთა კავშირში სოციალიზმის დამყარებისა და შეძღვომ რწმენა ახალი „მარადიული სასუფევლის“, ამჯერად, „მიწიერი სასუფევლის“ – კომუნიზმის მთელს მსოფლიოში აშენებისა და დამყარებისადმი. ამ რწმენის გენერატორი კი არის სტალინი, რომელიც არა მარტო ამ „სასუფევლისული რწმენის“ გენერატორია, როგორც მოძღვარი და პოლიტიკური ბელადი, არამედ იმავდროულად თავადაა რწმენის ობიექტი, რაც ასევე ხელს უწყობს მისი ფიგურის საკრალიზაციას.

კალინინის სტატიაში განვითარებულ საკრალიზაციის დისკურსში კომუნისტური პარტიის ყრილობები, კრებები კონფერენციები წარმოჩნდება ერთგვარ ახალ „საეკლესიო კრებებად“, სადაც ყალიბდება და მიიღება კომუნისტური „სარწმუნოების“ ახალი „დოგმები“, მაგ., ინდუსტრიალიზაციის ან კოლუქტივიზაციის

„დოგმა“ და ა.შ.. ამასთან, როგორც ეს საეკლესიო კრებების ტრადიციაში იყო, რომლებზეც სარწმუნოებრივი და დოგმატიკის საკითხების განხილვისა და ახალი ჭეშმარიტი დოგმების დამტკიცების გარდა გამოავლენდნენ და განკვეთდნენ მწვალებლებს, აქაც, პარტიულ კრებებზე ახალი სოციალისტურ-კომუნისტური „დოგმების“ შემუშავებისა და დამტკიცების გარდა, გამოავლენდნენ „სეზმატიკოსებს“ („ზინოვიეველებს“, „ტროცკისტებს“ ან „ბუხარინელებს“), განკვეთდნენ მათ „ეპლესიდან“, ანუ პარტიიდან და ანათემას გადასცემდნენ: „XIV პარტკონფერენციაში 1925 წ. აპრილში დაამტკიცა ლენინურ-სტალინური ეს მიზანდასახულობა, როგორც პარტიის კანონი (ხაზი ჩემია – კ.ბ.). გამოდიოდა ო ერთ ქვეყანაში სოციალიზმის აშენების შესაძლებლობის პრინციპიდან, ამხანაგმა სტალინმა დღის წერივში საჯებით თანმიმდევრულად წამოაყენა ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის (ხაზი ჩემია – კ.ბ.) საკითხი, როგორც პარტიის გენერალური ხაზის საფუძველი. ეს საკითხი მან დასკვა პარტიის XIV ყრილობაზე 1925 წ. დაკუმბერს. [...] ამხანაგმა სტალინმა ამხილა ზინოვიეველთა ეს გამცემლური გეგმა (იგულისხმება ამ უკანასკნელთა მიერ ინდუსტრიალიზაციის უარყოფა – კ.ბ.), როგორც სსრ კავშირის დამონების გეგმა, და გამოიაშეარავა ტროცკისტულ-მენტურიკური არსი „ახალი ოპოზიციისა“, რომელიც ცდილობდა გაეთიშა პარტია და დარტყმის ქვეშ დაეყენებინა პროლეტარიატის დიქტატურა. პარტიის ყრილობამ წინააღმდეგობა გაუწია ყველა ოპოზიციის ცდებს – დაეწვრიათ კავშირი მუშათა კლასება და ძმრომელ გლეხობას შორის. [...] ხალხმა შეიგნო ინდუსტრიალიზაციის (ხაზი ჩემია – კ.ბ.) მნიშვნელობა, როგორც ერთადერთი გზისა კომუნიზმისაკენ და კაცობრიობის ისტორიაში გაუგონარი ენთუზიაზმი გამოიჩინა სოციალისტურ მშენებლობაში“ (კრებული... 1940:137,139,143).

მაგრამ ყველაფერთან ერთად კალინინის სტატიაში მნიშვნელოვანია ის მომენტი, როდესაც სტალინის საკრალიზაციის პროცესში ჩნდება ერთი გადამწყვეტი დეტალი: კერძოდ, სტატიაში ნელ-ნელა ისახება ახალი დისკურსი, რომ სტალინი მის წინამორბედ კომუნისტ მოციქულებზე აღმატებულია და აღმატებულია თვით ლენინზე, რომელიც აქამდე რევოლუციის ერთადერთი ბელადი იყო: „ამხანაგ სტალინს ჩინებულად აქვს შესწავლილი ლენინი, მან სრულყოფილად იცის არ თუ ყველა მისი ნაწარმოები, არამედ თითოეული მათვანის წარმოშობის მიზეზებიც. შემდგომ ეჭვს გარეშე, რომ ამხანაგ სტალინს ცოტა გავლენა როდი პქნდა ლენინზე“ (ხაზი ჩემია – კ.ბ.) (კრებული... 1940:163). ეს დისკურსი კი ხსნის პერსპექტივას, რომ სტალინის საკრალიზაციის პროცესი სტალინის წოდებრივ ჩამონათვალს „ბელადის“ ზედწოდებით არ დაამთავრებს, არამედ ამ ჩამონათვალს აიყვნს უფრო მაღალ ჰიპოსტატურ სახელდებაში, კერძოდ, ღვთაების არსის აღმნიშვნელ დისკურსულ ნიშანში და ეს ნიშანია „მამა“, რამაც უკვე გაიყდერა კრებულის პირველ სტატიაში – გაზე „პრავდის“ მოწინავე სტატიაში და გაიუღერებს სხვა სტატიებში (იხ. ქვემოთ); ხოლო დაწყვილებას „ლენინურ-სტალინური“ თუ „ლენინ-სტალინი“ ჩამოშორდება, ანუ „გაიცხრილება“, პირვე-

ლი შემადგენელი ნაწილი და დარჩება მხოლოდ ერთი დისკურსული ბირთვი „სტალინი“. ეს კი სულ მალე მოხდება, სტალინის საიუბილეო კრებულის გამოსვლიდან ხუთი წლის შემდეგ, როდესაც მეორე მსოფლიო ომის დასრულებისთანავე სტალინი მსოფლიოს მოევლინება არა მხოლოდ პროლეტარიატის ძელადად ან საბჭოთა ხალხის მამად, არამედ მთელი მსოფლიოს ხალხთა, ეთნოსთა, ტომთა მამად.

5. სტალინი, ვითარცა „მწყემსი კეთილი“, ანუ კაცობრიობაზე მზრუნველი მამის ხატი

საიუბილეო კრებულში, გარდა იმისა, რომ სტალინის ფიგურა მამის არქეტიპულ ხატთანაა გაიგივებული, რომლის გათვალისწინებითაც სტალინის არსში გამოკვეთილია პირველსაწყისისეული, დემიურგული და მოძღვრისეული ასპექტები, რის საფუძველზეც მასების თვალში სტალინი უნდა წარმოჩენილიყო ზეუნებრივ, რჩეულ, ღვთისდარ, ყოვლისშემძლე არსებად, ამასთანავე კრებულის მიზანია, სტალინის ფიგურაში გამოკვეთოს ჰუმანური, კაცობრობარე, წმინდად ადამიანური თვისებები, რამაც ხაზი უნდა გაუსვას სტალინის არსშივე მოცემული თანამշრმნობელი, მეოხი, შემწე, ადამიანსა და კაცობრიობაზე მარად მზრუნველი მამის ბუნებას. ამგვარად, კრებულის დისკურსი „მუშაობს“ იმ მიმართულებით, რომ ერთდროულად გამოიკვეთოს სტალინის მამობის ორი ასპექტი – წმინდად ღვთაებრივი და წმინდად ადამიანური. სწორედ ეს უკანასკნელი დისკურსია განვითარებული კრებულის შემდეგ სტატიებში: ვინმე ნ. შვერნიკის სტატიაში „სტალინი და ზრუნვა ადამიაზე“ (კრებული... 1940:212-221), ვინმე მ. შკირიატოვის სტატიაში „სტალინი და ხალხი“ (კრებული... 1940:222-231) და ვინმე ა. პოსკრებიშვილისა და დ. ვინსკის სტატიაში „კაცობრიობის მასწავლებელი და მეგობარი“ (კრებული... 1940:232-250).

სენებული ავტორების წერილებში მიზანმიმართულად ჩნდება მამის კონცეპტი, დისკურსი იმთავთვე აღქველია სტალინის მამობაზე: მათ წერილებში სტალინი მხოლოდ „მხანაგი“, „უდიდესი სტრატეგი“, „მასწავლებელი“, „ბელადი“ კი არაა, არამედ, უპირველეს ყოვლისა, მზრუნველი მამაა, რომ ის ყველას „მშობლიური მამა“ (კრებული... 1940:223): „ვულები აღსავსეა ბრძენი ბელადისა და მასწავლებლის, მამისა (ხაზი ჩემია – კ.პ.) და მეგობრის – დიდი სტალინისადმი განუსაზღვრული მადლობის გრძნობით. [...] სწორედ ამ მამობრივ, სტალინურ სიყვარულზე (ხაზი ჩემია – კ.პ.) ხატოთა ხალხისადმი მინდა ვთქვა რამდენიმე სიტყვა. ხატოთა ხალხის ფართო მასებში შემუშავდა ასეთი მიმართვა: „ჩვენი მშობლიური მამა, ამხანაგი სტალინი“ (ხაზი ჩემია – კ.პ.). და ეს – უბრალო სიტყვები როდია, არამედ განსაკუთრებული სიტყვებია, და იშვნებ ისინი თვით ხალხში, უბრალო ადამიანთა შორის“ (კრებული... 1940:221, 223).

მზრუნველობა და გულისხმიერება კი კიდევ ერთ „ღვთაებრივ“ თვისებასთან, გულთამხილაკობასთანაა დაკავშირებული, რაც იმავე იუდეურ თუ ქრისტიანულ

რელიგიურ ტრადიციაში იმთავითვე უფალს მიეწერება: ამ ტრადიციის თანახმად, მხოლოდ უფალმა უწყის, თითოეული მორწმუნის სულსა და გულში რა ფიქრები და ვნებები ტრალებს. ამ რელიგიური დისკურსის ანალოგით, სტალინმა დეტალურად იცის 183-მილიონიანი საბჭოთა იმპერიის თითოეული მოქალაქეს გასაჭირი, სადარღებელი, საზრუნვაი, წარმატება, წარუმატებლობანი, მაღალი სწრაფვები, სიხარული და ა.შ. ამასთან, იცის, ვინ რას საქმიანობს, ვინ მიჰყვება თანმიმდევრულად პარტიის მიერ განსაზღვრულ საყოველთაო „ჯოგის მორალს“, პარტიულ დისციპლინას, ვინაა „კეთილმორწმუნე“ საბჭოთა მოქალაქე და ა.შ. შესაბამისად, აქვე იკვეთება სტალინის ყოვლისშემძლე ღვთაებრივ-მამობრივი ბუნება, რომ იგი მზადაა, ამ 183-მილიონიანი მასის თითოეული წარმომადგენლის პრობლემა უმოკლეს ვადაში გადაჭრას. ამგვარად, როგორც ღმერთია განფენილი სამყაროს მატერიალურ და არამატერიალურ განზომილებებში, ასევეა სტალინიც – ისიც განფენილია საბჭოთა იმპერიის ხილულ თუ უხილავ დიმენსიებში, თითოეული საბჭოთა მოქალაქის არსებაში: „არავის იხე არ ძალუებს ადამიანების დაფასება, არავის იხე არ ეხერხება ჩანწერებს ადამიანის სულის დაფარულ სილრმეს, როგორც სტალინს“ (კრებული... 1940:212), „მან, როგორც არავინ, ღრმად, მშობლიურად იცის მუშების, კლებებისა და ინტელიგენციის საჭიროება-მოთხოვნილებანი“ (კრებული... 1940:223).

მზრუნველობა ასევე გამოიხატება მასების აღზრდაში, დამოძღვრაში, მასების კომუნისტურ ჭეშმარტებებთან ზიარებაში, რაც ასევე სტალინის, როგორც აღმზრდელი მამის, პრეროგატივაა. გარდა ამისა, საბჭოთა ხალხზე გაწეული მზრუნველობა გამოიხატება მასების ეთიკურ წრთობაში, კერძოდ, შრომის კულტის, შრომის ეთიკის განმტკიცებაში: „ქვეყნის სოციალისტურ ინდუსტრიალიზაციაში გამოიხატებოდ უდიდესი სტალინური მზრუნველობა სოციალისტური რეკოლუციის ბეჭედზე, მზრუნველობა მრავალმილიონიანი საბჭოთა ხალხის ბეჭედზე. [...] ჩვენი ქვეყნის მშრომელები არა მარტო სამუდამოდ დახსნილონ არიან უმუშევრობისაგან, არამედ ლენინ-სტალინის დაადი პარტიის ხელმძღვანელობით მათ მოიპოვეს უფლება შრომაზე. ეს უფლება არა მხოლოდ საკანონმდებლო წესით განმტკიცებულია სტალინურ კონსტიტუციაში, არამედ იგი რეალურადაც უზრუნველყოფილია ჩვენი სამშობლოს თითოეული მუშაკისათვის სოციალისტური სახალხო მუსიკების მიერ“ (კრებული... 1940:214, 216).

შესაბამისად, შრომის ეთიკის ამაღლება გულისხმობს ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და ელექტროფიკაციის პროცესებში ადამიანების ჩართვას მასობრივი გამწევი ძალის სახით. აქ კი ვიღებთ ვითარებას, როდესაც შრომის კი არ „შექმნა ადამიანი“ ან შრომა კი არ „ათავისუფლებს“, არამედ შრომაშ დაამონა ადამიანი, დაუმონა რა იგი მთელი საბჭოთა იმპერიის მასშტაბით აგორებულ იდეოლოგიზებულ ტექნოკრატულ გიგანტომანიას და ასე დაუკარგა მას ადამიანური სახე და ღირსება. სინამდვილეში „შრომის უფლება“ საბჭოთა იმპერიაში გარდა-სახული იყო შრომით უუფლებობაში, იძულებით შრომაში, ვინაიდან ეს მასშტა-

ბური ინდუსტრიალიზაცია უმეტესწილად ხორციელდებოდა არა საბჭოთა „თავი-სუფალი“ მოქალაქის ნებაყოფლობითი არჩევანის საფუძველზე, არამედ საბჭოთა გულაგებში გამომწყვდეული ასიათასობით ადამიანის მოწერი შრომის ხარჯზე.

მზრუნველი პოლიტიკური მამისა და მარად ხელში შემცურე და მარად დახმარების მომლოდინე მოქალაქეების დისპოზიცია კი, ერთი მხრივ, გულისხმობს, რომ ასეთი ტიპის საზოგადოებაში პოლიტიკური თავისუფლება იმთავითვე გამორიცხულია; მეორე მხრივ, ხალხზე „მზრუნველი“ პოლიტიკური ბელადი იმთავითვე გადაიქცევა აბსოლუტური თაყვანისცემის ობიექტად და გადაინაცვლებს ღვთაების რანგში. რელიგიური თაყვანისცემა კი იმთავითვე გულისხმობს ხოტბადიდებას, „შესაწირს“, „ღვთაებისადმი“ ვინმეს/რაიმეს შეწირვას ან უპირობო თვითმსხვერპლშეწირვას: მაგ., კრემლში მიღებისას ცნობილ მფრინავს, ჩაბა-განუცხადება „თავის მზადყოფნა თავი დასჭოს ამხანავი სტალინისათვის“ (კრებული... 1940:227). სტალინისადმი ეს თავდადება და თვითმსხვერპლშეწირვა, მისადმი აბსოლუტური სასოება შემდგომ პარადიგმატულ ფორმებს მიიღებს და საბჭოთა მოქალაქის უმთავრეს „რელიგიურ“-სამოქალაქო სათნოებად დამკვიდრდება: „ამხანავ სტალინს მრავალ საჩუქრს უგზავნიან. საჩუქრებს პვზავნიან ბავშვები და მოზრდილი, მუშები, კოლმეურნებები და ინტელიგენტები, დიასახლისები და ინვალიდები. [...] მოუღი ეს უთვალავი წერილები, მოლოცვები და საჩუქრები მოწმობებ ამხანავ სტალინის მჭიდრო კავშირს ხალხთან. ყველაზე ახლობელი, ყველაზე მშობლიური; უბრალო, თავმდაბალი და გულისხმიური მე-გობარი, მუვობარი, რომელსაც მიმართავენ რჩევისათვის, უზიარებებ თავის სიხა-რულს, სიხოვებ დახმარებას გასჭირდი; ადამიანი, რომლის შესახებ თხზუებ სიძლერებს, თქმულებებსა და ღუგენდებს; ხალხის ერთგული შვილი. – ასეთად სცოცხლობს ამხანავი სტალინი მშრომელთა შეგნებაში“ (კრებული... 1940:249).

გ. შეირიატოვის მიერ თავის სტატიაში მოყვანილი როვენის მაზრის გლეხი-ქალის ამს. ეფემუკ-დიაჩჩეკის სტალინისადმი გამოთქმული სამადლობელი სიტყვა კი აშკარად შეიცავს სახოტბო ლოცვის დისკურსს: „დიდი ხალხის დიდ ბელადს, რომელმაც მოგვანიჭა ჩვენ სიცოცხლე, ბედნიერება, რომელიც გვეპყრობა ჩვენ, როვორც მამა, როვორც მზრუნველი მშობელი, სახელი და დიდება!... მარადიული დიდება და მრავალუმაზერ ჩვენს ძვირფას მეგობარს, დიდება და ხანგრძლივი სიცოცხლე ამხანავ სტალინს!“ (კრებული... 1940:230-231). გლეხი-ქალის ეს სიტყვები, ფაქტობრივად, მამაო ჩვენოს ლექსიკას („სახელი და დიდება“, „მარადიული დიდება“), სინტაგმატიკასა (რელატიური წინადადების გამოყენება კავშირით „რომელიც“) და ამაღლებულ პათოსს იმეორებს.

ამგვარად, მამის კონცეპტის „დამუშავებითა“ და სტალინისადმი საბჭოთა მოქალაქეების მიერ გამოვლენილი „რელიგიური“ ქცევის ასახვით (უფალი – მისი სამწყსო), აღნიშვნული სტატიები მიზანმიმართულად ავითარებენ სტალინის „ღვთაებრივი“ წარმოშობის დისკურსს, რომ მის მიმართ საბჭოთა მოქალაქეებს უნდა ჰქონდეთ ღვთის მოშიშების განცდა და თავგანწირვის უნარი, რითაც ისინი

დამტკიცებენ და დასტურყოფენ საბჭოთა სახელმწიფოს, კომუნისტური პარტიისა და კომუნიზმისადმი ერთგულებას.

დასკვნა

ტოტალიტარული რეჟიმის ფარგლებში შედგენილ ოფიციალურ იდეოლოგიურ ტექსტებში დისკურსი ცალსახად მუშაობს პოლიტიკური ბელადის აპრიორული საკრალიზაციის მიმართულებით: კერძოდ, პოლიტიკური ბელადი ისტორიული სივრცის ფარგლებში აუცილებლობით გადაინაცვლებს მაშის არქეტიპულ ხატში და იგი იძნებს მასაღმერთის ყველა ნიშან-თვისებას: იგია ყოფიერების პირველსაწყისი, დემოქრატიული – შემოქმედი ღმერთი, იგია მოძღვარი, მასში და მასთანაა ჭეშმარიტება, იგია სასწაულმოქმდი და ყოვლისშემძლე, იგია მზრუნველი და მეოხი. შესაბამისად, პოლიტიკური ბელადი გადაიქცევა „ლოცვის“, თაყვანის-ცემისა და მსხვერპლშეწირვის ობიექტად. ამ მიზანდასახულობის გამო, ტოტალიტარული რეჟიმი და მისი ასევე საკრალიზებული ინსტიტუციები (პარტია) და სახელმწიფო აპარატი პრინციპულად ტრადიციულ რელიგიურ პარადიგმასა და დისკურსს ეკრძნობა (და ეს ორიენტირება აპრიორულია) და მასში შეაქვს ახალი რელიგიური შინაარსი – პოლიტიკური ბელადის სეკულარიზებული თუ სეკულარული საკრალიზაცია, რაც ტოტალიტარული სახელმწიფოს იდეოლოგიის ფუნდამენტური დისკურსია.

ლიტერატურა:

კრებული... 1940: 60 წელი დიდი სტალინის დაბადებიდან (კრებული), სახელგამი, თბილისი.

ფუკ 1974: M. Foucault, *Die Ordnung des Diskurses. Inauguralvorlesung am Collège de France – 2. Dezember, aus dem Französischen von Walter Seitter, Carl Hanser Verlag, München.*

Konstantine Bregadze

The Collection Dedicated to Stalin's 60th Anniversary (1940) and the Ideological Discourse

Summary

The present paper, based on the material published in the collection dedicated to Stalin's jubilee "60 years from the birth of great Stalin" (collection...1940), analyses the ideological discourse and its function in the official texts of the totalitarian regime.

The paper researches which mechanisms are used for the functioning of discourse in the articles and reports given in the collection (1940) dedicated to Stalin's 60th anniversary.

The very first pages of the collection, or rather, the headers clearly show the qualities and characteristics which can be traced in the so-called "discourse societies" (Foucault

1974:27), in particular, from the doctrines accumulated and the importance and influence of institutions. From the very beginning, it becomes obvious that the collection is done under the order of a concrete institution and under the principles of linguistic selection, filtration, using the accumulated doctrines within the two sectors of “discourse societies”. On the one hand, Marx-Engels-Lenin Institute and Political Publishing Agency and, on the other, in the Communist (Bolshevik) Party. In both cases much attention is paid to the doctrine, which is revealed in the slogan on the very first page of the collection, “Proletarians of all countries unite!” This slogan is of a doctrinal nature, because it attracts the masses under the sole value of the proletariat, and unites them under this value and discourse, masses are being ideologically brainwashed and their identity established. Consequently, the discourse-dogmatic word proletariat for all the authors of the collection becomes dogmatic representation and the Center of Truth. Such center of truth becomes the word – Stalin, which is found in the text of the presidium of the Supreme Committee of the USSR. Thus, both the authors and publishers of the collection agree that their discourse texts will work in the direction of the two doctrinal statements – proletariat and Stalin in the direction of extension and dissemination.

The doctrinal expansion and dissemination in the collection are primarily linked to Stalin’s political figure, Bolshevik-Communist Party, Proletariat, sacralization of Marx-Engels-Lenin, for which the authors use concrete discourse elements, and which, in their turn, rely on the tradition of religious harmony and eschatology. Taking into consideration this tradition, the collection also develops the dichotomic division of “believers” (e.g. Bolsheviks, Proletariat) and “heretics” (e.g. Mensheviks and Bourgeoisie), and also developed are the moral dogmas and “religious” practices through which “repentance of political sins” are possible. Therefore, all the texts in the collection have the same discourse mechanisms and elements on the basis of which Stalin’s political figure, the Bolshevik-Communist Party, proletariat, sacralization of Marx-Engels-Lenin, and the political morals are highlighted. Namely:

ვთქვათ, მკაცრად უნდა განვმარტო ცნება C, რომელიც ინტუიციურად მეტნაკლებად ცხადია, განსაკუთრებით აშკარა შემთხვევებში, თუმცა ბევრ მარგინალურ შემთხვევაში დამაბნეველი და არადამაკმაყოფილებელია. უპირველეს ყოვლისა, უნდა მივაგნო და განვმარტო უზოგადესი ცნება (most general concept), რომლისთვისაც C არის კონკრეტული შემთხვევა – ხაზს კუსვამ: „უზოგადეს ცნებას და არა genus proximum-ს „უახლოეს გვარეობით ცნებას“. ვიწყებ დეტალური განსაზღვრით უზოგადესი კლასისა, რომელსაც მიეკუთვნება P_i მოვლენები, რომელთაც გადაფარავს C, მაგრამ ეს უზოგადესი კლასი შეიცავს აგრეთვე სხვა ბევრ Q_j მოვლენას, რომლებსაც არ მოიცავს C, მაგრამ, სავარაუდოდ, უკავშირდება P_i-ს. შეძლებ ამ კლასს დავყოფ ყველაზე დიდ, მომცველ შესაძლებელ კლასებად, იდეალურ შემთხვევაში – ორ ქვეკლასად იმგვარად, რომ ყველა P_i მოხვდეს ერთ ქვეკლასში; კვლავ და კვლავ გავიმეორებ ამ ოპერაციას მანამ, სანამ არ მივიღებ ზუსტად იმ ქვეკლასს, ყველა და მხოლოდ და მხოლოდ (all and only) P_i მოვლენებს რომ მოიცავს, რომლებსაც, თავის მხრივ, მოიცავს C (ამგვარად, ვადგენ

C-ს ზუსტ ადგილს სხვა მსგავს ცნებებს შორის). ეს მიღომა, რაღა თქმა უნდა, დელუქიურია: ის მიდინარებს უზოგადესიდან ყველაზე კერძოსაკენ.

ნება მომეცით, ნიმუშად განვიხილო ორი მცირე შემთხვევა მორფისა და ერგატიული კონსტრუქციის ცნებების მაგალითზე.

მორფის ცნება. განვიხილოთ შემდეგი არსებული ვითარება: ტერმინი მორფი გამოიყენება (1) ძირებისა (radical)² და სუფიქსებისათვის (მაგ., cat- და -s), (2) მნიშვნელობის მქონე მონაცვლეობებისათვის (meaningful alternations) (მაგ., oo ⇒ ee, როგორიცაა goose ~ geese) და (3) პროსოდიული მაჩვენებლებისათვის (მაგ., ტონები, რომლებიც გამოხატავენ სხვადასხვა ზმურ დროს სუდანის ზოგიერთ ენაში).³ არის ამგვარი გამოყენება საფუძვლიანი, თუ უნდა შემოვიღოთ უკეთესი ცნებები და ტერმინოლოგია? უზოგადესი კლასი I, რომელსაც ელემენტთა სამივე ტიპი მიეკუთვნება, არის „ელემენტარული ენობრივი ნიშანი“ (elementary linguistic sign). ეს კლასი I ბუნებრივად იყოფა ორ ქვეკლასად: ნიშნები, რომელთა აღმნიშვნელები (signifier) არის სეგმენტური და სუპრასეგმენტური ერთეულები (entity) და ნიშნები, რომელთა აღმნიშვნელები არის ოპერაციული (operation), რომლებიც, თავის მხრივ, არიან სეგმენტურნი და სუპრასეგმენტურნი (არსებობს ტონური მონაცვლეობები). ამგვარად, ჩვენ ვიღებთ კლასს I.I, რომელიც შეიცავს ძირებს, სუფიქსებსა და პროსოდიულ მაჩვენებლებს, და კლასს I.II, რომელიც შეიცავს მნიშვნელობის მქონე ყველა მონაცვლეობას. კლასი I.I კიდევ იყოფა სეგმენტურ (კლასი I.Ia) და სუპრასეგმენტურ (კლასი I.Ib) ნიშნებად; შედეგად, გვჭირდება საერთო სახელწოდება ძირებისა და სუფიქსებისათვის, მაგრამ სუპრასეგმენტური მაჩვენებლების გამოყლებით. რა არის იმაზე უფრო მეტად ხელსაყრელი, რომ ვუწოდოთ მათ მორფი (I.Ib კლასის ნიშნებს შეიძლება ეწოდოს სუპრამორფები/სუპრაფიქსები და ა.შ.)? ნათელი ზდება, რომ მორფის გამოყენება ზემონახსენებ ელემენტთა სამივე ტიპისათვის – ე.ი. სეგმენტური ერთეულებისათვის, სუპრასეგმენტური ერთეულებისა და პროცესებისათვის – არის ცუდი პრაქტიკა. უმჯობესია, შევავიწროთ ტერმინ მორფის დიაპაზონი და გამოიყენოთ მხოლოდ სეგმენტური ელემენტარული ენობრივი ნიშნისათვის.

მართებული იქნება, წარმოვადგინოთ მნიშვნელოვანი შენიშვნა: რამდენადც ჩემი შემოთავაზება ეხება მხოლოდ სახელწოდების გამოყენებას და არა ენობრივ ფაქტებს, შეუძლებელია ამ ტერმინის ზუსტი მნიშვნელობით მისი ან მტკიცება ან უარყოფა; მხოლოდ შემიძლია მივუთითო, რატომ არის შემოთავაზებული ტერმინოლოგიური გამოყენება უფრო მოსახერხებელი. ამგვარად, ლოგიკურად შესაძლებელია, რომ შევინარჩუნოთ ტერმინ მორფის გამოყენება სეგმენტური და სუპრასეგმენტური ნიშნებისათვის, ერთმანეთისგან კი ეს შესაძლებლობები გავმიჯნოთ მსაზღვრელის საშუალებით: სეგმენტური მორფი “სუპრასეგმენტური მორფი (segmental morphs vs. suprasegmental morphs). მაგრამ მაშინ ყველაზე ფართოდ გავრცელებულ და ტიპურ ენობრივ ნიშანთა (=სეგმენტური ელემენტა-

რული ნიშანი) კლასსა და შედარებით იშვიათ და რამდენამდე „ეგზოტიკურ“ ნიშანთა (=სუპრასეგმენტური ელემენტარული ნიშანი) კლასს ექნებათ ფორმალურად მსგავსი, შედგენილი სახელწოდება; როგორც ჩანს, უძვინდესია, ვინაროთ მოკლე და უნივერსალური სახელწოდება მორფი პირველი კლასისათვის და შევქმნათ ახალი ტერმინი მეორისათვის. შევნიშნოთ, რომ ამგვარია ჩემი მთლიანი ძალისხმევის ბუნება: გთავაზობთ სახელწოდებათა სიმრავლეს (შესაბამის ცნებებთან „შეწებებულს“), რომლებიც, იმედია, შეადგენენ უნიფიცირებულ სისტემას და წვლილს შეიტანენ რეალურ ენობრივ მოვლენათა უკეთეს ლოგიკურ ანალიზში.

ერგატიული კონსტრუქციის ცნება. ტრადიციულად, ერგატიული კონსტრუქცია განიმარტება როგორც „ფინიტური გარდამავალი ზმის კონსტრუქცია, რომელშიც პირდაპირი დამატება გამოიხატება ისევე, როგორც გარდაუვალი ზმის ქვემდებარე“. თუმცა ვერ მივიღებ ამგვარ ფორმულირებას წმინდა ტერმინოლოგიური მიზეზის გამო: ეს განმარტება მოიცავს პირიანი ზმური კონსტრუქციის მხოლოდ ერთ კერძო შემთხვევას. პირიან ზმურ კონსტრუქციათა (ბრუნვის მქონე ენებში) უზოგადესი კლასი, რომელიც შეიცავს ყველა იმ შემთხვევას, რომელსაც ამჟამად ერგატიულ კონსტრუქციას ვუწოდებთ, არის პრედიკატული კონსტრუქცია, რომელშიც ქვემდებარე მარკირებულია ნომინატივისაგან განსხვავებული ბრუნვით. გთავაზობთ, რომ ეს არის სწორედ ის კონსტრუქცია, რომელსაც შეიძლება ეწოდოს ერგატიული კონსტრუქცია. შემდეგ გავაგრძელებ კერძო შემთხვევათა განმარტებას, რომელთა შორისაც მივაგნებთ იმგვარ ერგატიულ კონსტრუქციას, რომლის პირდაპირი დამატება ფორმალურად გარდაუვალი ქვემდებარის იდენტურია. ეს არის ერგატიული კონსტრუქციის ყველაზე ფართოდ გავრცელებული და ცნობილი სახესხვაობა; თუმცა ლოგიკურად და ტერმინოლოგიურად ეს არის მხოლოდ ერთ-ერთი კერძო შემთხვევა. ამ შემთხვევაში, უძვინდესია, გავაფართოთ ამ განსახილველი ტერმინის დიაპაზონი. სხვათა შორის, ამგვარ განმარტებას აქვს უპირატესობა: ის იძლევა საშუალებას, ერგატიულ კონსტრუქციას მივაკუთვნოთ ბრუნვით მარკირებული სამწევრა (tripartite) კონსტრუქციაც (ანუ კონსტრუქცია, სადაც გარდამავალი ქვემდებარე, გარდაუვალი ქვემდებარე და პირდაპირი დამატება მარკირებულია სამი სხვადასხვა ბრუნვით).⁴

იმ პრინციპზე დაკვირვება, რომ ცნებები უნდა გამოიყვანებოდეს უზოგადესი კლასიდან, უზრუნველყოფს ჩამოყალიბებული ცნებითი სისტემის მკაცრად იქრარქიულ ხასიათს.

განშეაზღვრული მახასიათებლების გამოყოფა

თანამედროვე ენათმეცნიერება ამჟღავნებს ტენდენციას, კომპლექსური ენობრივი მოვლენა P აღწერის „მრავალმხრივი“ განმარტებით, რასაც მივყავართ კლასტერული ცნებისაკენ, რომლის მიზანია, მოიხელოთ თვისებათა ჯამი, რომელიც იზრდება P-მდე. ამის საპირისპიროდ, დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ, ერთმა-

ნეთისგან გამოვყოთ, რამდენადაც ეს შესაძლებელია, P-ს განმსაზღვრელი მახასიათებელი ნიშან-თვისებები. ამგვარად, ჩამოყალიბდება ზუსტი ცნებები, რომელთაგან თითოეული P-ს მხოლოდ ნაწილობრივ დაახასიათებს; ანუ, ცნებაში ყოველ მათგანს ჩავრთავ იმდენად მცირედ, რამდენადაც ეს შესაძლებელი იქნება; არა იმიტომ, რომ ზოგადად კლასტერულ ცნებათა წინააღმდეგი ვარ – პირიქით, ბევრ შემთხვევაში მას თავს ვერ ავარიდებთ და შეად ვარ მის გამოსაყენებლად. მაგრამ, ჯერ შევეცდები, ერთმანეთისაგან გავმიჯნო P მოვლენის თვისებები, რამდენადაც ეს შესაძლებელი იქნება, და შეძლებ განვმარტო P-ს თვისებათა მინიმალური სიმრავლის სახით, ანუ ცნებათა სიმრავლით და არა ერთი კომპლექსური ცნებით. ამგვარად, იმის ნაცვლად, რომ ვცალო გრამატიკული გვარის განმარტება ერთობლივად მისი ფუნქციით და ფორმით, ვაცალებებ მათ. შედეგად, არ შემიძლია ვთქვა, მაგალითად, რომ „[ალგორიტმური] ინვერსიული კონსტრუქცია სრულებით შეუძლებელია გვარად განვიხილოთ, რადგანაც არ არსებობს შესაძლო არჩევანი ამა თუ იმ პრაგმატიკული ნიუანსის გამოსახულება“ (პეინი და ლასკოვსკე 1997:423; ხაზი ჩემია – ი.შ.): არ განვიხილავ პრაგმატიკული ინფორმაციის გამოხატვის ფუნქციას გვარის განმსაზღვრელ თვისებად პასივის ამ შემთხვევისათვის. მაშასადამე, შეიძლება, ორივე დავიტოვო: პასივიბი, რომლებიც აკმაყოფილებენ პრაგმატიკულ ფუნქციას, და პასივები, რომლებიც მას არ აკმაყოფილებენ. ეს იმიტომ არის ასე, რომ კომუნიკაციური ფაქტორების გამოხატვა არა მარტო გვარისათვის, არამედ ბევრი ფლექსიური კატეგორიისათვისაც არის ტიპური; მაშინ, როცა სინტაქსურ აქტანტთა გადაადგილება (permute) სემანტიკურ აქტანტებთან მიმართებით ახასიათებს შხოლოდ პასივს (უფრო დეტალურად იხ. გვ. 11).

ამ პრინციპზე დაკვირვება აფაროთებს ცნებითი სისტემის მოქნილობას და, ასევე, ზრდის მისი „გარჩევის უნარი“* (resolution power): იყენებს, თუ შეიძლება ასე ითქვას, უფრო მარტივ და უფრო ზოგად კრებებს.

პროტოტიპურ შემთხვევებზე ორიენტირება

შევეცდები, შეძლებისლაგვარად, შევინარჩუნო ტრადიციული ენათმეცნიერული ცნებები, რადგანაც ისინი წარმოიშვნენ ასი და მეტი წლის წინათ. წინარემცნიერულ (=ინტეიციურ) ინტერპრეტაციას უკუგადებთ მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც ლოგიკა მოითხოვს განსახილველი ცნების განსაზღვრულ გაფართოებას ან შევიწროებას. მაშასადამე, შემოთავაზებული მორფოლოგიური ცნებები არსებოთად დიდად არ განსხვავდება ძირითადი მიმართულების ტრადიციულ მორფოლოგიაში გამოყენებული ცნებებისგან. სიახლე, ძირითად, ფორმაშია: ცნებები მკაცრად განიმარტება და ეს განმარტებები მკაცრად გამოიყენება სხვადასხვაგვარი

* ავტორის უკლი რუსული თარგმანია გვერდის გვ. 10-ის მიხედვით.

მოვლენისათვის. მიუხედავად ამისა, არსი იყოვეა, რაც იყო ყველაზე ტრადიციულ განმარტებებში: შესასწავლ მოვლენათა პროტოტიპური შემთხვევების ანალიზისა და განსაზღვრების შემთხვევებში (პროტოტიპთა როლისათვის ენობრივ აღწერებ-ში იხ. ტეოლორი (1989) და ვეჟბიცკა (1989)).

ჩემი მიღვიმა, ძირითადად, იდენტურია ამ 50 წლის წინათ პოკეტის (უთა-რილო) შემოთავაზებული მიღვიმისა გრამატიკული ბრუნვის ცნებისათვის, კერძოდ, ბრუნვის განსაზღვრა მკაცრად პროტოტიპური ბრუნვის სისტემის საფუძვლზე, მაგალითად, ლათინურისა და ძველი ბერძნულის ბრუნვების საფუძველზე, და შემდეგ რაციონალური განზოგადება; ასე რომ, ახალი განსამარტავი მოვლენა საკმარისად მსგავსი იქნება, ვთქვათ, ლათინური ბრუნვისა.

ნება მომეცით, ხაზი გავუსვა, რომ ეს მეთოდოლოგია არ გულისხმობს არა-ვითარ ევროცენტრიზმს. მე არ ვამბობ, რომ ბრუნვის ლათინური ცნება თავს უნდა მოვახვიოთ სრულიად განსხვავებული ენის მოვლენას. დაუინებით მოვითხოვ მხოლოდ იმას, რომ სახელწოდება ბრუნვა ვიხმაროთ მკაცრად მხოლოდ ისეთი მოვლენისათვის, რომელიც საკმარისად ახლოს დგას ლათინურ ბრუნვასთან. თუ განსახილველი მოვლენა საკმარისად ახლოს არ დგას იმასთან, რასაც ვუწოდებთ ბრუნვას ლათინურში, მას, უბრალოდ, არ უნდა ვუწოდოთ ბრუნვა.

ეს შეხედულება ნებას მაძლევს, რომ გადაჭრა შიბატანის (1985:836, მაგალითი (39)) ფორმულებულ საკითხთა მსგავსი საკითხები. მისი აღწერის თანახმად, ერთ-ერთი მაია ენა, მამი (Mam), გამოხატავს პაციენს აქტიურ გარდა-მავალ წინადადებაში (clause) ზედაპირულ-სინტაქსურ ქვემდებარედ („[მამი არის] სინტაქსურად ერგატიული ენა“) და პასიურ წინადადებაში იგივე პაციენსი კვლავ ქვემდებარეა:

- | | | | | | | |
|-----|----|------------------------|--|---------------------|--------------|--------------------------|
| (1) | a. | <i>Ma</i> | <i>Ø-jaw</i> | <i>t-tx'ee7ma-n</i> | <i>Cheep</i> | <i>tzee7¹</i> |
| | | REC.PAST | 3SG.ABS-DIR | 3SG.ERG-ჭრა-DIR | ხოსე | ზე |
| | | „ხოსე მოჭრა ზე“ | [ამტკიცებუნ, რომ tzee7 „ზე“ არის ქვემდებარე] | | | |
| | | vs. | | | | |
| | b. | <i>Ma</i> | <i>Ø-tx'eem-at</i> | <i>tzee7</i> | <i>t-u7n</i> | <i>Cheep</i> |
| | | REC.PAST | 3SG.ABS-ჭრა-PASS | ზე | 3SG-მიერ | ხოსე |
| | | „ზე მოიჭრა ხოსეს მიერ“ | [კვლავ tzee7 განიხილება ქვემდებარედ] | | | |

ასეთ შემთხვევაში როგორ არის შესაძლებელი, რომ შემოგვთავაზონ პასივის, როგორც გვარის, ზოგადი განმარტება, რომელიც აწინაურებს (promote) პაციენს, რათა ის გამოხატავდეს ქვემდებარეს, როგორც ეს ხდება, მაგალითად, ლათინურში, და ამან მოიცვას მამი ენის განსახილველი ფორმა? ვფიქრობ, პასუნი მომებებნება: შეუძლებელია. უნდა ავირჩიოთ.

¹ მაია ენების ორთოგრაფიისთვის გლოტალური ხშულის აღსანიშნავად იხმარება „7“ ნიშანი.

ან: ვაღიარებთ შიბატანისთან ერთად, რომ TZEE7 „ხე“ ქვემდებარეა როგორც (1a)-ში, ისე (1b)-ში; მაშინ ზნურ ფორმას (1b)-ში აუცილებლად უნდა ეწოდოს პასივი, რადგან ეს ფორმა სრულებითაც არ ჰგავს თავისი ქცევით პროტოტიპურ ლათინურ/ინგლისურ პასივს, სადაც დამატება იქცევა ქვემდებარება. ისევე, როგორც იქცევიან პროტოტიპური პასივები, მამი ენის ფორმა -at სუფიქ-სით ((1b)-ში) აკრეთვე აგნესის „დეფოკუსირებას“ ემსახურება, მაგრამ ამას აკე-თებს იმგვარად, რომ დიამეტრულად უპირისპირდება პროტოტიპური პასივების ფუნქციონირებას. (1) წინადადების ზედაპირულ-სინტაქსური ქვემდებარის შიბატანისული აღწერა მართებული რომ იყოს, მაშინ -at-სუფიქსითი ფორმა დეტ-რანზიტივატივი (detransitivative; იხ. §§4) იქნებოდა და არა პასივი.

ან: ალტერნატივის სახით, ვაღიარებთ, რომ ფორმა *tx'eem-at* პასიურია. მაშინ უნდა უკუვაგდოთ ის ანალიზი, რომლის თანხმადაც, TZEE7 „ხე“ არის ზედაპირულ-სინტაქსური ქვემდებარე ორივე წინადაღებაში: (1a)-ში ის უნდა იყოს პირდაპირი დამატება.

(პირადად მე, გვარის ენგლანდისეული (1988) აღწერის საფუძველზე, ვფიქ-
რობ, რომ მამი ენაში მეორე არჩევანი არის მართებული: (2a)-ში TZEE7 „ხე“
არის პირდაპირი დამატება, რადგანაც რამდენადაც შემიძლია განვსაჯო ჩემს
ზელო არსებული მონაცემების საფუძველზე, მამი ენის ქვემდებარე წრფივად წინ
უნდა უსწრებდეს ზმნაზე დაქვემდებარებულ ყველა სხვა წევრს).

2.2 განმარტებათა ფორმალური მხარე

ფორმალური მხარის პოზიციიდან შევეცდები, ჩამოვაყალიბო განმარტებები იმგვარად, რომ მათ დააკმაყოფილონ შემდეგი ოთხი ზოგადი პირობა (შდრ. აპრე-სიანი 1982:175):

განმარტება უნდა იყოს:

(a) ფორმალური: უნდა გამოიყენებოდეს ავტომატურად, ანუ პირდაპირი მნიშვნელობით.

(b) **მკაცრი:** უნდა შეიცვლეს მხოლოდ იმ ცნებებს, რომლებიც ან წინასწარ არის განმარტებული, ან, თუ განუმარტავია, სის სახით არის მოცემული; უფრო ზუსტად, უნდა იყოს აქსიომატური ტიპის განმარტება: *per genus proximum et differentia specifica*, ე.ი. პირდაპირი მნიშვნელობით „უახლოესი გვარისა და განმასხვავებელი ნიშნ-თვისების საშუალებით“, როგორც ეს ჩამოაყალიბა ბორთიუსმა (480-524 ახ.წ., ოსტგოთების მეფის, თეოდორის დიდის, მრჩეველი), არისტოტელის იდეების მიმღევარმა.

(c) საკმარისი და აუცილებელი: უნდა მოიცავდეს ყველა მოვლენას, რომელიც აღიქმება შესაბამის ცნებაში ჩართულად, და უნდა მოიცავდეს მხოლოდ და მხოლოდ ამჯავრ მოვლენებს.

(d) უნივერსალური: უნდა გამოიყენებოდეს ნებისმიერი ენის ნებისმიერი ლი-რებული მოვლენისათვის.

უფრო დეტალურად, ენობრივი C ცნებისა და განმარტების კონსტრუირება მოიცავს შემდეგ ექვს ნაბიჯს:

ვთქვათ, განვიხილავთ დაკვირვებად ენობრივ P_i მოვლენათა კლასს – ჩვენს მონაცემთა წინარეთეორიულ სიმრავლეს. ვფიქრობთ, რომ ყველა P_i შეიძლება მი-ვაკუთვნოთ C-ს. როგორ განვაგრძობთ?

(1) უპირველეს ყოვლისა, გამოვარკვიოთ P_i ($P_j \subset P_i$) კლასის P_j „ბირთვული“ (kernel) ქვეკლასი; ე. ი. ჩვენი სურვილია, გამოვაცალკეოთ ამგვარი მოვლენა ყველა სხვა P_i -სგან ისე, რომ ჩვენმა განმარტებამ ის მოიცავს ნებისმიერ შემთხვევაში. ეს P_j -ები შეესატყვისება C-ს ყველაზე ტიპურ კერძო შემთხვევას, ანუ C-თი გამოსახულ პროტოტიპურ C-ს; და შეადგინე ჩვენი მომავალი განმარტების ემპირიულ საფუძველს: შერჩეულები არიან სრულიად ინტუიციურად. ეს არჩევანი პოსტულატად უნდა მივიღოთ.

(2) გავანალიზოთ c, რომ ვიპოვოთ მისი შემადგენელი კომპონენტები (constitutive components).

(3) დავადგინოთ c-ს ლოგიკურად შესაძლებელი ყველა შემთხვევის აღრიცხვა, რომლებსაც, სავარაუდოდ, C შეიცავს. ამისათვის გავაერთიანოთ c-ს შემადგენელი კომპონენტები ყველა შესაძლო ვარიანტით; შევეცადოთ, ავსნათ იმ კომბინაციათა შეუძლებლობა, რომლებსაც ენა კრძალავს.

(4) c ცნების განზოგადების გზით ჩამოვაყალიბოთ C-ს განმარტება; ამოვკრიბოთ განმარტებისათვის მნიშვნელოვანი ყველა საბაზისო ცნება (underlying concepts) და დავრწმუნდეთ, რომ ისინი, თავის მხრივ, იქნებიან განმარტებულნი.

(5) C-ს განმარტებათა გამოყენებით $P_i - P_j$ სხვაობის მოვლენათათვის გადავ-სინჯოთ მთელი სფერო, ანუ ნაკლებ ცხადი, არამკაფიო (fuzzy) თუ გაურკვევლი ერთეულები (item), რათა დავინახოთ, რომ ყველა ღირებული მოვლენა მოვიცავით.

(6) უარყოთ მსგავსი, მაგრამ მნიშვნელოვნად განსხვავებული C' მოვლენა C-სგან გამიჯვნით; მოკლედ მოვხახოთ C'-ს განმარტება და დავრწმუნდეთ, რომ ის მისაღებია გონივრულობის ფარგლებში.

ახლა C-ს განმარტება მზად არის. უნდა დავრწმუნდეთ, რომ ის:

(i) მოიცავს ყველა ერთეულს, რომლებიც ინტუიციურად საკმარისად ჰგვანან P_j -ს (შდრ. კეიპერსის ნაშრომი (1975) ენათმეცნიერებაში ინტუიციურად ნაგრძნობი მსგავსების დიდი მნიშვნელობის შესახებ);

(ii) უკუაგდებს ყველა იმ ერთეულს, რომლებიც ინტუიციურად საკმარისად განსხვავდებიან P_j -სგან;

(iii) წარმოქმნის შედეგებს ყველა შეალედური არისათვის (domain), სადაც კი ჩვენი ინტუიცია ფერხდება – შედეგებს, რომლებსაც მხარს უჭერენ დამატებითი არგუმენტები.

როდესაც საქმეს დავასრულებთ ცნებასთან მიმართებით, უნდა განვიხილოთ შესაფერისი ტერმინის შერჩევის საკითხი: შეგვიძლია ვინმაროთ არსებულ ტერ-მინთაგან ერთ-ერთი, რომელიც უკავშირდება ახლახან განმარტებულ ცნებას, თუ უმჯობესია შევქმნათ ახალი ტერმინი? როგორც ზემოთ ითქვა, ეს არის როგორი საკითხი, რომელსაც პასუხი უნდა გაეცეს ტაქტითა და სიფრთხილით. ჩვენებული გადაწყვეტა დამოკიდებულია გასაანალიზებელი ტერმინის თვისებურებებზე. ხან-დახან უმჯობესია, რომ შევინარჩუნოთ ტერმინი t ისე, როგორც მიღებულია, ე.ი. გამოვიყენოთ ძველი ცნებისათვის, და შევქმნათ ახალი ტერმინი ახალი ცნები-სათვის; ხანდახან, ამის საპირისპიროდ, სასურველ შედეგს იძლევა t-ს გამოყენება ახალი ცნებისათვის ძველი სახელწოდებისათვის გარკვეული მსაზღვრელის დამა-ტებით. სამწუხაროდ, არ მეგულება არანაირი ფორმალური კრიტერიუმი, რომე-ლიც განსაზღვრავს ჩვენს არჩევანს.

3. ილუსტრაცია: გრამატიკული გვარის ცნება

ჩემს მოსაზრებას წარმოგიდგენთ ერთი მაგალითით: გრამატიკული გვარის როგორც ფლექსიური კატეგორიის განმარტება და შესაძლებელ გრამატიკულ გვართა დედუქციური აღრიცხვა – ამ კატეგორიის გრამეტები. მთლიანი განხილვა ტარდება „მიშვნელობა-ტექსტის“ ლინგვისტური თეორიის თეორიული ჩარჩოს ფარგლებში, რომლიდანაც უნდა ვისუხშო ზოგადი მიღვომა და ზოგიერთი საკანძო ცნება (მელჩუკი 1974, 1981, 1988, 1997a, 2001:4-10, მელჩუკი და პეტროვი 1987). თუმცა ყოველ ღონეს ვინმარ, რამდენადაც შესაძლებელია, ეს აღრიცხვა წარმოვადგინო თეორიისგან დამოუკიდებლად.

3.1 წინასწარი შენიშვნები

გვარის ცნება ჩამოყალიბებულია ზემოთ მოკლედ აღწერილი ექვსი ნაბიჯის მიხედვით.

(1) პროტოტიპურ შემთხვევებად, რომლებზეც გვარის განმარტება უნდა და-ფუნქციონოს, ვიღებ ლათინურისა და ინგლისურის ოპოზიციას „აქტივი“ პასივი“. ესენი კარგად შესწავლილი და შედარებით აშკარა წარმომადგენლებია იმისა, რა-საც მსურს ვუწოდო გვარები.

(2) ლათინური და ინგლისური პასივის მთავარი განმსაზღვრელი მახასიათე-ბელი სახეს უცვლის შესატყვისობას ზმნის მნიშვნელობით ნავარაუდევ სემანტი-კურ როლებსა და იმ ფრაზათა სინტაქსურ როლებს შორის, რომლებიც ავსებენ ამ როლებს. ამგვარად, ზმნას [to] EAT „ჭამა“ შემოჰყავს ორი სემანტიკური რო-ლი: ცოცხალი არსება, რომელიც იღებს საკვებს (=ჭამელი) და ნივთიერება, რომელიც ჩაყლაპეს (=საჭმელი). აქტივში „მჭამელის“ ფრაზა არის ქვემდებარე და „საჭმლის“ ფრაზა არის პირდაპირი დამატება (Nick ate the steak „ნიკა შე-ჭამა სტეიკი“), ხოლო პასივში „საჭმელი“ გამოხატულია ქვემდებარით, „მჭამე-

ლის“ ფრაზა კი ხდება აგენტური დამატება (Agentive Complement): The steak was eaten by Nick „სტეიკი შეიჭამა ნიკის მიერ“. ეს არის სემანტიკურ/სინტაქსურ როლთა შეუკრუაზე (*chassé-croisé*), რომელიც ისეა შერჩეული, რომ თავად წარმოადგნდეს გვარის ცნების საფუძველს.

მსჯელობის გასაგრძელებლად, უპრველეს ყოვლისა, წინარეთერორიული ცნების (notion) – „შესატყვისობა სემანტიკურ და სინტაქსურ როლებს შორის“ – ფორმალიზება უნდა მოვახდინო; ამისათვის სემანტიკური/სილრმისეულ-სინტაქსური აქტანტისა და შემდეგ უპვე დიათეზის ცნებებს შემოვიტან, იხ. გვ. 3.2. ესენი არიან გვარის ცნების განმსაზღვრელი კომპონენტები.

(3) ზმნის ამოსავალი (basic) დიათეზის ყველა შესაძლო მოდიფიკაციათა სრული აღრიცხვა დამუშავებულია; დიათეზის ფორმალურად მარკირებულ მოდიფიკაციას გვარი ეწოდება.

(4) შემდეგ გვარის, როგორც ზმნის ფლექსიური კატეგორიის, განმარტება არის ფორმულირებული.

(5) ჩემთვის ცნობილი ღირებული მონაცემები გადამოწმებულია იმისათვის, რომ დაზვეწილად განვასხვაოთ ნამდვილი გვარების მსგავსი მოვლენები-საგან.

(6) ზოგიერთი გვართან ახლოს მდგომი, მაგრამ, მოუხედავად ამისა, მისგან განსხვავებული მოვლენა გაანალიზებულია და გამოცალკვებულია გვარისაგან (ამგვარი მოვლენის მაგალითად მომყავს დეტრანზიტივატივები, 4). გვარის ცნების ფარგლები ამგვარი მიღებობით უფრო მკაფიო ხდება.

3.2. დამზმარე ცნებები

სემანტიკური აქტანტი, სილრმისეულ-სინტაქსური აქტანტისა და დიათეზის ცნებები საკვანძოა გვარის განმარტებისათვის, ასე რომ, აუცილებელია მათი აქტარმოდგენა. მეორე მხრივ, ზოგადად, ეს ცნებები ფუნდამენტურია ენობრივი თეორიისათვის, აგრეთვე, ძალიან კომპლექსურია. ასე რომ, სათანადო გზით ამას ვერ შევძლებ – მოითხოვს ზედმეტად დიდ სივრცეს. მაშასადამე, დათმობაზე უნდა წავიდე და შემოვიფარგლო ძალიან ფრაგმენტული დახსასიათებით, იმ იმედით, რომ მკითხველთა კეთილგანწყობილება და მაგალითები დაამტკიცებენ ამის საკმარისობას (მოუხედავად ამისა, იხ. მელჩუკი 2004a, b).

L ლექსიკური ერთეულის (lexical unit) L' სემანტიკური აქტანტი არის იმ პრედიკატის არგუმენტი, რომელიც L-ის მნიშვნელობას წარმოადგენს, ასე რომ, თუ L' სემანტიკურად დამოკიდებულია L-ზე, ეს ნიშნავს, რომ L აღნიშნავს პრედიკატს, L' კი არის მისი ერთ-ერთი არგუმენტი: თუ L' ←sem-L, მაშინ L (...; L'; ...), და პირიქით. სემანტიკური აქტანტი გამოიხატება ცვლადით L-ის ლექსიკოგრაფიულ განმარტებაში; მაგალითად:

(2) X rents Y from Z for W for T „X ქირაობს Y-ს Z-სგან W-დ T-თი“

„X მოიპოვებს Z-სგან, რომელიც ფლობს Y-ს, უფლებას, რომ გამოიყენოს T დროის განმავლობაში W ფულით, რომელსაც X უხდის Z-ს“.

რეალური სურათის გამარტივებით შემიძლია, ვთქვა, რომ სემანტიკურ აქტუალურობაში აქტებს აქვთ ორი მნიშვნელოვანი თვისება:

(ა) თუ მნიშვნელობას L' გამოვაკლებთ L-ის სემანტიკურ აქტანტს, დარჩენილს აღარ შეიძლება ეწოდოს L. ამგვარად, თუ გამოვაკლებთ money W-ს („ფული W“) (2)-ში წარმოდგენილ მნიშვნელობას, მივიღებთ [to] borrow-s („სესხება“) და არა – [to] rent-s („გაქირავება“); ხოლო time T-ს („დრო T“) გამოკლებით ვიღებთ [to] buy-s („კიდვა“).

(ბ) L-ის სემანტიკური აქტანტი, საერთოდ, L-ის პარალელურად შეიძლება გამოიხატოს წინადაღებაში (sentence) – როგორც წინადაღების (ცლაუსე) ელემენტი, ის უკავშირდება L-ს, მაგრამ არაა სავალდებულო, რომ უშუალოდ.

სიღრმისეულ-სინტაქსური აქტანტები

სიღრმისეულ-სინტაქსური აქტანტი შემოღებულია როგორც მოსახერხებელი „მაკავშირებელი რგოლი“ (interface) სემანტიკურ აქტანტსა და ზედაპირულ-სინტაქსურ აქტანტს⁵ შორის. სიღრმისეულ-სინტაქსური აქტანტი არის განზოგადება იმგვარ ზედაპირულ-სინტაქსურ აქტანტთა სიმრავლისათვის, რომელთაც შეუძლიათ, შეესატყვისონ იმავე სემანტიკურ აქტანტს (აյ ვახსენებ მხოლოდ ზმურ სიღრმისეულ-სემანტიკურ აქტანტს). დაახლოებით თუ ვიტყვით:

I სიღრმისეულ-სინტაქსური აქტანტი ზედაპირზე შეესატყვისება ზედაპირულ-სინტაქსურ ქვემდებარებს (და ყველა მის „გარდაქმნას“ (transform)):⁶

John I←sleeps, John's←I→sleep, John's←I→arrival, her←I→love

II სიღრმისეულ-სინტაქსური აქტანტი ზედაპირზე შეესატყვისება:

- პირდაპირ დამატებას (და ყველა მის „გარდაქმნას“): [She] loves-II→John, [her] love-II→for John
- L-ის უმნიშვნელოვანების ირიბი დამატებას – თუ პირდაპირი დამატება (და ყველა მისი „გარდაქმნა“) არ არის წარმოდგენილი: belong-II→to John, John's-II→belongings

III სიღრმისეულ-სინტაქსური აქტანტი ზედაპირზე შეესატყვისება ირიბ/ უბრალო დამატებას (იმ შემთხვევაში, თუ პირდაპირი დამატებაც არის წარმოდგენილი):

sends-III→John a letter, [a letter] sent-III→to John,

[He] punched [John]-III→on the nose

IV-VI სიღრმისეულ-სინტაქსური აქტანტები ზედაპირზე შეესატყვისება, კიდევ უფრო მაღალი ხარისხით, უბრალო დამატებებს:

rented-IV→for \$300, rented-V→for two weeks

შემდეგი სამი შეთანხმება აგრეთვე ზემოქმედებს გადანომვრის სისტემაზე ჩვენს გამოსახულებაში. მოცემული მორფოლოგიური ფორმის L ლექსიკური ერთეულის მართვის მოდელში (Government Pattern) L-ის სიღმირსეულ-სინტაქსური აქტანტები უნდა გადაინომროს შემდეგნაირად:

1. თანმიმდევრულად (=ხარვეზის გარეშე): **I**, **II**, **III** და ა.შ.; მართვის მოდელები ***I**, **III** და/ან ***I**, **IV** გადანომვრით დაუშვებელია.⁷

2. **I**-ითა და/ან **II**-ით დაწყებით: სიღმირსეულ-სინტაქსურ აქტანტთა უქონლობა, ანუ მართვის მოდელი ***III**, **IV** გადანომვრით, დაუშვებელია.⁸

3. განმეორების გარეშე: მართვის მოდელი ***I**, **I** ან ***I**, **II**, **II** გადანომვრით დაუშვებელია.

ხაზი გავუსვათ, რომ ზემოხსენებული მოთხოვნები შეეხება საკუთრივ გადანომვრას და არა წრფივ რიგს, რომელშიც L-ის სიღმირსეულ-სინტაქსური აქტანტები ვლინდებიან თავიანთ მართვის მოდელში, ანუ წინადადებაში.

ამ პირობათა შესრულებას შეიძლება საინტერესო შედეგები მოჰყვეს. ამგვარად, განვიხილოთ წინადადება *Nick←I→ate→II→the steak*; მისი პასიური შესატყვისი არის *The steak←I→was.eaten→II→by Nick*; როგორც ვხედავთ, აგენტური დამატება წარმოდგენილია როგორც **II** სიღმირსეულ-სინტაქსური აქტანტი, რადგანაც სიღმირსეულ-სინტაქსურ აქტანტთა გადანომვრის ხარვეზი დაუშვებელია. ეს ფორმალური შედეგი, როგორც ჩანს, სრულიად ბუნებრივია: მიუხედავად იმისა, რომ პირდაპირი და აგენტური დამატებები დიდად განსხვავდებიან თავიანთი ზედაპირულ-სინტაქსური თვისებებით, მაინც უკავშირდებიან ერთმანეთს – თითოეული მათგანი არის ზმნის უახლოესი სიღმირსეულ-სინტაქსური აქტანტი, **I** სიღმირსეულ-სინტაქსური აქტანტის შემდეგ.

დიათეზა

ლექსიკური ერთეულის დიათეზა არის შესაბამისობა მის სემანტიკურ აქტანტებსა და სიღმირსეულ-სინტაქსურ აქტანტებს შორის. მაგალითად, ინგლისურ ზმნასა [to] LIKE „მოწონება“ და ფრანგულ ზმნას PLAIRE „მოწონება“ აქვთ ერთი და იგივე მნიშვნელობა (დაახლოებით „X-ს აქვს სასიამოვნო გრძნობები, რომელსაც X განიცდის Y-ის მიმართ“) და, მაშასადამე, იგივე სემანტიკური აქტანტები. მაგრამ მათ აქვთ განსხვავებული დიათეზები, როგორც ეს ნაჩვენებია ქვემოთ.

(3a) *I [I] like him [II]*.

(3b) *Il [I] me [III] plait*.

[to] LIKE		PLAIRE	
X	Y	X	Y
I	II	II	I

3.3. გვარი და გვარის გრამეტები

გვარის კატეგორიის განმარტება ეფუძნება ფლექსიური კატეგორიის (inflectional category) ცნებასა და მის გრამეტებს. ამ ორი მნიშვნელოვანი ცნების განმარტების აქ შემოტანა შეუძლებელია, ასე რომ, მყითხველი უნდა დაკმაყოფილდეს მაგალითებით. ამგვარად, ინგლისური ენის არსებითი სახელის მნიშვნელოვანი ფლექსიური კატეგორიაა რიცხვი, გრამეტებით „მხოლობითი“ ~ „მრავლობითი“; რუსულის არსებით სახელს აქვს ორი ფლექსიური კატეგორია: რიცხვი (აგრეთვე გრამეტებით „მხოლობითი“ ~ „მრავლობითი“) და ბრუნვა (გრამეტებით „სახელობითი“ ~ „ნათესაობითი“ ~ „მიცემითი“ და ა.შ.). ფლექსიური კატეგორია არის ურთიერთდაპირისპირებულ გრამემათა სიმრავლე, რომელთაგან თითოეულს მოეპოვება თავისი მაჩვენებლების სიმრავლე.

ახლა კი გვარი იოლად შეიძლება, განიმარტოს:¹⁰

გვარი არის ფლექსიური კატეგორია, რომლის გრამეტებიც განსაზღვრავენ ზმნის დიათეზის ისეთ მოდიფიკაციებს, რომლებიც გავლენას არ ახდენენ ამ ზმნის პროპრიეტიულ მნიშვნელობაზე.

ეს განმარტება ერთმანეთისაგან მიჯნავს გვარსა და შემდეგ სამ მოვლენას:

- (a) კაუზატივი (ზმნის პროპრიეტიულ მნიშვნელობას $L(X)$ უმატებს კომპონენტს „ Z იწვევს [რომ $L(X)$]“);
- (b) აპლიკატივი (მნიშვნელობას $L(X)$ უმატებს კომპონენტს „[$L(X)$] მოიცავს Z “);
- (c) და დეკაუზატივი (მნიშვნელობას $L(X)$, რომელსაც აქვს ფორმა „ X იწვევს, რომ (Y)“, აკლებს კომპონენტს „ X იწვევს“).

მოცემული დიათეზის მოდიფიკაცია მთიღება შემდეგი სამი ოპერაციის (operation) საშუალებით: (1) სიღრმისეულ-სინტაქსურ აქტანტთა გადანაცვლება (permutation) (სემანტიკურ აქტანტებთან მიმართებით); (2) სიღრმისეულ-სინტაქსურ აქტანტთა ჩახშობა-დაქვეითება (suppression); და (3) სემანტიკურ აქტანტთა რეფერენტული გაიგივება (referential identification). შევნიშნავთ, რომ ჩახშობა ნიშნავს ჩახშული სიღრმისეულ-სინტაქსური აქტანტის გამოხატვის შეუძლებლობას (ტექსტში სიღრმისეულ-სინტაქსური აქტანტის ფაკულტატიური გამოტოვება ჩახშობას არ წარმოადგენს); და სემანტიკურ აქტანტთა რეფერენტული გაიგივება გულისმობს ერთი სიღრმისეულ-სინტაქსური აქტანტის ჩახშობას მაინც.

დაახლოებით თუ ვიტყვით, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ხმარებისას გადანაცვლება წარმოქმნის ჰასივებს, ჩახშობა – სუპრესივებს (suppressives) და გაიგივება – რეფლექსივებს.¹¹ ეს პროცესები შეიძლება გავაერთიანოთ.

დავუშვათ, გვაქვს ორაქტანტიანი ზმნა, როგორიცაა, მაგალითად, [to] dress „იცვმს“ ან [to] shave „იპარსავს“, შემდეგი საბაზისო, ანუ ლექსიკოგრაფიული, დიათეზით:

X	Y
I	II

ამგვარი ბინარული დიათეზისათვის არსებობს 11 შესაძლო მოდიფიკაცია (=წარმოქმნილი ვარიანტები), პლუს ნულოვანი ვარიანტი. წარმოდგენილია ლოგიკურად შესაძლებელი ყველა ბინარული დიათეზა, მიღებული ორაქტანტიანი ზმნის საბაზისო დიათეზაზე ზემონახსენები სამი ოპერაციის მექანიკური გამოყენებით, აგრეთვე, თავად ეს საბაზისო დიათეზა (მოდელები 1-4 წარმოქმნილია ორი სიღრმისეულ-სინტაქსური აქტანტის შესაძლო გადანაცვლებით; მოდელები 5-16 – ჯერ Y-ის გამოხატვის ჩაბმობით, ხოლო შემდეგ – X-ის გამოხატვის ჩაბმობით, ბოლოს კი – როგორც Y-ის, ასევე X-ის გამოხატვის ჩაბმობით; მოდელები 17-20 წარმოადგენს X-სა და Y-ის რეფერენტულ გაიგივებას ერთ-ერთი ან ორივე მათგანის გამოხატვის ჩაბმობით):

- | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|-----|--|---|---|---|----|----|--|---|---|----|---|----|--|---|---|-----|----|----|--|---|---|----|-----|
| 1. | <table border="1" style="display: inline-table; vertical-align: middle;"><tr><td>X</td><td>Y</td></tr><tr><td>I</td><td>II</td></tr></table> | X | Y | I | II | 2. | <table border="1" style="display: inline-table; vertical-align: middle;"><tr><td>X</td><td>Y</td></tr><tr><td>II</td><td>I</td></tr></table> | X | Y | II | I | 3. | <table border="1" style="display: inline-table; vertical-align: middle;"><tr><td>X</td><td>Y</td></tr><tr><td>III</td><td>II</td></tr></table> | X | Y | III | II | 4. | <table border="1" style="display: inline-table; vertical-align: middle;"><tr><td>X</td><td>Y</td></tr><tr><td>II</td><td>III</td></tr></table> | X | Y | II | III |
| X | Y | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| I | II | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| X | Y | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| II | I | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| X | Y | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| III | II | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| X | Y | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| II | III | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
- | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|-----|---|---|---|---|---|----|--|---|---|----|---|-----|---|---|---|-----|---|----|--|---|---|----|---|
| 5. | <table border="1" style="display: inline-table; vertical-align: middle;"><tr><td>X</td><td>Y</td></tr><tr><td>I</td><td>–</td></tr></table> | X | Y | I | – | 6. | <table border="1" style="display: inline-table; vertical-align: middle;"><tr><td>X</td><td>Y</td></tr><tr><td>II</td><td>–</td></tr></table> | X | Y | II | – | *7. | <table border="1" style="display: inline-table; vertical-align: middle;"><tr><td>X</td><td>Y</td></tr><tr><td>III</td><td>–</td></tr></table> | X | Y | III | – | 8. | <table border="1" style="display: inline-table; vertical-align: middle;"><tr><td>X</td><td>Y</td></tr><tr><td>II</td><td>–</td></tr></table> | X | Y | II | – |
| X | Y | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| I | – | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| X | Y | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| II | – | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| X | Y | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| III | – | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| X | Y | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| II | – | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
- | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|----|--|---|---|---|----|-----|---|---|---|---|---|-----|--|---|---|---|----|------|---|---|---|---|-----|
| 9. | <table border="1" style="display: inline-table; vertical-align: middle;"><tr><td>X</td><td>Y</td></tr><tr><td>–</td><td>II</td></tr></table> | X | Y | – | II | 10. | <table border="1" style="display: inline-table; vertical-align: middle;"><tr><td>X</td><td>Y</td></tr><tr><td>–</td><td>I</td></tr></table> | X | Y | – | I | 11. | <table border="1" style="display: inline-table; vertical-align: middle;"><tr><td>X</td><td>Y</td></tr><tr><td>–</td><td>II</td></tr></table> | X | Y | – | II | *12. | <table border="1" style="display: inline-table; vertical-align: middle;"><tr><td>X</td><td>Y</td></tr><tr><td>–</td><td>III</td></tr></table> | X | Y | – | III |
| X | Y | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| – | II | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| X | Y | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| – | I | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| X | Y | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| – | II | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| X | Y | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| – | III | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
- | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|-----|---|---|---|---|---|-----|---|---|---|---|---|-----|---|---|---|---|---|-----|---|---|---|---|---|
| 13. | <table border="1" style="display: inline-table; vertical-align: middle;"><tr><td>X</td><td>Y</td></tr><tr><td>–</td><td>–</td></tr></table> | X | Y | – | – | 14. | <table border="1" style="display: inline-table; vertical-align: middle;"><tr><td>X</td><td>Y</td></tr><tr><td>–</td><td>–</td></tr></table> | X | Y | – | – | 15. | <table border="1" style="display: inline-table; vertical-align: middle;"><tr><td>X</td><td>Y</td></tr><tr><td>–</td><td>–</td></tr></table> | X | Y | – | – | 16. | <table border="1" style="display: inline-table; vertical-align: middle;"><tr><td>X</td><td>Y</td></tr><tr><td>–</td><td>–</td></tr></table> | X | Y | – | – |
| X | Y | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| – | – | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| X | Y | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| – | – | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| X | Y | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| – | – | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| X | Y | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| – | – | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
- | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|-------|---|-------|--|---|--|-----|--|-------|--|----|--|------|---|-------|--|-----|--|-----|---|-------|--|---|--|
| 17. | <table border="1" style="display: inline-table; vertical-align: middle;"><tr><td>X = Y</td><td></td></tr><tr><td>I</td><td></td></tr></table> | X = Y | | I | | 18. | <table border="1" style="display: inline-table; vertical-align: middle;"><tr><td>X = Y</td><td></td></tr><tr><td>II</td><td></td></tr></table> | X = Y | | II | | *19. | <table border="1" style="display: inline-table; vertical-align: middle;"><tr><td>X = Y</td><td></td></tr><tr><td>III</td><td></td></tr></table> | X = Y | | III | | 20. | <table border="1" style="display: inline-table; vertical-align: middle;"><tr><td>X = Y</td><td></td></tr><tr><td>–</td><td></td></tr></table> | X = Y | | – | |
| X = Y | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| I | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| X = Y | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| II | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| X = Y | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| III | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| X = Y | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| – | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |

დაჩრდილული ვარიანტები „უკანონოა“: ისინი ან არღვევენ სიღრმისეულ-სინტაქსურ აქტანტთა გადანომვრის პირობებს (ვარსკვლავიანები), ან კიდევ ემ-თხვევიან სიაში უკვე წარმოდგენილ სხვა ვარიანტებს (არალირებულია, რომელ განმეორებულ მათგანს შევინარჩუნებთ; მარტივად ვირჩევ პირველს). უკანონო ვარიანტების გამოკლება გაძლევს ლოგიკურად შესაძლებელ 12 ბინარულ დიათეზას: ამოსავალსა (რომელიც უკავშირდება ზმნის საბაზისო, ანუ ლექსიკოგრაფიულ, ფორმას) და 11 „წარმოქმნილს“; ეს ნიშნავს 12 დიათეზურ მოდიფიკაციას ნულოვანი მოდიფიკაციის ჩათვლით; იდეალურ შემთხვევაში შედეგად ვიღებთ ბინარული დიათეზისათვის გვარის 12 შესაძლებელ გრამეტას და განვიხილავთ თანმიმდევრობით.

გვარის კონკრეტული გრამემის მითითებისათვის გთავაზობთ შემდეგ ტერმინოლოგიას – პასივისათვის:

- (a) სრული [=ორმხრივი], თუ პასივი ზემოქმედებს სიღრმისეულ-სინტაქსურ აქტანტზე ($I \Rightarrow II$ და იმავდროულად $II \Rightarrow I$).
- (b) ნაწილობრივი [=ცალმხრივი], თუ პასივი ზემოქმედებს მხოლოდ ერთ სიღრმისეულ-სინტაქსურ აქტანტზე (მაგალითად, $I \Rightarrow III$, ხოლო II რჩება თავის ადგილზე და არცერთი სიღრმისეულ-სინტაქსური აქტანტი არ ხდება I).
- (c) დამწინაურებელი (Promotional), თუ პასივი აწინაურებს II სიღრმისეულ-სინტაქსურ აქტანტს I -ამდე, ავტომატურად აქვეითებს ყოფილ I სიღრმისეულ-სინტაქსურ აქტანტს („დაწინაურება“ ნიშნავს სიღრმისეულ-სინტაქსური აქტანტისათვის დაბალი რიცხვის მინიჭებას, „დაქვეითება“ მისი საპირისპიროა).
- (d) დამქვეითებელი (Demotional), თუ პასივი უბრალოდ აქვეითებს სიღრმისეულ-სინტაქსურ აქტანტს სხვა აქტანტის დაწინაურების გარეშე.
- (e) უაგენსო (Agentless), თუ პასივი კრძალავს აგენსის გამოხატვას, ე.ი. არ უშვებს აგენსურ დამატებას (სხვა თანამედროვე სახელწოდება ლიტერატურაში არის შეკვეცილი (truncated), მოკლე, პასივი).
- (f) უაციენსო (Patientless), თუ პასივი კრძალავს პაციენსის გამოხატვას. სუპრესივისა და რეფლექსივისათვის გთავაზობთ შემდეგ ტერმინოლოგიას:
- (g) უქვეძღვარო (Subjectless), თუ სუპრესივს/რეფლექსივს არ მოეპოვება ქვეძღვარე (= I სიღრმისეულ-სინტაქსური აქტანტი).
- (h) უდამატებო (Objectless), თუ სუპრესივს/რეფლექსივს არ მოეპოვება დამატება (II სიღრმისეულ-სინტაქსური აქტანტი).
- (i) აბსოლუტური (Absolute), თუ სუპრესივი ბლოკავს ორივე სიღრმისეულ-სინტაქსური აქტანტის გამოხატვას.

მაგალითად, უდამატებო რეფლექსივი აღნიშნავს რეფლექსიურ ფორმას, რომელიც უშვებს მხოლოდ აგენსის ქვეძღვარედ გამოხატვას (ფრანგ. Il se rase „იპარსავს“), ხოლო უქვეძღვარო რეფლექსივის დროს აგენსი გამოიხატება ან პირდაპირი, ან აგენსური დამატებით (იხ. ქვემოთ, 3.3.11, მაგალითი (13)).

მაგალითებში გვარის სახელწოდება და შესაბამისი მაჩვენებელი შავი შრიფტით არის გმოსახული. ქვეპარაგრაფის ნომერი შეესაბამება გადახომრილ უჯრედებს ზემოწარმოდგენილ გვარის პარადგიმაში, მაგალითად 3.3.1-ით ილუსტრირებულია პარადიგმის უჯრა 1.

3.3.1 „აქტიური“ : საბაზისო დიათეზის ნულოვანი მოდიფიკაცია.

X	Y	\Rightarrow	X	Y
I	II		I	II

ლათინური მაგალითი:

- (4) *Xenophōn-Ø agricultur-am lauda-ba-t-Ø.*
 ქსენოფონი-SG.NOM მიწათმოქმედება-SG.ACC განდიდება-IMPF-3SG-ACT
 ზედმ. „ქსენოფონმა [I, Subj, NOM] მიწათმოქმედება [II, DirO, ACC] ადიდა/ადიდებდა [ACT].“

3.3.2 „სრული დამტინაურებელი პასივი“ : სიღრმისეულ-სინტაქსურ აქტანტთა ორმხრივი გადანაცვლება.

X	Y	\Rightarrow	X	Y
I	II		II	I

მაგალითი კვლავ ლათინურიდან:

- (5) *A Xenophōnt-e agricultur-a lauda-ba-t-ur.*
 ქსენოფონის მიერ-SG.ABL მიწათმოქმედება-SG.NOM განდიდება-IMPF-3SG-PASS
 ზედმ. „ქსენოფონის მიერ [III, AgCo] მიწათმოქმედება [I, Subject, NOM] (გან)დიდ-და/დიდებოდა [FULL.PR.PASS]“.

3.3.3 „პასივის ნაწილობრივი დაქვეითება“ : I სიღრმისეულ-სინტაქსური აქტანტის სრული დაქვეითება (III-მდე), ხოლო II სიღრმისეულ-სინტაქსური ინარჩუნებს იმავე ადგილს ([It]is-shaving Alan by-John „იპარსება ალანი ჯონის მიერ“).

X	Y	\Rightarrow	X	Y
I	II		III	II

ეს ტიპი შეიძლება უკრაინულიდან ილუსტრირდეს:

- (6) *Mh-oio ბy-л-o сплаче-ho*
 მე-INSTR ყოვნა-PAST-SG.NEU გადახდა-PART.DEM.PASS
 უ-ю ცум-y.
 ეს-FEM.SG.NOM საფასური-SG.ACC
 „ეს საფასური გადახდილ იქნა ჩემ მიერ.“, ზედმ. „ჩემ მიერ [III, AgCo, INSTR] გადახდილ იქნა [PART.DEM.PASS] ეს საფასური [II, DirO, ACC]“.

3.3.4 „სრული დამქვეითებელი პასივი“ : ორივე I და II სიღრმისეულ-სინტაქსურ აქტანტთა წმინდა დაქვეითება (‘[There] is-shaving by-John at-Alan’ „იპარსება ბაზარის მიერ ალანზე“).

X	Y	\Rightarrow	X	Y
I	II		II	III

გერ მივაგენი ამ გვარის უტყუარ მაგალითებს. ეს შეიძლება იყოს ჩემი მონაცემების ნაკლებობის ბრალი – ან ორმაგი დაქვეითების დაუშვებლობა, ფსიქოლოგიური სირთულე. ეს იმ სიტუაციას გამოხატავს კარგად, როდესაც მაგალითის სახით დაუდასტურებელი უჯრედი აღრიცხვაში წამოჭრის მასტიმულირებელ საკითხებს.

3.3.5 „უკვემდებარო სუპრესივი“ : I სირლმისულ-სინტაქსური აქტანტის ჩახშობა, ე. ი. იმ აქტანტის ჩახშობა, რომელიც უნდა გახდეს ქვემდებარე (თჰერე-ის-სპავინგ Alan „ალანი იპარსება“).

$$\begin{array}{|c|c|} \hline X & Y \\ \hline I & II \\ \hline \end{array} \Rightarrow \begin{array}{|c|c|} \hline X & Y \\ \hline - & II \\ \hline \end{array}$$

ესტონური გვთავაზობს ამ ტიპის მაგალითს:

- (7) *Ehita-ta-kse* *sild-a.*
 შენიშვნა-SBJL.SUPPR-PRES ხილი-SG.PART
 „ხილი შენიშვნა.“, ზედ. ‘Be-building [SUBJLESS.SUPPR] bridge [III, DirO, PART]’.

3.3.6 „უდამატებო სუპრესივი“ : II სიღრმისულ-სინტაქსური აქტანტის ჩახშობა, ე. ი. იმ აქტანტისა, რომელიც უნდა გახდეს პირდაპირი დამატება (John is-shaving [somebody] „ჯონი პარსავს [ვიღაცას]“).

$$\begin{array}{|c|c|} \hline X & Y \\ \hline I & II \\ \hline \end{array} \Rightarrow \begin{array}{|c|c|} \hline X & Y \\ \hline I & - \\ \hline \end{array}$$

აპაპანტილა ტოტონაკი (Apapantilla Totonac) ილუსტრირებს ამ ტიპს, რომელშიც შეუძლებელია დამატების გამოხატვა:

- (8) a. *ø-ø-tamāwá* *pancín.* b. *ø-tamāwa-nán.*
 3SG.SUBJ-3OBJ-ყიღვა პური 3SG.SUBJ-ყიღვა-OBJ.SUPP
 „ყიღვლობს პურს.“ „ყიღვლობს [OBJLESS.SUPPR].“

3.3.7 „აბსოლუტური სუპრესივი“ : როგორც I, ასევე II სიღრმისეულ-სემანტიკური აქტანტის ჩახშობა (თქერე-ის-ცომბინგ „ივარცხნება“).

$$\begin{array}{|c|c|} \hline X & Y \\ \hline \hline I & II \\ \hline \end{array} \Rightarrow \begin{array}{|c|c|} \hline X & Y \\ \hline \hline - & - \\ \hline \end{array}$$

ეს ტიპი წარმოდგენილია გერმანულში:

- (9) *Hier wird viel ge-les-en.*
 აქ ხდება ბევრი PAST.PTCP-კითხვა-PAST.PTCP
 „აქ (ხალხი) ბევრს კითხულობს.“, ზედ. „აქ ხდება ბევრი კითხვა.“

3.3.8 „უაგენსო დამწინაურებელი პასივი“ : სიღრმისეულ-სინტაქსურ აქტანტთა გადანაცვლება „ახალი“ II სიღრმისეულ-სინტაქსური აქტანტის ჩახშობით – რო-მელიც შეისაზყვისება X-ს (Alan is-being-shaved „ალანი იპარსება“).

$$\begin{array}{|c|c|} \hline X & Y \\ \hline I & II \\ \hline \end{array} \Rightarrow \begin{array}{|c|c|} \hline X & Y \\ \hline - & I \\ \hline \end{array}$$

ეს ტიპი შეიძლება ილუსტრირდეს შემდეგი არაბული მაგალითით, სადაც აგენტური დამატების გამოყენება შეუძლებელია:

- (10) *Al-džisr-u j-u-bn-a-f-u*
 DEF-ზიდი-NOM 3SG-PASS-შენება-PASS-შენება-3SG.MASC
 „ზიდი შენდება.“

3.3.9 „უპაციენსო დამქვეითებელი პასივი“ : სიღრმისეულ-სინტაქსურ აქტანტთა გადანაცვლება „ახალი“ I სიღრმისეულ-სინტაქსური აქტანტის ჩახშობით – რომელიც უნდა შეესატყვისებოდეს Y-ს ([It] is-being-shaved by-John „იპარსება ჯონის მიერ“).

X	Y
I	II

 \Rightarrow

X	Y
II	-

გერმანული გამოხატვებს ამ ტიპს:

- (11) *Von Politiker-n wird hier geg-ess-en.*
 მიერ პოლიტიკოსი-PL.DAT ხდება აქ PAST.PTCP-ჭამა-PAST.PTCP
 „პოლიტიკოსები ჭამენ აქ.“, ზედმ. „პოლიტიკოსების მიერ [II, AgCo] ხდება აქ ნაჭამი.“

3.3.10 „უდამატებო რეფლექსივი“ : სემანტიკურ აქტანტთა რეფერენტული გაიგივება II სიღრმისეულ-სინტაქსური აქტანტის ჩახშობით (John is-self-shaving „ჯონი იპარსავს“).

X	Y
I	II

 \Rightarrow

X = Y
I

ეს ტიპი რუსულით შეიძლება ილუსტრირდეს:

- (12) *omeč-ə priyčēsъiva-ə-em-sja.*
 მამა-SG.NOM ვარცხნა-PRES-3SG-REFL
 „მამა ივარცხნის.“, ზედმ. ‘Father is-combing-self.’

3.3.11 „უქვემდებარო რეფლექსივი“ : სემანტიკურ აქტანტთა რეფერენტული გაიგივება I სიღრმისეულ-სინტაქსური აქტანტის ჩახშობით (‘By-John [it] is-self-shaving’ „ჯონის მიერ თვითონ ივარცხნება“).

X	Y
I	II

 \Rightarrow

X = Y
II

ეს ლიტვურს შეუძლია გამოხატოს:

- (13) *Jon-o su-si-šukuo-t-a.*
 ოონასი-SG.GEN ვარცხნა-REFL-ვარცხნა-PASS.PART-NEU.SG
 „იონასიმა თმა დაივარცხნა.“, ზედმ. „იონასის მიერ [II, AgCo, GEN] თვითონ დავარცხნილია [SUBJLESS.REFL].“

3.3.12 „აბსოლუტური რეფლექსივი“ : სემანტიკურ-აქტანტთა გაიგივება როგორც I, ასევე II სიღრმისეულ-სინტაქსურ აქტანტთა ჩახშობით (There-is-self-shaving „თვითვარცხნაა“).

X	Y
I	II
-	

ეს ტიპი მოიძებნება პოლონურში:

(14) *Uczesa-no* *sie.*

ვარცხნა-SBJL.SUPPR REF

„ზოგიერთმა ადამიანმა თმა დაივარცხნა.“, ზედმ. ‘Has-self-combed’.

გვარის შესაძლებელ გრამეტათა ინვენტარი წარმოადგენს სათანადო წინაპირობას გვარის კერძო სისტემათა შესწავლისათვის. ეს არის ზოგადი სქემა, რომლის მეშვეობითაც შეიძლება კონკრეტულ ენათა კერძო გვარები შემოწმდეს და დახასიათდეს. რა თქმა უნდა, ეს ინვენტარი ვერ გამორიცხავს ყველა სირთულეს; პირიქით, წარმოლენილი სიღრმისეული ანალიზის გამო უფრო მეტი გადაუჭრელი საკითხი აშკარავდება. შევეხები სამ ყველაზე საყურადღებო საკითხს:

პირველი, ზოგიერთ ენაში გვარის ზოგიერთი გრამეტა შეიძლება კომბინირდეს და გამოიხატოს ერთი და იმავე სიტყვაფორმით, რომელიც გვარის რამდენიმე განსხვავებულ კატეგორიას ადასტურებს. ამგვარად, (13)-ში პასივის მიმღების მაჩვენებელი -t- კომბინირდება რეფლექსიურ მაჩვენებელთან -si- და ისინი ერთად გამოხატავენ უქვემდებარო რეფლექსივს. თუ ვინმე მისდევს მკაცრად ლოგიკურ მიდგომას, მაშინ პასივები, სუპრესივები და რეფლექსივები უნდა განვასხვაოთ როგორც სხვადასხვა ფლექსიური კატეგორია ისე, რომ ტერმინი გვარი გამოყიდნოთ მხოლოდ ოპოზიციისათვის „აქტივი“ პასივი“. მაგრამ, რადგანაც კომბინაციები, რომლებიც გვხვდება ლიტვურში, არ არის ფართოდ გავრცელებული, იქნებ ვცადოთ შევინარჩუნოთ ყველა აღწერილი გრამეტა ერთ იდეალური ფლექსიური კატეგორიის ფარგლებში და ვიხმაროთ როგორც „ეტალონი“ (measuring stick) კერძო აღწერებისათვის? ამგვარად, ფრანგულსა და რუსულში აზრი არ აქვს, განვასხვაოთ ოპოზიციები: „აქტივი“ ~ „პასივი“ და „არარეფლექსივი“ ~ „რეფლექსივი“ – როგორც ორი განსხვავებული ფლექსიური კატეგორია, რადგანაც პასივისა და რეფლექსივის კომბინირება შეუძლებელია ერთსა და იმავე სიტყვაფორმაში. მოუხდავად ამისა, გერმანულში პასივი და რეფლექსივი კომბინირებენ: *Es wird sich um eine Lösung bemüht*, ზედმ. „უსიამოვნების შეხვედრა იყო გადაწყვეტისათვის“ = „ბევრი უსიამოვნება შეხვდათ პრობლემის გადასაწყვეტად“ ან *Hier wird sich jeden Tag rasiert*, ზედმ. „აქ არის თვითვაპარსვა ყოველდღე“ = „აქ ყოველდღე ვიღაც იპარსავს“. მაშასადამე, ამ ენისათვის უნდა დაუშვან გვარის კატეგორია და მისგან დამოუკიდებელი რეფლექსივის კატეგორია.

მეორე, ჩვენი მოთხოვნა, რომ გვარი არ უნდა ზემოქმედებდეს პროპოზიცი-ულ მნიშვნელობაზე, რა თქმა უნდა, ზედმეტად ხისტია. ამგვარად, პასივის გა-მოკვეთილი შემთხვევები, რომლებიც გულისხმობენ „ადამიანურ საქმიანობას“, „კონტროლის უქონლობას“, „საზიანო ეფექტს“ (adverse effects), საყოველთაოდ ცნობილია. ჩვენ გვჭირდება უფრო მეტად მოქნილი ფორმულირება, რომელიც კრძალავს პროპოზიციული მნიშვნელობის მთავარ ცვლილებებს და რომელიც უზრუნველყოფილია შემდეგი განმარტებით: რა წარმოადგენს მთავარ ცვლილებას (გვარისათვის დასაშვები) უმნიშვნელო ცვლილების საპირისპიროდ.

მესამე, ზემოგანხილული აღრიცხვა ჩამოყალიბდა მხოლოდ ბინარული დია-თეზისათვის მაშინ, როცა, პრინციპში, გვარი შეიძლება გამოიყენებოდეს, ერთი მხრივ, ერთვალენტიანი ზმნებისათვის (ე.ი. გარდაუვალებისათვის: **I** ⇒ **II** დაქვეი-თება და **I** ⇒ – ჩახშობა), ხოლო, მეორე მხრივ, პოლივალენტური (plurivalent) ზმნებისათვის, სამრევრიანი (ternary) და უფრო რთული დიათეზებიანისათვის (ამ-გვარად, ჩვენ ვაწყდებით ფრანგულ გვარს – ირიბ რეფლექსივს – რომელიც შე-საძლებელია მხოლოდ სამრევრიანი დიათეზისათვის). მაშასადამე, აღრიცხვის უფ-რო მდიდარი ვერსია არის საჭირო.

იმისათვის, რომ ვაჩვენოთ, მორფოლოგიური აღწერისას როგორ ეხმარება მკვლევარს შემოთავაზებული ცნებები პრაქტიკული საკითხების გადასაჭრელად, წარმოვადგენ ორი ცალკეული შემთხვევის კვლევას (case studies). პირველი, გან-ვიხილავ გვარის მსგავს მოვლენას, რომელსაც გვარად ხშირად მიიჩნევენ მაშინ, როცა, გვარის ჩემეული განმარტების თანახმად, ეს მოვლენა გვარს არ განეკუთ-ვნება (ვგულისხმობ, ე.წ. „ანტიპასივს“); და მეორე, მოკლედ მიმოვიხილავ გვარ-თა სისტემას ფრანგულში.

4. გვარის მსგავსი ფლექსიური კატეგორია: დეტრანზიტივაცია (resp. ანტიპასივი)

ნება მომეცით, დავიწყო ერთ-ერთი ჩუკოტკურ-კამჩატკური ენიდან, ჩუკოტ-კურიდან (Chukchee), აღებული მაგალითით (კოზინსკი და სხვა (1988); მრგვა-ლი ფრჩხილები მიუთითებენ წინადადების (clause) ფაკულტატიურ ელემენტებს):

- | | |
|---|--------------------------------------|
| (15) a. <i>Γəm-nan</i> | <i>tə-ret-ərkən-θ</i> |
| θə-INSTR | 1SG.SUB-გადაზიდვა-PRES-3SG.OBJ |
| <i>kimit?ən</i> | (<i>tom y-eta</i>). |
| ტვირთი-SG.NOM | მეგობარი-SG.PL.DAT |
| ‘მე [= I] ვუზიდავ ტვირთს [= II] (მეგობრ(ებ)ს [= III])’: აზლა ვაკეთებ. | |
| b. <i>Γəm-θ</i> | <i>t-inə-ret-ərkən</i> |
| θə-NOM | 1SG.SUB-‘antipassive’-გადაზიდვა-PRES |

(*kimit?*-e) (to my-*etə*).
 ტვირთი-SG.INSTR მეგობარი-SG/PL.DAT
 ‘მე [= I] ვუზიდავ (ტვირთს [= III]) (მეგობარი-
 საქმიანობაა).

(15a) ასახავს ერგატიულ კონსტრუქციას, რომელიც ობლიგატორულია ჩუ-
კოტკურში აქტიური გარდამავალი ზმნისათვის: ქვემდებარე „მე“ ინსტრუმენტა-
ლისშია (instrumental), ხოლო პირდაპირი დამატება „დატუროთვა“ – ნომინატივ-
ში (NB: ჩუკოტკურის თანამედროვე აღწერებში ჩემს ნომინატივს ხშირად ეწო-
დება აბსოლუტივი, ხოლო ჩემს ინსტრუმენტალისს – ერგატივი). (15b) გამოხა-
ტავს ნომინატიურ კონსტრუქციას, რომელიც მხოლოდ გარდაუკალი ზმნებისთვის
არის შესაძლებელი: ქვემდებარე, რომელიც კვლავ არის „მე“, დას ნომინატივში;

(15a)-ს პირდაპირი დამატება „ტვირთი“ გახდა უბრალო დამატება ინსტრუმენტა-
ლისში და, ამგარად, დაკარგა გამოკვეთილი, არსებითი პოზიცია (salience);
ორივე დამატება არის ფაკულტატიური. პრეფიქსი ina-/ine- გამოხატავს ზმნის
ვალენტობის ცვლილებას, რომელსაც ამჟამად უწოდებენ „ანტიპასივს“ (ეს ცნება
და ტერმინი უკავშირდება სილვერსტინის ნაშრომს (1972)). სახელწოდება გამო-
იყენება იმ თვალსაზრისის თანახმად, რომ ამგარი მოდიფიკაცია, ina-/ine- აფიქ-
სით მარკირებული, პასივის შებრუნებული მდგომარეობაა: მაშინ, როცა პასივი
აქვეითებს ქვემდებარეს, „ანტიპასივი“ აქვეითებს პირდაპირ დამატებას; ამავე
დროს, როგორც პასივი, ასევე „ანტიპასივი“, გარდამავალ ზმნას გარდაუკალად
აქცევს. შედეგად, „ანტიპასივი“ მიიჩნევა გვარად. მიუწედავად ამისა, თუ შევა-
მოწმებთ (15b)-ის მონაცემებს გვარის ჩვენეული განმარტების მიხედვით, დავინა-
ხავთ, რომ „ანტიპასივი“ სრულებითაც არ წარმოადგენს გვარს: არ ცვლის
ზმნის დიათეზას. (15b)-ში I სიღრმისეულ-სინტაქსური აქტანტი კვლავნდებუ-
რად შეესატყვისება X-ს – სემანტიკურ მოქმედს (Actor), ხოლო II სიღრმისე-
ულ-სინტაქსური აქტანტი Y-ს – გადაადგილებულ დამატებას (Object Moved),
როგორც ეს (15a)-შია. „ანტიპასივი“ უკავშირდება შემდეგი ხასიათის ცვლილე-
ბებს: 1) II სიღრმისეულ-სინტაქსური აქტანტის ზედაპირულ-სინტაქსურ რეალი-
ზაცია (ყველაზე დაწინაურებული, გამორჩეული (prominent) პირდაპირი დამატე-
ბის ნაცვლად რეალიზებულია დაქვეითებული, უმნიშვნელო (non-prominent) უბ-
რალო დამატებით) და 2) ქვემდებარის მორფოლოგიური ფორმა (ინსტრუმენტა-
ლისის ნაცვლად მარკირებულია ნომინატივით). შედეგად, უნდა ვცნოთ, რომ „ან-
ტიპასივი“ არის ფლექსური კატეგორიის გრამეტა, მაგრამ არ მიუწოდება
გვარს. მას შეიძლება, ეწოდოს, მაგალითად, დეტრანზიტივაცია (detransitivation)
ორი გრამეტით: „ტრანზიტივატივი“, „დეტრანზიტივატივი“ (transitivative, det-
rtransitivative). მაშასადამე, „ანტიპასივი“ არის დეტრანზიტივატივი (შდრ. დეტრან-
ზიტივატივის ნავარაუდევი შემთხვევა მამი ენაში, 2.1, (1b)). უმჯობესია, უარი

ვთქვათ ტერმინ „ანტიპასივზე“, რადგან ამას შედეგად მოჰყვება ზედმეტი გაუგებრობა შემდეგი სამი მიზეზის გამო:

პირველი, „ანტიპასივი“ არ წარმოადგენს პასივის ფუნქციურად შებრუნებულ მდგომარეობას: მათვისაც კი, ვინც ამ ტერმინს იცავს, პასივი აუცილებლობით აქვეითებს ქვემდებარეს, ხოლო „ანტიპასივი“ აგრეთვე – პირდაპირ დამატებასაც; როგორც პასივი, ასევე „ანტიპასივი“, არიან დამქვეითებლები (demoter), ამიტომ ტერმინი **ანტიპასივი** შეუფერებელი ჩანს;

მეორე, ტერმინებს – პასივა და ანტიპასივს არ მოეპოვებათ ერთნაირი გავრცელება: პასივი შეიძლება მიემართებოდეს გარდაუვალ ზმნებსაც მაშინ, როცა „ანტიპასივისათვის“ ეს შეუძლებელია განმარტების თანახმად („ანტიპასივი“ აქვეითებს პირდაპირ დამატებას, გარდაუვალ ზმნას კი არ მოეპოვება პირდაპირი დამატება);

მესამე, პასივი მიემართება სიღრმისეულ-სინტაქსურ დონეს მაშინ, როცა „ანტიპასივი“ – ზედაპირულ-სინტაქსურ დონეს.

უფრო მეტი სიცხადისათვის ნება მომეცით, დავიმოწმო დეტრანზიტივატივის კიდევ ერთი მაგალითი, ამჯერად დაღესტნური ენიდან – დარგუულიდან (Dargwa):

- | | | | |
|------|----------------------------|-------------------|---------------------------|
| (16) | a. <i>Neš-li</i> | <i>gazet-ø</i> | <i>b-uč'-uli</i> |
| | დედა-SG.ERG | გაზეთი-SG.NOM | OBJ.SG.NON.HUM-კითხვა-GER |
| | <i>sa-ri</i> | | |
| | ყოფნა-SUB.SG.FEM | | |
| | „დედა კითხულობს გაზეთს.“ | | |
| | b. <i>Neš-ø</i> | <i>(gazet-li)</i> | <i>r-uč'-uli</i> |
| | დედა-SG.NOM | გაზეთი-SG.ERG | SUB.SG.FEM-კითხვა-GER |
| | <i>sa-ri</i> | | |
| | ყოფნა-SUB.SG.FEM | | |
| | „დედა კითხულობს (გაზეთს).“ | | |

ამ მაგალითში ზმნა არის გარდამავალი, ქვემდებარე „დედა“ დგას ერგატივში, ხოლო პირდაპირი დამატება „გაზეთი“ – ნომინატივში. ზმნა ეთანხმება კლასში (nominal class) როგორც ქვემდებარეს (დამხმარე ნაწილის საშუალებით, ანუ *-r(i)* სუფიქსით კოპულაში), ასევე პირდაპირ დამატებას (ლექსიკური ნაწილის საშუალებით, ანუ *b-* პრეფიქსით გერუნდივში); პირდაპირი დამატების გამოტოვება შეუძლებელია. ეს არის ტიპური ერგატიული კონსტრუქცია, ერთადერთი შესაძლებელი კონსტრუქცია დარგუულში გარდამავალი ზმნებისათვის პირდაპირი დამატებით.

(16b)-ში ზმნა გარდაუვალია, ქვემდებარე (კვლავ „დედა“) დგას სახელობით-ში მაშინ, როცა „გაზეთი“, რომელიც გახდა უბრალო დამატება (რომელიც კვლავ **II** სიღრმისეულ-სინტაქსური აქტივში) – ერგატივში. ზმნა ეთანხმება მხოლოდ ქვემდებარეს ახლა უკვე მისი ორივე ნაწილით (*-r(i)* სუფიქსი კოპულა-

ში და *r-* პრეფიქსი გერუნდივში); უბრალო დამატება ფაკულტატიურია. ეს არის ნომინატიური კონსტრუქცია; ზმნა ამგვარ კონსტრუქციებში არის გარდაუვალი.²

(16b) წარმოადგენს დეტრანზიტივატივის მორიგ შემთხვევას: ზმნის მართვის მოდელი, მაგრამ არა მისი დიათეზა, იცვლება იმგვარად, რომ განსახილველი გრამეტერი შეუძლებელია იყოს გვარი. ეს დეტრანზიტივატივი, ძალზე ტიპური და-დესტრუქტური ენბისათვის, გამოიხატება მორფოლოგიური კონვერსიით (=ზმნის სინტაქტიკის ცვლილებით: მახასიათებელს „ტრანს“ (trans) ენაცვლება „ინ-ტრანსი“ (intrans)).

5. გვარი ფრანგულში

5.1 ნაცვალსახელური ზმნები ფრანგულში

იმისათვის, რომ დავადგინოთ გვართა სიმრავლე ფრანგულში, უპირველეს ყოვლისა, გულდასმით უნდა შევამოწმოთ ფრანგული „ნაცვალსახელური“ ზმნები, ე.ო. ზმნები, რომლებსაც თან ახალავს რეფლექსიური ნაცვალსახელის სახელწოდებით ცნობილი SE ≈ „თავისი თავი“. ფაქტობრივად, ეს აუცილებელია იმისათვის, რომ ვაჩვენო: „ნაცვალსახელური“ ზმნა წარმოადგენს გვარის ფორმას და არა ზმნას ნაცვალსახელური დამატებით. შეადარეთ ორი ფრანგული წინადადება (17)-ში:

(17) a. *Je me rase.*

„ვიპარსავ (საპუთარ თავს)“ ზედმ. „ვიპარსავ მე“.

b. *Jean me rase*

„ჟანი მპარსავს მე“.

(17a)-სა და (17b)-ში ჩვენ ვხედავთ ორ სხვადასხვა *me* სიტყვაფორმას, რომლებიც წარმოადგენ 1-ლი პირის მხოლობითი რიცხვის ნაცვალსახელურ კლიტიკებს, მაგრამ განეკუთვნებიან ორ სხვადასხვა ლექსემას:

(17a)-ში *me* არის SE ლექსემის ერთ-ერთი ლექსა, რომელიც (თუმცა მას საზოგადოდ, რეფლექსიურ ნაცვალსახელს უწოდებენ) არ არის ნაცვალსახელი, ამ ტერმინის ვიწრო გაგებით, იხ. უშუალოდ ქვემოთ;

(17b)-ში *me* არის MOI „მე“ ლექსემის ლექსა – პირის ნამდვილი ნაცვალსახელი. (17b)-ში *me* არის ზმნის პირდაპირი დამატება; (17a)-ში ეს ასე არ არის. აქ *me* არის მხოლოდ RASER „გაპარსვა“ ზმნის ერთ-ერთი ფლექსიური ფორმის მაჩვენებელი, სახელდობრ, რეფლექსიური გვარისა; ეს არის არა ნამდვი-

² *Nešli ruč'uli sari* „დედა კითხულობს“ არაგრამატიკულია. წინადადება *Nešli buč'uli sari* ნიშნავს „დედა კითხულობს მას“: მისი სინტაქსური კონსტრუქცია შეიცავს ნაცვალსახელვან დამატებას (object pronoun), რომელიც, თუმცა (კვაზი) ობლიგატორულად გამორიცხულია (elide) ზედაპირზე ნებისმიერ კონტექსტში, როცა რეფერენტი ცხადია, *b-* დამატების პრეფიქსი მას ასახავს ზმნის ლექსიკურ ნაწილში).

ლი ნაცვალსახელი, არამედ „დამხმარე“ სიტყვა (ეს ფაქტი გამოირკვა გრიმშოუს ნაშრომში, 1982:107).

me-ს ორი სიტყვაფორმის ერთმანეთისაგან განსხვავებას მივყავართ, ერთ მხრივ, „ნამდვილი“ ნაცვალსახელების MOI, TOI, LUI, ..., რომ მეორე მხრივ, SE ლექსების ერთმანეთისაგან განსხვავებამდე. ეს შეხედულება შეიძლება განამტკიცოს ნაცვალსახელური სიტყვაფორმებისა და SE სიტყვაფორმების შემდეგმა შვიდმა ქცევითმა განსხვავებამ:

1. დამხმარე *ÊTRE*. პირველი *me*, მაგრამ არა მეორე (ე.ი. SE, მაგრამ არა ნამდვილი ნაცვალსახელები), მოითხოვს, რომ ანალიზურმა ზმნურმა ფორმამ იხ-მაროს დამხმარე *ÊTRE* „ეოფნა“ და არა *AVOIR* „ქონა“. ფრანგულში გარდამავალი ზმნა იუღვლის რთულ დროებში (compound tenses) დამხმარე *AVOIR*-ით, მაგრამ (17a)-ში დამხმარე უნდა იყოს *ÊTRE*:

(18) a. *Je me suis* (**a*) *rasé*.

„თავი გავიპარსე“ [ზედმ. „გარ გაპარსული“].

b. *Jean m'a* (**est*) *rasé*.

„ჟანმა გამპარსა.“

2. კოორდინაცია. (17b)-ში *me* ტონური მოი ფორმის ქვეშ – შეიძლება შეურთდეს სახელს, მაგრამ არა (17a)-ში:

(19) a. **Je nous rase, moi et mon frère*.

„ჩემს თავსა და მმას ვპარსავ“.

[მართებული გამოთქმა არის: *Je me rase, et je rase mon frère*].

b. *Jean nous rase, moi et mon frère*.

„ჟანი გვპარსავს მე და ჩემს მმას“.

(ქართული გლოსის იდეალური გრამატიკულობა (19a)-ში აჩვენებს, რომ ინგლისურში *MYSELF* „მე თვითონ“ არის წინადადების (clause) ჩვეულებრივი ელემენტი – ქვემდებარის კორეფერანტული პირდაპირი დამატება; ფრანგულში კი უდავოა ზმნის კონკრეტული ფლექსიური ფორმა).

3. ფოკუსირება (Focalization). (17a)-ში *me*-ს ფოკუსში მოქცევა შეუძლებელია გათიშვით (cleft) ან *ne ... que* „მხოლოდ“ კონსტრუქციით მაშინ, როცა (17b)-ში შესაძლებელია, შდრ. (20):

(20) a. **C'est moi que je rase. / *Ce n'est que moi que je rase*.

„მე გავიპარსე ჩემი თავი“ / „მხოლოდ მე გავიპარსე“.

b. *C'est moi que Jean rase. / Jean ne rase que moi*.

„მე მპარსავს ჟანი“ / „ჟანი მხოლოდ მე მპარსავს“.

(17a)-ში *me*-ს ფოკუსირების შეუძლებლობა ბუნებრივად გამომდინარეობს იმ ფაქტიდან, რომ ეს არ არის წინადადების (clause) ელემენტი და არ აქვს დამთუკიდებელი რეფერანტი: ასე ვთქვათ, არაუგრია დასაფოკუსირებელი.

4. კაუზატიური კონსტრუქცია. ფრანგულში თუ გარდამავალი ზმნა V აღ-მოჩნდება კაუზატიურ კონსტრუქციაში FAIRE „კეთება“ დამხმარე ზმნით, მისი პირდაპირი დამატება რჩება კაუზატიური კონსტრუქციის პირდაპირ დამატებად, ხოლო V-ს ქვემდებარე ხდება კაუზატიური კონსტრუქციის ირიბი ან უბრალო დამატება. ამას ვხედავთ (17b)-ს წინადადებათა ტიპებისათვის, მაგრამ არა (17a)-ს წინადადებათა ტიპებისათვის:

(21) a. *Marie le fait se raser.*

[*le = Il se rase*-ის „ის პარსავს“ ქვემდებარე]
„მარი მას თავს აპარსვინებს“.

ან

b. *Marie fait se raser Jean.*

„მარი უანს თავს აპარსვინებს“.
**Marie se fait raser Jean.*›

vs.

c. *Marie le fait raser à/par Jean.*

[*le = Jean le rase*-ის „უანი პარსავს მას“ პირდაპირი დამატება]
„მარი უანს მას აპარსვინებს“.

ან

d. *Marie fait raser Alain à/par Jean.*

„მარი უანს ალენს აპარსვინებს“.
**Marie fait le raser par Jean.*›

SE RASER იქცევა როგორც გარდაუვალი ზმნა, მისი ქვემდებარე ხდება FAIRE-კონსტრუქციის პირდაპირი დამატება. ამავე დროს, SE-ს ლექსათა პოზიცია უნდა იყოს FAIRE-სა და ლექსიკური ზმნის ინფინიტივს შორის – როგორც ეს არის (21a)-ში მაშინ, როცა ნამდვილი ნაცვალსახელური კლიტიკბი შეიძლება მხოლოდ უსწრებდნენ FAIRE-ს, როგორც ეს არის (21b)-ში. ეს არის კიდევ ერთი მიმანიშნებელი იმისა, რომ (17a)-ში *me* ∈ SE არის არა გარდამავალი ზმნის პირდაპირი დამატება, არამედ გვარის მაჩვენებელი (შდრ. გრიმშოუ 1982:120).

5. „X-ც ამგვარად შვრება“ (X does so too) კონსტრუქცია. ფრანგულში (17b)-ში *me* შეიძლება დამოუკიდებლად იყოს გამიზნული „X-ც ამგვარად შვრება“ გამოთქმის ფრანგული ეკვივალენტის საშუალებით, მაგრამ არა *me* (17a)-ში:

(22) a. *Je me rase tous les matins, et Alain aussi tout comme Alain.*

„ყოველ დილით ვიპარსავ და ალენის იქცევა ამგვარად <ალენის მსგავსად>“
(ეს ნიშნავს, რომ ალენი თავის თავს იპარსავს და არა მე)

b. *Marie me rase tous les matins, et Alain aussi tout comme Alain.*

„მარი მპარსავს ყოველ დილით და ალენიც იქცევა ამგვარად <ალენის მსგავსად>“
(ეს ნიშნავს, რომ მარისთან ერთად ალენიც მპარსავს)

6. იმპერსონალიზაცია. ფრანგულში პირდაპირდამატებიანი ზმნა შეუძლებელია აღმოჩნდეს უპირო კონსტრუქციაში, რომელიც შესაძლებელია გარდაუვალ

ზმნათა მოზრდილი კლასისათვის, პასივთა ჩათვლით; მაგრამ ზმნა SE-ს ლექსათი ადვილად ხდება უპირო, რაც კვლავ აჩვენებს, რომ SE არ არის პირდაპირი და-მატება (იხ. გრიმშოუ 1982:113):

- (23) a. *Des milliers de pélérins se baignent dans le Gange.*

„ათასობით მომლოცველი მდინარე განგში ბანაობს“.

- b. *Il se baigne dans le Gange des milliers de pélérins.*

„ბანაობს მდინარე განგში ათასობით მომლოცველი“

(ზედმ. „თვითონ ბანაობს მდინარე განგში ათასობით მომლოცველი“)

- c. *Les mères baignent leurs enfants.*

„დედები თავიანთ ბავშვებს აბანავებენ“.

- d. **Il baigne les mères leurs enfants.*

(ზედმ. „აბანავებენ დედები თავიანთ ბავშვებს“).

7. ქვემდებარის ინვერსია დამამთავრებელ წინადადებაში (Completive Clause). ფრანგულში (ვერლი 1986:273) გარდაუვალი ზმნა დამატებისა (Objects) ოუ კომპლემენტის (Complements) გარეშე უშვებს ქვემდებარის წრფივ ინვერსიას დამოკიდებულ წინადადებაში (24 a, c) მაშინ, როცა დამატებიანი (ოუნდაც კლი-ტიკით გამოხატული) ზმნა – არა (24 b, d):

- (24) a. *Je me demande comment s'est rasé Paul.*

„მაინტერესებს როგორ გაიპარსა პოლმა თავისი თავი“.

- b. ??*Je me demande comment les a rasés Paul.*

„მანტერესებს როგორ გაპარსა პოლმა ისინი“.

- c. *J'ignore où se rencontreront nos amis.*

„არ ვიცი, სად შეხვდებიან ჩვენი მეგობრები“.

- d. ??*J'ignore où les rencontreront nos amis.*

„არ ვიცი, სად შეხვდებიან ჩვენი მეგობრები მათ“.

პირის ნაცვალსახელისა და SE-ს ლექსათა ქცევის ზემოგანხილული შვიდი შემთხვევა აჩვენებს, რომ ორი SE ლექსა ნამდვილად წინადადების (clause) სხვა-დასხვა ელემენტია: ანუ, უფრო ზუსტად, ნაცვალსახელური დამატებები ფუნქცი-ურად აფიქსთა მსგავსი ანალიზური მარკერებია. რადგანაც სტანტიკური და სინ-ტაქსური დამოკიდებულება RASER et SE RASER-ს შორის 100%-ით რეგულა-რულია,* ამ ორ ზმნას ვერ განვიხილავთ როგორც ორ განსხვავებულ ლექსიკურ ერთეულს: ისინი წარმოადგენენ ერთი და იმავე ლექსიკური ერთეულის, RASER-ის, სხვადასხვა ფლექსიურ ფორმას. შეგვიძლია, ვთქვათ, რომ ყველა ფრან-გული „ნაცვალსახელური“ ზმნური ფორმა არის გვარის ფორმები, თუმცა კიდევ აუცილებელია დავადგინოთ, სწორედ რომელი გვარის ფორმებია.¹²

* იგივეა, რაც, მაგალითად, ფორმებში: HABILLER~S'HABILLER, LAVER~SE LAVER, PEIGNER~SE PEIGNER, PROTÉGER~SE PROTÉGER და ა.შ.).

მნიშვნელოვანია, რომ SE-ს გამოყენება შეუძლებელია ზედსართავებთან (შდრ. გაატონი 19 75:205-206):

(25) *Jean s'est fidèle <antipathique, reconnaissant>.

„ჟანი არის თავისი თავის ერთგული <შემაწუხებელი, მაღლიერი>“

[მართებული გამოთქმა: *Jean est fidèle <antipathique, reconnaissant> à lui-même*].

აქედან უშუალოდ გამომდინარეობს, რომ SE არის გვარის მაჩვენებელი: ზედსართავ სახელს არ აქვს გვარის კატეგორია და, ამგვარად, შეუძლებელია, მიღლოს გვარის მაჩვენებელი.

5.2 გვარი ფრანგულში

3.3-ში წარმოდგენილ გვართა აღრიცხვაზე დაყრდნობით, საერთო ჯამში, შემიძლია, ვთქვა, რომ ფრანგულ ზმნას აქვს ექვსი გრამატიკული გვარი (მდიდარი მასალისა და ლიტერატურისათვის ფრანგული გვარის შესახებ იხ. გაატონი (1998)). უფრო ზუსტად, ფრანგულში გვარის ფლექსიური კატეგორია მოიცავს შემდეგ ექვს გრამემას:

(1) აქტივი

[მოდიფიკაცია 1 გვარის გრამემათა სიაში, 3.3]: Jean a rasé Alain „ჟანმა გაპარსა ალენი“;

(2) სრული დამწინაურებელი პასივი

[მოდიფიკაცია 2 გვარის გრამემათა სიაში]: Alain a été rasé par Jean „ალენი გაიპარსა ჟანის მიერ“;

(3) ნაწილობრივი (=უაგწსო) დამწინაურებელი პასივი

[მოდიფიკაცია 8 გვარის გრამემათა სიაში]: Une barbe de deux jours se rase sans difficulté ზედმ. „ორი დღის წვერი იპარსება იოლად“;

(4) ნაწილობრივი დამჭვეითებელი პასივი

[მოდიფიკაცია 3 გვარის გრამემათა სიაში]: Il a été procédé par le gouvernement au licenciement des fonctionnaires ზედმ. „მიმდინარეობდა მთავრობის მიერ თანამდებობის პირების სამსახურიდან დათხოვნა“;

(5) პირდაპირი რეფლექსივი

[მოდიფიკაცია 10 გვარის გრამემათა სიაში]: Je me rase „მე გავიპარსე (მე თვითონ)“ (იხ. (17a)), Alain s'est rasé „ალენმა გაიპარსა“;

(6) ირიბი რეფლექსივი

[არ არის წარმოდგენილი გვარის გრამემათა სიაში, რადგანაც არსებობს მხოლოდ სამაქტანტიანი გარდამავალი ზმნებისთვის]: Alain s'est rasé la barbe „ალენმა გაპარსა თავისი წვერი“, ზედმ. „ალენმა გაიპარსა წვერი“.

არცერთი ფრანგული ზმნა არ განარჩევს ექვსივე გვარს: გარდამავალ ზმნას არ შეიძლება, რომ მოეპოვებოდეს ნაწილობრივი დამჭვევითებელი პასივი, ხოლო გარდაუვალ ზმნას – სრული დამწინაურებელი პასივი. ეს ნებადართულია ფლექსიური კატეგორიის განმარტების თანახმად (მელჩეკი 1993-2000, ნაწ. 1:263; 2006:22): ეს პროგნოზირებს არსებობას, ერთი მხრივ, დეფექტური პარადიგმების და, მეორე მხრივ, ნაწილობრივი გრამეტების (იქვე:269), რომლებიც გამოიყენება მოცემული ლექსებური კლასის მხოლოდ ზოგიერთი ლექსემისათვის. შდრ. ნაწილობრივი ბრუნვები (partial cases) – პარტიტივი და ლოკატივი – რუსულში: მხოლოდ ზოგიერთ არსებით სახელს მოეპოვება ერთ-ერთი მათგანი და მხოლოდ მცირე რაოდენობა ფლობს ორივეს (ყაი „ჩაი“, მელ „ცარცი“).

ფრანგული გვარის სისტემის ეს აღწერა 3.3-ში წარმოადგენს გვარის გრამეტების ზოგადი აღრიცხვის პრაქტიკულ გამოყენებას. რაც არ უნდა უცნაურად ჟღერდეს, თანამედროვე ფრანგულის არცერთი აღწერითი გრამატიკა თუ სახელმძღვანელო არ იძლევა პასუხს ამ მარტივ შეკითხვაზე: „რამდენი გვარი მოეპოვება ფრანგულს და რომლები?“; პასუხს ვერ იპოვთ გაატონის (1998) ფუნდამენტურ კვლევაშიც კი. ახლა ეს პასუხი მოწოდებულია, თითოეული ფრანგული გვარი ლოგიკურად დახასიათებულია და ნიადაგი შემზადებულია მათი გამოყენების დეტალური აღწერისათვის. თავის მხრივ, გვართა ამომწურავი თეორიული აღრიცხვა შესაძლებელი ხდება გვარის ჩვენეული განმარტებით, რომელიც აგებულია მე-2 პარაგრაფში ფორმულირებული პრინციპების საფუძველზე. ამგვარად, ჩვენი კვლევა დაუბრუნდა საწყის წერტილს: ვიწყებ ზოგიერთი პოსტულატის შემოტანით, რომლებსაც მნიშვნელოვან მორფოლოგიურ ცნებათა განმარტებები უნდა დაეფუძნოს; ამ პოსტულატების შესაბამისად წარმოდგენილია გვარის განმარტება; ჩამოყალიბებულია შესაძლო გვართა აღრიცხვა; ხოლო შემდეგ ეს აღრიცხვა გამოყენებულია ფრანგულისთვის – იმისათვის, რომ ვაჩვენოთ მისი სიცოცხლისუნარიანობა და, ამავე დროს, გადავჭრათ ფრანგულის სპეციალისტთა წინაშე არსებული აღწერითი საკითხი.

შენიშვნები

1. ბურბაკი, ნიკოლა (Bourbaki, Nicolas): ფსევდონიმი, რომელიც აერთიანებდა ფრანგ მათემატიკოსთა ჯგუფს; მათ ამ საერთო ფსევდონიმით შექმნეს მოელი წყება სამეცნიერო ნაშრომებისა მათემატიკის სხვადასხვა დარგში. ბურბაკის ყველა წევრი საკუთარი კარიერის გარკვეულ პერიოდში დაკავშირებული იყო პარიზის უმაღლეს კოლეჯთან – École Normale Supérieure. მათ შორის ყველაზე გამოჩნდებული იყვნენ: ანრი კარტანი (Henri Cartan), კლოდ შევალე (Claude Chevalley), უან დიოდონე (Jean Dieudonné) და ანდრე ვეილი (André Weil). ბურბაკის სამეცნიერო ნაშრომთა მირითადი მიზანი არის მთელი თანამედროვე მათემატიკისათვის უნიფიცირებული საფუძვლის უზუნველყოფა. შინაარსის გადმოცემა მიმდინარეობს აქსიომატური მეთოდის

თანახმად – აბსტრაქტული, ლოგიკურად თანმიმდევრული და მკაცრი; ნორმა-ლურ შემთხვევაში მიმდინარეობს ზოგადიდან კერძოსკენ, ე.ი. არსებითად დე-დუქციურია. ბურბაკის სამეცნიერო ნაშრომთა სერია დაიწყო 1939 წელს გამოკვლევით „მათემატიკის ელემენტები“ (*Éléments de Mathématiques*); ამას მოჰყვა დანარჩენი წიგნები ალგებრის, სიმრავლეთა თეორიის, ტოპოლოგიის და მათემატიკის სხვა დარგების შესახებ. ამ სერიის წიგნთა ნაწილს ხშირად იმოწმებენ მათემატიკოსები.

2. root-ს ვამჯობინებ radical-ს შემდეგი ორი მიზეზის გამო: 1) root ხშირად გაიგება ეტიმოლოგიური (=დიაქრონიული) აზრით (ამგვარად, მაგ., root ინ-გლისური არსებითი სახელისა **restaurant** „რესტორანი“ არის *stā მაშინ, როცა მისი radical არის restaurant-). 2) კონტრინტუციურია root-ის გამოყენება კვაზიელემნტარული ნიშნისათვის, როგორიცაა **institution** მაშინ, როცა ტერმინი radical გამოიყენება სრულიად ბუნებრივად.
3. ეს ვითარება ახლოს დგას 1940-1950-იან წლების ამერიკულ სტრუქტურულ ენათმეცნიერებაში გავრცელებულ სიტუაციასთან, ერთადერთი განსხვავება არის ის, რომ ამგვარად (მაგალითად, ნაიდა 1961:62, 71, 75) იხმარებოდა ტერმინი მორფება და არა მორფი.
4. შევნიშნავთ, რომ ბევრ ავსტრალიურ ენაში გარდაუვალი ქვემდებარე და პირდაპირი დამატება სხვადასხვა ბრუნვით მარკირდებიან (ზოგიერთი ტიპის სახელისათვის (nominal) მაინც); ამ შემოთავაზებული განმარტების გარეშე შესაბამისი პრედიკატული კონსტრუქცია არ უნდა მიგვეჩნია ერგატიულად, რაც ეწინააღმდეგება ავსტრალიურ ენათა სპეციალისტების ინტუიციას (მადლობას ვუხდი ნ. ევანსს ამ შენიშვნისათვის).
5. იმ „ეგზოტიკური“ ენების მაგალითები, რომელთაც არ მოეპოვებათ ფართოდ გავრცელებული ორთოგრაფიული სისტემა (როგორიცაა მამი თუ ჩუკოტკური), მოცემულია ფონოლოგიური ტრანსკრიფციით.
6. ზედაპირულ-სინტაქსურ აქტანტებს ვიღებთ დამტკიცების გარეშე. ისინი განისაზღვრებან სინტაქსურ თვისებათა თვალსაჩინო სიმრავლით: გამოტოვებადობა (omissibility), პარალელური წარმოდგენა (multiple presence), პრონომინალიზებადობა (pronominizability), რელატივიზებადობა (relativezability), სიტყვათა რიგი, შეთანხმება, მართვა (control) (რეფლექსივების, გერუნდივებისა და ზოგიერთი ნაწილაკის), დახარვეზება (gapping) და ა.შ. (შდრ. კინანი 1976, იორდანსკაია და მელჩუკი 2000). ხაზი გავუსვათ, რომ მაგალითებში ვიღებ ზედაპირულ-სინტაქსურ აქტანტთა ყველაზე ტრადიციულ და ფართოდ შემოთავაზებულ აღწერას. რა თქმა უნდა, აქ შეუძლებელია თითოეული გადაწყვეტილების დასაბუთება.
7. აქ ვგულისხმობ ზედაპირულ-სინტაქსურ ფრაზებს, რომლებიც სემანტიკურად შეესატყვევისება ქვემდებარე-შემასტენლის ფრაზას: John's arrival = John arrives „ჯონის ჩამოსვლა“ = „ჯონი ჩამოდის“.

8. ცრუ (Dummy) სინტაქსური ელემენტები არ აბრკოლებენ ამ პრინციპს: ყველა გრამატიკული სიტყვის მსგავსად ისინი არ გამოვლინდებიან სიღრმისეულ-სინტაქსურ დონეზე და, მაშასადამე, სათვალავში არ შეგვაქვს. ამგვარად, განვიხილოთ ესპანური იდიომი diñársela a N, ზედმ. „მიცემა-თვითონ-ის N-ს“ = „N-ის თაღლითურად მიღება“ მაშინ, როცა DIÑAR = „მიცემა“ [კრებითი]. ზედაპირულ-სინტაქსურ სტრუქტურაში LA (=3SG მდედრობითი ნაცვალსახელი აკუზატივში) არის DIÑAR-ის პირდაპირი დამატება, მაგრამ არის მხოლოდ ცრუ პირდაპირი დამატება: სრულებით არ ვლინდება სიღრმისეულ-სინტაქსურ სტრუქტურაში, სადაც DIÑÁRSELA-ს II სიღრმისეულ-სინტაქსური აქტანტი არის ფრაზა a N: DIÑÁRSELA-II→a N. წინადადების ფაქტობრივ სიღრმისეულ-სინტაქსურ სტრუქტურაში აქტანტური „ლაკუნები“, რა თქმა უნდა, შესაძლებელია ზოგიერთი სიღრმისეულ სინტაქსური აქტანტის ფაკულტატიური გამოუხატველობის გამო: John [= I] rented his apartment [= II] for a year [= V], „ჯონმა [= I] გააქირავა თავისი ბინა [= II] ერთი წლით [= V].
9. ძირითადი ზმნები I სიღრმისეულ-სინტაქსური აქტანტის პოზიციის (slot) გარეშე – ეს მოთხოვნა წარმოდგენილია იმ რამდენიმე შემთხვევის გამო, როდესაც ზმნას არ მოეპოვება I სიღრმისეულ-სინტაქსური აქტანტი (მაგრამ მოეპოვება II სიღრმისეულ-სინტაქსური აქტანტი). დავიმოწმებ ამგვარ შემთხვევებს.
1. ზოგიერთი ისეთი სემანტიკურად მონოაქტანტური ზმნა, რომლის ერთადერთი სიღრმისეულ-სინტაქსური აქტანტი ზედაპირზე ვლინდება პირდაპირ დამატებად და, ამგვარად, უნდა განვიხილოთ II სიღრმისეულ-სინტაქსურ აქტანტად (უმეტეს შემთხვევაში, გამოხატავს ექსპერიენცერს): რუს. ТОШНИТЬ, ზედმ. „N-ის გულისრევის გამოწვევა“; ლათ. PUDERE, ზედმ. „N-ის შერცხვენა“; გერმ. FRIEREN, ზედმ. „N-ის გაყინვა“; ან ფრანგ. FALLOIR, ზედმ. „Vinf/N-ის საჭიროება“. შდრ.: TOШНИТЬ(V)ind, pres0-II→o L(Y) [меня_{ACC} тошнит „გული მერევა“]; PUDERE(V)ind, pres0-II→o L(Y) [Pudet me_{ACC} „მრცხვენია“, taedet me_{ACC} „მეზიზღება“, piget me_{ACC} „მოწყებილი ვარ“, poenitet me_{ACC} N_{gen} „ვინანიებ“]; FRIEREN(V)ind, pres0-II→o L(Y) [Es friert mich_{ACC}, ზედმ. „მყინვავს“ = „მცივა“]; FALLOIR(V)ind, pres0-II→o L(Y) [Il faut des livres, ზედმ. „საჭიროა ზოგიერთი წიგნი“].
- ეს სიტუაცია, რომელიც ინდოევროპულში საქმაოდ ეგზოტიკურია, ძალიან ტიპურია ბევრი სხვა ენისათვის, რომლებსაც რეგულარულად მოეპოვებათ გარდამავალი სტატიკური ზმნები, რომლებიც აღნიშნავენ ფიზიოლოგიურ თუ ფსიქოლოგიურ მდგომარეობას და მართავენ ექსპერიენცერის სახელს პირდაპირ დამატებად.

2. იდიომები, რომლებიც შეიცავენ თავიანთ ზედაპირულ-სინტაქსურ ქვემდებარეს, მაგალითად:

The cat's got Y's tongue \Leftrightarrow THE CAT HAS GOT TONGUE o-II \rightarrow o L(Y)
ზედმ. „კატას აქვს Y-ის ენა“ = „ენა ჩაუვარდა“

ფრანგ. *La moutarde monte au nez à Y* \Leftrightarrow

LA MOUTARDE MONTE AU NEZ o-II \rightarrow o L(Y)

ზედმ. „მდოგვი ადის Y-მდე ცხვირამდე“ = „Y ცხარდება“.

ფრანგ. *Le torchon brûle entre Y et Z* \Leftrightarrow

LE TORCHON BRULE o-II \rightarrow o L(Y)-COORD \rightarrow o ET-II \rightarrow o L(Z)

ზედმ. „ჩვარი იწვის Y-სა და Z-ს შორის“ = „Y და Z სერიოზულად ჩეუბობენ“.

სიღრმისეულ-სინტაქსურ დონეზე ამგვარი იდიომი წარმოდგენილია ერთი კვანძით (node) და I-ით დანომრილი არცერთი განშტოება (branch) არ მოიპოვება.

3. *Down with Y!* ის „ძირს Y!“ ტიპის შორისდებულები:

DOWN [with] o-II \rightarrow o L(Y).

4. ნებისმიერი ზმნა უქვემდებარო სუბრესივის ფორმით (იმ ენტში, რომლებშიც ეს გვარი დასტურდება, იხ. ქვემოთ):

ფრანგ. *Il se vend des Y* სიღრმისეულ-სინტაქსური სტრუქტურით

VENDRE_{subj-suppr,ind,pres} o-II \rightarrow o L(Y).

ეს მაგალითები აჩვენებენ, რომ შეიძლება არსებობდეს დიათეზები, რომელთა სიღრმისეულ-სინტაქსურ აქტანტთა დანომვრა იწყება არა I-დან, არამედ – II-დან.

მეორე მხრივ, არცერთი დიათეზა არ შეიძლება დაიწყოს III სიღრმისეულ-სინტაქსური აქტანტით: ეს გამომდინარეობს იმ ფაქტიდან, რომ II სიღრმისეულ-სინტაქსური აქტანტი აღნიშნავს უმნიშვნელოვანებს (=მთავარ, ცენტრალურ), ანუ ერთადერთ დამატებას (არ არის აუცილებელი, რომ ის იყოს პირდაპირი დამატება).

10. გვარის შესახებ დიდძალი ლიტერატურა არსებობს; შემოვიფარგლები მხოლოდ რამდენიმე უახლესი (დაახლოებით ბოლო 15 წლის) ნაშრომით: სივრცესკა (1984), გენიუშიენე (1987), შიბატანი (1988), ბრუსი (1992), გროსი (1993), კემერი (1993), მელჩუკი (1993, 1997b), ფოქსი და ჰოპერი (1994), გივონი (1994), დიქსონი და აიზენვალდი (1997). აյ წარმოდგენილი განმარტება ავითარებს მელჩუკისა და ხოლოდოვიჩის ნაშრომში (1970) გამოთქმულ იდეებს.

11. რეფლექსივმა კონკრეტულ ენაში შეიძლება გამოხატოს სხვადასხვა მნიშვნელობა: „ნამდვილი“ რეფლექსივი (მოქმედება საკუთარ თავზე), ურთიერთობითი (reciprocal) და ა.შ. აქ წარმოდგენილ კონტექსტში ეს ფაქტი იგნორირებულია.
12. ამ შეხედულებას სრულიადაც არ იჩიარებს ყველა მკვლევარი. შდრ., მაგალითად, „ამ [= ნაცვალსახელურ-ზმნური – ი. მ.] კონსტრუქციის უმთავრესი მახასიათებელი ქვემდებარის სახელური ფრაზით და კლიტიკური ზმნური კომპლემენტით გამოხატული კორეფერენტულობაა (ბერსტონი 1979:47; ხაზი ჩემია – ი. მ.), „ნაცვალსახელური კონსტრუქცია შეიცავს არსებითად კლიტიკური ზმნური კომპლემენტის ერთ ტიას – ნაცვალსახელურ დამატებას“ (იქვე:150); „საკმაო რაოდენობის ე.წ. გარდაუცალებში SE-ს დამატების ფუნქცია საკმაოდ გამჭვირვალეა [Elle a besoin de se reposer „მას დასვენება სჭირდება“]“ (იქვე:160). ამგვარადვე განიხილავს ლე გოფიკი (1993:309 და შემდ.) SE-ს ყველა ფორმას, უწოდებს რა მათ „კლიტიკურ კომპლემენტებს“. მიუხედავად ამისა, უმეტეს შემთხვევაში უნდა ვირწმუნოთ, რომ SE RASER-ში კლიტიკა SE პირდაპირი დამატებაა და ამავე დროს SE RASER წარმოადგენს რეფლექსიური გვარის ფორმას. ეს არის წინააღმდეგობრივი თვალსაზრისი, რომელიც ლოგიკურად შეუძლებელია. მეორე მხრივ, შდრ. გერლი (1986:283), რომელიც ამბობს, რომ „რეფლექსივზაციის პროცესი რომანულში ... როგორც ჩანს, უფრო ახლოს არის აფიქსაციის პროცესთან“, რაც ნიშნავს, რომ აფიქსაცია მიანიშნებს „შემასმენელთან დაკავშირებულ აქტუანტური (argument) სტრუქტურის მოდიფიკაციას“ (გვ. 274); ან ვეუბიცბა (1996:402 და შემდგ.), რომელიც აჩვენებს, რომ პოლონური რეფლექსიური ნაცვალსახელი SIE, სინტაქსურად ურანგული SE-ს მსგავსი, არ არის წინადაღების (clause) ელემენტი, ე.ი. არ არის სახელური ფრაზა დამატების როლში

მადლიერება

ეს სტატია ჩემთან ერთად სრულად განიხილა და დაარედაქტირა ნ. ევანსმა. მისი გულწრფელად მადლიერი ვარ. საბოლოო ტექსტი წაიკითხა და შეასწორა, როგორც ყოველთვის, ლ. იორდანსკაიამ.

ამ სტატიაში ზმარებული აბრევიატურები და ანოტაციები

AgCo	Agentive Complement	L	Lexical Unit
DirO	Direct Object	OblO	Oblique Object
DMorphS	Deep-Morphological Structure	REC	Recent Past
DSyntA	Deep-Syntactic Actant	SemA	Semantic Actant
GP	Government Pattern	SemS	Semantic Structure
		SSyntS	Surface-Syntactic Structure

ლიტერატურა:

- ամբողջականություն:**
- ամերիկանական 1982:** Ю. Д. Апресян, О возможности определения лингвистических понятий, *Russian Linguistics*, 6, 175-196.
- ձեռնադրական 1979:** Jack L. Burston, The pronominal verb construction in French, *Lingua* 48: 147-176.
- ձեռնադրական 1992:** Ineke Brus, Towards a typology of voice, In: *Meaning and Grammar, Cross-Linguistic Perspectives*, Michel Kefer and Johan van der Auwera (eds.), 45-76, Berlin/New York: Mouton de Gruyter.
- զագումնական 1975:** David Gaatone. Réflexions sur les verbes pronominaux réfléchis du français, *Folia Linguistica*, 8 (1/4): 199-222.
- զագումնական 1998:** David Gaatone, *Le passif en français*, Paris/Bruxelles: Duculot.
- զենուզնուցի 1987:** Emma Geniušiene, *The Typology of Reflexives*, Berlin/New York: Mouton de Gruyter.
- զուգումնական (հյույս)** 1994: Talmy Givón (ed.), *Voice and Inversion*, Amsterdam/Philadelphia: Benjamins.
- զբություն** 1982: Jane Grimshaw, On the lexical representation of the Romance reflexive clitics, In: *The Mental Representation of Grammatical Relations*, Joan Bresnan (ed.), 87-148. Cambridge, MA/London: The MIT Press.
- զբություն** (հյույս) 1993: Gaston Gross (ed.), *Sur le passif*. Paris: Larousse [= *Langages*, 1993, № 109].
- դոկտորական 1997:** R. M. W. Dixon and Alexandra Aikhenvald, A typology of argument-determined constructions, In: *Essays on Language Function and language Type (Dedicated to T. Givón)*, Joan Bybee, John Haiman and Sarah Thompson (eds.), 71-113. Amsterdam/Philadelphia: Benjamins.
- յեզլանձնական 1988:** Nora England. Mam Voice, In: *Passive and Voice*, Shibatani (ed.), 525-545, Amsterdam/Philadelphia: Benjamins.
- յայգանձնական 1989:** Anna Wierzbicka, Prototypes in semantic and pragmatics: explicating attitudinal meanings in terms of prototypes, *Linguistics* 27: 731-769.
- յայգանձնական 1986:** Eric Wehrli, On some properties of French clitic *SE*, In: *The Syntax of Pronominal Clitics*, Hagit Borer (ed.), 263-283 [=Syntax and Semantics 19]. Orlando etc.: Academic Press.
- օտքանշանական, մշակույթական 2000:** Lidija Iordanskaja and Igor Mel'čuk, The notion of Surface-Syntactic Relation revisited (valence controlled Surface-Syntactic Relations in French), In: *Слово в тексте и в словаре. Сборник статей к 70-летию академика Ю. Д. Апресяна*, Leonid Iomdin and Leonid Krysin (eds.), 391-433, Москва: Языки русской культуры.
- յայգանձնական 1975:** Aert Kuipers, On symbols, distinctions and markedness, *Lingua* 36: 31-46.
- յայգանձնական 1993:** Suzanne Kemmer, *The Middle Voice*, Amsterdam: Benjamins.
- յայգանձնական 1976:** Edward Keenan, Towards universal definition of ‘Subject.’ In: *Subject and Topic*, Charles Li (ed.), 303-334, New York: Academic Press.

- კოზინსკი, ნედალკოვი, პოლინსკა 1988:** Isaac Kozinsky, Vladimir Nedjalkov and Marija Polinskaja, Antipassive in Chukchee: Oblique Object, Object Incorporation, Zero Object, In: *Passive and Voice*, Shibatani (ed.), 651-706. Amsterdam/Philadelphia: Benjamins.
- ლუ გოფი 1993:** Pierre Le Goffic, *Grammaire de la phrase française*, Paris: Hachette.
- მელჩუკი 1974:** Игор Мельчук, Опыт теории лингвистических моделей “Смысл ⇔ Текст”, Москва: Наука
- მელჩუკი 1981:** Igor Mel'čuk, Meaning-Text Models: A recent trend in Soviet linguistics, *Annual Review of Anthropology* 10: 27-62.
- მელჩუკი 1988:** Igor Mel'čuk, *Dependency Syntax. Theory and Practice*, Albany, N.Y.: The State University of New York Press.
- მელჩუკი 1993:** Igor Mel'čuk, The inflectional category of Voice: Towards a more rigorous definition, In: *Causatives and Transitivity*, Bernard Comrie and Maria Polinsky (eds.), 1-46, Amsterdam/Philadelphia: Benjamins.
- მელჩუკი 1993-2000:** Igor Mel'čuk, *Cours de morphologie générale*, Vols. I-V. Montréal: Les Presses de l’Université de Montréal/Paris: CNRS Éditions.
- მელჩუკი 1997a:** Igor Mel'čuk, *Vers une linguistique Sens-Texte*. Paris: College of France [Leçon inaugurale].
- მელჩუკი 1997b:** Igor Mel'čuk, Cas grammaticaux, construction verbale de base et voix en massaï: vers une meilleure analyse de concepts, *Bulletin de la Société de linguistique de Paris* 92 (1): 49-113.
- მელჩუკი 2001:** Igor Mel'čuk, *Communicative Organization in Natural Language, The Semantic-Communicative Structure of Sentences*, Amsterdam/ Philadelphia: Benjamins.
- მელჩუკი 2004a:** Igor Mel'čuk, Actants in semantics and syntax I: Actants in semantics, *Linguistics* 42 (1): 1-66.
- მელჩუკი 2004b:** Igor Mel'čuk, Actants in semantics and syntax II: Actants in syntax, *Linguistics* 42 (2): 247-291.
- მელჩუკი 2006:** Igor Mel'čuk, *Aspects of the Theory of Morphology*, Berlin/New York: Mouton de Gruyter.
- მელჩუკი, პერსოვი 1987:** Igor Mel'čuk and Nikolaj Pertsov, *Surface Syntax of English, A Formal Model Within the Meaning-Text Framework*. Amsterdam/Philadelphia: Benjamins.
- მელჩუკი, ხოლოდოვიჩი 1970:** И. А. Мельчук, А. А. Холодович, Залог. Определение. Исчисление, *Народы Азии и Африки*, № 4, 111-124.
- ნიდა 1961:** Eugene Nida, *Morphology. The Descriptive Analysis of Words*, Ann Arbor, MI: The University of Michigan Press.
- ჟინი, ლასკოვსკი 1997:** Thomas Payne and Thomas Laskowske, Voice in Seko Padang, In *Essays on Language Function and Language Type, Dedicated to T. Givón*, Joan Bybee, John Haiman and Sarah Thompson (eds.), 423-436, Amsterdam/ Philadelphia: Benjamins.

- Նոյսեյա 1984:** Anna Siewerska, *The Passive: A Comparative Linguistic Analysis*, London: Croom Helm.
- Նոլզերսֆիօ 1972:** Michael Silverstein, Chinook jargon: Language contact and the problem of multi-level generative systems, I. *Language* 48 (2): 378-406.
- Ծյուլուր 1989:** John R. Taylor, *Linguistic Categorization. Prototypes in Linguistic Theory*, Oxford: Clarendon Press.
- Չոյթե, Ֆոքըր (Հյֆ.) 1994:** Barbara Fox and Paul Hopper (eds.), *Voice: Form and Function*, Amsterdam/Philadelphia: Benjamins.
- Շիբանո (Հյֆ.) 1988:** Masayoshi Shibatani (ed.), *Passive and Voice*. Amsterdam/Philadelphia: Benjamins.
- Շիբանո 1985:** Masayoshi Shibatani, Passive and related constructions: a prototype analysis, *Language* 61 (4): 821-848.
- Հոկետ (Համարուրու):** Charles Hockett, Case Systems [Unpublished MS].

Թարգման Ցյուրած ՃարատաՄյուլմ
Թարգմանո Ովելուցիւ Ռյանցիւ անտառնու Ռյանցիւ

რეცეზიები

Heinz Fähnrich, Historisch-Vergleichende Sprachforschung und Kaukasiologie, Reichert Verlag, 2019, 212 S.).

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თეორიული და გამოყენებითი ენათმეცნიერების ინსტიტუტისა სულ ცოტა ხნის წინ ცნობილი გერმანელი ქართველოლოგის, ჰაინც ფენრიჩისგან საჩუქრად მიიღო მისი ავტორობით გამოცემული წიგნები, რომელთა შორის არის – პ. ფენრიჩი, „ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერება და კავკასიოლოგია“ (Heinz Fähnrich, Historisch-Vergleichende Sprachforschung und Kaukasiologie, Reichert Verlag, 2019, 212 S.).

ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერების საფუძვლებზე დაყრდნობით, ნაშრომში განხილულია კავკასიოლოგიის, კავკასიის ავტოქტონური ენების სხვადასხვა ასპექტი, კერძოდ: ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერების საფუძვლები (7); ენათა ნათესაობის დადგენის კრიტერიუმები (10); ენათა სახელდება (14); კავკასიოლოგია და ქართული ენა (17); კავკასიის ავტოქტონურ ენათა ურთიერთობიმართები (20); ერთი ოჯახის ენათა შორის რეგულარული ბერათშესატყვისობები (24); სამი ავტოქტონური კავკასიური ოჯახის შიდა სტრუქტურა (46); კავკასიურ ენათა ოჯახების ურთიერთობისგავსება (71); ნახესხები თუ მკვიდრი ლექსიგა? (101); რეკონსტრუქცია (112); სამი კავკასიური ენათა ოჯახის თანმოვანთსისტემა (132); ბოლოთქმა (135); შემოკლებები (138); ლიტერატურა (139).

ყველა თემა ეყრდნობა უაღრესად საინტერესო, ფართო ფაქტობრივ მასალას. გათვალისწინებულია მდიდარი ქართველოლოგიური სამეცნიერო მემკვიდრეობა, შევსებულია, დაზუსტებულია და ახლებურად არის წარმოდგენილი მრავალი საკითხი. ნაშრომს ერთვის ვრცელი ბიბლიოგრაფია, რომელშიც თითქმის სრულად არის წარმოდგენილი საკვლევ თემებთან დაკავშირებული ქართული, რუსული და უცხოური სამეცნიერო ლიტერატურა.

მკითხველისთვის, განსაკუთრებით ახალგაზრდებისთვის, ვფიქრობთ, საინტერესო იქნება ჰაინც ფენრიჩის მიერ მოთხოვობილი ავტობიოგრაფია, რომლის თარგმანსაც ვურთავთ ჩვენს გამოხმაურებას:

ის, თუ როგორ გავხდი კავკასიოლოგი, მართლაც უცნაური ამბავია. ამ ფაქტს შეიძლება მხოლოდ წარმოუდგენელი შემთხვევითობა ვუწოდო.

სკოლის დასრულებისა და ჯარში საკალდებულო სამსახურის მოხდის შემდეგ ჩავაბარე იქნის უნივერსიტეტში არქოლოგიის მიმართულებით, რომლის შესახებაც თავდაპირველად მხოლოდ ბუნდოვანი წარმოდგენა მქონდა. სწავლის და-

საწყისშიღა აღმოვაჩინე, რომ აქ არქეოლოგიურ გათხრებზე კი არ გვამუშავებდნენ, არამედ ხელოვნებათმცოდნეობის თეორიულ საკითხებს ვკასწავლიდნენ, ამიტომაც ჩემი აღფრთოვანება მაღვევ ჩაცხრა. მეტ ინტერესს ვიჩენდი ენათა შესწავლის მიმართ, კურძოდ, რუსულის (რომელიც მათინდელ აღმოსავლეთ გრძენიაში სავალდებულო საგანი იყო), ლათინურისა და ძველი ბერძნულისადმი. მეორე სემესტრში კლასიკური არქეოლოგიის პროფესორმა შენიშნა ჩემი მიდრეკილება ენებისადმი და მირჩა: შეიძლება შენვან კარვი არქეოლოგი დადგეს, მაგრამ, ვფიქრობ, ჯობს, სწავლა ენების მიმართულებით ვაკრძელოთ. რამდენიმე დღეში ბერძნინიდან იენაში ჩამოდის კარიბის რეგიონის ენების პროფესორი, რომელიც ამ საგნით დაინტერესებულ სტუდენტებს ემებს და მას დაქლაბარაკუთო. და შეხვდორაც დამინიშნა.

ამასობაში მეც დავიწყე ფიქრი ამ ენებზე. ინდივიდთა ენებზე წარმოდგენა არ შეინდა და მთუმეტეს კარიბის რეგიონის ენათა შესახებ. თუმცა მინდოდა, ჯერ გამეგო, რას მეტყოდა ეს პროფესორი.

როდესაც შეხვდოა შედგა, აღმოჩნდა, რომ ქალბატონი პროფ. გერტრუდ პერი კარიბის რეგიონის კი არა, კავკასიურ ენებს ასწავლიდა და იენაში კავკასიოლოგიის კურსის წაყვანა სურდა. მან შეძლო ჩემი კავკასიური ენებით დაინტერესება. ამგვარად, გადავედი კლასიკური არქეოლოგიიდან კავკასიოლოგიაზე და დავიწყე სწავლა, რომელიც 1965 წელს დიაპლომის აღებით დავასრულე.

პროფ. პერის უნდა ვუძადლოდე, რომ სამეცნიერო ასპირანტურა გავიარე და 1966/67 წლები ცოდნის ასამაღლებლოდ თბილისის უნივერსიტეტში ვაკატარე.

თბილისში ჩემი სამეცნიერო ხელმძღვანელი პროფ. აკაკი შანიძე იყო, რომლის შრომებსაც ახალ ქართულსა და ძველ ქართულ ენებში ფუნდამენტური დირექტორია აქვს. თბილისის უნივერსიტეტსა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტში შესაძლებლობა მქონდა, დაგსწრებოდი ლექციებს არა მარტო ქართულ ენაში, არამედ მომებმინა ლექციები სხვა კავკასიურ ენებშიც. ასე რომ, ბევრ მეცნიერს ვუძადლი ჩემს განათლებას, განსაკუთრებით: გერტრუდ პერი (ახალი ქართულის გრამატიკა კიტა ჩხერქელის სახელმძღვანელოს მიხედვით), აკაკი შანიძეს (ახალი ქართული, ძველი ქართული), თემიშრაზ (ჯონდო) მეტრეველს (ახალი ქართულის გრამატიკა და ენათმეცნიერება, ქართული ტექსტების კითხვა: ფოლკლორი, კ. ვამსახურდიას რომანები), ზურაბ ჭუმბურიძეს (სვანური), ქეთევან ლომთამიძეს (აფხაზური), აჩერდან აბრევოვს (ადილეური), ილია ცერცვაძეს (ხუნძური, ანდიური), ტოვო გუდავას (ბოთლისური, ღოლობერული, ბავალური), დავით იმანიშვილს (ჩეჩენური, პინური), რუსულან გაგუას (წოვა-თუშური ანუ ბაცბური), შოთა გავრინდაშვილს (ლაკური, დარგული), ბაქარ გიგინეშვილს (ლაკური), გენადი ბურჭულაძეს (ლაკური), ალექსანდრე მაჟომეტოვს (თაბასარანული, აღულური, დარგული ენები: კუბაჩური, ძეპებური), ვვენი ჯეირანიშვილს (უდიური, რუთულური, წაურული), ოტია კახაძეს (არჩიბული), გაზბევ მიქაილოვს (არჩიბული).

განსაკუთრებული მადლიერება მინდა გამოვხატო ჩემი მეცნიერებისა და ნაცნობებისადმი თბილისის სტუდენტებში, ვაკეში, რომელთა დახმარებითაც მე ქართულად ლაპარაკი ვისწავლე და მოელი საქართველო მოვიარე, ახლოს გავიცანი ქართულ ლიტერატურასა და ფოლკლორს, საქართველოს ისტორიას, გეოგრაფიას, მთოლოვას და ძრავალ სხვა რამეს.

ქართული მხარის მხარდაჭერის გარეშე ვერასდროს მოვახერხებდი ამხელა კავკასიოლოგიური ცოდნის დაგროვებას, დარგის ლიტერატურის მოპოვებას და ვრცელი კარტოსეკების შექმნას. მოელ ჩემს სამეცნიერო კარიერას ყველაზე მეტად ქართველებს უნდა ვუძადლოდე.

1969 წელს დავიცავი საკანდიდატო დისერტაცია იქნის ფრიდრიხ შილერის უნივერსიტეტში თემაზე – „ქართული და გერმანული მანქანური თარგმანის ენათმეცნიერების პრობლემები, დემონსტრირებული ერთი ტექსტის მაგალითზე“ („Sprachwissenschaftliche Probleme der maschinellen Übersetzung von der georgischen Sprache ins Deutsche, demonstriert an einem Beispieltext“), რომლითაც ფილოლოგის დოქტორის ხარისხი მომენტში. 1971 წელს დავიცავი სადოქტორო დისერტაცია თბილისის უნივერსიტეტში თემაზე „ენათა გენეტიკური ნათესაობის დასაბუთების კრიტერიუმები და ადრინდელი საერთო-ქართველური ფუძე-ენის ძორეულ მორფებითა სტრუქტურის ზოვი საკითხი“. რაღაცანაც ეს შრომა ქართულად იყო შესრულებული და დაცვუც ქართულ ენაზე მიმდინარეობდა, მოელი ნაშრომი, ისევე როგორც დეტალური პროტოკოლი დაცვისა, რუსულად უნდა თარგმნილიყო, ვინაიდან დოქტორის ხარისხის მინიჭება ხაბჭოთა კავშირში არა რომელიმე უნივერსიტეტში, არამედ ე.წ. „უმაღლეს საატესტაციო კომისიაში“ მოსკოვში ხდებოდა, რომლის წევრებიც უმჯობესდღიდან რუსულოვნების მეცნიერები იყვნენ. კომისიამ მომანიჭა „მეცნიერებათა დოქტორის“ (Доктор наук) ხარისხი, რომელიც შემდეგ გდრ-ში Dr.Habil.-ად გადაკვალიფიცირდა. 1986 წლიდან ჩვენი დეპარტამენტი (ჯერ გდრ-ში, შემდეგ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში) ერთი პროფესორისგან შედგებოდა, რომელიც 2006 წლამდე მე მეკავა. 41 წლის სამუშაო გამოცდილებისა და უკვე ათწლეულის პენსიაზე ყოფნის შემდეგ თავს ვალდებულად ვთვლი, ყველას, ვინც კავკასიოლოგის დეპარტამენტსა და ჩემს კარიერას იქნის უნივერსიტეტში ხელს უწყობდა, გულითადი მადლობა გადავუხდო და იმდეს გამოვთქვამ, რომ კავკასიოლოგია მომავალშიც დამუჟადებელ ორიენტაციისტურ დისციპლინად გააგრძელებს ფუნქციონირებას.

ნათა დუნდუა, მარინე ივანიშვილი

უკანალში *Etudes Interdisciplinaires en Sciences humaines* N7, 2020 (<https://ojs.iliauni.edu.ge/index.php/eish/article/view/490>) გამოქვეყნდა ირინე მელიქიშვილისა და ელენე გიუნაშვილის სტატია „სამხრეთ კავკასიურ ენათა ჯგუფი“ (გვ. 274-303). ნაშრომი მიმოხილვით ხასიათისა და ეძღვნება სამხრეთ კავკასიის ქართველური ენების – ქართულის, მეგრულის, ლაზურისა (ჭანურის) და სვანურის – ზოგად დახასიათებას.

ამ ენათა ისტორიული და შედარებითი შესწავლა მრავალ წელს ითვლის. ქართველურ ენათა სტრუქტურის სხვადასხვა საკითხს იკვლევდნენ გამოჩენილი ევროპელი ლინგვისტები: მ. ბროსე, გ. დეეტერსი, გ. დიუმეზილი და სხვ. ნაშრომი წარმოადგენს ქართველურ ენათა სტრუქტურულ და ტიპოლოგიურ ანალიზს ენობრივი სისტემის ყველა – ფონეტიკურ, ფონოლოგიურ, მორფოლოგიურ და სინტაქსურ დონეზე. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ქართველურ ენათა ტიპოლოგიურ პარალელებს ინდოევროპულ ენებთან.

კვლევის ძირითადი ნაწილი ეძღვნება ზოგად ინფორმაციას, განხილულია ცალ-ცალები ქართულის, მეგრულის, ლაზურის, სვანურის ფონეტიკური სისტემები, კერძოდ, მოცემულია თანხმოვანთა სიხშირული ცხრილები ქართველურსა და კავკასიურ (აფხაზურ, ხუნძურ, ჩეჩნურ...) ენებში (გვ. 275-277). ასევე, განხილულია მორფოლოგიისა და სინტაქსის ძირითადი სტრუქტურები ენათა ტიპოლოგიური ანალიზის თვალსაზრისით (გვ. 277-278), ყურადღება ეთმობა აგრეთვე ლექსიკის საკითხებს (გვ. 278-279). მოკლედ არის წარმოდგენილი ქართული ანბანის წარმოშობის ისტორია, მიმოხილულია უძველესი წარწერები (გვ. 280-282). ინფორმაციულია მსჯელობა ქართველური ფუძეენის დიფერენციაციის შესახებ გ. დეეტერსის სქემის მიხედვით. განხილულია პარმონიული კომპლექსების A და B ტიპები (გვ. 287), დახასიათებულია განსახილველ ენათა ვოკალური სისტემები, მოცემულია ტექსტები კონსონანტთა და ხმოვანთა გამოჩენის სიხშირული პროპორციების ცხრილი, აღწერილია მარცვლის სტრუქტურა, რეკონსტრუირებულ მორფემათა ტიპები გრამატიკულ კატეგორიათა მიხედვით (გვ. 292). გაანალიზებულია ზმნის ძირითადი კატეგორიები, სერიები და მწკრივები. სინტაქსური ანალიზი მოიცავს სიტყვათა რიგის საკითხებს – დომინანტურად SOV ტიპია მიჩნეული; ასევე, განხილულია GN და AN ტიპის კონსტრუქციები, გამოკვეთილია ძველსა და ახალ ქართულს შორის სტრუქტურული განსხვავებულობები. ასევე, განხილულია რიცხვები შეთანხმების საკითხი, აღწერილია ნომინატივური და ერგატიული კონსტრუქციების სტრუქტურული თავისებურებები.

ქართველურ ენათა დექსიგის განხილვისას გამოყოფილია ონომატოპოეტური სიტყვების საკითხი. აღნიშნულია, რომ საერთოქართველური ენისთვის აღდგენი-

ლია 2000 ლექსიკური ერთეული: აქედან, საერთოქართულ-ზანური პერიოდის-თვის აღდგენილია 1200 ერთეული, ქართულ-სვანური საერთო ძირებისა და ზანურ-სვანური საერთო ძირების რაოდენობა შესაბამისად 400-400 ერთეულია. ნაშრომს ახლავს ბიბლიოგრაფია.

ამ მცირე მიმოხილვიდანაც ჩანს, რა ღირებულ ინფორმაციას აწვდიან ავტორები ფრანგულენოვან მკითხველს ქართველური ენების შესახებ. ავტორების კომპეტენციიდან გამომდინარე, ამ მართლაც სანდო ნაშრომში თავმოყრილი მრავალ-ფეროვანი და საჭირო ცნობები დააინტერესებთ ქართველური ენების მკვლევრებს, სტუდენტებს და, უდავოდ, დიდ სამსახურს გაუწევს მათ ქართველოლოგიისათვის აქტუალურ ამა თუ იმ საკითხზე მუშაობის დროს.

რუსულან ასათიანი, მარინე ივანიშვილი

გამომცემლობის რედაქტორები:

გარეკანის დიზაინერი
დამკაბადონებელი

თამარ გაბელაია
ნანა კაჭაბავა
მარიამ ებრალიძე
ლალი კურდღელაშვილი

TSU Press Editors:

Cover Designer
Typesetter

Tamar Gabelaia
Nana Katchabava
Mariam Ebralidze
Lali Kurdghelashvili

0179 თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 14
14, Ilia Tchavtchavadze Ave., Tbilisi 0179
Tel: +995 (32) 2250484, 6284; 6278
www.press.tsu.edu.ge

